

პუტინი შესაძლოა, არც წავიდეს...

A2



ევროკავშირი-რუსეთის სამიტი

A3



ახალი მარგალიტები თქვენი ბიბლიოთეკისთვის

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 26 მაისი, 2006 წელი. №115 (1267)

ფასი 50 თეთრი

# დამოუკიდებლობის დღე



**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ბიუროების სასამართლო აღმასრულებელთა მიერ დანიშნული საჯარო აუქციონების შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე www.justice.gov.ge შეუძლიათ.

აღმასრულებელთა მიერ დანიშნული, იპოთეკით დატვირთული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონების შესახებ ცნობები მუდმივად განახლდება.

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## სამართალი

### კიდევ ერთი მსხვერპლი

2005 წლის 10 აგვისტოს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ნაცემი რევაზ ცალანი გარდაიცვალა. ცემის შედეგად განვითარებული სიმსივნის გამო, ცალანი თბილისში, ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში მკურნალობდა. თუმცა, უიმედო მდგომარეობის გამო, 24 მაისს საავადმყოფოდან გაწერეს და ოჯახის წევრებმა მესტიაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გადაიყვანეს.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 26/05 | 27/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 28 |
| ტყიბული | 32 | 20 |
| სოხუმი | 32 | 19 |
| დმანისი | 27 | 21 |
| გორი | 29 | 22 |
| ონი | 25 | 14 |
| ზუგდიდი | 36 | 21 |
| ახმეტა | 31 | 27 |
| გაგრა | 28 | 19 |
| სამტრედია | 35 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7980 |
| ევრო | 2.2960 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3600 |
| რუბლი | 0.0665 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
საზოგადოება A 5
რევიუ A 6
სხვადასხვა A 7
სხვადასხვა A 8

## დღეს "24 საათში"




## როგორ მომსახურებას ჰპირდება "სახალხო ბანკი" 900 ათას პენსიონერს

თინა შავაძე

*საქართველოს საბანკო სექტორში ყველა ბანკს თავისი ნიშა უჭირავს. ქვეყანაში "სახალხო ბანკი" ფილიალების რაოდენობით ლიდერია, რადგანაც ბანკის მუშაობის მთავარი პრინციპია ნებისმიერი სოციალური ფენის მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილება. ამ მხრივ, ბანკისთვის მნიშვნელოვანი სეგმენტია პენსიონერებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მომსახურება. დღეისათვის ქვეყნის 72 რაიონიდან ბანკის ფილიალები უკვე 42 რაიონში მოქმედებს და მან ორი წლის განმავლობაში მომსახურების გაწევისთვის 160 ფილიალი გახსნა, მათ შორის - 55 დედაქალაქშია. ივნისში ბანკი ფორსირებულ ტემპში აპირებს დედაქალაქში 12 ფილიალის გახსნასა და ამდენივე უბანში ე.წ 24-საათიანი მომსახურების პავილიონების ჩადგმას.*

გაგრძელება B4 გვერდზე



# საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირთა სია

| | | |
|---|---|---|
| 1 | რუსუდან ჩოლოყაშვილი | ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი - წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი |
| 2 | დემურ კახურაშვილი | საქართველოს მცირე მინი მიკრო ჰესების ასოციაცია - აღმასრულებელი დირექტორი |
| 3 | ზაურ ოტიაშვილი | დროებით უმუშევარი |
| 4 | ნანა სულუაშვილი | დროებით უმუშევარი |
| 5 | დავით კარიაული | გაეროს სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის ექსპერტი იურისტი |
| 6 | ალექსი ქავთარაძე | კულტუროლოგი. მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორი, შემსრულებელი |

# საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი თბილისში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის შენობაში, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმს გახსნის.

როგორც „ინტერპრესნიუსს" მთავარმა დიზაინერმა ნინო ახვლედიანმა განუცხადა, მუზეუმი მოგვითხრობს საქართველოს 1921-1991 წლების საბჭოთა ოკუპაციის ისტორიაზე, შემზარავ რეპრესიებსა და 30-იანი, 40-იანი წლების სხვა სირთულეებზე.

მუზეუმის ძირითად ექსპოზიციას შეადგენს გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დახვრეტის ბრძანების არქივში დაცული დოკუმენტები, ფოტო და ვიდეო მასალა, აგრეთვე სხვა ისტორიული ნივთები.

ნინო ახვლედიანის განცხადებით, სამუზეუმო სივრცის, როგორც არქიტექტურა, ასევე დიზაინი საგანგებოდაა მორგებული ექსპოზიციის თემატიკას და მიმართულია მნახველისათვის საბჭოთა ოკუპაციის შემზარავი ფაქტების მთელი სიმწვავითა და ემოციურობით გადმოცემისაკენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამუზეუმო განათება, რომელზედაც 200 ათას აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხა დაიხარჯა. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი არქიტექტორ გიორგი ჯაოშვილის მიერაა დაპროექტებული.

პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრებიან.

ოკუპაციის მუზეუმები უკვე არსებობს ჩეხეთში, ლიტვასა და ზოგიერთ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში.

*ინტერპრესნიუსი*

# ევროსაბჭოს ექსპერტი წინასაარჩევნო პერიოდის შესახებ ანგარიშს მოამზადებს

დღეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ექსპერტს საარჩევნო საკითხებში, ბოსნია-ჰერცოგოვინას ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს ლიდია კორაჩსა და ევროსაბჭოს სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში იგორ გაონს შეხვდა.

ევროსაბჭოს ექსპერტი ლიდია კორაჩი საქართველოში პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა. მისი მისიის მიზანი კი 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის - წარმომადგენლობითი არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოების გაცნობა - შეფასება იყო.

შეხვედრაზე ცესკო-ს თავმჯდომარემ ევროსაბჭოს ექსპერტს დაწვრილებით გააცნო წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მზადების პროცესი.

ლიდია კორაჩი საქართველოს ხვალ დატოვებს, რის შემდეგაც იგი მოამზადებს ანგარიშს საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდის მიმდინარეობის შესახებ და წარუდგენს ვენეციის კომისიას.

ევროსაბჭოს ექსპერტი საარჩევნო ადმინისტრაციას გრძელვადიანი ვიზიტით ივნისის თვეში კვლავ ესტუმრება.

*მედიანიუსი*

# თბილისში ქართული დიასპორისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიხსნა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ" დიასპორების ხელშემწყობ ფონდ „კრედოსთან" ერთად საერთაშორისო კონფერენციას „ქართული დიასპორა - ხიდი მსოფლიოსთან" მართავს. კონფერენცია, რომელშიც 18 ქვეყნის ქართულ დიასპორათა 110-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს, გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საზეიმოდ გაიხსნა და მუშაობას 27 მაისამდე გააგრძელებს.

საერთაშორისო კონფერენცია მიზნად ისახავს, ქართული დიასპორების მდგომარეობის, პრობლემებისა და მიღწევების წარმოჩენას, საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ისეთი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს დაეხმარება, ერთი მხრივ, მათ ქვეყანაში სრულფასოვან საზოგადოებრივ აქტივობაში და, მეორე მხრივ, ეროვნულ-კულტურული იდენტურობის შენარჩუნებაში, ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ინტელექტუალური, სულიერი და მატერიალური რესურსის მობილიზებას და მათ აქტიურ ჩართვას ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ, დალოცა დამსწრე საზოგადოება და აღნიშნა, რომ ქართული დიასპორის წევრთა ჩამობრძანება არის სიმბოლო ერის მთლიანობისა. მისივე თქმით, გლობალიზაციის გარდაუვალ პერიოდში აუცილებელია იმ ფასეულობების შენარჩუნება, რომელიც საუკუნეების მანძილზე დაუგროვებია ქართველ ხალხს. „არა აქვს მნიშვნელობა, სად დაიბადება ადამიანი. სამშობლოში არსებული ფესვებიდან ცხოველმყოფელი ძალა მოდის, რომელიც ადამიანს თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ეხმარება", - ბრძანა პატრიარქმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თქმით, ქართველები დიდი დიასპორით ვერ დავიკვეხნით, რადგან ქართველ ადამიანს უჭირს სამშობლოსთან განშორება, მაგრამ, საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველი სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტს და ცდილობს, სასიკეთოდ წაადგეს საქართველოს. "ეს ადამიანები მართლაც "ხიდები" არიან სამშობლოსა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც ცხოვრობენ, რადგან მსოფლიოს საქართველოზე წარმოდგენას უქმნიან" - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გია ხუბუას აზრით, ბევრი რამ შორიდან უკეთესად ჩანს, ამიტომ შორიდან დანახული ქართული სინამდვილე ძალიან მნიშვნელოვანია. კონფერენციაზე ჟურნალ „დიასპორა-დიალოგის" პრეზენტაცია გაიმართა.

*მედიანიუსი*

# დედაქალაქის გაზრდილი ბიუჯეტი და გაუწერელი თანხები

*საკრებულოს დადგენილებით, დედაქალაქის ბიუჯეტი 27 მილიონ 800 ათასი ლარით გაიზარდა. თანხის უმეტესი ნაწილი - 23 მილიონი ლარი, კვლავ მერიის კეთილმოწყობის სამსახურს ერგო. დეპუტატთა ნაწილის თქმით, ბიუჯეტში თანხები გაწერილი არ არის, რაც ეჭვის საფუძველს იძლევა. გუშინ საკრებულოს წევრებმა თბილისის რამდენიმე ქუჩას კვლავ ძველი სახელწოდება დაუბრუნეს. დღეიდან გამსახურდიას გამზირს კვლავ პეკინის სახელი დაერქმევა, კოსტავას ქუჩის ნაწილს კი გამსახურდიას სახელი ეწოდება.*

თამარ დვალი

გუშინდელ სხდომაზე ყველაზე დიდი ხმაური დედაქალაქის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას მოჰყვა. ამჯერად შენიშვნები თავად უმრავლესობის წარმომადგენელმა ჯუმბერ შენგელიამ გამოთქვა. მისი თქმით, ბიუჯეტში თანხები ბუნდოვნადაა გაწერილი. მაგალითად, ორი მილიონი ლარი, რომელიც სადარბაზოებში კარებების დამონტაჟებას უნდა მოხმარდეს, ბიუჯეტში მისამართების მიხედვით არაა მითითებული.

**„თბილისის მერი გამოვიდა ინიციატივით, რომ მოქალქეებს კოდირებული ზარი დაუყენონ სადარბაზოებში. დოკუმენტში მითითებულია, რომ ორი მილიონი ლარი გამგეობებს გადაეცემა, თუმცა არ არსებობს დანართი, თუ რომელ კორპუსებში უნდა დამონტაჟდეს ეს კარები. წესით, ბიუჯეტში ყველაფერი მისამართების მიხედვით უნდა იყოს გაწერილი. სასაცილოა, როდესაც სახლების უმეტესობა ავარიულ მდგომარეობაშია და ჩვენ კი სადარბაზოებში კოდირებული ზარების დამონატაჟებაზე ვხარჯავთ მილიონებს,"** - აღნიშნა ჯუმბერ შენგელიამ. მისივე თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კოდირებულ კარებებს იმ სადარბაზოებს დაუმონტაჟებენ, სადაც პოლიტიკური პარტიების ოფისებია განთავსებული. **„გამოდის, რომ ბიუჯეტის ხარჯებით ოფისებს გვარემონტებინებენ,"** - განაცხადა შენგელიამ.

დედაქალაქის ბიუჯეტში დამატებით შეტანილი 27,8 მილიონი ლარი ასე გადანაწილდება: დედაქალაქის პედაგოგებს სექტემბრიდან ბუნებრივი აირის 100-ლარიანი ვაუჩერები დაურიგდებათ, რისთვისაც 2 მილიონ 200 ათასი ლარია გათვალისწინებული;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დასასვენებლად, ბიუჯეტიდან 200 000 ლარი იქნება გამოყოფილი. 200 ათასი ლარი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობას ძველი თბილისის იერსახის შენარჩუნებისათვის გადაეცემა. დედაქალაქში გაერთიანებული სამი მუსიკალური სკოლიდან უმუშევრად დარჩენილ პედაგოგებს 165 000 ლარი გამოეყოთ.

ბიუჯეტიდან ყველაზე მეტ თანხას თბილისის კეთილმოწყობის სამსახური მიიღებს. 23 მილიონი ლარი ძირითადად მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობას, გზების დაგებასა და ფასადების შეკეთებას მოხმარდება. აღსანიშნავია, რომ მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლისთვის კეთილმოწყობის სამსახურს აქამდეც საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა ჩადებული, თუმცა ამის მიუხედავად, მიწისქვეშა გადასასვლელების იჯარით გაცემის საკითხი განიხილება. ასე, რომ გაურკვეველია, თუ რაში დაიხარჯება ბიუჯეტში ამ კუთხით დამატებული 500 ათასი ლარი.

საკრებულომ ე.წ ამხანაგობების საკითხის განხილვა გუშინ თბილისის მთავრობას დაავალა. ჯუმბერ შენგელიას აზრით, ეს პრობლემა წლების განმავლობაში მოუგვარებელი რჩება, რის გამოც კონკრეტულმა პიროვნებებმა უნდა აგონ პასუხი.

**„12 წელიწადია თემურ ქურხული თბილისის პრემიერია. მან დღემდე ვერ შეძლო ამ საკითხის მოგვარება და ახლა კვლავ მას უნდა მივანდოთ ამ საკითხის გამოძიება? მოვითხოვ პროკურატურა ჩაერთოს ამ საკითხში და ის კონკრეტული გვარები დასახელდეს, რომლებმაც ხალხი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად უამრავჯერ ჩაიდო ფული ბიუჯეტში, მაგრამ მშენებლობების დასრულება მაინც ვერ მოხერხდა,"** - განაცხადა შენგელიამ.

გუშინ საკრებულოს წევრებმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დავით იოსელიანს უფლებამოსილება შეუჩერეს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პოსტი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც იოსელიანი ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლად დაინიშნა. მართალია გუშინდელ სხდომაზე, იოსელიანის შემცვლელის საკითხი არ განხილულა, თუმცა ამ თანამდებობაზე იოსელიანის თანაგუნდელის გიორგი ტაბიძის კანდიდატურა სახელდება. როგორც ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" წევრები აცხადებენ, მათ კომისიის თავმჯდომარის პოსტზე მათივე ფრაქციის წევრის თემურ ბილიხოძის კანდიდატურის წარდგენა სურთ.

ოპოზიციის უკმაყოფილება მოჰყვა თბილისის ქუჩებისთვის სახელის გადარქმევის საკითხსაც. გამსახურდიას პროსპექტს დღეიდან კვლავ პეკინის გამზირი ეწოდება. საკრებულოს გადაწყვეტილებით, კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მიენიჭება კოსტავას ქუჩის მონაკვეთს გმირთა მოედნიდან სააკაძის მოედნამდე. კოსტავას ქუჩა კი მეტროსადგურ „რუსთაველიდან" გმირთა მოედნამდე დარჩება.

საკრებულოს გადაწყვეტილებითვე, ძველი სახელი დაუბრუნდება ვასო ყუშიტაშვილის ქუჩას და მას დღეიდან კვლავ ლვოვის ქუჩა ეწოდება.

„ახლების" აზრით, ხელისუფლება გამსახურდიას გამზირს ძველ სახელწოდებას ჩინეთში ქართული ღვინის გატანის „წახალისებისთვის" უბრუნებს, რაც, მათი აზრით „არალოგიკურია".

# პუტინი შესაძლოა, არც წავიდეს...

**„2008 წელს პუტინი შესაძლოა, არც წავიდეს. ავტორიტარული რეჟიმი ვერ ეგუება ლიდერის შეცვლას,"** - განაცხადა პარტია „იაბლოკოს" ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ გუშინ „გაზეტა.რუ"-ს ინტერნეტ-პრესკონფერენციაზე. **„უფრო სახიფათო იქნება, თუ პუტინი ხელისუფლებას ბელარუსის ანშლუსის შედეგად შეინარჩუნებს,"** - აღნიშნა იავლინსკიმ.

კითხვაზე, აპირებს თუ არა თავად „იაბლოკოს" ლიდერი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას, იავლინსკიმ ორაზროვანი პასუხი გასცა: **„არა აქვს მნიშვნელობა, ეს მე ვიქნები თუ ვინმე სხვა, ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით ბუნდოვანია,"** - განაცხადა მან.

მანამდე კიდევ ერთი რუსული დემოკრატიული ყაიდის პარტიის „სპს"-ის ლიდერმა ნიკიტა ბელიხმა რუს ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ **„2008 წლის არჩევნების დროს, „სპს"-ს სავარაუდოდ საკუთარი პრეზიდენტობის კანდიდატი არ ეყოლება".**



პარტია „იაბლოკოს" ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ გუშინ „გაზეტა.რუ"-ზე ინტერნეტ-პრესკონფერენცია გამართა.

რუსეთის დემოკრატიული ძალების ამგვარ განწყობას იავლინსკი იმით ხსნის, რომ რუსი დემოკრატები 2008 წლის არჩევნებში მონაწილეობისგან განსაკუთრებულ პერსპექტივებს არ ელიან. ამასთან, „იაბლოკოს" ლიდერი მიიჩნევს, რომ **„დემოკრატებს საკუთარი კანდიდატი აუცილებლად უნდა ჰყავდეთ და ეყოლებათ კიდეც".**

დემოკრატიული ძალების ფავორიტებად დღეს რუსეთში სახალხო-დემოკრატიული კავშირის ლიდერს მიხაილ კასიანოვსა და რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელს ვლადიმირ რიჟკოვს მიიჩნევენ. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, რიჟკოვი ხშირად სტუმრობს აშშ-ს და ცოტა ხნის წინ იგი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს რიჩარდ ჩეინისაც შეხვდა.

რუსი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „სპს"-მა შესაძლოა, მართლაც არ წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა და ფსონი იმ კანდიდატზე გააკეთოს, რომელსაც დემოკრატიულ ძალებთან არავითარი კავშირი არ აქვს. „სპს"-ის ლიდერმა ნიკიტა ბელიხმა რუს ჟურნალისტებთან საუბრისას დიდი სიმპათიით მოიხსენია რუსეთის პირველი ვიცე-პრემიერი დმიტრი მედვედევი, რომელსაც ბევრი პუტინის მემკვიდრედაც მიიჩნევს. თუმცა, ბელიხმა აქვე განმარტა, რომ „სპს"-ი მედვედევს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ მედვედევი კრემლის მიერ დაგეგმილ ხელისუფლების გადაცემის ოპერაციაში არ მონაწილეობს.

გუშინდელ ინტერვიუზე იავლინსკიმ „სუამ"-ის თემაზეც ისაუბრა. მისი თქმით, სუამ-ი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს. **„თუ რუსეთი საკუთარი პოლიტიკის მიმართულებას შეცვლის, მაშინ შესაბამისად შეიცვლება სუამ-ის წევრი ქვეყნების განწყობაც,"**- აღნიშნა იავლინსკიმ.

*24 საათი*

# ოპოზიცია გიორგაძეს ემიჯნება

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერის, დავით გამყრელიძის განცხადებით, მოსკოვში იგორ გიორგაძის გამომზეურების შემდეგ ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ საკუთარი პოზიცია საზოგადოების წინაშე ღიად დაეფიქსირებინა და სრული გამიჯვნა მოეხდინა იგორ გიორგაძისა და მისი პოლიტიკური ძალის მიმართ.

„იგორ გიორგაძის გუშინდელი გამოსვლების და გააქტიურების შემდეგ ოპოზიციურ პარტიებს სერიოზული ეჭვი გაგვიჩნდა იმასთან დაკავშირებით, ხომ არ იქმნება იგორ გიორგაძისგან იგივე საფრთხობელა, რასაც ჟვანია და მისი გუნდი ასლან აბაშიძისგან ქმნიდა", - აღნიშნა დავით გამყრელიძემ.

მისი განცხადებით, აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა ისიც, რომ დღეს საქართველოში იგორ გიორგაძის ფული და ფონდები, ფაქტობრივად, ღიად შემოდის და მოქმედებს.

„საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ხელისუფლებას შესაძლებლობა აქვს, სასამართლო პროცესზე დაუსწრებლობის შემთხვევაშიც კი გაასამართლოს იგორ გიორგაძე როგორც ტერორისტი და გამოაცხადოს იგი ბრალდებულად. თუმცა, აღნიშნული დღევანდელ ხელისუფლებას არ გაუკეთებია, მაშინ, როცა ციხეში ჩასმის მრავალი ასეთი მაგალითი გვაქვს", - აღნიშნა გამყრელიძემ.

მისი განცხადებით, საქართველოში უნდა დასრულდეს უცხო ქვეყნიდან პრეზიდენტების არჩევა, იყოს ეს თუნდაც რუსეთი და თუნდაც ამერიკა. გამყრელიძის განცხადებით, შესაბამისად, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იგორ გიორგაძე ტერორისტად გამოცხადდება, აიკრძალება მისი ფონდების არსებობა და „მისი ფულის" მოქმედებაც.

„ძალიან საინტერესოა, ამერიკაში რომ არსებობდეს ბინ ლადენის საქველმოქმედო ფონდები", - აღნიშნა გამყრელიძემ.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### გიორგაძის ფონდების საქმიანობით სამართალდამცველები დაინტერესდებიან

საქართველოში იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდების საქმიანობით ქართველი სამართალდამცველები დაინტერესდებიან.

აღნიშნული განცხადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გუშინ, 4 პოლიტიკური პარტიის მიერ ხელმოწერილი განცხადების გავრცელების შემდეგ გააკეთა.

მაჭავარიანმა აბსურდული უწოდა ოპოზიციის ბრალდებას, თითქოს საქართველოს ხელისუფლება იგორ გიორგაძესთან შეთანხმებულად მოქმედებს. „იგორ გიორგაძე კრიმინალი და ტერორისტია და მისი მთავარი სამიზნე მიხეილ სააკაშვილია, რუსეთიდან კი სწორედ ამ მიზნით იღებს დაფინანსებას,", - აღნიშნა მაჭავარიანმა.

*ინტერპრესნიუსი*

### „НТВ"-ს ჟურნალისტი საქართველოში არ შემოუშვეს

ტელეკომპანია „НТВ"-ს ჟურნალისტი ვადიმ ფიფილოვი საქართველოში არ შემოუშვეს. ამის შესახებ ტელეკომპანიის თბილისის ბიუროს ჟურნალისტებმა განაცხადეს.

მათი თქმით, ჟურნალისტი ოპერატორებთან ერთად უკვე თბილისის აეროპორტში იყო ჩამოსული, როდესაც ფიფილოვს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარი უთხრეს, ოპერატორებს კი საზღვრის გადმოკვეთის უფლება მისცეს.

ვადიმ ფიფილოვი უკვე დეპორტირებულია რუსეთში. იგი მოსკოვში პირველივე თვითმფრინავით გაამგზავრეს. კოლეგები მიზეზებს ვერ ასახელებენ, თუმცა ეჭვი აქვთ, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ტელეკომპანიის მუშაობა მიუღებელია და სწორედ ამიტომ არ მისცეს საქართველოში შემოსვლის უფლება არხის ერთ-ერთ წამყვან ჟურნალისტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში „ინტერპრესნიუსს" განუმარტეს, რომ ჟურნალისტს საქართველოს ვიზა არ ჰქონდა.

*ინტერპრესნიუსი*

### ჯონ ტეფტი - სოხუმი მალე ისეთივე განვითარებული და თანამედროვე ქალაქი იქნება, როგორც ბათუმი

აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი იმედოვნებს, რომ სოხუმი მალე ისეთივე განვითარებული და თანამედროვე ქალაქი იქნება, როგორც ბათუმი.

ამის შესახებ ჯონ ტეფტმა ბათუმში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმი" იტყობინება.

ამერიკული დიპლომატიური მისიის მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ ის კმაყოფილია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრით და გამოთქვა იმედი, რომ მოლაპარაკებებში წინსვლა აუცილებლად იქნება.

აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი სოხუმში 20 მაისს ჩავიდა და იქ რამდენიმე დღე დაჰყო. აფხაზეთში ტეფტს მეუღლე მარიელა ტეფტი და პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში საელჩოს მრჩეველი ბრიჯ ბრიმკი ახლდნენ.

*ინტერპრესნიუსი*

ცამეტი წლის შემდეგ პირველად საქართველოსა და რუსეთს შორის სამატარებლო მიმოსვლა აღდგა
27 მაისიდან
თბილისი - მოსკოვის
მიმართულებით მოძრავი შემადგენლობა სამგზავრო მარშრუტს ყოველ მესამე დღეს შეასრულებს, თბილისიდან მოსკოვში მატარებელი სამ დღეში ჩავა

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი




# დსთ-ში ყოფნამ აზრი დაკარგა

## საქართველოს პოზიცია დუშანბეს სამიტზე

*დსთ-ს მთავრობების მეთაურთა სამიტზე საქართველომ ევროინტერგაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე მიავლინა, რომელმაც თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოს პოზიცია კიდევ ერთხელ, უშუალოდ გააცნო - საქართველოს დსთ-ში ყოფნამ აზრი დაკარგა.*

გიორგი ბარამიძემ დუშანბეში გამართულ დსთ-ს სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომაზე საქართველოს დსთ-ში ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი დააყენა. საქართველოს სახელით გაკეთებულ განცხადებაში გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იმედები, რომლებიც დსთ-ს მომავალს უკავშირებდა, არ გამართლდა.

**„მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსებობის მანძილზე ამ ორგანიზაციის ფარგლებში უამრავი გადაწყვეტილებაა მიღებული, მათ არავითარი კონკრეტული შედეგი არ გამოუღია ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული - რეგიონული კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხში“**, - ნათქვამია განცხადებაში.

როგორც გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, თანამეგობრობის ფარგლებში მოქმედებს შეზღუდვები მოქალაქეებისა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებაზე, პოლიტიკური მიზეზებით დაუსაბუთებელად იკრძალება რიგ მონაწილე სახელმწიფოებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქციის შეტანა და რეალიზაცია.

**„ხელოვნური წინააღმდეგობა იქმნება პრობლემების განხილვისა და ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების ძიების კუთხით, რაც, თავის მხრივ, სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს თანამეგობრობის ფარგლებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პერსპექტივას“**, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა, პრეზიდენტის დავალების თანახმად, მზად არის გაითვალისწინოს თანამეგობრობაში ყველა პარტნიორის ობიექტური ინტერესები და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილება დსთ-ში საქართველოს შემდგომი მონაწილეობის პერსპექტივების ყოველმხრივი ანალიზისა და ორმხრივი კონსულტაციების ჩატარების შემდეგ მიიღოს.

ჟურნალისტებთან საუბრისას გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ საქართველო დსთ-ზე დიდ იმედებს ამყარებდა, პირველ რიგში, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. **„თუმცა, ყველაფერი პირიქით მოხდა, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებაში,“** - აღნიშნა ბარამიძემ და დასძინა, რომ აქედან გამომდინარე, **„საქართველოსთვის დსთ-ს წევრობამ აზრი დაკარგა“**.

თავის მხრივ, დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელმა ვლადიმირ რუშაილომ აღნიშნა, რომ რომელიმე სახელმწიფოს თანამეგობრობიდან გასვლის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი მას არ მიუღია.

საბჭოს სხდომაზე 22 საკითხი იყო განხილული. 15 დოკუმენტს ხელი განხილვის გარეშე მოეწერა, რაც რუაშაილოს აზრით, „მათი მომზადების მაღალ ექსპერტულ დონეზე მიუთითებს“. საქართველოს არც ერთ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია.

დსთ-ის მთავრობათა მეთაურების მორიგი სამიტი მინსკში, სავარაუდოდ, 2006 წლის შემოდგომაზე გაიმართება. დუშანბეში გადაწყდა, რომ დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების საბჭოს თავმჯდომარე ტაჯიკეთი იქნება.

ტაჯიკეთში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის პრემიერ-მინისტრებთან და უკრაინისა და მოლდოვას ვიცე-პრემიერებთან. შეხვედრებზე განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისა და ორმხრივი სახელშეკრულებო ბაზის გაფართოების საკითხები.

*24 საათი*

# საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე პრეტენზიები დროებით გადადო

მერი დეჟევსკი,
„ინდეპენდენტი“

ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკა საქართველომ დროებით გადაიფიქრა ევროკავშირში შესვლის თაობაზე უახლოეს მომავალში განაცხადის გაკეთება და მთელ საგარეო პოლიტიკურ რესურსებს ნატო-ში შესასვლელად იყენებს.

გუშინ ლონდონში პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ საქართველო ევროკავშირში ხედავს „გაფართოებისგან დაღლის“ ნიშნებს და გრძნობს, რომ ამ ორგანიზაციაში საქართველოს შესვლის საკითხის დაყენება ამჟამად „კონტრპროდუქტიული“ იქნება. თუმცა, საქართველო იმედოვნებს, რომ მოხვდება ნატო-ს გაფართოების შემდგომ ტალღაში. დიდ ბრიტანეთში თავისი ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში, ნოღაიდელი უკვე იმყოფებოდა დაუნინგ-სტრიტზე, ფორინ-ოფისში, თავდაცვის სამინისტროში და შეხვდა ქვეყნის წამყვან ბიზნესმენებს.

მთელი კვირა ერთ ქვეყანაში, - საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის ეს უჩვეულოდ დიდი დროა. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ საქართველო დიდ ბრიტანეთს მიიჩნევს საკვანძო პუნქტად ნატო-სა და ევროკავშირისკენ სავალ გზაზე, აგრეთვე მსხვილ კომერციულ ცენტრად.

საქართველო, სადაც 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხელისუფლების სათავეში დასავლური ორიენტაციის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, ატარებს ხაზგასმით პროდასავლურ პოლიტიკას, რომლის მთავარი ასპექტებია ღია ეკონომიკა და დემოკრატიული რეფორმების გატარება. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება ხელიდან არ უშვებს არც ერთ შანსს, ხაზი გაუსვას თავის ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებს, ისევე როგორც თავიდანვე არასდროს დაუმალავს ნატო-ში შესვლის სურვილი.

თუმცა, გუშინ ნოღაიდელმა მიანიშნა, რომ საქართველოს კარგად ესმის: ახლო მომავალში მას არა აქვს ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო ამას მაშინ მიხვდა, როდესაც საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ამომრჩევლებმა ევროპის კონსტიტუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

უკრაინისგან განსხვავებით, რომელიც ახლო მომავალში ევროკავშირში შესვლას ჯერ კიდევ იმედოვნებს, საქართველომ გადაწყვიტა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის „სამოქმედო გეგმის“ მოთხოვნების შესრულებაზე მოახდინოს კონცენტრირება, რათა, როგორც ნოღაიდელი აღნიშნავს, მომავალში, ევროკავშირში შესასვლელად, მეტი საფუძველი არსებობდეს.

ამასთან, როგორც ჩანს, საქართველოს ნატო-ში შესვლას დაპირდნენ, - მომავალ წელს თუ არა, მის მომდევნო წელს მაინც. ასეთი ნაბიჯი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა კავკასიაში, ევროპული და არაბული სამყაროს გზაგასაყარზე, უდავოდ, გააძლიერებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგს. ნოღაიდელმა ხაზი გაუსვა, რომ ნატო-ში საქართველოს შესვლა არ არის იმაზე დამოკიდებული, მოგვარდება თუ არა სადავო საკითხები რუსეთთან. ასეთ შემთხვევაში, რუსეთს მიეცემა საბაბი, რომ ამ წინააღმდეგობების გადაწყვეტა მაქსიმალურად გააჭიანუროს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, გრძელდება მოლაპარაკებები „სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივ ლიდრებთან“ და ისინი უფრო წარმატებული იქნებოდა, მათ მიმდინარეობაში რუსეთი რომ არ ერეოდეს. საქართველოს განზრახული აქვს, სამხრეთ ოსეთსა და კიდევ ერთ პრორუსულ ანკლავს, - აფხაზეთს, - ფართო ავტონომია მიანიჭოს.

# ევროკავშირი-რუსეთის სამიტი

## „დიდი რვიანის“ სამიტის სასურველი პრელუდია?

ხათუნა გაბიევი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სტუმრები - ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟოზე მანუელ ბაროზუ, ავსტრიის ფედერალური კანცლერი ვოლფგანგ შიუსელი და ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა ოთხშაბათს მიიღო სოჭში. საქმიან ვახშამს რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიხაილ ფრადკოვიც ესწრებოდა. შეხვედრის უმთავრესი საკითხები ენერგეტიკის სფერო, სავიზო რეჟიმი და „ფაქტორი 2007“ იყო.

„ფაქტორი 2007“ მოსკოვსა და ბრიუსელს შორის სამართლებრივი ბაზის განახლების პრობლემაა. ამჟამად რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების სამართლებრივი ბაზა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ეყრდნობა, რომელსაც ხელი 1997 წელს მოეწერა და 10 წელიწადზე იყო გათვლილი. ვინაიდან ხელშეკრულების ვადა უკვე იწურება და თანაც არც მისი ჩარჩო იძლეოდა ბოლო დროს რუსეთისთვის დამაკმაყოფილებელ შედეგებს, სოჭის სამიტის გახსნისას პუტინმა ევროპელ კოლეგებს 2007 წლისთვის ახალ სამართლებრივ მოდელზე გადასვლა შესთავაზა, რომელიც თანამედროვე რეალიების ადეკვატური იქნება.

თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება სოჭის სამიტზე მაინც ენერგეტიკის სფეროს დაეთმო - ევროკავშირი და რუსეთი ჯერ კიდევ ვერ თანხმდება ევროპის ენერგეტიკულ სფეროში „გაზპრომ“-ის როლზე. ევროკავშირის წარმომადგენლები უკვე რამდენიმე თვეა, ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირებაში რუსეთის დარწმუნებას ცდილობენ. მოლაპარაკებები რუსეთის ბუნებრივი გაზის საბადოებსა და „გაზპრომ“-ის გაზსადენის საექსპორტო ქსელზე უცხოური კომპანიებისა და ფირმების დაშვებასაც ეხება.

**„დარწმუნებული ვარ, რუსეთს ხელშეკრულებისთვის რატიფიცირება რომ გაეკეთებინა, წლის დასაწყისში უკრაინასთან წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარება უფრო მარტივი გახდებოდა,“** - ჯერ კიდევ სამიტის ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე აღნიშნა ხავიერ სოლანამ.

ამის მიუხედავად, ოფიციალური მოსკოვი კვლავ დარწმუნებულია, რომ ევროკავშირი მაინც ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს და მოლაპარაკების პარალელურად „გაზპრომ“-ის ევროპის ბაზარზე სრულად გასვლის მცდელობებს ბლოკავს.

ცნობილია, რომ ჭორებმა რუსული გიგანტის მიზნებზე - შეისყიდოს მსხვილი ბრიტანული ბუნებრივი გაზის ოპერატორი „Centrica“ - გაამძაფრა მოთხოვნა, შეწყვეტილიყო ასეთი გარიგება, თანაც სამართლებრივ საფუძველზე. „გაზპრომ“-მა ასევე ვერ შეძლო დაედო ანალოგიური შეთანხმება საფრანგეთთან, მაგრამ მოლაპარაკებები ამ სექტორში გრძელდება ბელგიურ და იტალიურ კომპანიებთან. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მასპინძელი მხარე დამკვირვებლების დარწმუნებას ცდილობს სახელმწიფოში პროგრესის არსებობაში, რადგან სოჭის სამიტიც გარკვეულწილად მიმდინარე წლის ივლისში სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი „დიდი რვიანის“ ლიდერთა შეხვედრის რეპეტიციაა. რუსეთმა საიმედო პარტნიორობის პრეტენზია ბრიუსელის სამიტამდეც გამოხატა, რასაც ევროპის მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა.

„გაზპრომ“-ი ბუნებრივ გაზზე ევროპის მოთხოვნის მეოთხედს აკმაყოფილებს, მაგრამ იანვრის ინციდენტის შემდეგ ენერგეტიკული მიწოდების დივერსიფიკაციაზე ევროპელები უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ. ევროპული პრეტენზიების საპასუხოდ, რუსეთმა გამოსავალი აღმოსავლეთზე აქცენტირებით მონახა. ოფიციალური მოსკოვის თქმით, თუ დასავლელი პარტნიორები რუსულ „ცისფერ საწვავს“ ალტერნატივას გამოუნახავენ, რუსული გაზი გეზს ჩინეთისკენ აიღებს, რომლის ეკონომიკასაც ახალი ენერგომიმწოდებლები ძალიან სჭირდება.

**„თუ კი თქვენ მიგაჩნიათ, რომ რუსული კომპანიები არც თუ სანდო მომწოდებლები არიან და დაიწყებთ სხვა მომწოდებლის ძიებას, ჩვენც ხომ უნდა გავყიდოთ ჩვენი პროდუქცია, ამიტომ იძულებულნი ვიქნებით, გზა სხვა მიმართულებით ვეძებოთ. გჭირდებათ თქვენ ჩვენი ნავთობი და გაზი? ჩვენ მას გაძლევთ და ამგვარად ხელს ვუწყობთ მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. ამავდროულად ჩვენი ენერგოკომპანიები საკუთარ ბიზნესსაც ავითარებენ საზღვარგარეთ.... ჩვენ არ ვმალავთ, რომ ვართ დაინტერესებულნი დასავლური ტექნოლოგიებისა და გამოცდილების გაზიარებით, რათა შევძლოთ ჩვენი ეკონომიკის იმგვარად კონვერტირება, რაც ცოდნას დაეყრდნობა და არა მარტო ნავთობისა და გაზის რესურსებს,“** - განაცხადა ცოტა ხნის წინ პრეზიდენტ პუტინის თანაშემწემ იგორ შუვალოვმა „ნეზავისიმაია გაზეტა“-ს ფურცლებზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

როგორც ანალიტიკოსები თავიდანვე ვარაუდობდნენ, ენერგეტიკის სფერო ის თემა აღმოჩნდა, სადაც იოლი გამოსავალი არც რუსეთისთვის და არც დასავლეთისთვის არსებობს, ამიტომ სოჭის სამიტზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი განცხადებები ამასთან დაკავშირებით არც გაკეთდა.

მეორე საკითხი, რომლის განხილვაც სოჭში შედარებით ნაყოფიერი გამოდგა - სავიზო რეჟიმია. რუსეთმა და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებას, რაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი რუსეთის მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნებას ითვალისწინებს.

რაც შეეხება სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებს, რომლებზეც ასევე მოუწიათ საუბარი სამიტის მონაწილეებს, იყო ირანის ბირთვული დოსიე, ვითარება ახლო აღმოსავლეთში, ერაყში, ავღანეთსა და ყოფილ იუგოსლავიაში; და ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა.

მოკლედ

## დააკავეს „კანონიერი ქურდის" დედა

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N7 საპყრობილეში, „კანონიერი ქურდის" ზვიად პაპიაშვილის დედა თამარ თარიმანაშვილი დააკავეს, იგი შვილს ამანათს უგზავნდა.

საპყრობილის თანამშრომლებმა ამანათის ჩხრეკისას, ზვიად პაპიაშვილისთვის გადასაცემ შარვლის ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება კანაფის ფისი აღმოაჩინა.

თამარ თარიმანაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარუდგინეს, რომელიც 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **24 საათი**

## ინციდენტის მიზეზები უცნობია

რა მოხდა მოსკოვის გამზირზე და ვის მიერ ნასროლ ტყვიას ემსხვერპლა პოლიციელი გიორგი ყიზილაშვილი, სამართალდამცველებს ამის შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებათ. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური განცხადება ამის თაობაზე არ გაკეთებულა. მომხდარის შესახებ არაფერი იცოდნენ არც გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოინახულა. კომენტარი არც მინისტრს გაუკეთებია.

„მოხდა გასროლა, რის შედეგადაც გიორგი ყიზილაშვილი კისრის არეში მძიმედ დაიჭრა" , - მხოლოდ ასეთი მცირე ინფორმაციის გაცემით შემოიფარგლნენ საავადმყოფოსთან შეკრებილი პატრულის თანამშრომლები.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ოთხი გასროლა მოხდა იმ მანქანის მიმართულებით, სადაც ისხდნენ გიორგი ყიზილაშვილი და მისი ერთ-ერთი თანამშრომელი. გასროლა მოხდა, სავარაუდოდ, ბმვ-ს მარკის ავტომანქანიდან, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ყიზილაშვილი სისტემაში საპატრულო პოლიციის დაარსების დღიდან მუშაობდა და პოლიციის ერთ-ერთ საყრდენ ძალას წარმოადგენდა.

როგორც გარდაცვლილილის ოჯახის წევრები აცხადებენ, გიორგი ყიზილაშვილი, დაახლოებით, 20 წლის განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში, სხვადასხვა ქვედანაყოფებში, საგზაო პოლიციაში, კრიმინალურ სამსახურსა და ისანი-სამგორის რაიონის საპატრულო პოლიციაში. **24 საათი**

## „ტარასას" კრიმინალური დოსიე

თბილისის საქალაქო სასამართლომ „კანონიერი ქურდს" ტარიელ ფოცხვერიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტარიელ ფოცხვერიას შესახებ დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნა.

შსს-ს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია - ტარიელ ფოცხვერია 1959 წლის 26 თებერვალს ქუთაისში დაიბადა. დაახლოებით, 1986 წელს იგი აღიარეს კანონიერ ქურდად, რის შემდეგაც გაემგზავრა უკრაინაში. უკრაინაში ყოფნის პერიოდში ფოცხვერიამ შექმნა კრიმინალური ორგანიზებული დაჯგუფება, რომლის მეშვეობითაც აკონტროლებდა უკრაინის ქალაქ ოდესას და ოდესის მხარეში მდებარე „ილიჩოვსკის" პორტს. მან თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ოდესის მინის საამქროები, სათამაშო ბიზნესი და სხვა მრავალი კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაცია, საიდანაც სისტემატურად უკანონოდ იღებდა დიდი ოდენობით ფულად თანხებს.

**„დანაშაულებრივი გზებით მოპოვებული ფულით ტარიელ ფოცხვერიამ ქუთაისში ააშენა ფეშენებელური სახლი, სადაც იგი აკონტროლებდა ფერადი ლითონების ბიზნესს, სუპერმარკეტებს, ბენზინგასამართ სადგურებს, სამარშრუტო ტაქსების ხაზებს, ფარმაცევტულ დაწესებულებებს",** - აღნიშნულია განცხადებაში.

სამართალდამცველები ტარიელ ფოცხვერიას ახლო მეგობრების სიასაც ავრცელებენ. ესენი არიან: კანონიერი ქურდები ტარიელ ონიანი, მალხაზ მინდაძე, ამირან სოფრომაძე, მეტსახელად „სოპოტია", მერაბ გოგია, მეტსახელად „მელია", რომელიც ამჟამად დაკავებულია ესპანელი სამართალდამცველების მიერ.

**„ვინაიდან საქმეზე მოპოვებულ იქნა საკმაო მტკიცებულებები, 2006 წლის 29 მარტს ტარიელ ფოცხვერიას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის მეორე ნაწილითა (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა) და 378-ე მუხლის მესამე ნაწილით (წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია). ფოცხვერიას თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება და მასზე გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა",** - ასეთია ტარიელ ფოცხვერიას ოფიციალური ბრალდებები, რომელსაც თავად ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს. **24 საათი**

## სპეცდანიშნულების სამმართველოს თანამშრომელმა სტუდენტს სცემა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ღონიძიებების სამმართველოს თანამშრომელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტ მამუკა ქეცბაიას ფიზიკურად გაუსწორდა. ინციდენტი ამავე უნივერსიტეტის ტერიტორიასთან მოხდა. თვითმხილველთა მტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ღონისძიებების სამმართველოს თანამშრომელმა მანუჩარ წოწონავამ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მამუკა ქეცბაია შენობიდან გაიყვანა, უნივერსიტეტის კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოზე სასტიკად სცემა და მძიმე მდგომარეობაში მყოფი ისევ უნივერსიტეტში მიიყვანა.

მომხდარით აღშფოთებული სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლების ერთი ნაწილი, ვითარებაში გარკვევის მიზნით, უნივერსიტეტთან მდებარე შსს-ს სპეცდანიშნულების სამმართველოს ბაზაში მივიდნენ. ინციდენტი მშვიდობიანად მას შემდეგ დასრულდა, რაც შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეცდანიშნულების თანამშრომელი ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებას თავად ჩაბარდა. დაზარალებული სტუდენტი მამუკა ქეცბაია კი უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსის ზურაბ ასანიშვილის ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით პოლიციისთვის ბევრი რამ არის ცნობილი, მაგრამ გამოძიების დასრულებამდე კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს. თუმცა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ წოწონავა ქეცბაიასგან ამავე უნივერსიტეტის სტუდენტის, მისი ნათესავი ფატიმა ფიფიასთვის გამორთმეული და ლომბარდში ჩაბარებული მობილური ტელეფონის და სამაჯურის დაბრუნებას მოითხოვდა.

აღნიშნულ ინციდენტს გენერალური პროკურატურაც გამოეხმაურა.

**„როგორც ირკვევა, სპეცდანიშნულების რაზმის წევრი ინციდენტის დროს არ იმყოფებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში. მომხდარიდან რამდენიმე წუთში კი თავად გამოცხადდა ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში",** - განაცხადა გენპროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელმა თამარ თომაშვილმა.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულს მძიმე ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნება. თუმცა, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერპრესნიუსი**

## შეწყალება დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც 11 მსჯავრდებული შეიწყალა. განკარგულების საფუძველზე, გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი გია ალავიძე, გიორგი თოდუა და სამველ მურადოვი, რუსთავის N1 დაწესებულებაში მყოფი რამინ ისმაილოვი და ოლეგ ოლომსკი, თბილისის N1 საპყრობილეში მყოფი თეიმურაზ კუკუჯანაშვილი, N2 დაწესებულებაში მყოფი გიორგი ბაბუციძე, N10 დაწესებულებაში მყოფი დავით ბართიშვილი სასჯელისგან გათავისუფლდნენ.

რუსთავის N1 დაწესებულებაში მყოფ ალექსანდრე ყანჩაშვილს და თბილისის N1 დაწესებულებაში მყოფ მახმუდ მახმუდოვს კი სასჯელი გაუნახევრდათ, ხოლო N2 დაწესებულებაში მყოფ აბრამ შარმანაშვილს პატიმრობის ვადა ერთი წლით შეუმცირდა. **მედიანიუსი**

# საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე - ენერგო აფიორაში ბრალდებული

*ფოთის სასამართლო ქალაქის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს მოგელი ტყებუჩავას ასამართლებს. საუბარია, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის მიერ გამოძიებულ საქმეზე - წლების წინ განხორციელებულ ენერგო აფიორაზე.*

ქეთინო ჯაკობია
*ფოთიდან*

2000 წლის მაისში იტალიის სპეციალიზირებულ კომპანია „ფინკომიტთან" 108-მეგავატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით კონტრაქტი გაფორმდა. „ფინკომიტის" პრეზიდენტთან, სათბობ-ენერგეტიკის მაშინდელ მინისტრთან, პრეზიდენტის რწმუნებულთან და ფოთის მერთან ერთად კონტრაქტს ხელს აწერდა ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე მოგელი ტყებუჩავაც. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურა მოგელი ტყებუჩავას ხსენებულ ხელმოწერას უფლებამოსილების გადამეტებად უთვლის - ანუ თბოელექტროსადგურის საპროექტო კვლევებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან იტალიური კომპანიის ანგარიშზე 150 ათასი აშშ დოლარის გადარიცხვა სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენებადაა მიჩნეული.

რეალიზაციის შემთხვევაში, თბოელექტროსადგური არა მარტო ფოთს, მთლიანად რეგიონს მოემსახურებოდა. არცთუ დიდი ხნის წინ ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური „24 საათთან" ამ პროექტის განხორციელებაზე ლაპარაკობდა და გაჭიანურების მიზეზად უცხოელი ინვესტორის მიერ შემოთავაზებულ მაღალ ტარიფს ასახელებდა.

ფოთის სასამართლოში, ორ თვეზე მეტია, მიმდინარეობს მოგელი ტყებუჩავას საქმის განხილვა. საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატების განცხადებით, ტყებუჩავას დადანაშაულებას არანაირი საფუძველი არ აქვს.

**„ის, რომ ტყებუჩავას კონტრაქტზე ხელმოწერის უფლება ჰქონდა, ორგანული კანონით დასტურდება. რადგან ხელშეკრულება არავის გაუუქმებია, იგი ძალაშია და ვინაიდან საპროექტო-კვლევითი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტიც არსებობს, ზარალზე საუბარი უსაფუძვლოა",** - ირწმუნება დაცვის მხარე.

სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა ფოთის ყოფილი მერი აკაკი დარჯანია, რომელმაც განაცხადა, რომ პროექტის დამკვეთი და კონტრაქტის გაფორმების ინიციატორი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო იყო.

**„რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება - ანუ საპროექტო სამუშაოები, შესრულდა, ზარალზე საუბარი გამორიცხულია",** -აცხადებს დარჯანია, რომელსაც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურა, პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე, საბანკო სესხის აღებაში ადანაშაულებდა.

საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ადგილობრივი მმართველობის იურიდიული სამსახურის უფროსის ალექსანდრე წულაიას დაკითხვას. წულაიას, როგორც დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლის, ჩვენებაზე დამოკიდებული იყო საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ვერდიქტი. თუმცა, პროკურატურის ზეწოლამ წულაიაზე ვერ იმოქმედა და მან ზარალის არსებობა არ აღიარა.

სასამართლომ გააუქმა საქმეში არსებული დადგენილება ალექსანდრე წულაიას დაზარალებული მხარის წარმომადგენლად ცნობის შესახებ და აღნიშნული სტატუსი ფოთის მერს ივანე სალინაძეს მიენიჭა.

**„თანხა გადარიცხულია, მშენებლობა არ დაწყებულა, რაც ნიშნავს, რომ ბიუჯეტს მიადგა ზარალი. საქმეს დაწვრილებით არ ვიცნობ და დამატებითი განმარტებისგან თავს შევიკავებ",** - აცხადებს ფოთის მერი.

სალინაძე მერობამდე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას თავმჯდომარეობდა და თბოელექტროსადგურის მშენებლობისადმი მხარდაჭერასაც ოფიციალურად ადასტურებდა. მან კარგად იცის, რომ 150 ათას აშშ დოლარად თბოელექტროსადგური ვერ აშენდებოდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, მერად დანიშნულმა სალინაძემ პოზიცია პროკურატურის მოთხოვნით შეიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, სავარძლის, მეტიც, თავისუფლების დაკარგვის შიშით, ფოთის მერმა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორის როლანდ ახალაიას დავალება შეასრულა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურატურის არაპროფესიონალიზმი გახდებოდა სადავო.

**„სასამართლო მიმდინარეობს აბსოლუტურად უკანონოდ. მადანაშაულებენ ბიუჯეტისთვის ზარალის მიყენებაში, მაშინ, როდესაც მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, ფინანსებთან შეხება არ მქონდა. ამას დოკუმენტურად ვამტკიცებ, მაგრამ ჩემს სიმართლეს მაინც ვერავის ვაგებინებ",** - აცხადებს ტყებუჩავა.

**„მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძის აცილების შესახებ საკითხს არ ვაყენებ, რადგან სხვაც ვერ გაუძლებს პროკურატურის წნეხს. განსასჯელი უკანონო პატიმრობაში იმყოფება. წინასწარი გამოძიება ეყრდნობა სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც ჩატარდა საკვლევი დოკუმენტების წარდგენის გარეშე. საქმის მასალებს შეგნებულად არ ერთვის „ფინკომიტიდან" გამოგზავნილი, სამუშაოების შესრულების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და ცნობა მისი მხრიდან 850 ათასი აშშ დოლარის გახარჯვის თაობაზე. სიმართლის დასამტკიცებლად ყველა სამართლებრივ ფორმას მივმართავთ. საქმეში ჩავრთავთ იტალიის მხარეს, ხმას მივაწვდენთ მთავრობას, პრეზიდენტს",** - ამბობს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატი გივი ხაბაშვილი.

მოგელი ტყებუჩავამ 31 მაისამდე უნდა გადაწყვიტოს, დათანხმდება თუ არა პროცესუალურ გარიგებას, რაც დანაშაულის აღიარებას ნიშნავს.

# კიდევ ერთი მსხვერპლი

*2005 წლის 10 აგვისტოს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ნაცემი რევაზ ცალანი გარდაიცვალა. ცემის შედეგად განვითარებული სიმსივნის გამო, ცალანი თბილისში, ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში მკურნალობდა. თუმცა, უიმედო მდგომარეობის გამო, 24 მაისს საავადმყოფოდან გაწერეს და ოჯახის წევრებმა მესტიაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გადაიყვანეს.*

ცალანის ახლობლები 2005 წლის 10 აგვისტოს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მესტიის პროკურორს გულივერ გურჩიანს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სთხოვდნენ. სხვათა შორის, როგორც ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა გაარკვიეს, იმ დროს ცალანის განცხადება საქმის აღძვრის შესახებ პროკურატურაში რეგისტრაციაშიც არ გაატარეს - დამალეს. დაზარალებულის მეუღლისა და დის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ცალანის ცემის ფაქტზე საქმე მხოლოდ 22 აგვისტოს აღიძრა.

მიუხედავად იმისა, რომ მესტიის შს რაიგანყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლმა თემურ ჩიქოვანმა, რომელიც ინციდენტში მონაწილეობდა, აღიარა, რომ ცალანს სპეცრაზმის თანამშრომლებმა სცემეს და მან სამი სპეცრაზმელის გვარიც დაასახელა - მალხაზ წიკლაური, ტარიელ ფრუიძე და სოლომონ ხორბალაძე, აღნიშნული საქმის გამოძიება რეალურად არც დაწყებულა.

ცალანის საქმეზე მოკვლევა ჩაატარა ომბუდსმენის ოფისმა, რის შემდეგაც სახალხო დამცველი სოზარ სუბარი გენერალურ პროკურორს შეხვდა. სუბარის განცხადებით, გამოძიებამ მათი რეკომენდაციები მიიღო და, წინასწარი ინფორმაციით, უკვე გამოიკვეთა სპეცრაზმელთა დანაშაული. მიუხედავად იმისა, რომ ომბუდსმენმა გენპროკურორისგან საქმის ობიექტურად გამოძიების პირობა მიიღო, აღნიშნულ საქმეზე გუშინდლამდე - ანუ რევაზ ცალანის გარდაცვალებამდე, არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და გარდაცვლილის ოჯახი მივიჩნევთ, რომ საქართველოში პოლიციის თავნებობას საზღვარი აღარ აქვს. სამართალდამცველების თვითნებობას კიდევ ერთი მსხვერპლი შეემატა. ოთხი მცირეწლოვანი შვილის მამას, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, უმოწყალოდ სცემეს, რის გამოც, რევაზ ცალანი გარდაიცვალა. მოვითხოვთ, დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა აღნიშნულ ინციდენტში და ისინიც, ვინც, სამსახურებრივი გულგრილობის გამო, საქმეს დროულად არ მისცა მსვლელობა",** - აცხადებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე.

გარდაცვლილი ცალანის ადვოკატის გაგი მოსიაშვილის თქმით, ცალანების ოჯახი სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის როლანდ ახალაიას სამსახურებრივი პასუხისმგებლობის დაყენებასა და იმ სპეცრაზმელების დასჯას მოითხოვენ, რომლებმაც ცალანს უმოწყალოდ სცემეს.

**„ცალანის ტრაგედიასთან დაკავშირებით დასახელებულია ჩიქოვანი, წიკლაური, ხორბალაძე და ფრუიძე, ხოლო დანარჩენების ვინაობა გენერალურმა პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. ჩვენ დაველოდებით გენერალური პროკურატურის დასკვნას და იმედი გვაქვს, რომ გამოძიება ახლა მაინც წარიმართება სწორად და ცალანების ოჯახი სამართალს მიაღწევს",** - აცხადებს გაგი მოსიაშვილი.

გარდაცვლილის და მერი ცალანი ირწმუნება, რომ მისი ძმა ინციდენტამდე ჯანმრთელი იყო და თუ ყველა ის პიროვნება არ დაისჯება, რომლებსაც რევაზ ცალანის სიკვდილში მიუძღვით ბრალი, იგი სანდრო გირგვლიანის და ამირან რობაქიძის ოჯახის წევრებს შეუერთდება და მათთან ერთად იბრძოლებს სიმართლისთვის.

საპასუხო ბრიფინგი გაიმართა გენერალურ პროკურატურაში, სადაც გენპროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა თამარ თომაშვილმა განაცხადა, რომ რევაზ ცალანის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს თემურ ჩიქოვანი. მესტიის შს სამმართველოს რაიონული სამძებრო ქვეგანყოფილების დაკავების ჯგუფის უფროსს თემურ ჩიქოვანს მოქალაქის უკანონო დაკავებისთვის წარედგინება ბრალი.

გენერალურმა პროკურატურამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2005 წლის 10 აგვისტოს რევაზ ცალანი უკანონოდ დააკავეს მესტიის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში, სადაც იგი სამი საათის განმავლობაში იმყოფებოდა და ხელბორკილებით იყო მიჯაჭვული.

გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რომ პირველადი სამედიცინო დასკვნით, რევაზ ცალანი გარდაიცვალა ძვლის ტვინის სიმსივნით, რომელიც არ შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ფიზიკური დაზიანებებით. თუმცა, თამარ თომაშვილის ინფორმაციით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება და ყველა დამნაშავე გამოვლინდება.

*24 საათი*



# სტალინის მუზეუმს ჩინელების იმედი აქვს

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გორში დროებით დახურული სტალინის სახლ-მუზეუმი დამთვალიერებლებისთვის ისევ გაიხსნა. სახლ-მუზეუმის დახურვა სარემონტო სამუშაოებმა გამოიწვია. მუზეუმში სერიოზულად იყო დაზიანებული დიდი საგამოფენო დარბაზი, სადაც ბევრი ექსპონატი იყო განთავსებული, რის გამოც მუზეუმის ადმინისტრაციას ექვსი თვით მისი დაკეტვა მოუხდა.

სტალინის სახლ-მუზეუმის ახალი დირექტორი გელა ნასყიდაშვილი მიიჩნევს, რომ მუზეუმს სერიოზული დახმარება სჭირდება. ახლად გარემონტებულ დარბაზში წლების მანძილზე შენახული ექსპონატებიც გამოიფინა.

„ახლად გარემონტებულ დარბაზში სტალინის „კაბინეტიც“ განვათავსეთ. გამოვფინეთ სხვადასხვა ექსპონატები, რომელიც დარბაზის მდგომარეობის გამო 20 წელია არ გამოგვიფენია. სახლ-მუზეუმს 1979 წლის შემდეგ რემონტი არ ჩატარებია. შემუშავებული გვაქვს დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა, იქნებ გამოჩნდეს მოულოდნელად ვინმე მეცენატი და გვინდა ეს ელემენტარული სამუშაო ჩატარებული გვქონდეს, რომ ფინანსები არ დავკარგოთ. კომპლექსურად არის სამუშაოები ჩასატარებელი, დაზიანებულია სახურავი, სარდაფი, კედლები. შენობა გარედან კარგად გამოიყურება, მაგრამ ძალიან დიდ სამუშაოებს საჭიროებს. კულტურის სამინისტროდან ჩამოვიდა ექსპერტთა ჯგუფი, რომელებიც დეტალურად შეისწავლიან მუზეუმის მდგომარეობას,“ - ამბობს გელა ნასყიდაშვილი.

ნასყიდაშვილს ჩინელების იმედიც აქვს. როგორც ის აცხადებს, ჩინეთში ყიფნისას მან „სერიოზული დაპირებები“ ჩინელებისაგან მიიღო.

„როგორც ჩინელები შეგვპირდნენ, გაიზრდება ტურისტთა ნაკადი. სტალინი ძალიან ცნობადია ჩინეთში. უნდა შევარჩიოთ ფირმა, რომელიც უზრუნველყოფს მოძრავი ექსპოზიციების გატანას ჩინეთში, რაც, შესაბამისად, დიდ მოგებას მოგვიტანს,“ -ამბობს სტალინის სახლ- მუზეუმის დირექტორი.







# „თავისუფალი პატიმრები“

*განმარტებები: სიტყვა პრობაცია, ლათინური სიტყვაა და გამოცდას, რაღაცის დამტკიცებას ნიშნავს.*
*პირობითი მსჯავრი - სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.*
*პრობაციონერი: ვადაზე ადრე გათავისუფლებული პატიმარი ან ის პირი, რომელსაც სასჯელი პირობითი სახით შეეფარდა.*

თამარ ქადაგიძე

16 წლის მანუჩარი პრობაციის დეპარტამენტში ქაღალდზე ხელმოსაწერად კვირაში ერთხელ დადის. 15 წლის იყო, როდესაც ქურდობის ფაქტზე დაიჭირეს. 4 წელი მიუსაჯეს და ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება პირობითი სასჯელით მისცეს. მანუჩარი პრობაციონერია. მართალია, ამ სტატუსის მოპოვების „მიზეზი“ არ დაუმალავს, მაგრამ, ამბის მოყოლა არ ისურვა. ძალიან გრძელი ისტორიაა, ძალიან გაგვიგრძელდება საუბარიო... პრობაციის დეპარტამენტში ერთი წელია რაც დადის, კიდევ სამი წლის განმავლობაში უნდა იაროს. არ მუშაობს, თუმცა სამსახურს ეძებს. 16 წლის ახალგაზრდას, როგორც თავად ამბობს, ნორმალურად ცხოვრება უნდა. ისიც გვითხრა, რომ სწავლის გაგრძელებაც სურს. ბოლოს გამოტყდა, ერთი წლის წინ გადამხდარი, მოსაყოლად დამღლელი ისტორია, იმდენად დამღლელი არ ყოფილა, რამდენადაც არასასიამოვნო გასახსენებელი.

მანუჩარი დღევანდელ „სტატუსს“ მალავს, რადგან ჰგონია, რომ ხელს კრავენ. ასე ფიქრობს ასევე პრობაციონერი, ორი შვილის დედაც, რომელსაც პირობითი მსჯავრი ციხის საავადმყოფოში შეტანილი ნარკოტიკებისთვის მისცეს. „სხვებს ვენდე, დავუჯერე... პირველი შემთხვევა იყო,“ - გვითხრა მან. 4 თვის ფეხმძიმეს პირობითი სასჯელი მისცეს, და დღემდე პატარა ქალიშვილთან ერთად უწევს პრობაციის დეპარტამენტში ყოველკვირეული აღრიცხვის გავლა. პროფესიით ბუღალტერს დასაქმების სურვილი აქვს, მაგრამ სურვილზე ძლიერი იმის შიშია, რომ პრობაციონერის სტატუსი სერიოზულ პრობლემას შეუქმნის.

ერთ დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს ევროსაბჭოს მოთხოვნით გადააბარეს. ამ ცვლილებას საფუძვლად დაედო პრობაციონერთა რესოციალიზაცია და არა დასჯა, როგორც ადრე ხდებოდა. თავად დეპარტამენტი 3 წლის წინ, მას შემდეგ შეიქმნა, რაც შესაბამისი კანონი იქნა მიღებული. დღესდღეობით, საქართველოს მასშტაბით პრობაციის 11 ბიურო მუშაობს, სადაც დაახლოებით 8 ათასი პირობითი მსჯავრის მქონე პიროვნება აღრიცხვას გადის. მათი საშუალო ასაკი 25-35 წელია, თუმცა არიან არასრულწლოვნებიც და ხანშიშესულებიც. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნებს პირობითი სასჯელი, მაგალითად, ჯიხურის მინის გატეხვისთვის მისცეს. გოგონას მინა იმიტომ გაუტეხავს, რომ საჭმლის მოპარვა სდომებია.

8004 პრობაციონერიდან 7 ათას 459 პირი მამრობითი სქესისაა, 545 - ქალია. მათგან სრულწლოვანი 7707-ია, ხოლო არასრულწლოვანი - 297.

როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ამბობს, პრობაციის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს პირობითი მსჯავრის მქონე პირთა სასიკეთოდ გადაეცა. თუმცა, ამ ცვლილების მიუხედავად, პრობაციონერებმა „კომპლექსი“ მაინც ვერ მოიხსნეს. დეპარტამენტში მისულები, შენობაში შესვლამდე აქეთ-იქით იყურებიან, იმის შიშით, რომ შემთხვევით ნაცნობმა არ მოკრას თვალი. პრობაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე არაყიშვილი ამ საქციელს საზოგადოების უნდობლობით ხსნის. **„ამ ადამიანების მიმართ ძალიან დაბალი იყო ნდობის მომენტი. დიდხანს ვცდილობდით, საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია ჩვენი სამსახურის მნიშვნელობის შესახებ,“** - გვითხრა მან.

ორი თვის წინ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და იუსტიციის სამინისტროს პრობაციის დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, პრობაციონერთა რესოციალიზაციის მიზნით. უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს საპატრიარქო პრობაციონერთა დასაქმებას შეუწყობს ხელს.

**„ძალიან ბევრ პირობით მსჯავრს სჭირდება სულიერი განტვირთვა. საპატრიარქოს დახმარებით, პრობაციონერებს საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ეკლესიებში ვაგზავნით,“** - გვითხრა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

კახა 23 წლისაა, თემო 25-ს. ორივე პრობაციონერია და ორივე საკუთარი სურვილით წავიდა ტაძარში. **„იქ სულ სხვანაირი ცხოვრებაა, მამაოებთან ერთად ვცხოვრობდით. კელიაში გვეძინა. დიდი მარხვა ტაძარში გავატარე. პირველად ვიცხოვრე ტაძარში და მარხვაც პირველად დავიცავი,“** - ტაძარში გატარებულ დღეებზე მოგვიყვა თემო, თუმცა, პრობაციონერობის მიზეზის გამხელა არც მან ისურვა.

ერთიც და მეორეც, მცხეთაში, ჯვრის მონასტერთა ღვთისმშობლის მოულოდნელი სიხარულის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს საძირკველს ასხამდა. ბერმა გიორგიმ გვითხრა, რომ სამუშაოს ძირითადი სიმძიმე პრობაციონერების, მათ შორის ჩვენი რესპონდენტების მხრებზე გადადიოდა. **„ადამიანი ხმაურიდან სიწყნარეში რომ მიდის, ვინც არ უნდა იყოს და რა საქმითაც არ უნდა იყოს დაკავებული, მშვიდდება. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, პრობაციონერები ლოცულობდნენ, ეზიარებოდნენ, მოძღვრები აირჩიეს, აღსარება ჩააბარეს. მამები ამბობენ, ადამიანი აქ რომ მოდის, ეჭვი აქვს, ორჭოფობს, ფიქრობს, როგორ მიმიღებენო. პატრიარქი ბრძანებს, მოვიშოროთ სული უნდობლობისაო. აქ მოსულმა ადამიანებმა უნდობლობის სული მოიშორეს, მოგვენდნენ, გაიხსნენ ადამიანები,“** - გვითხრა ბერმა გიორგიმ, რომლისთვისაც ტაძრიდან წამოსულ პრობაციონერებს ტელეფონის ნომრები დაუტოვებიათ, სამუშაო რომ იქნება, დაგვირეკეთო.

პრობაციის დეპარტამენტში ამბობენ, რომ ცდილობენ, მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფები დაასაქმონ. **„ქალაქ რუსთავის გამგეობაში დაგვპირდნენ საგზაო სამუშაოებზე 10 კაცის დასაქმებას. ასევე სამშენებლო ფირმა „ცენტრ-პოინტთან“ დავდეთ წერილობითი შეთანხმება, სამების ტაძართან სასულიერო აკადემიის მშენებლობაში პრობაციონერებიც ჩაერთვებიან. დასაქმების პრობლემა არაა, ორონდ სამსახური იყოს. ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმების შედეგად 4 პრობაციონერი ანტინარკოტიკული მკურნალობის კურსს გადის. იმედი გვაქვს, წლის ბოლომდე 20 მათგანი გაივლის ანალოგიური მკურნალობის კურსს,“** - გვითხრა ალექსანდრე არაყიშვილმა.

ამ ეტაპზე, პრობაციონერების დასაქმების მიზნით კერძო ბიზნესმენებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება.

საზოგადოებაში მსჯავრდებულს პატიმრად აღიქვამენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უარყოფითი დამოკიდებულება ნელ-ნელა სასიკეთოდ იცვლება, ვინ იცის, ეს ცვლილება იქნებ იმის „დამსახურებაცაა“, რომ ზოგიერთი კომპანიის ხელმძღვანელი თავადაც პრობაციონერი გახლავთ.

ეს ის ხალხია, რომლებმაც ცხოვრებაში თავიანთი ადგილი ვერ იპოვეს. მათთვის საზოგადოების კეთილგანწყობა აუცილებელია, - ამბობენ ფსიქოლოგები პრობაციონერებზე.

# კიდევ ერთი უფასო სასადილო

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა დღეს დიდუბის რაიონში მორიგი უფასო სასადილო გახსნა.

ახალი სასადილო დღეში 100-მდე ადამიანს მოემსახურება. ეს საპრეზიდენტო პროგრამა „100 უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ფარგლებში, დიდუბის რაიონში გახსნილი მე-6 სასადილოა.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოში მოქმედი ყველა უფასო სასადილო პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი და იცის, რომ ისინი გამართულად მუშაობს. მისივე თქმით, თბილისის ხელისუფლება მზრუნველობამოკლებულ პენსიონერებს მედიკამენტებითაც დაეხმარება.

საპრეზიდენტო პროექტის ფარგლებში საქართველოში 71 სასადილო მოქმედებს.

*ინტერპრესნიუსი*

# პანიკა მეტროში

მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის“ მეორე ხაზზე მოძრავ მატარებელში 14.10 საათზე სანთებელას აფეთქებამ მგზავრთა პანიკა გამოიწვია.

როგორც „ ინტერპრესნიუსს“ მეტროპოლიტენის ადმინისტრაციაში განუცხადეს, საბურთალოს ხაზიდან ვაგზლის მოედანზე შემომავალი მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში მოულოდნელად გაზის სუნი დადგა, რომელიც მემანქანემდე მივიდა. მატარებელის გაჩერების შემდეგ გაირკვა, რომ 14 წლის მოზარდს გაზზე მომუშავე სანთებელა აუფეთქდა, რაც გაზის სუნის დადგომის მიზეზი გახდა.

ამ ფაქტის გამო ადგილზე საპატრულო პოლიცია და მეტროპოლიტენის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ, სადაც მოზარდმა აღიარა, რომ მას სანთებელა სიცხის გამო აუფეთქდა. ამ ფაქტის გამო მეტროპოლიტენში მატარებლების მოძრაობა არ შეჩერებულა.

*ინტერპრესნიუსი*



ავიაკომპანია
"არკია ისრაელის ავიახაზები"
აგრძელებს რეგულარულ
რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს
თბილისი - თელ-ავივი

**თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40**
**თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25**
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე.
გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

**ბილეთის ფასია:**
**275 აშშ დოლარი (ერთი გზა)**
**349 აშშდოლარი (ორი გზა)**
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.
აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.
**ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99**
e-mail: mail@arkia.ge

**მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი**

"მუსიკა"

# Ladoevent

სულ მალე:
ladoevent.art.ge
ladoevent@gmail.com

„ლადო ივენტები“ ყოველ პარასკევს, საღამოს 8 საათზე „ბითლზ კლუბში“ წარმოგიდგენთ თანამედროვე კავკასიურ როკ-მუსიკას და როკ-შემსრულებლებს.

ამ ჟანრის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის ეს ერთადერთი აქციაა მთელს კავკასიაში, სადაც მუსიკის მოყვარულებს სტაბილურად შეუძლიათ მოუსმინონ კავკასიელ ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებლებს და გაეცნონ კავკასიურ თანამედროვე მუსიკას. ჩვენი სურვილია ამ აქციებით შევქმნათ ერთიანი კავკასიური მუსიკის ინფრასტრუქტურა, სადაც ეტაპობრივად განვითარდება და გავრცელდება იდეა „მშვიდობიანი კავკასიისთვის“; იდეა, რომელსაც ერთად განახორციელებენ როკ-ჯგუფები და მუსიკოს-შემსრულებლები ისეთი კონფლიქტური და დაპირისპირებული ზონებიდან, როგორიც არის ჩეჩნეთ-რუსეთი, საქართველო-აფხაზეთი-ოსეთი, სომხეთი-აზერბაიჯანი.

გამომდინარე იქიდან, რომ როკ-მუსიკა დღეს კავკასიის რეგიონში არ არის პოპულარული, ჩვენ ვცდილობთ ამ აქციების საშუალებით და მასმედიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, თანმიმდევრული ეტაპებით ამ იდეის ხელშეწყობას. ჩვენ მზად ვართ სამომავლოდ ამ აქციების განვრცობისთვის კავკასიის სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში.

დღეს კი გთავაზობთ წინა კვირას გამართული საღამოს ფოტორეპორტაჟს.



მშვენიერი ინგა იწყებს თავისი შემოქმედების წარდგენას.



ფანები ქუთაისიდან ყოველთვის ფოტოკამერებით მომარჯვებულები დაყვებიან კოლექტივს ყველგან!!!



კადრები კონცერტის მსვლელობიდან: ჯგუფი Ninas Dimansion.



ეს ბოთლი ლუდი კი გადაეცემა პრიზად ჩვენს პირველ ბილეთის შემძენს.



ნეტავი ჩვენს შორის ეს რომელი იქნება???



კადრები კონცერტის მსვლელობიდან: ჯგუფი Ninas Dimansion.



ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა...

## ავტოგრაფები და ვარსკვლავები

უცნაური სიების სფეროში კვლავაც ლიდერობს ჟურნალი Autograph Collector, რომელიც უკვე 14 წელია ადგენს სიებს იმ ვარსკვლავებისთვის, რომლებიც ხალისით გასცემენ ავტოგრაფებს. სიაში წელს ჯონი დეპი ლიდერობს. როგორც ირკვევა, ის ფანებს არასდროს ეუბნება უარს ავტოგრაფზე. სამაგიეროდ, ამ საქმეში ყველაზე ცუდი ყოფილა კამერონ დიასი. ის ჰოლივუდის ყველაზე პრეტენზიულ „ხელის მომწერად“ დასახელდა.



ჟურნალი, თავისი პროფილიდან გამომდინარე - შეაგროვოს ცნობილი ადამიანების ავტოგრაფები - მსგავს სიას ყოველწლიურად ადგენს ხოლმე. გამოცემის რედაქტორი სტივ კირკინი აცხადებს: „დიდება და ქონება უამრავ ვარსკვლავს აფუჭებს, მაგრამ დეპს - არა. მაშინ, როცა კამერონ დიასი სულ სხვაგვარად იქცევა. თუ ვინმე მას ავტოგრაფს სთხოვს, ხელის მოწერის ნაცვლად კამერონი დაიწყებს ლექციის კითხვას თემაზე, თუ როგორ არ ვარგა ავტოგრაფები. შეიძლება დიასი ნიჭიერი მსახიობია, მაგრამ ავტოგრაფებში მასზე უარესი არავინაა“.

საუკეთესოთა შორის მეორე ადგილზე გავიდა ჯორჯ ქლუნი. მან ჟურნალის სიმპათია იმით დაიმსახურა, რომ ავტოგრაფების დარიგების დროს ფანებს ყოველთვის მხიარულად ესაუბრება. კრიკინის თქმით, „ქლუნი ხშირად საკუთარ თავსაც დასცინის და სრულიად უცნობ ფანს ეუბნება, თუ რა სასაცილოდ გამოიყურება ფოტოზე, რომელიც ავტოგრაფისთვის გაუწოდეს“.

იყო დრო, რასელ ქროუც ერთ-ერთ ყველაზე უჟმურ „ხელმომწერად“ ითვლებოდა, მაგრამ ჟურნალის რედაქტორების დაკვირვებით, ბოლო დროს ის ფანებს უფრო გულისხმიერად ეპყრობა.

საუკეთესო ხუთეული კი ასეა დაკომპლექტებული:

ჯონი დეპი, ჯორჯ ქლუნი, მეთ დეიმონი, ალ პაჩინო, ტომ კრუზი.


SMS-ჰოროსკოპი

შეხვდით მოულოდნელობას
მომზადებული




ყოველ დილას მიიღეთ
ასტროლოგიური პროგნოზი!

თუ დღის ასტროლოგიური პროგნოზის მისაღებად ყოველდღე რეკავდით შესაბამის ნომერზე, ამიერიდან შეძლებთ ერთი ზარით შეუკვეთოთ თვის ან წლის ინფორმაცია, რომელსაც დილის საათებში მიიღებთ. ტარიფი შეღავათიანია:

დღის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 12 თეთრი
თვის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 1 ლარი
წლის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 10 ლარი

თვის ან წლის ინფორმაციის გამოსაწერად მობილურზე აკრიფეთ:

44300171, თქვენი დაბადების თვე და რიცხვი (მაგ: 5 იანვარი ჩაიწერება, როგორც 0105) და OK.

25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge

მაგთი MAGTI GSM

# პაციენტთა საყურადღებოდ

ამა წლის 22 მაისს რამდენიმე ქართულ ტელეარხზე გავიდა სიუჟეტი ფალსიფიცირებულ მედიკამენტთა შესახებ, სადაც, სხვა პრეპარატებთან ერთად, ნახსენები იყო ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "სერვიეს" ორი ცნობილი მედიკამენტი - ***პრედუქტალი MR*** და ***დიაბეტონი MR***.

ამასთან დაკავშირებით გვსურს განვმარტოთ, რომ ***პრედუქტალი MR*** გახლავთ უაღრესად პოპულარული ანტიიშემიური საშუალება, რომელიც რეგისტრირებულია მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. დღესდღეობით ***პრედუქტალი MR*** წარმოადგენს ერთადერთ მეტაბოლურ პრეპარატს, რომელიც ოფიციალურადაა რეკომენდებული სტაბილური სტენოკარდიის (გულის იშემიური დაავადების) სამკურნალოდ *ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოებისა* და *აშშ კარდიოლოგთა კოლეჯის* მიერ.

რაც შეეხება ***დიაბეტონ MR***-ს, ამჟამად ის გახლავთ წამყვანი საშუალება ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში. ***დიაბეტონი MR*** ერთადერთი მედიკამენტია, რომელიც, ოპტიმალურ გლუკოზის დამწევ მოქმედებასთან ერთად, ხასიათდება დადასტურებული ვაზოპროტექციული (სისხლძარღვთა დამცავი) მოქმედებით; ეს გულისხმობს პაციენტთა დაცვას შაქრიანი დიაბეტის ისეთი მრისხანე გართულებებისგან, როგორიცაა დიაბეტური რეტინოპათია (დაბრმავების ერთერთი უხშირესი მიზეზი), დიაბეტური ნეფროპათია, "დიაბეტური ტერფი" (კიდურის ამპუტაციის უხშირესი მიზეზი), მიოკარდიუმის ინფარქტი და ა.შ.

ამ მცირე კომენტარიდანაც ნათლად ჩანს, რომ ***პრედუქტალი MR***-სა და ***დიაბეტონი MR***-ს დღევანდელ ფარმაცევტულ სამყაროში ალტერნატივა არ გააჩნია.

ცხადია, აღნიშნული მედიკამენტები დიდი პოპულარულობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაშიც (*საქართველოს წამლის სააგენტოს* მონაცემებით, გასულ წელს ***პრედუქტალი MR***, რეალიზაციის მიხედვით, მე-3 ადგილზე იყო ყველა არსებულ მედიცამენტს შორის, ხოლო ***დიაბეტონი MR*** - მე-15-ზე), რამაც ბუნებრივად აქცია ისინი ფალსიფიკატორთა "სამიზნედ".

აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ, რომ ჩვენი წარმომადგენლობა მიესალმება *საქართველოს წამლის სააგენტოსა* და *საქართველოს ფინანსური პოლიციის* მიერ ჩატარებულ ღონისძიებას ფალსიფიცირებულ მედიკამენტთა წარმოების გამოვლენასთან დაკავშირებით. ყოველი ასეთი ღონისძიება მნიშვნელოვნად ამცირებს სააფთიაქო ქსელში მსგავსი პროდუქციის მოხვედრის ალბათობას.

ამასთანავე, აუცილებლად მიგვაჩნია გაცნობოთ, რომ თქვენ საიმედოდ იქნებით დაცული ფალსიფიცირებული მედიკამენტის შეძენის რისკისგან, თუ მიმართავთ ოფიციალური სააფთიაქო ქსელის აფთიაქებს და პირველ რიგში ჩვენს პირდაპირ პარტნიორებს - კომპანიებს ***"PSP"***, ***"ავერსი"***, ***"GPC"***, ***"კრისტალი"*** და ***"სამგორი ფარმა"***. აღნიშნული კომპანიები ღებულობენ "სერვიეს" მედიკამენტებს უშუალოდ საფრანგეთიდან, ქ. ჟიდიში განლაგებული საწარმოო ცენტრიდან, რაც სრულად გამორიცხავს მათ აფთიაქებში ფალსიფიცირებული პროდუქციის მოხვედრის ალბათობას.

დაბეჯითებით მოგიწოდებთ მოერიდოთ მედიკამენტთა შეძენას ბაზრობების ტერიტორიაზე, ჯიხურებში, არალიცენზირებულ აფთიაქებში და ა.შ. ნუ მოახდენთ ეკონომიას საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე!

*ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "სერვიეს" წარმომადგენლობა საქართველოში*
***ტელ. 754 224; ფაქსი 75 10 72***







## თავისუფალი სიტყვა

**ახალი მედიაპროექტი რადიო „უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ აკაკი გოგიჩაიშვილს. სტუმრები არიან ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტთა საბჭოს ანესთეზიოლოგიის წევრი ვახტანგ კალოიანი და გივი ჯავოშვილი.**

**აკაკი გოგიჩაიშვილი:** ბატონო ვახტანგ, აცნობიერებთ თუ არა, რომ დღეისთვის სამედიცინო მომსახურება არადამაკმაყოფილებელია და პაციენტისთვის მრავალი რისკის შემცველი...

**ვახტანგ კალოიანი:** სამედიცინო ხარისხი საქართველოში, რა თქმა უნდა არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. ბევრად ჩამორჩება დასავლეთის ქვეყნების მაჩვენებლებს, ანუ არის პრობლემები. პრობლემა კი მრავალმხრივია. იმისთვის, რომ სამედიცინო ხარისხი იყოს მაღალი, აუცილებელია მთელი სისტემა გამართულად მუშაობდეს.

**გივი ჯავოშვილი:** ჯანდაცვის სფერო, თავისთავად, მაღალი რისკის მატარებელია. შესაბამისად, ეს სფერო ძალიან დიდ ყურადღებას საჭიროებს. ეს იქნება პროფესიული, ეთიკური თუ სამართლებრივი.

**ა.გ.** 2004 წლის მაჩვენებლები მოვიძიე, რომელიც მსოფლიო ბანკის კვლევაა და ახალშობილებს ეხება. აღმოჩნდა, რომ 2004 წელს ახალშობილების საერთო რაოდენობა იყო 46 373 ათასი. აქედან, ერთ წლამდე ვერ მიაღწია 2182 ათასმა ბავშვმა, ხოლო 6 დღემდე 1,2 პროცენტმა...

**გ.ჯ.** მე ზუსტი მონაცემები არ მაქვს. ისე, არის რამდენიმე ინდიკატორი, რითაც განისაზღვრება მოსახლეობის ჯამრთელობის მაჩვენებელი.

**ა.გ.** ზოგადად 5 პროცენტიანი ფატალური მაჩვენებელი რამდენად ნორმალურია?

**გ.ჯ.** რა თქმა უნდა, ნორმალური არ არის.

**ვ.კ.** სამწუხაროდ, აღრიცხვიანობა და სტატისტიკის წარმოება ძალიან ცუდად არის ორგანიზებული. ჩვენ არ გვაქვს ერთიანი სურათი, თუ რა მდგომარეობაა არა მარტო ანესთეზიის კუთხით, არამედ სხვა მიმართულებითაც. ჩვენ, გვაქვს ინფორმაცია ფატალურად დასრულებული შემთხვევებისა, ისიც არასრული მოცულობით.

**ა.გ.** ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ დამნაშავეობის ხარისხის დადასტურება კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან რთულია...

**ვ.კ.** ეს ზოგადად არის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების პრობლემა. დღეს არსებული სამედიცინო ისტორიის ფორმები და მისი შევსების წესები, ფაქტობრივად არანაირ ინფორმაციას არ იძლევა. ძალიან ძნელია, რომ ისტორიის მიხედვით, რაიმე დასკვნა გამოიტანო. რეალურად არის ერთი პირის ჩანაწერები.

**ა.გ.** თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ავადმყოფის გარდაცვალების მიზეზი ექიმის შეცდომიდან გამომდინარე მოხდა ?

**ვ.კ.** კომენტირებისას თავს შევიკავებ, რადგან არ მაქვს საბოლოო დასკვნები. თუმცა, რამდენიმე ექიმს შეუჩერდა ლიცენზია. რამდენიმე ექიმის საქმის განხილვა მიმდინარეობს და ა.შ. ერთ საკითხს მინდა გავუსვა ხაზი, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება არის ხარისხის მართვის აპარატი. თუ ეს არ იქნა უნიფიცირებული, სრული, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერანაირ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ. დღეს ხდება სამედიცინო ისტორიის ახალი ფორმის შემუშავება, რომელიც დამტკიცების პროცესშია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი და გამართული მუშაობისთვის საჭიროა ოთხი ძირითადი კომპონენტი: შენობა, აღჭურვილობა, პერსონალი და რეგულაციები. მე დღეს სამი კლინიკა მეგულება, სადაც ანესთეზიოლოგიური მომსახურება სრულიად უსაფრთხოა.

**ა.გ.** როდესაც თქვენ ამბობთ, რომ სამ კლინიკაში არის ანესთეზიოლოგიური მომსახურება უსაფრთხო, ეს რამდენად ზრდის რისკის ფაქტორს სხვა კლინიკებთან მიმართებაში?

**ვ.კ.** ამის თქმა ძალიან რთულია.

## მოკლედ

### ქართული კალიგრაფიის ნიმუშები

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი დღეს ქართული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს გამოფენს.

„ჩვენს ფონდებში მოიპოვება კალიგრაფიის შედევრები, ცნობილი გადამწერების მიერ შესრულებული უნიკალური საეკლესიო და საერო ხელნაწერები", - განაცხადა „ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ზაზა ალექსიძემ.

მისი თქმით, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამოიფინება აგრეთვე ცნობილი ქართველი მოღვაწეების ავტოგრაფები. „საზოგადოებას საშულება ექნება, მაგალითად, თამარ მეფის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის, ვახუშტი ბაგრატიონის, დავით გურამიშვილისა და სხვათა ხელნაწერები იხილოს", - განაცხადა ალექსიძემ. **ინტერპრესნიუსი**

### ორი ახალი ფილმი

ყაზახეთის გამოჩენილ მოღვაწეებზე გადაღებული ხუთი დოკუმენტური ფილმის კვალდაკვალ, რუსული ტელეარხის „კულტურას" დაკვეთით ყაზახი კინოდოკუმენტალისტები კიდევ ორ ფილმს გადაიღებენ. დოკუმენტური ფილმების სერია პროექტ „ევრაზიის სახეების" ფარგლებში იქმნება. პროექტის წარმომადგენლის ალბინა ჯანკინას ინფორმაციით ახალი ფილმები გამოჩენილი რუსი კლასიკოსების - დოსტოევსკისა და პუშკინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. „ევრაზიის სახეების" გენერალური პროდიუსერის ალია უვალჟანოვას თქმით, პროექტი იმ შემოქმედებითი სივრცის აღორძინებას უწყობს ხელს, რომელშიც ცენტრალური აზიის ქვეყნები და რუსეთი სულ ახლახან იმყოფებოდნენ.

### პირველი ბლოკბასტერი

პროდიუსერი ბადრი აფანასიევი ქართული კინოს ისტორიაში პირველი მაღალბიუჯეტიანი ბლოკბასტერის გამოშვებას გეგმავს. მისი თქმით, ქართული ბლოკბასტერი, რომლის ბიუჯეტი 6 მილიონი დოლარია, ხარისხით ცნობილ რუსულ პროდუქციასაც დაჩრდილავს.

აფანასიევის განცხადებით, ფილმის ძირითადი სარეჟისორო და საოპერატორო ჯგუფი რუსეთიდან იქნება, მთავარ როლებშიც 2 რუს მსახიობს მოიწვევენ. გადაღების შემდეგ ფილმის რუსულ ბაზარზე გატანა იგეგმება. „ქართული ბაზარი არავითარ მოგებას არ მომცემს, ამიტომ აქცენტს რუსულზე ვაკეთებ. თუ იქ წარმატება მოვიპოვეთ, ევროპულ ბაზარზე გზა ხსნილი გვექნება. ეს ისტორიული ბლოკბასტერია, რაც ევროპელ მაყურებელს დააინტერესებს", - განაცხადა აფანასიევმა. ის დარწმუნებულია, რომ ახალი ბლოკბასტერი მწარმოებლებს დიდ მოგებას მოუტანს. ფილმი ნოე ჟორდანიას მთავრობის მიერ საქართველოდან გატანილი განძის ისტორიას ეხება, რომელიც ცნობილი ქართველი რეჟისორის გენო ხოჯავას სცენარშია აღწერლი. აფანასიევი ბლოკბასტერს სწორედ ხოჯავას სცენარის „განძის" მიხედვით გადაიღებს. „ყველამ ვიცით, რომ საქართველოს ეროვნული საუნჯე საფრანგეთში ბათუმის გავლით გაიტანეს, მაგრამ როგორ ჩავიდა ეს განძი თბილისიდან ბათუმამდე, უცნობია. გენო ხოჯავამ ამაზე ერთგვარი მოკვლევა ჩაატარა, დეტალები კი თავისი ფანტაზიით შეავსო. ფილმის მიხედვით, განძის ძირითადი მტერი არის ქართველი, სერგო ორჯონიკიძის პროტოტიპი და კურიოზული მომენტია, რომ ამ ქართველს განძის ხელში ჩაგდება და რუსი ბოლშევიკებისთვის გადაცემა უნდა. რუსები კი ცდილობენ, განძის გატანაში ქართველ პატრიოტებს დაეხმარონ. სცენარში ერთი საინტერესო ეპიზოდია: საზღვარზე თურქები განძს ათვალიერებენ და ხატების ნახვის შემდეგ საზღვრის გადალახვის უფლებას მისცემენ: მუსულმანები კი ვართ, მაგრამ ბარბაროსები არ ვართო".

### ქართული სპექტაკლი

სამეფო უბნის თეატრში რეჟისორ თემურ ჩხეიძის მიერ გურამ ოდიშარიას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია", საფრანგეთის ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე წარდგება. პიესა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის თემაზეა შექმნილი. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები საგანგებო ვიზიტით თბილისში ჩამოვიდნენ და სპექტაკლს დაესწრნენ.

ყოველწლიური ფესტივალი სექტემბრის ბოლოს ქალაქ დიში გაიმართება. წელს იგი სამხრეთ კავკასიას მიეძღვნება და მასზე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან მიწვეულნი. ოდიშარიას თქმით, საფრანგეთში ჩასული სტუმრები ადგილობრივ მოსახლეობასთან დაბინავდებიან, რათა უკეთ გაეცნონ ერთმანეთის კულტურას. **ჯი-ეიჩ-ენი**.



# აფიშა

## 26 მაისი

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი**
ილია ჭავჭავაძე
„კაცია ადამიანი?!“
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა
კლოდ მანიე
„ოსკარი“
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
დავით ტურაშვილი
„ჯინსები თაობა“
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**„რუსთველი“**
„და ვინჩის კოდი“
დასაწყისი: 13:00; 16:00; 19:00; 22:00

**ცირკი**

ცირკი წყალზე
მოსკოვის ცირკის მსახიობთა წარმოდგენა
დასაწყისი: 15.00
ბილეთის ფასი: 4-8 ლარი

**გალერეა**

**„კოპალა“**
ფოტოგამოფენა
ეძღვნება ქალებს
ორგანიზატორი: აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში

**„ქარვასლა“**
ბორის რომანოვსკის გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა

**TMS**
ლევან ლალიძის ფერწერა

**„ორიენტი“**
თანამედროვე ტიხრული მინანქარი

**კლუბები**

**2 SIDE**
CLICK
Pro...Group presents
DJs EKE, BUKA, KUSTEAU

**„გვირაბი“**
Local Promotion & Tunnel Club present:
DJ Insulin Junky (Austria, Viena)
Celebrating Independance Day!

NIGHT OFFICE
HOFMANN PROMOTIONS pres.
HARDY HARD


გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრი და კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო გაერთიანება "რუსული კლუბი"

ბერნარდ შოუს დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით

**წარმოადგენს სპექტაკლს**

**"ბედისწერის რჩეული"**

(ნაპოლეონის დაბადება)

საპრემიერო ჩვენება გაიმართება 27 მაისს 19.00 საათზე

გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრი და კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო გაერთიანება "რუსული კლუბი"

**წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას**

**"ემილის ბედნიერება"**

(რუსული ზღაპრების მიხედვით)

საპრემიერო ჩვენება გაიმართება 28 მაისს 12.00 და 14.00 საათზე


# „ჩემი სახლი, რომელიც მომელის“

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ერთი თვეა ახორციელებს პროექტს „ჩემი სახლი“. პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ქონების აღწერასა და კანონიერი მფლობელებისთვის იურიდიულად გაფორმებას. პროექტში თანამგზავრიდან გადაღებული ფოტომასალა გამოიყენება. ამჟამად მიმდინარეობს ცხინვალის, გაგრისა და გალის რაიონების აღწერა.

სამინისტროს ინიციატივით ივნისში პროექტ „ჩემი სახლის“ ფარგლებში მოეწყობა ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი „ჩემი სახლი, რომელიც მომელის.“ კონკურსში მონაწილეობენ ორი ასაკობრივი ჯგუფის დევნილი ბავშვები და მოზარდები. 6-დან 11-მდე და 12-დან 16 წლამდე ასაკის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ნებისმიერი მასალით (ფანქარი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ზეთი და ა.შ.) შესრულებული, სულ ცოტა, სამი ორიგინალური ნამუშევარი. ნახატებში უნდა აისახოს დევნილი ბავშვების წარმოსახვაში არსებული მშობლიური სახლი, რომელიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მათმა ოჯახებმა დატოვეს და რომელშიც აუცილებლად დაბრუნდებიან.

ნახატებს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს. გამოფენა-კონკურსი დასრულდება გრანდიოზული ექსპოზიციით, რომელსაც თბილისის ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა ივნისის ბოლოს უმასპინძლებს. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები, ლაურეატის მოწმობები, სამახსოვრო პრიზები.

ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 10 ივნისი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ნახატები უნდა მოიტანონ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრესსამსახურში. ტელეფონი: 38-47-98.

გამოფენა-კონკურსის გენერალური სპონსორია „სახალხო ბანკი“.

# ახალი მარგალიტები თქვენი ბიბლიოთეკისთვის

### თბილისის წიგნის ფესტივალი პრეზენტაციებით გაიხსნა



მინისტრი და გამომცემლები.

ია ვეკუა

თბილისის წიგნის ფესტივალი, ტრადიციისამებრ, პომპეზურობის გარეშე, ახალი წიგნების პრეზენტაციებითა და მათი თანმხლები ღონისძიებებით გაიხსნა. გუშინ ათასობით ახალი და „ჩაწოლილი“ წიგნის ფურცლების შრიალმა წიგნით დაინტერესებული საზოგადოება დიდუბის საგამოფენო კომპლექსში მიიწვია, სადაც ოთხი დღის განმავლობაში უმასპინძლებს. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული წიგნის ფესტივალი წელს მერვედ იმართება და მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს საერთაშორისო ბაზრობის იმიჯს.

შარშანდელ ფესტივალზე აშკარად იყო გამოკვეთილი იმ ავტორების ვინაობა, რომელთა ნაწარმოებები ბაზრობის ბესტსელერობის კანდიდატები იყვნენ. მაგალითად, „საბას“ ნომინანტ აკა მორჩილაძისა და მოდური პაოლო კოელიოს თითქმის ყველა წიგნი დახლზე გამოჩენისთანავე იყიდებოდა. აკა მორჩილაძე წელსაც „საბას“ პრემიის მფლობელია, ხოლო მოდურ მკითხველს კვლავაც აღელვებს კოელიოს ტექსტები, თუმცა სამღვდელოებისგან შერისხული ფილმის „და ვინჩის კოდის“ ტექსტუალური ვერსია ფესტივალის პირველივე დღეს ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მართალია, მისი წაკითხვის შემდეგ მკითხველი დიდ ხეირს არ უნდა ელოდეს, მაგრამ ნუგეშად ის მაინც დარჩება, რომ დენ ბრაუნის ნაწარმოების სქელყდიანი გამოცემა მისი საოჯახო ბიბლიოთეკის მორიგი „მარგალიტი“ იქნება.

ფესტივალი გამომცემლობა „ლინკის“ მიერ დასტამბული საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის წიგნის „იდეალისტის ნაამბობის“ პრეზენტაციით გაიხსნა. ეს წიგნი დიდი ხნის წინ გამოიცა, მისი ხელახლა „დაბადება“ კი ავტორის ფესტივალზე „მოტყუების“ საბაბი იყო.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ახალი საიტის პრეზენტაციის შემდეგ დავით ქართველიშვილის პირველი რომანი „იყო საღამო, იყო დილა“, ზაალ სამადაშვილის მოთხრობების კრებული „სანდრო კანდელაკის ჩექმა“, აუდიოკასეტით აღჭურვილი „ხუთკუნჭულა“ და პაოლო კოელიოს „ეშმაკი და ქალბატონი პრიმი“ წარმოადგინა.

ახალი გამოცემების პრეზენტაცია გამართა გამომცემლობა „ელფმაც“: პირველი გახლავთ საქართველოში პირველი გამოცემა ასტრონომიის შესახებ „გალაქტიკა“. წიგნი შეადგინეს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის წამყვანმა მეცნიერმა მარინა გოგოლაშვილმა და პროფესორმა გია მაჩაბელმა. მასში გალაქტიკასთან დაკავშირებული ყველა უახლესი ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთათვის გასაგები ენითაა გადმოცემული. მეცნიერული ფაქტები კი უძველესი მითების მაგალითებზეა აღწერილი. მნიშვნელოვანია, რომ წიგნში შესული ილუსტრაციები „ელფმა“ Euronews-ის, Esas და NASA-ს ნებართვით გამოიყენა. გამოცემაში ასევე ქართველი ასტრონომების მიერ გადაღებული ფოტოებიც გაერთიანდა.

„ელფის“ მიერ წარმოდგენილი მეორე წიგნია ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილის „მატიანე ქართველთა“. მასხარაშვილი საქართველოს ისტორიას თანამედროვე ჭრილში განიხილავს და ქართველთა წარმოშობის ნაკლებად პოპულარულ ვერსიასაც აფიქსირებს. ავტორი აგრეთვე ეროვნულ იდეოლოგიასა და სხვა საკითხებზე მსჯელობს.

თანამედროვე ბრიტანელი ავტორების ქართულენოვანი ვერსიების ახალი გამოცემები წარმოადგინა ბრიტანეთის საბჭომაც: დი ბი სი პიერის „ვერნონ გენიოს ლითლი“ და „მხიარული ლექსები“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“), იენ მაკიუენის „ამსტერდამი“ („არეტე“) და ეიდენ ჩემბერსის „ჯეკობ ტოდი“ („გია ქარჩხაძის გამომცემლობა“).

თბილისის წიგნის ფესტივალის მომდევნო დღეებში კიდევ არაერთი საინტერესო პრეზენტაცია და ღონისძიებაა დაგეგმილი.

ამ ღონიძიებათა პასიური მონაწილეები იქნებიან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული გამომცემლებიც. მაგალითად, აზერბაიჯანის წიგნის კლუბის წევრები, რომლებიც თბილისის ფესტივალზე ხუთი წლის წინაც იყვნენ, წელს კი ბაქოს წიგნის ბაზრობის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდნენ. აზერბაიჯანელებმა სწორედ ის წიგნები წარმოადგინეს, რომლებიც ამ ქვეყანაში არსებულ პოლიგრაფიულ ბაზარზე აკეთებს აქცენტს. „ჩვენთან ამ მხრივ დიდი მიღწევებია. გვაქვს ყველაზე ძვირად ღირებული დანადგარები, ამიტომ ჩვენს გამომცემლებს სხვა ქვეყანაში წასვლა არ უწევთ. ამჯერად ის გამოცემები ჩამოვიტანეთ, რომლებიც საქართველოსთან თემატურ კავშირშია. მაგალითად, აზერბაიჯანულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ზღაპრები - ქართული და აზერბაიჯანული ტექსტი ერთ წიგნშია მოქცეული, ასევე ჩამოვიტანეთ ქართული „დედა ენა“, რომელიც აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებისთვისაა განკუთვნილი“, - განაცხადა კლუბის დირექტორმა ელხან რზაევმა.

# ხარაგაულში ხეც მღერის

მზევინარ ხუციშვილი

ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლემ არაერთი ცნობილი პიროვნება აღზარდა, რომლებიც დღემდე უანგაროდ ემსახურებიან ქართულ ხალხურ ცეკვას და სიმღერას. მათი ღვაწლი და დამსახურება ამ საქმეში უდავოდ დიდია. სასახლის დირექტორია თამაზ ანდღულაძე, რომელიც უკვე 40 წელია ამ საქმეს ემსახურება. 25 მაისს მან ხარაგაულის ანსამბლ „საუნჯეს“ უმასპინძლა. როგორც სასახლის სიმღერის განყოფილების გამგემ ელზა გაუარაშვილმა აღნიშნა, - „ჩვენ ხუთი წელია ვმეგობრობთ. ხშირი სტუმრებიც ვართ მათი. დიდი ხანია გვინდოდა, ისინიც ჩამოსულიყვნენ ჩვენთან“.

ანსამბლ „საუნჯის“ ხელმძღვანელია დალი მაღრაძე, პედაგოგი - მაია მაღრაძე.

**- ქალბატონო დალი, დღეს ძალიან ძნელია ფოლკლორის შენარჩუნება. რეგიონში როგორ ახერხებთ ამას?**

- ჩვენი ურთიერთობა ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლესთან მაუწყებელია ჩვენი სურვილისა: მომავალი თაობა აღიზარდოს ქართულ ფოლკლორზე. მათთან ურთიერთობაში ბევრ კარგს ვხედავთ. ვცდილობთ მოვიზიდოთ ის ბავშვები, რომლებიც მხოლოდ უცხოურ მუსიკას უსმენენ.

**- დაფინანსების წყარო თუ გაქვთ?**

- არავითარი წყარო არ გვაქვს. ბავშვებს შინ ვამეცადინებ. მასწავლებელი ავუყვანე. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო და ერთად შევქმენით ეს ანსამბლი. ხარაგაული ძირითადად სიმღერის რაიონია. ხშირად ამბობენ, ხარაგაულში ხეც კი მღერისო. ივანე მაჩაბელმა მოიძია ჩვენი მხარის სიმღერები, დაამუშავა და შექმნა ანსამბლი. მე შევეცადე ეს ანსამბლი განმეახლებინა. დღეს ეს სიმღერები რადიოს ოქროს ფონდში ინახება და დროდადრო გადაიცემა ეთერით. არაერთი გრან-პრი და ოქროს მედალი გვაქვს მოპოვებული.

**- ბატონო თამაზ, ამ სასახლის დღევანდელი მდგომარეობით არც თქვენ უნდა იყოთ სახარბიელო მდგომარეობაში...**

- მართალია, ყურადღება გვაკლია, მაგრამ ქართულ სიმღერას თბილისში არ უჭირს. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ რაიონებში ქართული ფოლკლორის განვითარებას. თითქმის ყველა რაიონთან გვაქვს ურთიერთობა და შევეცდებით ასეთი შეხვედრები ყოველწლიურ მოვლენად ვაქციოთ.

ამ დღეს სასახლეს სტუმრობდა ბატონი ანზორ ერქომაიშვილი: „ჩემთვის სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ სტუმრად ხარაგაულის ანსამბლი გვეწვია. აუცილებელია გვქონდეს მჭიდრო კავშირი რაიონებთან, რადგან ახალგაზრდა თაობა ქართულ ფოლკლორზე უნდა აღიზარდოს, რეგიონებშიც უნდა აღორძინდეს ქართული ფოლკლორი.“

კონცერტი ორ განყოფილებად იყო დაყოფილი. პირველ განყოფილებაში ანსამბლმა „საუნჯემ“ შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები, ხოლო მეორე განყოფილებაში მონაწილეობდნენ ანსამბლები „მართვე“, „ერქვანი“, ხალხურ საკრავთა ანსამბლი და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი.

### ზურაბ წერეთელი და ნიკოლოზ სასწაულმოქმედი

ცნობილი მოქანდაკე ზურაბ წერეთელი წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სკულპტურაზე მუშაობს. ამის შესახებ მან ტამბოვის დრამატული თეატრის შემოქმედებით ინტელიგენციასთან შეხვედრისას განაცხადა. წერეთელი ტამბოველებს შეჰპირდა, რომ ძეგლს მათ ქალაქს აჩუქებს. წმინდა ნიკოლოზის სამი მეტრი სიმაღლის ქანდაკება ტამბოვის ოლქში, ნიკოლის ტბის ნაპირას დაიდგმება. მხატვრის თქმით, იგი სამუშაოს შემოდგომისთვის დაასრულებს.

### საქველმოქმედო ფონდი „ივანანა“

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი „ივანანა“ დღეს მორიგ საქველმოქმედო აქციას გამართავს.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდა“ შესრულდება, რომელშიც ბურჭულაძის მოწვევით მსოფლიო დონის ვარსკვლავი, სოპრანო - მიშელ კრაიდერი იმღერებს. ამონასროს პარტიას თავად პაატა ბურჭულაძე, ხოლო რადამესისას - ბადრი მაისურაძე შეასრულებს. შემოსული თანხა მთლიანად უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დახმარების ფონდში გადაირიცხება. **ინტერპრესნიუსი**

### მუზეუმების რეაბილიტაცია-რესტავრაცია

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი 2006 წელს მუზეუმების რეაბილიტაცია-რესტავრაციაა. როგორც კულტურის სამინისტროს პრესცენტრში განაცხადეს, საქართველოში ამჟამად სხვადასხვა პროფილის 254 მუზეუმია.

გასულ წელს პირველად დასრულდა მუზეუმების რეესტრირება და შეიქმნა მრავალპარამეტრიანი საინფორმაციო ბადე. მონიტორინგი ჩატარდა და პირველად დადგინდა მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია საქართველოში ამჟამად მოქმედი სახელმწიფო და კერძო, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან არსებული მუზეუმების შესახებ. პროექტი მუზეუმების პასპორტიზაციისა და მათი რეესტრში შეტანის გარდა, მიზნად ისახავს თბილისის მუზეუმების შესახებ სპეციალური ვებ-გვერდების შექმნას.

გამოიცა თბილისის მუზეუმების ცნობარი რუკით.

### ჰუსეინის რომანი

სადამ ჰუსეინის რომანის „წადი წყეულოს!“ პოპულარობამ იაპონიაში ყველა რეკორდულ ზღვარს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ ერაყელი დიქტატორის რომანი იაპონიაში შეცვლილი სახელწოდებით „სატანის ცეკვა“ გამოვიდა, ამას მის პოპულარობაზე არ უმოქმედია. ჰუსეინის ქმნილება ჯოან როულინგის ახალი ნაწარმოების „პარი პოტერი და უფლისწულს“ ღირსეულ კონკურენციას უწევს. რომანი „წადი წყეულო!“, 2003 წელსაა დაწერილი და იგი ჰუსეინის ერთ-ერთმა ქალიშვილმა - რაგადმა იაპონელ ჟურნალისტსა და მთარგმნელს იტსუკო ხირატას მისცა. ეს ნაწარმოები სადამ ჰუსეინის მეოთხე ქმნილებაა. ნაწარმოებებში „მეფე და ზაბიბა“, „მიუდგომელი ციხესიმაგრე“ და „მამაკაცები და ქალაქი“ - ჰუსეინის მიერ სიცოცხლისა და პოლიტიკის ფილოსოფიურ ჭრილში დანახვის მცდელობაა ასახული. ჰუსეინი ეთიკურ-ზრდილობიანი კრებულის ავტორიცაა, რომელიც „ადამიანის, ოჯახისა და საზოგადოებისთვისაა“ განკუთვნილი.


**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## საუდის არაბეთის პრინცი ჩინეთის ბანკში წილს ყიდულობს



## ბრაზილია მსოფლიოს უმსხვილესი ენერგეტიკული სახელმწიფო გახდება



B3

## ეთანოლის ბუმი აშშ-ში

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3588 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9991 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4902 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8000 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8399 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1832 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3105 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3125 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3137 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4791 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3462 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1654 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1609 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3907 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1968 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2493 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3991 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6060 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2967 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,7029 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3585 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2956 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5848 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6047 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0666 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1367 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4135 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5591 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4737 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5764 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8822 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2249 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1471 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2486 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4920 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0820 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2244 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2321 |




# ბიზნესის საინფორმაციო ცენტრი ბიზნესმენების გარეშე

## პრეზენტაციაზე მხოლოდ პოლიტიკური ელიტა მივიდა

ნინო ნატროშვილი

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და თბილისის მერიის ინიციატივით შექმნილი "ბიზნესის საინფორმაციო ცენტრი" მერიის შენობის პირველ სართულზე გუშინ ოფიციალურად გაიხსნა. ცენტრში საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღება საქართველოში კაპიტალდაბანდებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეუძლია.*

- **ახლა ქალაქის მთავარ მოედანზე, ცენტრში, ყველაზე მთავარ შენობაში დასანახ ადგილზე იჯდება ადამიანების ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულ ინვესტორს დაეხმარება.**
- **ცენტრი, რომელიც საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაექვემდებარება, როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ ინვესტორებს მოემსახურება.**
- **ცენტრში ყველა ის ინფორმაცია იქნება თავმოყრილი, რაც ინვესტორს საქართველოში ბიზნესის დასაწყებად სჭირდება.**



B2

# ბიზნესინკუბაცია

## მრავალფეროვანი მიდგომები

ვაჟა გოგინაშვილი
პროექტის "ბიზნესინკუბაციის ინიციატივა საქართველოში" მენეჯერი

*ბიზნესინკუბაცია, როგორც ეს წინა სტატიაში ("24 საათი ბიზნესი", 22 მაისი, ორშაბათი, N111) იყო განხილული, ადრეული ინდუსტრიული უბნებისა და მცირე ბიზნესის სერვის-ცენტრების გამოცდილებიდან აღმოცენდა. პირველი თაობის ინკუბატორები 1980-იან წლებში გულდასმით შერჩეულ სამეწარმეო ჯგუფებს, ძირითადად, შედარებით იაფ საოფისე ან სამუშაო ფართს და ერთობლივი გამოყენების ინფრასტრუქტურულ სერვისებს სთავაზობდნენ. 1990-იან წლებში გაჩნდა საჭიროება, უძრავი ქონებისა და ინფრასტრუქტურული სერვისები შევსებულიყო მრჩევლის, კვალიფიკაციის ამაღლების, კონტაქტების ქსელის მომსახურებით, რათა ხელმისაწვდომი გამხდარიყო კონსალტინგის პროფესიონალური სერვისები და რისკკაპიტალი. ამან მიგვიყვანა მეორე თაობის ინკუბატორამდე. 1998 წლიდან განვითარება დაიწყო მესამე მოდელმა, რომლის მიზანიცაა, მოახდინოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) და მრავალმხრივი ბიზნეს/ტექნოლოგიური სერვისების მობილიზება მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე ტექნოლოგიური ბიზნესების შესაქმნელად.*




*ინკუბატორების რიცხვის ზრდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში*

B2

# ჩრდილოეთ ნახევარსფეროს საქმიანი ცენტრი

## პანამური ბრწყინვალე ბიზნესგარემო და იაფი უძრავი ქონება

გოჩა ქიმუცაძე

*ატლანტიკის და წყნარი ოკეანეების შემაერთებელი ცნობილი პანამის არხის გარდა, ცენტრალური ამერიკის ეს ქვეყანა ბევრი სხვა რამითაც არის განთქმული. პანამა ტროპიკული სამოთხეა, რომლამდეც ვერ აღწევს კარიბის ზღვის ქვეყნების მუდმივ პრობლემად ქცეული ქარიშხლები. ამ დროისათვის ქვეყანაში არსებობს თანამედროვე ინფრასტრუქტურა: გზები, ბანკები და სატელეკომუნიკაციო სისტემები, თუმცა უძრავი ქონების ფასები განვითარებადი ქვეყნების ბაზრის დონეზე რჩება.*

*თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო პანამამ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში მიიპყრო მსოფლიოს ბევრი ძლიერი სახელმწიფოს ყურადღება. ამან ხელი შეუწყო ქვეყნის განვითარებას, რაც არხის აშენების შემდეგ კიდევ უფრო დაჩქარდა. 1989 წელს გენერალ ნორიეგას მაფიოზური რეჟიმის დამხობის შემდეგ პანამა საპარლამენტო, დემოკრატიულ რელსებზე დაბრუნდა, რამაც ქვეყნის ეკონომიკის აყვავება განაპირობა. ხოლო 2000 წელს თავის მთავარ სტრატეგიულ ობიექტზე - არხზე სუვერენიტეტის აღდგენამ პანამას დამატებითი მნიშვნელობა შესძინა და მისი განვითარების უდიდეს სტიმულად იქცა.*

**პანამაში ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ მომგებიანი ბიზნესი აწარმოოთ, დიდი ფული იშოვნოთ და მინიმალურ ფასად შეძენილ, მშვენიერ საკურორტო ზონაში მდებარე ვილაში ბატონკაცურად დაისვენოთ.**



B3

### ქართულმა კომერციულმა ბანკებმა წელს 2 მილიონ ლარზე მეტი სესხი გასცეს

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2006 წლის იანვარ-აპრილში, გასულ წელთან შედარებით, 303 მლნ ლარით გაიზარდა და 2040 მლნ ლარი შეადგინა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, გაცემული სესხების მთლიანი მოცულობიდან ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა 104,9 მლნ ლარით მოიმატა 512 მლნ ლარამდე, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 198,1 მლნ ლარით არის გაზრდილი და 1528 მლნ ლარს შეადგენს. სებ-ის ინფორმაციით, 2006 წლის აპრილში, მარტთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 91,2 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები გაზრდილია 31 მლნ ლარით, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების მოცულობა - 60,2 მლნ ლარით. ეროვნული ბანკის მიერ სესხების დარგობრივ ჭრილში განხილვის შედეგებით, მიუხედავად იმისა, რომ აგრარული სფერო, ტრადიციულად, დაკრედიტების თვალსაზრისით, მაღალი რისკის სექტორად ითვლება, 2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორის დაკრედიტების მასშტაბები 3,3 მლნ ლარით გაიზარდა და 13,7 მლნ ლარი შეადგინა; 18,9 მლნ ლარით გაფართოვდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორის დაკრედიტება და 2006 წლის მარტის ბოლოსათვის 46,9 მლნ ლარი შეადგინა; ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს დაფინანსების მოცულობამ 280,5 მლნ ლარით მოიმატა და 665,8 მლნ ლარს გაუტოლდა; მშენებლობის სექტორისა - 74,6 მლნ ლარით გაიზარდა და 140,7 მლნ ლარი გახდა; სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის ზრდა 54,3 მლნ ლარით აღინიშნა და 204,4 მლნ ლარი შეადგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### სსბ-ზე ხუთი კომპანიის აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) ხუთშაბათს გამართულ 39 (624)-ე ვაჭრობაზე გარიგებები 5 კომპანიის აქციებზე დაიდო. გარიგებების რაოდენობა 44 იყო, მათმა მოცულობამ 136 839 ფასიანი ქაღალდი შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ კი - 159 928 ლარი. სსბ-ზე ხუთშაბათს 109,3 ათასი ლარის გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის (UTC) აქციები გაიყიდა, 38,3 ათასი ლარის კი - საქართველოს ბანკის (GEB). გარიგებები ასევე დაიდო უნივერმაღი “თბილისის" (UTB), “დავით სარაჯიშვილი და ენისელის" (ENIS), “მაცნეს" (MACN) აქციებზე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### აზერბაიჯანი ქართული ღვინის იმპორტის შეზღუდვას არ აპირებს

აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მინისტრის ისმეტ აბასოვის განცხადებით, საქართველოდან აზერბაიჯანში იმპორტირებულ ღვინოზე შეზღუდვების დაწესების საკითხი არ განიხილება, თუმცა აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ადგილობრივი წარმოების ღვინო სავსებით აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას ამ პროდუქტზე. "აზერბაიჯანში საკმარისი რაოდენობით იწარმოება ხარისხიანი ღვინო, ამიტომ საქართველოდან ღვინის დამატებითი იმპორტის საჭიროებას ქვეყანა არ განიცდის," - განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, სამინისტრო უკანონოდ წარმოებულ და იმპორტირებულ ღვინოზე მკაცრი კონტროლის დაწესებას აპირებს, რის გამოც უკანონო საწარმოების გამოსავლენად რეიდები დაიწყება. აბასოვმა აზერბაიჯანული ღვინის რუსეთში ექსპორტის ზრდის ტენდენციაც დააფიქსირა. "რუსული ბაზარი ჩვენთვის ყოველთვის მომგებიანი იყო, ქართული და მოლდოვური ღვინის აკრძალვის შემდეგ კი აზერბაიჯანული ღვინის იმპორტი რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა," - განაცხადა მან. მისივე თქმით, რუსეთში ქართული და მოლდოვური ღვინის აკრძალვა აზერბაიჯანელ მეწარმეებს მეტ შესაძლებლობებს მისცემს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კომპანია "თელიანი ველი" ახალი პროდუქტის - კონიაკის გამოშვებას იწყებს

კომპანია "თელიანი ველი" ახალი პროდუქტის - “კონიაკის გამოშვებას იწყებს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კომპანია "თელიანმა ველმა" დღეს ახალი ბრენდის "ლე კავკაზის" პრეზენტაცია გამართა, რომელიც 9 სახეობის კონიაკს აერთიანებს.

როგორც პრეზენტაციაზე კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი ხუციშვილმა განაცხადა, ეს არის ახალი ბრენდი, რომელზეც კომპანია 1,5 წელი მუშაობდა. კონიაკისთვის სპირტი საფრანგეთიდან არის ჩამოტანილი.

დამსწრე საზოგადოებამ ახალი კონიაკი დააგემოვნა და ხარისხით კმაყოფილება გამოთქვა. პრეზენტაციას ბიზნესის, მთავრობისა და საზოგადოების ცნობილი სახეები ესწრებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### რეგიონებს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ხელფასის გაზრდის უფლებას კანონი არ აძლევს

ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ცერცვაძე რეგიონებში საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ მოქალაქეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგებას მოითხოვს.

აღნიშნულის თაობაზე განცხადება ცერცვაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში შრომის ანაზღაურება, გარკვეულწილად, მოწესრიგდა, თუმცა საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ მუშაკთა გარკვეულ კატეგორიის შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. "ისეთ სექტორებში, როგორიცაა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, თეატრები, სახანძროები, შრომის ანაზღაურება მიზერულია. რაიონებს კი, ვისაც ფინანსური საშუალებები გააჩნია, ხელფასების გასაზრდელად სამართლებრივი უფლება არ აქვთ. ამიტომ, ვითხოვ მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა ამ კუთხით და მთავრობას ამ პრობლემის დარეგულირებაც დავავალოთ," - განაცხადა ცერცვაძემ. ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა კი ფინანსთა მინისტრს დაავალა, ივნისის ბოლომდე პარლამენტს გათვლები წარუდგინოს, რომელი რაიონები შეძლებენ შრომის ანაზღაურების გაზრდის დაფინანსებას და რომელ რაიონებს დასჭირდებათ ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერით უზრუნველყოფა. "ამ პრობლემის მოგვარებას პრეზიდენტის ბრძანებულების შეცვლა დასჭირდება. ტრანსფერის დათვლის შემდეგ კი, შესაძლებელია, ბიუჯეტში ცვლილებებიც გახდეს საჭირო. ამიტომ, მოვუწოდებ ფინანსთა სამინისტროს, დროულად წარადგინოს ინფორმაცია," - განაცხადა ვიცე სპიკერმა. **ჯი-ეიჩ-ენი**




# ბიზნესინკუბაცია მრავალფეროვანი მიდგომები

პირველი გვერდიდან

ბიზნესინკუბატორები განსხვავდებიან მრავალი პარამეტრის მიხედვით:

განვითარებად ქვეყნებში ბიზნესინკუბატორები იქმნება, ძირითადად, ტექნოლოგიური და ინოვაციების კომერციალიზაციის ფოკუსით.

მოკლედ მიმოვიხილოთ ბიზნეს ინკუბატორების ძირითადი მახასიათებლები და სარგებელი, რასაც სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები და საზოგადოება იღებს კარგად მართული ინკუბატორიდან.

## სპონსორები და მიზნები

ბიზნესინკუბატორების მიზნების განსაზღვრაზე გავლენას ახდენს სპონსორთა ინტერესები. მაგალითად:

მრავალ სპონსორს მოაქვს მრავალმხრივი სარგებელი და აძლიერებს ინკუბატორის პროგრამას, თუმცა, ხშირად სპონსორებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი, შესაძლოა, ზიანის მომტანი იყოს ინკუბატორისათვის და ხელი შეუშალოს გადაწყვეტილებების მიღებას.

ბიზნესინკუბატორი თავად წარმოადგენს დამწყებ ბიზნესს და მისთვის აუცილებელია გადმოილოს ბიზნესის განვითარების დინამიზმი თვითდაფინანსების მიზნისაკენ სწრაფვის დროს. როგორც არსებული გამოცდილება აჩვენებს, თვითდაფინანსების მისაღწევად სწორად დაგეგმილ ინკუბატორს 3-5 წელი სჭირდება. ამ პერიოდის განმავლობაში ინკუბატორის დაფინანსება ხდება საოფისე ფართის გაქირავებიდან და სერვისებიდან მიღებული შემოსავლებით, რომელსაც ემატება სახელმწიფო ან დონორული ინვესტიცია.

## ბიზნესინკუბატორის სარგებელი

კარგად მართულ ბიზნესინკუბატორს შეუძლია, მრავალმხრივი სარგებელი მოუტანოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას:

## წარმატების ფაქტორები

ახალი ბიზნესების შექმნასა და განვითარებაში წარმატების ხუთი ძირითადი ფაქტორია, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული:

- სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა - ხელს უწყობს ბიზნესის შექმნა/განვითარებას და ქმნის ბიზნესის ინფრასტრუქტურას
- უნივერსიტეტების ცოდნის ბაზა - ტექნოლოგიები და კვლევა
- კერძო სექტორი - კონსულტაციისა და მარკეტინგისათვის
- პროფესიული ქსელი - ადგილობრივი და საერთაშორისო
- საზოგადოების ჩართულობა - ბიზნესკულტურის ასამაღლებლად და მეწარმეობის მხარდასაჭერად

გრაფიკულად ამ კავშირს ასეთი სახე აქვს:

საქართველოს შემთხვევაში ეს კავშირები ხანდახან სუსტია, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმარისი პოტენციალი არსებობს მეწარმეობის ხელშეწყობის მექანიზმების წარმატებული განვითარებისათვის. მთავარ პრობლემას ამ შემთხვევაში წარმოადგენს ამ მექანიზმების სწორი მოდელის შემუშავება და მისი თანმიმდევრული განხორციელება.

# ბიზნესის საინფორმაციო ცენტრი ბიზნესმენების გარეშე

პირველი გვერდიდან

“ბიზნესის საინფორმაციო ცენტრის" გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ტეფტი, ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ესწრებოდნენ.

ბიზნესის საინფორმაცოი ცენტრის პრეზენტაციას არც ქართველი და არც უცხოელი ბიზნესმენები არ დასწრებიან. ასეთ ინერტულობას ბიზნესელიტის მხრიდან საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები ვერაფრით ხსნიან.

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თქმით, ცენტრის საქმიანობა ქართული ეკონომიკის განვითარებას სერიოზულად შეუწყობს ხელს. "ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ადამიანს ფულის ჩადების სურვილი კი არ გაუქრეს, პირიქით, მეტი თანხა ჩადოს, მეტი სამუშაო ადგილი შექმნას და მეტი წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკონომიკის წინსვლის საქმეში," - განაცხადა პრეზიდენტმა.

ცენტრში ყველა ის ინფორმაცია იქნება თავმოყრილი, რაც ინვესტორს საქართველოში ბიზნესის დასაწყებად სჭირდება. როგორც პრეზენტაციაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, აღნიშნული ცენტრი დახმარებას გაუწევს საქართველოში ბიზნესის დაწყების მსურველებს. "მე სულ მესმის, რომ ვილაც ადამიანს, გინდა უცხოელი იყოს, გინდა ქართველი, საქართველოს ეკონომიკაში თანხების ჩადება უნდა და არ იცის, ვის მიმართოს.

ახლა ქალაქის მთავარ მოედანზე, ცენტრში, ყველაზე მთავარ შენობაში დასანახ ადგილზე იჯდება ადამიანების ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულ ინვესტორს დაეხმარება. რა ეროვნების იქნება ინვესტორი - ქართველი, რუსი, ამერიკელი თუ ყაზახი - ამას მნიშვნელობა არ აქვს. საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანაა, მოემსახუროს ყველას, ვინც ქვეყნით დაინტერესდება. ჩვენ ვართ ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი ქვეყანა. დაინტერესებული ადამიანი ერთ ადგილზე მივა და მისთვის ამომწურავ ინფორმაციას ამ ადგილიდან მიიღებს. ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ინვესტორებს სურვილი გაუჩნდეთ, 10-ჯერ მეტი ფული ჩადონ," - განაცხადა სააკაშვილმა.

ცენტრი, რომელიც საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაექვემდებარება, როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ ინვესტორებს მოემსახურება. ეკონომიკური განვითარების მინისტრის ირაკლი ჩოგოვაძის განცხადებით, ცენტრში თავმოყრილი იქნება ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის შესახებ, პრივატიზაციის მიმდინარეობაზე. "აქ იქნება აკუმულირებული ყველა ის ინფორმაცია, რაც ინვესტორს სჭირდება, რომ გაიგოს, რა ხდება ბიზნესის მხრივ ქვეყანაში," - განაცხადა ჩოგოვაძემ. ბიზნესის საინფორმაციო ცენტრი აშშ-ს საელჩოს და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

### მცხეთაში ელექტროენერგიის დატაცების გამო 600 ლარით დაჯარიმდნენ

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ზაჰესში მცხოვრებ 4 ფიზიკურ პირს (რუსლან გერლიანი, გრიშა დვალი, ფრიდონ ნათენაძე და ოლეგ გველესიანი), კანონის თანახმად, ელექტროენერგიის დატაცების ფაქტზე ადმინისტრაციული სახდელი დაადო 600 ლარის ოდენობით, რაც ფიზიკურ პირთა დაჯარიმების პირველი პრეცედენტია საქართველოში ელექტროენერგიის დატაცების კუთხით.

საქართველოს მთავრობის და ს.ს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი დაბა ზაჰესი გამრიცხველიანდა. დაბა ყოველთვის გამოირჩეოდა ელექტროენერგიის უყაირათო მოხმარებით და ურჩი გადამხდელების სიმრავლით. სიტუაცია ინდივიდუალური გამრიცხველიანების შემდეგაც რთულია. ხშირად მოსახლეობა არ აძლევს ენერგოკომპანიის თანამშრომლებს არგადამხდელ აბონენტთა ინდივიდუალურად გათიშვის საშუალებას; ხშირია ენერგოკომპანიის თანამშრომელთა ლანძღვის და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც კი. ბოლო დროს ენერგოკომპანიის ქონების დაზიანების და ელ.ენერგიის დატაცების ფაქტებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო.

ელექტროენერგიის დამტაცებლების მიმართ კანონი საკმაოდ მკაცრია, რაც უკვე მრავალმა იურიდიულმა პირმა გამოცადა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ხოლო ამ თანხის გარდა, რომელიც ბიუჯეტის სასარგებლოდ იხდება, აბონენტებს დატაცებული ელ.ენერგიის საფასურის გადახდაც მოუწევთ. მსგავსი ქმედების განმეორება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის - 15000 ლარით. **24 საათი**

### საქართველოსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა

ცამეტი წლის შემდეგ პირველად, საქართველოსა და რუსეთს შორის სამატარებლო მიმოსვლა აღდგა. 27 მაისიდან თბილისი-მოსკოვის მიმართულებით მოძრავი შემადგენლობა სამგზავრო მარშრუტს ყოველ მესამე დღეს შეასრულებს. თბილისიდან მოსკოვში მატარებელი სამ დღეში ჩავა. **24 საათი**

### რუსეთის ეკონომიკის დანაკარგები უკანონო მიგრანტთა გამო წელიწადში 200 მილიარდ მანეთს აჭარბებს

რუსეთის ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელის კონსტანტინ რომოდანოვსკის ინფორმაციით, რუსეთის ეკონომიკის დანაკარგები, უკანონო მიგრანტთა გამო, წელიწადში 200 მილიარდ მანეთს აჭარბებს. "ეს ციფრი რეალურად არსებულ მდგომარეობას ნამდვილად არ ასახავს. ჩვენ იგი ყველაზე მოკრძალებული გამოთვლებით მივიღეთ," - განაცხადა რომოდანოვსკიმ რუსეთის სათათბიროს სხდომაზე, რომელიც დემოგრაფიული სიტუაციის ხელშეწყობისათვის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას ეხებოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აზიის განვითარების ბანკი აზერბაიჯანს ენერგოპროექტის განხორციელებაში დაეხმარება

აზერბაიჯანის მთავრობა და აზიის განვითარების ბანკი 26 მაისს ელექტროენერგიის მიღების ალტერნატიული წყაროების გამოყენების პროექტის ტექნიკური მხარდაჭერის შესახებ შეთანხმებას გააფორმებენ. ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" ბანკის აზერბაიჯანის წარმომადგენლობიდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, აზიის განვითარების ბანკმა პროექტის კონსულტანტების მომსახურების ანაზღაურებისათვის 750 ათასი აშშ დოლარის გრანტი გამოყო. "ტრენდის" ინფორმაციით, აზიის განვითარების ბანკი პროექტისათვის 40 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სესხს გამოყოფს, საიდანაც 25 მლნ დოლარი შეღავათიანი პირობებით გაიცემა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ევროკომისია რუსეთს ენერგეტიკული გამჭვირვალობისკენ მოუწოდებს

ევროკავშირსა და რუსეთს შორის ენერგეტიკული საკითხების გარშემო დიალოგის დაწყება ავსტრიის ელჩმა ვოლფგანგ შუსელმა სოჩის სამიტზე უკვე ოფიციალურად მოითხოვა. ავსტრიის ლიდერის თქმით, ენერგეტიკული დიალოგი "გამჭვირვალობის პრინციპსა და შემოტანის უსაფრთხოებას უნდა შეესაბამებოდეს".

დამკვირვებელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ პრობლემები ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხებში მონაწილე ქვეყნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მოსკოვი "გაზპრომის" მეშვეობით ევროპაში პოზიციების გამყარებას ცდილობს. რუსეთის ხელმძღვანელობის აზრით, რუსეთის მხრიდან ბუნებრივი აირის შეუწყვეტელი მიწოდება გლობალური ეკონომიკის განვითარებას უზრუნველყოფს.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირის წარმომადგენლები მოსკოვისგან ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირებას დაჟინებით მოითხოვს. რუსეთი ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ევროკავშირის ქვეყნები ორმაგი სტანდარტებით მოქმედებენ და ცდილობენ ხელი შეუშალონ "გაზპრომის" ევროპულ ბაზარზე დამკვიდრებაში. სამიტზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მთავარი აქცენტები ენერგეტიკის სფეროში რუსეთთან ურთიერთობაზე გააკეთა. "ჩრდილო ევროპული გაზსადენის მშენებლობა და ევროპის ენერგოუსაფრთხოება- ეს ყველაფერი გლობალურ და რეგიონალურ განვითარებას ეხება, რაც ევროპელების ცხოვრების პირობებს სერიოზულად გააუმჯობესებს."-განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. სოჭის სამიტზე შუსელთან ერთად ევროკომისიის მეთაური ჟოზე მანუელ ბაროზუ და ევროკომისიის საშინაო პოლიტიკის და უსაფრთხოების წარმომადგენელი ხავიერ სოლანაც გამოვიდა.

## General Motors ბენზინის ფასის კომპენსაციას აპირებს

კორპორაცია General Motors ფლორიდასა და კალიფორნიის შტატში მცხოვრებ იმ ადამიანებს, ვინც მისი ფირმის ავტომობილებს შეიძენს, საწვავის ღირებულების ნაწილს დაუფარავს. აღნიშნული აქცია 2006-2007 წლებში გამოშვებულ ავტომობილებზე ვრცელდება და და საწვავზე შეღავათებს მხოლოდ ისინი მიიღებენ, ვინც ავტომობილს 25 მაისიდან 5 ივლისამდე შეიძენს. კომპანიის მიერ შემოთავაზებული შეღავათებით კი ავტომობილების მფლობელები ერთი წლის განმავლობაში ისარგებლებენ. მყიდველები, რომელიც General Motors-ის ავტომობილებს შეიძენენ, ერთ გალონ ბენზინში 1,99 დოლარს გადაიხდიან. ამერიკაში ბენზინი ამ ფასად დაახლოებით ერთი წლის წინ იყიდებოდა. დღეს კი ერთი გალონი საწვავის ფასი ამერიკულ ბაზარზე 3 დოლარია.

## Citigroup მოლაპარაკებებს China Life-თან აწარმოებს

ფინანსური მომსახურების სექტორში მომსახურე ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ Citigroup-მა ჩინურ სადაზღვევო კომპანია China Life Insurance co.-სთან ერთად Guangdong Development Bank (GDB)-ის შესყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაცია კომპანიებთან დაახლოებულმა პირმა გაავრცელა. მას შემდეგ რაც საბანკო მარეგულირებელმა ორგანოებმა უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე მთელი რიგი შეზღუდვები დააწესეს, Citigroup ვალდებულია გარიგების პირობებში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. "ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, თუმცა ჯერ ყველაფერი საწყის ეტაპზეა. ჯერ თანამშრომლობის არცერთი მემორანდუმისა და დოკუმენტისთვის ხელი არ მოგვიწერია."-აცხადებს China Life Insurance Co-ს წელმძღვანელობის წარმომადგენელი, რომელიც ვინაობის გამხელისგან, მოცემულ მომენტში თავს იკავებს.

თავიდან, Citigroup-ი ბანკის აქციების 40%-ის შესყიდვას 3 მილიარდ დოლარად აპირებდა. ამასთან, მას Carlyle group-ის სხვა ინვესტორებთან დაკავშირებაც სურდა, რომლებიც დანარჩენ 45%-ს შეისყიდიდნენ. ფრანგულ ბანკ Societe Generale-საც საწყის წინადადებაში გარკვეული კორექტივების შეტანა მოუწევს. კომპანია GDB-ს აქციების 24%-ის შესყიდვას აპირებდა. შეგახსენებთ, რომ კანონით, უცხოურ ინვესტორს ჩინურ საკრედიტო დაწესებულებაში 20%-ზე მეტი არ უნდა ჰქონდეს. ასე, რომ უცხოელი მეწილეების საერთო ფინანსური მონაწილეობა მხოლოდ 25%-ით განისაზღვრება. აღნიშნული ინფორმაციის მთავარმა წყარომ განაცხადა, რომ China Life-სა დაCitigroup-ს შორის მოლაპარაკებები შანჰაიში უკვე დაიწყო. Citigroup-ის წარმომადგენელი კომენტარისგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებს. 2002 წელს Citigroup China Life-ის აქციების 25%-ის შესყიდვას აპირებდა. 2003 წელს კი სადაზღვევო კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აქციები ჰონკონგის ბირჟაზე განეთავსებინა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული გარიგება შეთავაზებულ ფასებთან დაკავშირებული გაუგებრობის შედეგად ჩაიშალა. ამ ეტაპზე კი Citigroup-ს ახლი პირობები ჯერ არ გაუხმაურებია.

# ჩრდილოეთ ნახევარსფეროს საქმიანი ცენტრი

პირველი გვერდიდან







### სრული ბიზნესთავისუფლება

პანამაში მოქმედებს ოფშორული ბიზნესის განვითარებისაკენ მიმართული სპეციფიკური კანონმდებლობა, რამაც ამ ქვეყნის დასავლეთ ნახევარსფეროს საქმიან და საფინანსო ცენტრად ქცევა განაპირობა. პანამაში ხელსაყრელი საქმიანი კლიმატის შექმნას ხელს უწყობს სავალუტო შეზღუდვისა და კონტროლის არარსებობა და, ანგარიშსწორების ერთადერთი საშუალების სახით, ქვეყანაში ამერიკული დოლარის თავისუფალი მიმოქცევა. ამასთან, არ იზღუდება სააქციო კაპიტალის გამოშვება.

გარდა ამისა, სრულიად შეუზღუდავად, დაბეგვრის გარეშე შეიძლება ფონდების პანამიდან გატანა და პანამაში შეტანა. არ არსებობს კაპიტალის რეპატრიაციისა და აღურიცხავი ქონების კონტროლის მექანიზმი. პანამაში სრულად არის დაცული კომერციული და საბანკო საიდუმლო, ამ ქვეყანაში არ მოქმედებს გადასახადების და შემოსავლის შესახებ ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო ხელშეკრულება. მართალია, 1991 წელს, ვაშინგტონის ზეწოლით, აშშ-მ და პანამამ სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ იგი მხოლოდ ნარკობიზნესსა და სხვა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის გაკონტროლებაზე ვრცელდება.

ამ ყველაფრის და უცხოური წყაროდან მიღებულ ნებისმიერ შემოსავალზე ნულოვანი გადასახადის გამო პანამა ლათინოამერიკულ საგადასახადო სავანედ იქცა. მისი ტერიტორიიდან უცხოეთში ოპერაციებს აწარმოებს 400 ათასამდე ოფშორული კომპანია, რომელთაგან ბევრს პანამაში ოფისიც არ აქვს და, როგორც იტყვიან, მხოლოდ "ქაღალდზე არსებობს". მათ ემსახურება მსხვილი პანამური ფირმები, რომელთაგან თითოეული, სულ მცირე, 5 ათასამდე კლიენტის ინტერესებს წარმოადგენს.

ნებისმიერ უცხოელს შეუძლია, პანამაში კომპანია დააარსოს და ისეთივე შეღავათებით ისარგებლოს, როგორითაც პანამელმა. გამონაკლისი მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე საცალო ვაჭრობა გახლავთ. ორმა დამფუძნებელმა, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც პანამელები, ასევე უცხოელები, იურიდიულ ფირმას უნდა მიმართოს და 700 დოლარის გადახდის შემდეგ კომპანიის მეპატრონეები იქნებიან. შემდეგ კი ყოველწლიურად ადგილობრივი მთავრობისათვის 150 დოლარის გადახდა მოუწევთ. ასეთ მცირე თანხად რეგისტრაციას ვერც ერთ სხვა ოფშორულ ზონაში ვერ გაივლით.

### კოლონის თავისუფალი ზონა

1948 წელს შექმნილი, ქალაქ კოლონის თავისუფალი ზონა 1980-იანი წლებიდან დასავლეთ ნახევარსფეროს უმსხვილესი და, ჰონგ კონგის შემდეგ მსოფლიოში სიდიდით მეორე, თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრია. ამ ზონაში შეტანილი ნებისმიერი საქონელი შეიძლება იმპორტირდეს, შეინახოს, გადამუშავდეს და რეექსპორტირდეს ყოველგვარი გადასახადის გარეშე. ზონაში დაარსებული კომპანიები განთავისუფლებულია კაპიტალის მიმოქცევისა და მიღებულ დივიდენდზე გადასახადისაგან.

კოლონის თავისუფალ ზონაში ბიზნესის დასაწყებად საჭიროა, პანამაში დარეგისტრირებულმა კომპანიამ ზონის ადმინისტრაციისაგან ნებართვა აიღოს. ეს ფორმალობა გახლავთ და განსაკუთრებული ლიცენზია საჭირო არ არის, არც მინიმალური საინვესტიციო ცენზია დადგენილი. სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება ორგვარად: ან კომპანია შენობას დაიქირავებს იმ პირობით, რომ მისი კუთვნილი საქონლის 60 პროცენტს მაინც უცხოეთში გაიტანს, ან კიდევ მიწის ნაკვეთს იჯარით აიღებს და ზედ მისთვის საჭირო საწყობს ააშენებს.

თავისი საქმიანობისათვის კომპანია წელიწადში 1200 დოლარს იხდის. კოლონის თავისუფალ ზონაში მოქმედი კომპანიები სპეციალური შეღავათებით სარგებლობს. მაგალითად, უცხოური სავაჭრო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ 8,5 პროცენტით იბეგრება. მაგრამ თუ კომპანიაში 30-ზე მეტი პანამელი მუშაობს, გადასახადი კიდევ უფრო მცირდება.

### იაფი კაპიტალი

ცხადია, ბიზნესმენს კარგი ოფისიც სჭირდება. პანამის დედაქალაქის, კოლონის, ან სხვა მსხვილი ქალაქის საქმიან უბანში მშვენივრად კეთილმოწყობილ, დიდ ოფისს თვეში 700-დან 1200 დოლარის ფარგლებში დაიქირავებთ.

შესანიშნავი ბიზნესგარემოს გარდა, პანამა დიდებული კლიმატით და საკურორტო ღირსებებით გამოირჩევა. ამ ქვეყანაში უცხოელის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენაზე მხოლოდ ორი პატარა შეზღუდვა არსებობს: პანამაში ვერ იყიდით მიწას სახელმწიფო საზღვართან ახლოს და ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რეგიონებში. დიახ, პანამის მთავრობა მთელი ადგილობრივი სიმდიდრის ბატონ-პატრონია. ხოლო თუ თქვენს მიერ შეძენილ ნაკვეთზე მოულოდნელად რაიმე საბადო აღმოჩნდება, ნუ შეშინდებით, პანამის მთავრობა მიწას კი ჩამოგართმევთ, მაგრამ ზარალს სრულად აგინაზღაურებთ და კომპენსაციასაც მოგართმევთ.

ამ ქვეყანაში მიწა საკმაოდ იაფია. მაგალითად, მთიან რეგიონებში 1 კვადრატულ მიწის ფართობს 30 დოლარადაც კი იყიდით, მაგრამ, აბა, რაში გჭირდებათ? თქვენს ინტერესში შეიძლება შედიოდეს მხოლოდ ვაკე, ბაღნარ ადგილებში, ან კიდევ სანაპირო ზონაში მიწის შეძენა. პირველ შემთხვევაში კვადრატული მეტრი 100-დან 300 დოლარამდე დაგიჯდებათ, მეორეში კი - 300-დან 1000 დოლარამდე. ყველაზე ძვირად მიწა საკურორტო რაიონებში ფასობს.

როგორც ხედავთ, პანამაში მიწის შეძენა ერთობ იაფად შეგიძლიათ. ასევე ძალიან მცირეა გადასახადი, კერძოდ, 1 ჰექტარი ფართობი წელიწადში მხოლოდ 30 დოლარით იბეგრება. ყველაფერ ზემოთთქმულს თუ დავუმატებთ, რომ ქონების მემკვიდრეობით გადაცემისას არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ და პანამაში მუშახელი და სამშენებლო მასალები ძალიან იაფია, მიხვდებით, რომ ამ ქვეყნის მშვენიერ სანაპიროზე ვილის აშენება და განცხრომით დასვენება, ან კიდევ სასტუმროს, ან რესტორნის წამოჭიმვა და ამგვარი ბიზნესის წარმოება ნამდვილად ღირს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ პანამის ორივე - დასავლეთ და აღმოსავლეთ - სანაპირო და კუნძულები ერთნაირად მიმზიდველი საკურორტო ადგილებია და უძრავი ქონება ამ ქვეყანაში ნელა, მაგრამ მაინც ძვირდება.

ხოლო თუ დროის დაკარგვა არ გსურთ, შეგიძლიათ, სანაპიროზე მშვენიერი ვილა ასევე მეტად იაფად შეიძინოთ. მაგალითად, ზეპრესტიჟულ ადგილას ხუთოთახიანი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სახლი აუზით, ჯაკუზით, ავეჯით და საკუთარი პლაჟით 50 ათას დოლარამდე დაგიჯდებათ.

ვისაც დიდ ქალაქში ბინის შეძენა სურს, პრესტიჟულ რაიონში 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 200-დან 500 დოლარამდე დაუჯდება. როგორც ხედავთ, პანამაში გაცილებით სიიაფეა, ვიდრე თბილისში.

რაც შეეხება უძრავი ქონების გადასახადს, პანამაში ისიც ძალიან დაბალია და წელიწადში საკუთრების ღირებულების 1,4-დან 2,1 პროცენტამდე მერყეობს. თუმცა, მაქსიმალურ ბეგარას ის პირები იხდიან, რომლებიც 75 ათას დოლარზე მეტად შეფასებულ ქონებას ფლობენ. პანამის კანონმდებლობის მიხედვით, ასევე ძალიან მცირე, 1,4 პროცენტის ოდენობის გადასახადია გათვალისწინებული უძრავი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავალზე.

როგორც ხედავთ, პანამაში ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ მომგებიანი ბიზნესი აწარმოოთ, დიდი ფული იშოვნოთ და მინიმალურ ფასად შეძენილ, მშვენიერ საკურორტო ზონაში მდებარე ვილაში ბატონკაცურად დაისვენოთ.

# საუდის არაბეთის პრინცი ჩინეთის ბანკში წილს ყიდულობს



ალ-ვალიდ ბინ ტალიალი.

საუდის არაბეთის პრინცი ალ-ვალიდ ბინ ტალიალი Bank of China-ს აქციების შესყიდვას აპირებს და ამ გარიგებაში მზად არის, რომ ორი მილიარდი დოლარი გადაიხადოს. ამასთან ერთად, საუდის არაბეთის პრინცი Citigroup-ში 11 მილიარდიანი წილის მფლობელია. მასვე ეკუთვნის Disney-სა და ლა-მანშის Eurotunnel-ის აქციების პაკეტიც.

აღნიშნულ გარიგებამდე, რამდენიმე დღით ადრე, Bank of China-მ ბირჟაზე გასვლის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ამის მიზეზი კი 10 მილიარდი დოლარის მოზიდვა გახდა. ქვეყნის სიდიდით მეორე ბანკის ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულმა ამ განცხადებამ ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩინეთის ათასობით მოქალაქეს საბანკო აქციების რიგებში მოუხდათ ჩადგომა. ჩინელები აცხადებენ, რომ მათ ბანკის აქციების ზრდის ჯერათ და იმედოვნებენ, რომ ფასიან ქაღალდებს გრძელვადიანი დაბანდებების ინსტრუმენტად გამოიყენებენ.

Bank of Cina-ს კაპიტალიზაცია 92,4 მილიარდს აჭარბებს. აქედან გამომდინარე, მას სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მეათე ადგილი უჭირავს. Bank of China-მ ჩინეთის უმსხვილეს IPO-ში შესვლისას 25,57 მილიარდიანი აქციები გაყიდა, რაც თავისი სააქციო კაპიტალის 10,5 პროცენტს შეადგენს.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდა გაგრძელდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდის ტენდენცია გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა პირველ კვარტალში აშშ-ს შიდა პროდუქტის მოცულობის 5,3 პროცენტით გაზრდის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ. რაც 2003 წლის მესამე კვარტლის შემდეგ დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გარდა ამისა, საბირჟო მოედნებზე არსებულ სიტუაციაზე გავლენა მოახდინა რამდენიმე დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლემ, ნავთობის გაიაფებამ და დოლარის კურსის გამყარებამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,64 პროცენტით, 11.187,92 პუნქტამდე გაიზარდა. 0,85 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.187,55 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,8 პროცენტით, 1.268,58 პუნქტამდე გაიზარდა.

## ნავთობის ფასი "ფსიქოლოგიურ ნიშნულს" ჩამოცდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასები შემცირდა და კვლავ "ფსიქოლოგიურ ნიშნულად" წოდებულ 70 დოლარი/ბარელს ჩამოცდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 69,22 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 69,86 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ამის მიზეზი ნავთობპროდუქტების, განსაკუთრებით კი ბენზინის ფიუჩერსებზე ფასის შემცირებამ განაპირობა. კერძოდ, საწვავი მაზუთი 3 პროცენტით, ბენზინი კი 4,2 პროცენტით გაიაფდა, რამაც გავლენა ნავთობის ფასზე მოახდინა.

ნავთობის ბირჟაზე გუშინ შექმნილ საერთო სიტუაციაზე დიდი გავლენა მოახდინა აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ქვეყანაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის გაზრდის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ. გარდა ამისა, ზაფხულის მოახლოებამ ბუნებრივ აირზე მოთხოვნილების შემცირება და მისი გაიაფება გამოიწვია, რამაც ნავთობის ფასზე ასევე გარკვეული გავლენა მოახდინა.

ექსპერტთა აზრით, ნავთობის კიდევ უფრო გაიაფდებოდა, რომ არა სინოპტიკოსების მიერ მექსიკის ყურეში მოსალონდელი შტორმების შესახებ გამოთქმული პროგნოზი.

## ოპეკმა მსოფლიოს ყველაზე არასტაბილური ქვეყანა მიიპატიჟა

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა კარტელმა ოპეკმა სუდანს ორგანიზაციის წევრობა ოფიციალურად შესთავაზა. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ომერ ალ ბაშირმა განაცხადა.

შეთავაზების ავტორი ნიგერიის პრეზიდენტი ოლუსეგუნ ობასანჯო გახლავთ, რომელსაც ამჟამად ოპეკის თავმჯდომარის პოსტი უჭირავს. ჯერჯერობით სუდანს ოფიციალური პასუხი არ გამოუქვეყნებია. ომერ ალ ბაშირის თქმით, ქვეყანამ წინადადების ყველა დეტალი დაწვრილებით უნდა შეისწავლოს.

სუდანი დღე-ღამეში დაახლოებით 500 ათასი ბარელ ნავთობს მოიპოვებს და 2007 წლისათვის ამ მაჩვენებლის გაზრდაა ნავარაუდევი. მიუხედავად ამისა, სუდანი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და ღატაკი სახელმწიფოა, რადგან, იგი პლანეტის ყველაზე არასტაბილური ქვეყანა გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის ოპეკის წევრები არიან: ალჟირი, ვენესუელა, ერაყი, ირანი, ინდონეზია, ყატარი, კუვეიტი, ლიბია, ნიგერია, საუდის არაბეთი და არაბეთის გარვიანებული საემიროები. ეს 11 ქვეყანა ერთად მსოფლიო ნავთობის 40 პროცენტს მოიპოვებს.

## ბრაზილია მსოფლიოს უმსხვილესი ენერგეტიკული სახელმწიფო გახდება

ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიუ ლუნა და სილვამ განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ ენერგეტიკაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა და მალე პლანეტის უმსხვილესი ენერგეტიკული სახელმწიფო გახდება.

პრეზიდენტის თქმით, უპირველეს ყოვლისა, ეს საწვავის წარმოებას ეხება, რომელიც ბრაზილიაში ეთილის სპირტის საფუძველზე გამოიგონეს და რომელზეც ადგილობრივი წარმოების ავტომობილების მეოთხედი მუშაობს. გარდა ამისა, როგორც ლუნა იუწყება, მალე "ბრაზილია ბიოდიზელის საწვავის წარმოებაში მოდის კანონმდებელი გახდება".

რამდენიმე დღის წინ ბრაზილიის პრეზიდენტმა დიზელის საწვავის და სხვადასხვა სახის მცენარეული ზეთების შერევით ახადი ტიპის საწვავის მიღების შესახებ განცხადება გააკეთა. ბრაზილიელ მეცნიერთა აზრით, დიზელის და ზეთების შერევით მიღებული საწვავი ეკოლოგიურად სუფთა იქნება და ნავთობის ხარჯსაც შეამცირებს.

ეთილის სპირტზე დამზადებული საწვავის და ბიოდიზელის გამოგონების გარდა, ბრაზილიის პრეზიდენტის თქმით, მისი ქვეყნის უმსხვილეს ენერგეტიკულ სახელმწიფოდ გადაქცევას ხელს შეუწყობს ისიც, რომ ბრაზილია ადგილობრივი ნავთობით საკუთარ მოთხოვნილებას უკვე სრულად იკმაყოფილებს, ორი წლის შემდეგ კი გაზის შეძენაც აღარ დასჭირდება.



ლუის ინასიუ ლუნა და სილვა.




# როგორ მომსახურებას ჰპირდება "სახალხო ბანკი" 900 ათას პენსიონერს

ია გვერდიდან

ფართო ქსელის არსებობის მიუხედავად, ბანკმა ხელისუფლების წარმომადგენლების გაფრთხილება მიიღო. მიმდინარე კვირის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტი შავი ზღვის ქუჩაზე მდებარე "სახალხო ბანკის" ფილიალში მივიდა. მიხეილ სააკაშვილს ფილიალში უამრავი პენსიონერი დახვდა, რომელთა თქმით, 33-ლარიანი პენსიის მისაღებად რიგში საათობით უწევთ დგომა. "თუ "სახალხო ბანკი" პრობლემას დროულად ვერ მოაგვარებს, მას უნდა ჩამოერთვას პენსიების დარიგების უფლება და სხვა ბანკს გადაეცეს," - განაცხადა პრეზიდენტმა.




გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე ბანკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ "სახალხო ბანკი" პენსიონერების მომსახურების დონესთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნებს იმსახურებდა. ამიტომ, მან საჭიროდ ჩათვალა, საზოგადოებას გააცნოს ის გეგმები, რომლებიც ბანკის მომსახურების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

სამომავლო გეგმების განხილვა ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა. საკითხის მიმართ დაინტერესება გამოხატეს დეპუტატებმა მიხეილ მაჭავარიანმა, ირაკლი კოვზანაძემ, დავით კირკიტაძემ და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხევიაშვილმა. როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ "სახალხო ბანკი" პენსიონერების მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს გადაჭრის. მაჭავარიანი ისანი-სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია და "სახალხო ბანკმა" მის საარჩევნო უბანში პენსიების გაცემასთან დაკავშირებით ყველა პრობლემა მოაგვარა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება "სახალხო ბანკის" ჩანაცვლებას "საქართველოს ბანკით" აპირებს. დეპუტატმა დავით კირკიტაძემ განაცხადა, რომ "თუ "სახალხო ბანკი" იმ პროექტებს განახორციელებს, რაზეც დღეს იყო საუბარი, ბანკის ჩანაცვლება არ მოხდება და იგი გააგრძელებს პენსიონერთა მომსახურებას."

"სახალხო ბანკმა" ორი წლის წინ მთავრობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა (კონტრაქტის ვადა მიმდინარე წლის დასასრულს იწურება და ტენდერი, სავარაუდოდ, სექტემბერში გამოცხადდება) და პენსიების დარიგება დაიწყო. მაშინ ხელშეკრულება "სახალხო ბანკსა" და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს შორის გაფორმდა. დღემდე ბანკი 900 ათას პენსიონერს ემსახურება. მათ შორის, 350 ათას ინვალიდ პენსიონერს კუთვნილი პენსია სახლში რომ მიელო, ამისთვის ბანკმა 800 ადამიანი დაიქირავა. დღეისთვის ბანკში 4 500 ადამიანი მუშაობს. საქართველოს 72 რაიონიდან ბანკის ფილიალები 42 რაიონში მოქმედებს. ბანკს უკვე გახსნილი აქვს 160 ფილიალი, სადანაც 55 დედაქალაქის მოსახლეობას ემსახურება.

რაში გამოიყენებს და რის გაკეთებას აპირებს "სახალხო ბანკი" პრეზიდენტის მიერ მიცემულ ე.წ. ერთთვიან ვადაში? უახლოეს ერთ თვეში დამატებით 12 ფილიალი გაიხსნება და დედაქალაქის რამდენიმე უბანში ე.წ. მინი-ბანკები, 24-საათიანი მომსახურების პავილიონები ჩაიდგმება. "ამასთან, მიმდინარე წლის ბოლომდე ჩვენ ვგეგმავთ ერთი მილიონი სოციალური პლასტიკური ბარათის ემიტირებას, რაც პენსიონერების მომსახურების დონეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ნებისმიერ პენსიონერს შეეძლება, პლასტიკური ბარათის მეშვეობით მისი კუთვნილი პენსია მიიღოს "სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში და ე.წ. მინი-ბანკებში, ანუ პავილიონებში, სადაც ბანკომატები იქნება განთავსებული," - განაცხადა გიორგი გოგუაძემ.

"სახალხო ბანკი" მომხმარებელს უახლოეს მომავალში "PSP"-ს სააფთიაქო ქსელში ფასდაკლებასაც შესთავაზებს. კერძოდ, ბანკის კლიენტებს ამ ქსელში წამლების ათპროცენტიანი ფასდაკლებით შეძენა შეეძლებათ. "სახალხო ბანკი" საკუთარ კლიენტებს წამლის შესაძენად საჭირო სესხსაც გამოუყოფს.

მიმდინარე წლის დასასრულს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი კვლავ გამოაცხადებს ტენდერს იმ კონტრაქტორი ბანკის გამოსავლენად, რომელიც ქვეყანაში პენსიების გაცემის მომსახურებას გასწევს. "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე დარწმუნებულია, რომ წლის ბოლომდე ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯებით, სოციალური მომსახურების სფეროში ისეთ კომფორტულ გარემოს შექმნის, რომ მას კონკურენტი ბანკი არ ეყოლება და ტენდერშიც გაიმარჯვებს.




# ეთანოლის ბუმი აშშ-ში

საწვავზე ფასის განუხრელი ზრდა და ეკოლოგიური პრობლემები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს და პირველ რიგში აშშ-ს, ალტერნატიული საწვავის, კერძოდ კი ეგრეთ წოდებული ბიოსაწვავის გამოყენების დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს.

ბოლო რამდენიმე წელია, აშშ-ში ეთანოლის (ალკოჰოლური სპირტის) წარმოების ინდუსტრია არითმეტიკული პროგრესიით ვითარდება. ეს პროცესი სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც - ეთანოლის და ბიოდიზელის წარმოებისთვის საჭიროა როგორც ახალი გამოსახდელი ქარხნები, ასევე ასეულობით ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც ეთანოლის წარმოებისთვის აუცილებელი ნედლეულის - სიმინდის, მზესუმზირას, სოიოსა და სხვა კულტურების მოყვანა ხდება. ამერიკელი ინვესტორები გაბედულად აბანდებენ მილიარდობით დოლარს საქმეში, რომელმაც არცთუ შორეულ მომავალში, უნდა შეამციროს აშშ-ის დამოკიდებულება იმპორტირებულ ნავთობზე.



განახლებადი საწვავის ასოციაციის წევრი მეტ ჰარტვიგი ამბობს, რომ ეთანოლის ბიზნესის ზრდამ აშშ-ში 153 000 ახალი სამუშაო ადგილი წარმოქმნა და საშუალო ამერიკელის მთლიანი წლიური შემოსავალების ჯამი 5.7 მილიარდ დოლარამდე გაზარდა.

ჰარტვიგის თქმით, აშშ-ში ამჟამად ეთანოლის გამომხდელი 97 ქარხანა მუშაობს, რომლებსაც წლიურად 4.5 მილიარდი გალონი (ერთი აშშ გალონი 3.78 ლიტრს შეადგენს) ეთანოლს გამომუშავება შეუძლია. მაგრამ, როგორც ირკვევა, მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეს უკვე აღარაა საკმარისი.

ჰოდა, ბაზარიც პასუხობს წარმოქმნილ დისბალანსს - ქვეყანაში უკვე შენდება კიდევ 35 ქარხანა, რომლებიც მერმის ჩადგებიან მწყობრში და ბაზარს დამატებით 2.2 მილიარდი გალონი ეთანოლით შეავსებენ.

პარალელურად, ბევრი შიშობს, რომ ეთანოლზე მოთხოვნის ზრდის დასაკმაყოფილებლად ზრუნვას, შესაძლოა სიმინდისა და სხვა კულტურების საკვები დანიშნულებით გამოყენების შემცირება მოჰყვეს.

კომპანია "ქერგილის" მთავარი აღმასრულებელი უორენ სტეილს მიაცჰნია, რომ ფერმერების მიერ მოწეული მოსავალი პირველ რიგში, საკვები დანიშნულებით უნდა იქნას გამოყენებული, შემდეგ საფურაჟედ და ბოლოს, ეთანოლის წარმოებისთვის. "დღეს ხდება ეთანოლის წარმოებისთვის ნახალისება, საკვების წარმოებას კი გარკვეული ბარიერები ექმნება", - ამბობს სტეილი.

მის აზრს არ იზიარებს "არჩერ დანიელს მიდლენდის" (ეთანოლის უდიდესი მწარმოებელი აშშ-ში) ფი ალენ ანდრიასი, ვინც აცხადებს, რომ ქვეყანაში საკმაოზე ბევრია ტერიტორია იმისათვის, რომ ისინი როგორც საკვების, ასევე ეთანოლის ნედლეულის საწარმოებლად გამოიყენონ.

"არჩერ დანიელს მიდლენდს" უკვე აქვს სპირტის ქარხნები, მაგრამ კიდევ აშენებს ერთს შტატ ნებრასკას ქალაქ კოლამბუსთან. ამ ქარხნის წლიური წარმადობა 275 მილიონი გალონი ეთანოლი იქნება.

კვლევით კომპანია "მენ გლოუბლ რისერჩის" ანალიტიკოსი რიჩ ფელტსი აცხადებს, რომ ეთანოლის მოხმარება კატასტროფულად უნდა გაიზარდოს იმისათვის, რომ საფუძველი მიეცეს სტეილის მიერ შემოთავაზებულ სცენარს "საკვები საწვავის წინააღმდეგ".

"ახლა ეთანოლის ინდუსტრია ჩვენში წარმოებული სიმინდის 15 პროცენტს გადაამუშავებს. პროგნოზებით, 2010 წელს მოხმარება 25 პროცენტამდე გაიზრდება. სწორედ ესაა ის ზღვარი, რის შემდეგაც დავდგებით დილემის წინაშე - საწვავის სავსე აუზი, თუ სავსე მუცლები. სწორედ ამის შემდეგ მოგვიწევს არჩევანის გაკეთება", - ამბობს ფელტსი.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემებით, ეთანოლის წარმოებისთვის ქვეყანაში შარშან 1.6 მილიარდი ბუშელი (ერთი ბუშელი 36.4 ლიტრს უდრის) სიმინდის მარცვალი იქნა გამოყენებული, წელს კი მოხმარება 2.0 მილიარდ ბუშელამდე გაიზრდება, რაც ქვეყანაში წარმოებული სიმინდის მარცვლის საერთო რაოდენობის 20 პროცენტია.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ხელისუფლება ეთანოლის საწვავის დანიშნულებით წარმოებას სერიოზული შეღავათებით ახალისებს. კერძოდ, მთავრობა ეთანოლის მწარმოებლებს გადასახადების შეღავათებს უწესებს, ან სუბსიდიებს გამოყოფს ყოველ წარმოებულ გალონზე 51 ცენტის ოდენობით.

ამასთან, პრეზიდენტმა ბუშმა კონგრესს დაავალა, რომ მან გალონზე 54 ცენტით შეამციროს ბრაზილიიდან შემოტანილი საწვავი ეთანოლის საბაჟო გადასახადი. ბუშის ამ დავალებას უკმაყოფილება მოჰყვა ეთანოლის ადგილობრივ მწარმოებლებს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ შემოტანილ ეთანოლზე ტარიფის შემცირებით, გადასახადების ხარჯზე მოხდება უცხოური ეთანოლის სუბსიდირება, რაც არასწორია.

## ეთანოლი - ალტერნატიული საწვავი

ცნობისათვის, თითქმის ყველა ავტომწარმოებელი აცხადებს, რომ მისი ავტომობილი ყოველგვარი პრობლემის გარეშე მუშაობს ეთანოლისა და ბენზინის 10-15-პროცენტიან ნარევზე (ნარევის 10-15 პროცენტი ეთანოლია, დანარჩენი კი - ბენზინი).

ასეთი ნარევი (E15) სამი ერთეულით აუმჯობესებს საბაზო ბენზინის ოქტანურ რიცხვს. ამასთან, საგრძნობლად სუფთავდება გამონაბოლქვი აირი. სხვათა შორის, ბენზინთან შედარებით, ეთანოლი წვის ნაკლებ კუთრ სითბოს გამოყოფს, მაგრამ ის უკეთ აგრილებს წვის კამერას. თანაც, წვისთვის ნაკლები რაოდენობით ჟანგბადს საჭიროებს. შესაბამისად, უფრო დიდი რაოდენობით საწვავი შედის წვის კამერაში და გამომუშავებული ენერგიაც იზრდება (ბენზინთან შედარებით).

გარდა ამისა, წვის კამერაში ეთანოლი სრულად იწვის და დგუშებზე თითქმის არ ტოვებს ნამწვავს, რომელიც ბენზინის გამოყენების შემთხვევაში, ხშირად წარმოქმნის დეტონაციის წყაროს. შესაბამისად, გარემო არ ბინძურდება არასრული წვის პროდუქტებით, როგორიცაა ნახშირჟანგი (CO). ეთანოლს უარყოფითი თვისებაც გააჩნია. ის კოროზიულია და საწვავის ხარჯსაც ოდნავ ზრდის. კოროზიულობის გამო, ავტომობილში E85 მარკის (ასეთ საწვავში ეთანოლის პროცენტული შემცველობა 85 პროცენტამდე იზრდება) გამოყენებისთვის აუცილებელია საწვავის მიწოდების სისტემის მოდერნიზება. ასევე სპეციალური მოდიფიცირება სჭირდება ძრავის მართვის კომპიუტერული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას.

**ცნობისათვის**, აშშ-ში მაისიდან ამოქმედდა ახალი კანონი, რომელიც კრძალავს ბენზინში დანამატის სახით მეთილტრიბუთილის ეთერის გამოყენებას, რომლის ნაცვლადაც, ბენზინის ოქტანური რიცხვის ასამაღლებლად ამიერიდან ეთანოლს გამოიყენებენ!

## ეთანოლზე იაპონიაც გადადის

ბენზინის იაპონელი იმპორტიორები 2010 წლისთვის გეგმავენ ისეთ საწვავზე გადასვლას, რომელსაც დანამატის სახით ეთანოლი ექნება შერეული. ახლა ეს კომპანიები განიხილავენ ეთანოლის ან მისი წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ერთობლივად იმპორტის საკითხებს. ისინი ვარაუდობენ, რომ მზა ეთანოლს, ან მისი წარმოებისთვის აუცილებელ ნედლეულს ბრაზილიაში, ან სხვა ქვეყნებში შეიძენენ.

იაპონელები დარწმუნებულნი არიან, რომ ეთანოლის გამოყენებით, ისინი შეძლებენ საწვავზე სტაბილური ფასების მეტ-ნაკლებად შენარჩუნებას. ამასთან, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ საწვავში ეთანოლის გარევა მნიშვნელოვნად შეამცირებს წვის ტოქსიკური პროდუქტებით ატმოსფეროს დაბინძურებას.

## ამინდი

| | 26/05 | 27/05 | 28/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 22 | 20 | 16 |
| რიგა | 13 | 13 | 16 |
| ვილნიუსი | 11 | 10 | 15 |
| მოსკოვი | 22 | 13 | 17 |
| მინსკი | 13 | 13 | 14 |
| პარიზი | 18 | 20 | 19 |
| რომი | 26 | 28 | 28 |
| ლონდონი | 14 | 15 | 15 |
| მადრიდი | 24 | 28 | 30 |
| ბონი | 11 | 16 | 16 |
| ვარშავა | 13 | 16 | 14 |
| ათენა | 27 | 29 | 32 |
| ბერნი | 21 | 21 | 21 |
| ამსტერდამი | 10 | 14 | 12 |
| ოსლო | 12 | 16 | 14 |
| ანკარა | 30 | 27 | 29 |
| ვარნა | 27 | 24 | 28 |
| დელი | 55 | 54 | 47 |
| ტოკიო | 23 | 17 | 19 |
| კოპენჰაგენი | 10 | 13 | 11 |
| ბაქო | 28 | 31 | 25 |
| ერევანი | 33 | 31 | 26 |
| ასტანა | 18 | 22 | 23 |
| ჰელსინკი | 10 | 10 | 8 |
| დუბლინი | 13 | 13 | 12 |
| ლისაბონი | 28 | 30 | 32 |
| პრაღა | 12 | 14 | 14 |
| სოფია | 26 | 25 | 27 |
| ბუდაპეშტი | 19 | 19 | 24 |
| ბუხარესტი | 27 | 24 | 28 |

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

პლაჟზე გასარუჯად არ გავსულვართ




C2

ხუან პაბლო სორინი: "პეკერმანმა არგენტინა ამოუცნობი გახადა"



C3

ზოგჯერ მწვრთნელსაც არ უნდა დაუჯერო



C4



სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15




# ტოპმიოლერი გამარჯვებებისთვის ემზადება



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ჩვენი ბიჭები ხვალ ზელანდიას გაეჭიბრებიან.*

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წელს უკვე ოთხი მატჩი ჩაატარა, მაგრამ ტოპმიოლერმა ვერც ერთში ოპტიმალური შემადგენლობა ვერ გამოიყვანა. ხვალ პირველად საქართველოს ნაკრები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით შეიკრიბება და საერთაშორისო სპარინგ-მატჩს ჩაატარებს. ტოპმიოლერის მუშაობის ათვლის წერტილადაც, უპრიანი იქნება, სწორედ ეს თარიღი მივიჩნიოთ. ხვალინდელ მატჩში ჩვენი მეტოქე ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრები იქნება. მატჩი გერმანიის ქალაქ კიოლნთან ახლოს, ალტერკირხენში გაიმართება. მართალია, ახალი ზელანდიის ნაკრები დიდი საფეხბურთო ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის და მასთან წარმატება დიდ მიღწევად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ფსიქოლოგიური და მორალური თვალსაზრისით მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ ზელანდიელებთან მატჩიდან ოთხ დღეში ტოპმიოლერის შეგირდებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე პარაგვაის ნაკრებთან ელით ტესტ-თამაში.

საქართველოს ნაკრები უკვე ალტერკირხენშია და მომავალი მატჩისთვის ემზადება. ტოპმიოლერის გუნდს ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა. კერძოდ, ზაალ ელიავა, ლევან ცქიტიშვილი, ლევან მაღრაძე და ლაშა ჯაკობია ავსტრო-გერმანულ შეკრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ყველა სხვა ფეხბურთელი მწყობრშია და ზელანდიელებთან დაპირისპირებისთვის ემზადება, რითაც გერმანელი სპეციალისტი დიდად კმაყოფილია.

"ეს შეკრება ძალზე წაგვადგება. როგორც იქნა, უძლიერესი შემადგენლობა შევკრიბე. ბიჭების მზადყოფნით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა მგონია, რომ შესარჩევი ციკლისთვის უკეთეს ფორმაში იქნებიან. ახალზელანდიელებთან მატჩში ჩვენთვის ბევრი რამ იქნება მნიშვნელოვანი. ცხადია, უმთავრესი შედეგია. მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ", - ოპტიმისტურად არის განწყობილი ტოპმიოლერი.

შეკრება 24 მაისს დაიწყო. პირველ დღეს ტოპმიოლერმა ერთი ვარჯიში ჩაატარა - მგზავრობით დაღლილი ფეხბურთელები მსუბუქად ავარჯიშა. გუშინაც მხოლოდ ერთხელ ივარჯიშეს. ამის მიზეზი ამინდი იყო - დილით გაწვიმდა და მწვრთნელმა სველ მინდორზე ფეხბურთელების დატვირთვისგან თავი შეიკავა. ნაკრებს იდეალურ პირობებში უწევს შეკრების ჩატარება - ალტერკირხენის საფეხბურთო ინფრასტრუქტურა საერთაშორისო სტანდარტებისაა, მოედანი და სავარჯიშო პირობები - საუკეთესო.

ამასობაში ჩვენმა ხვალინდელმა მეტოქემ ორი დღის წინ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ახალზელანდიელები სტუმრად ეთამაშნენ უნგრეთის ეროვნულ გუნდს და დამარცხდნენ - 0:2. ჩვენი გუნდის კიდევ ერთმა მეტოქემ, პარაგვაის ნაკრებმა ოსლოში გამართა სპარინგთამაში ნორვეგიის ნაკრებთან. შეხვედრა ფრედ - 2:2 დასრულდა.

დღეს მეც გერმანიასა და ავსტრიაში მივემგზავრები და მომდევნო გამოშვებებში შევეცდები დეტალურად მოგაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს ნაკრების მზადებისა და სპარინგმატჩების თაობაზე.

## ქართველი მამაკაცების პირველი მარცხი



ძაგნიძემ გადამწყვეტ მატჩში გელდიევა დაამარცხა.

ტურინში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე გუშინ მეხუთე ტური გაიმართა. ოთხი ტურის შემდეგ ქართველი მამაკაცები 11.5 ქულით მე-10 ადგილზე იყვნენ და 2 ქულით ჩამორჩებოდნენ რუსეთის ნაკრებს, რომელიც 13.5 ქულით ლიდერობდა ოლიმპიადას.

მეხუთე ტურში ქართველი მამაკაცების მეტოქე აშშ-ს ნაკრები იყო. აღსანიშნავია, რომ ამერიკელებს, ისევე როგორც ქართველებს, 11.5 ქულა ჰქონდათ დაგროვილი. შესაბამისად, მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ჰონდა.

საკუთარი პარტია პირველმა დაასრულა გელაშვილმა, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა. ის აკობიანს დაუზავდა. საქართველოს ნაკრების ლიდერმა ბაადურ ჯობავამ თეთრებით წააგო ამერიკელთა უძლიერს მოჭადრაკესთან გატა კამსკისთან. მესამე დაფაზე თეთრებით მოთამაშე გაგუნაშვილმა ნაკამურას დამარცხება შეძლო და პარტიაში ანგარიში გათანაბრდა. შეხვედრის ბედი ფანცულაიასა და ონიშჩუკის პარტიას უნდა გადაეწყვიტა. შავი ფიგურებით მოთამაშე ფანცულაიამ ვერ შეძლო ონიშჩუკისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ჩვენმა მამაკაცთა ნაკრებმა ტურნირზე პირველი მარცხი განიცადა. ცხადია, გაუარესდა ქართველ მამაკაცთა სატურნირო მდგომარეობა.

რაც შეეხება ქართველ ქალებს. 4 ტურის შემდეგ ისინი 8 ქულით მე-18 ადგილზე იყვნენ და ლიდერს - რუსეთის ნაკრებს სამნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ. მეხუთე ტურში ქართველებს თურქმენეთის ნაკრებთან მოუხდათ დაპირისპირება. ოთხი ტურის შემდეგ ამ გუნდსაც 8 ქულა ჰქონდა.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ჯავახიშვილმა თეთრი ფიგურებით სწრაფად დაამარცხა ჰალაიევა. მესამე დაფაზე მოთამაშე ლომინეიშვილმა ვერაფერი გააწყო ოზეროვასთან და დამარცხდა. მატჩის ბედი წყდებოდა ძაგნიძისა და გელდიევას პარტიაში, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ძაგნიძემ შავი ფიგურებით მოახერხა მეტოქის დამარცხება და საქართველოს ნაკრებს მეტად საჭირო ქულა მოუტანა.

## რეკობა "ინტერში" დარჩა

იტალიური პრესის ცნობით, მილანის "ინტერის" ურუგვაელი თავდამსხმელის ალვარო რეკობას თქმით, კლუბთან ახალი კონტრაქტის პირობები საბოლოოდ შეათანხმა.

"ინტერში" მომდევნო სეზონშიც ვითამაშებ. აზრადაც არ მომსვლია სხვა კლუბში გადასვლა. ჩემს აგენტს ავუკრძალე კიდეც ამ თემაზე საუბარი. მინდოდა მასიმო მორატის შევხვედროდი და პირადად მეთქვა, რომ კლუბში დარჩენა მინდოდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა და შემიძლია მშვიდად დავისვენო", - განაცხადა ურუგვაელმა თავდამსხმელმა.

## "პალერმო" ორი ფეხბურთელით გაძლიერდა

იტალიურმა "პალერმომ" კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი - ნახევარმცველი რობერტო გუანა და მეკარე ალბერტო ფონტანა - დაიმატა. გასულ სეზონში "ასკოლიში" მოთამაშე 25 წლის გუანამ 33 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა. რაც შეეხება მილანის "ინტერის" ექს-გოლკიპერს, 39 წლის ფონტანას, "კიევოს" შემადგენლობაში მან 29 შეხვედრა გამართა. წლევანდელი სეზონი "პალერმომ" სერია ა-ში მერვე ადგილზე დაასრულა, რითაც ევროთასებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

## "რეინჯერი" გულშემატკივრების გამო დაჯარიმდა

უეფას საიტის ცნობით, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მათი პროტესტი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში "ვილიარეალი" - "რეინჯერსის" მატჩისას მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, "რეინჯერსი" 19 500 ევროთი დაჯარიმდება გულშემატკივართა უსაქციელობის გამო. შეგახსენებთ, რომ შოტლანდიელმა ფანებმა ჯერ 22 თებერვალს "აიბროქსის" სტადიონზე, შემდეგ 7 მარტს უკვე "მადრიგალზე" რასისტული შინაარსის სიმღერები იმღერეს, რითაც შეურაცხყოფას აყენებდნენ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს.

## "ვილიარეალი" ტრისტანით დაინტერესდა

ესპანური პრესის ცნობით, "ვილიარეალის" ხელმძღვანელობა მზადაა "დეპორტივოს" თავდამსხმელის დიეგო ტრისტანის სანაცვლოდ სამი მილიონი დოლარი გადაიხადოს.

ესპანეთის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს "ყვითელი სუბმარინას" გუნდი საუკეთესო ბომბარდირის დიეგო ფორლანდის სავარაუდო შემცვლელად მოიაზრებს. ამ უკანასკნელის გადაბირებას კი, თავის მხრივ, პრიმერადივიზიონისა და ჩემპიონთა თასის მფლობელი "ბარსელონა" ცდილობს.

# პლაჟზე გასარუჯად არ გავსულვართ

პლაჟის ფრენბურთის ქართველმა ბრაზილიელებმა რენატო გომეშმა და ჟორჟე ტეჩეირამ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ ქართველმა გულშემატკივრებმა გეორ-გიად მონათლეს, აშკარად გაამართლეს იმედი.

მსოფლიო ტურის ფარგლებში შანხაიში მიმდინარე ჩინეთის ღია ტურნირზე გეორგ-გიამ სამი დღის განმავლობაში ხუთი მეტოქე დაამარცხეს და ორი წააგეს. აქედან ერთი ყოფილ თანამემამულეებთან, რომლებიც იმავდროულად მსოფლიო ჩემპიონებიც არიან. იაპონია, კუბა, კანადა, ახალი ზელანდია და ნორვეგია ის ქვეყნებია, რომლებსაც გეორ-გიას ტანდემმა აჯობა. გუშინ, შეჯიბრების მესამე დღე მეორის ტყუპისცალი გამოდგა - მოიგეს პირველი შეხვედრა და წააგეს მეორე. ჯერ მე-16 ნომრად განთესილ ნორვეგიელებთან გაიმარჯვეს ორ სეტში 2:0 (21-11, 21-13), შემდეგ კი მე-8 ნომრად განთესილ ესტონელებთან თავად დამარცხდნენ (14-21, 18-21).





ჩვენი ბრაზილიელები ჩინეთში კარგად თამაშობენ.

ერთი სიტყვით, ქართველი ბრაზილიელები საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ და, ალბათ, არც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებელი ლიცენზიების მოპოვება უნდა იყოს მათთვის ძნელი. თუ ასე იქნება, ნავსი გატყდება და საქართველო გუნდური სახეობით პირველად წარდგება ოლიმპიურ თამაშებზე. ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება კი მომავალი წლიდან იწყება. წლეულს გეორ-გიას საზრუნავი სარეიტინგო ქულების მაქსიმალური რაოდენობის შეგროვებაა, რაც მათ სამომავლოდ სუსტ მეტოქეებთან შეხვედრის საშუალებას მისცემს. რაც მთავარია, ჩინეთის ღია პირველობაზე ძირითად 32 გუნდს შორის მყარად დაიკავეს ადგილი - ხუთი მოგებული მატჩის შემდეგ ქართველი ბრაზილიელები მე-13-მე-17 პოზიციაზე დაამთავრებენ ჩინეთის ღია პირველობას.

# შევჩენკო დღეს მიიღებს გადაწყვეტილებას

ფეხბურთის გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა 25 მაისის დადგომას. გუშინ ანდრეი შევჩენკოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო. დაგეგმილი იყო ფეხბურთელის პრესკონფერენცია, რომელზე უკრაინელ გოლეადორს საზოგადოებისთვის უნდა ეცნობებინა, გადადიოდა თუ არა ლონდონის "ჩელსიში".

მოლოდინი ამაო გამოდგა - გუშინ მსგავსი არაფერი მომხდარა. გადაწყვეტილების მიღება ერთი დღით გადაიდო - პრესკონფერენცია დღეს უნდა შედგეს.

საქმე ისაა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ანდრეის "მილანის" ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ უნდა მიეღო. გუშინ უკრაინელი კლუბის პრეზიდენტ ადრიანო გალიანის უნდა შეხვედროდა, მაგრამ ბატონმა გალიანიმ ერთდღიანი პაუზა აიღო.

ძნელია იმის თქმა, რით არის გამოწვეული ამ გადაწყვეტილების მიღების გადადება. ამის მიზეზი თავად შევჩენკოს ტრანსფერში არ უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ გუშინვე დაიწყო "მილანის" ხელმძღვანელობის საქმიანობის გამოძიება, რომელიც იტალიურ ფეხბურთში არსებულ კორუფციას უკავშირდება.

საფეხბურთო სკანდალზე საუბარს აღარ მოვყვებით და კვლავ ანდრეის ტრანსფერს დავუბრუნდებით, რომელიც ალბათ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან სატრანსფერო მოვლენად იქცევა.

შეგახსენებთ საქმის ვითარებს. ლონდონის "ჩელსის" უკვე დიდი ხანია სურს უკრაინელის გადაბირება. რომან აბრამოვიჩი შევჩენკოსთან მეგობრობს, მილიარდერის მეუღლეს კი ანდრეის ცოლთან აკავშირებს მეგობრობა.





შევჩენკოს ბედი დღეს გაირკვევა.

მართალია, არც უკრაინელს "მილანში" აკლია გავლენიანი ახლობლები (ბერლუსკონი შევჩენკოს შვილის ნათლიაა), მაგრამ სავარაუდოა, რომ "მილანში" გატარებული დაუვიწყარი წლების შემდეგ ანდრეი მაინც შეიცვლის კლუბს.

"ჩელსი" "მილანს" საკმაოდ სარფიან გარიგებას სთავაზობს, ლონდონური კლუბი იტალიელებს 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს უხდის და ხურდაში უილიამ გალასსაც იძლევა, რომლის სატრანსფერო ფასი 10 მილიონი გირვანქა სტერლინგია. ცხადია, ასეთი შეთავაზებაზე "მილანსაც" გაუჭირდება უარის თქმა, მით უმეტეს, რომ ბერლუსკონის გუნდის გადახალისება აქვს დაგეგმილი.

რაც შეეხება შევჩენკოს, "ჩელსი" უკრაინელ ფეხბურთელს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს, რომლის თანახმად ფეხბურთელი კვირაში 130 000 გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

შევჩენკოს კონტრაქტის გაგრძელება იტალიურმა გრანდმაც შესთავაზა. მილანელები ანდრეის 2011 წლამდე სთავაზობენ კონტრაქტის გაგრძელებას და კვირაში 115 000 გირვანქა სტერლინგის გადახდას ჰპირდებიან.

დაახლოებით ორი კვირის წინ შევჩენკომ იტალიურ გაზეთ "გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში განაცხადა: "გადაწყვეტილებას 25 მაისს მივიღებ. მე არასდროს მითქვამს, რომ ლონდონში ჩემი გადასვლა უკვე გადაწყვეტილი საქმეა, მაგრამ ვერც იმას დავმალავ, რომ ამ საკითხზე ვფიქრობ. ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი ოჯახისთვის იქნება უკეთესი. ჩემი ცოლი და შვილი ინგლისურად ლაპარაკობენ, მე კი - ვერა".

მოკლედ, სეზონის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერის ბედი დღეს გაირკვევა. წინასწარი ვარაუდით, დღეს შევჩენკომ უნდა თქვას, რომ "ჩელსისთან" კონტრაქტს აფორმებს. თუმცა, მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს და სულ ცოტა ხანს კიდევ მოვიცადოთ.

# დადეთ ფსონები, ბატონებო!

მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად პიკს აღწევს ბრიტანელ ბუქმეიქერთა აქტიურობა. მათი წინასწარი ვარაუდით, მუნდიალის მატჩებზე, საერთო ჯამში, მილიარდი ფუნტი სტერლინგის ფსონი გაკეთდება.

მოგეხსენებათ, ტოტალიზატორში თამაში ბრიტანეთში ყოველთვის ზეპოპულარული გახლდათ, თუმცა 2001 წლიდან, მას შემდეგ, რაც აზარტულ თამაშებზე დაწესებული ყველანაირი გადასახადი მოიხსნა, ბრიტანელი ბუქმეიქერების წლიური ბრუნვა 7-დან 50 მილიარდ ფუნტამდე გაიზარდა.

`ბრიტანეთი ტოტალიზატორების მსოფლიო ცენტრია და ძირითადი ბუქმეიქერული კანტორებიც აქ არის გახსნილი. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს ყველაზე მეტი ფსონი ამ ქვეყანაში გაკეთდება", - განაცხადა ბრიტანეთის აზარტული თამაშების წარმომადგენელმა ლეიტონ უილიამსმა.

მუნდიალის წინ ბუქმეიქერთა ფანტაზიამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა - ფეხბურთის ინგლისელ (და არა მხოლოდ ინგლისელ) გულშემატკივარს ფსონის დადება შეუძლია იქიდან მოყოლებული, თუ ცნობილი ვარსკვლავებიდან ვინ გაიტანს ყველაზე მეტ გოლს, იმით დამთავრებული, თუ როგორი ვარცხნილობა ექნება ინგლისელთა კაპიტანს დევიდ ბექჰემს.

ცნობილი WILLIAM HILL-ის წარმომადგენლის გრემ შარპის აზრით კი, ბოლო წლებში ტოტალიზატორების უფრო მეტ პოპულარობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ გულშემატკივარს ფართო არჩევანის საშუალება მიეცა:

"ადამიანები, რომელთაც ადრე მხოლოდ ის აინტერესებდათ, თუ ვინ მოიგებდა სენდაუენის დოღს, ახლა ყოველდღიურად აკეთებენ ფსონს არა მხოლოდ ფეხბურთზე, არამედ იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები პოპულარულ რეალითი-შოუებში".

ერთი შეხედვით, ინგლისის ნაკრების ფორვარდის უეინ რუნის ტრავმას ბუქმეიქერთა მოგება უნდა შეემცირებინა, რადგან, მათი აზრით, ახალგაზრდა თავდამსხმელი გერმანიაში ვერ ითამაშებს. მაგრამ ერიქსონის გუნდში "არსენალის" 17 წლის ფეხბურთელის თეო უოლკოტის გამოჩენამ ახალი ინტრიგა წარმოშვა.

"ნაკრებში თეოს გამოძახებამ სიახლეები შემოიტანა. ახლა უკვე იმაზეც ვიღებთ ფსონებს, აიღებს თუ არა მართვის მოწმობას თეო, ან მოიგებს თუ არა "ოქროს ბუცსს". თეო გულშემატკივრებში უკვე ისეთივე პოპულარულია, როგორც უეინ რუნი", - განაცხადა უილიამ ჰილის წარმომადგენელმა.

## ინფოთეკა

### ჯონსონს დახმარება სთხოვეს

1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი 200 და 400 მეტრზე სირბილში მაიკლ ჯონსონი ბრიტანეთის მძლეოსანთა ნაკრების კონსულტატის თანამდებობას დაიკავებს.

### პირესი "ვილიარეალში" გადავიდა

ფრანგმა ნახევარმცველმა რობერ პირესმა გუშინ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ესპანურ კლუბ "ვილიარეალთან". "არსენალში" გატარებული ექვსი ფანტასტიკური წლის შემდეგ გადავწყვიტე ესპანეთში გადავსულიყავი. ყოველთვის ვამბობდი, რომ კარიერის დასრულება ესპანეთში მსურდა. "ვილიარეალი" ბრწყინვალე გუნდია და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ამავე დროს მსურს მადლობა გადავუხადო არსენ ვენგერს და ჩემს ლონდონელ თანაგუნდელებს, რომლებიც ბოლომდე ჩემს გვერდით იყვნენ და გაგებით შეხვდნენ ჩემს გადაწყვეტილებას," - აცხადებს პირესი.

### ჩეხებს შმიცერი ვერ დაეხმარებათ

ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი ვლადიმირ შმიცერი ალბათ ვერ შეძლებს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს. ფრანგული "ბორდოს" ფეხბურთელს თებერვლის შემდეგ აწუხებდა ტრავმა. ექიმებმა თითქოს შეძლეს მისი ფეხზე დაყენება, მაგრამ ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ შმიცერს ფეხი სერიოზულად აქვს დაშავებული და მისი თამაში საეჭვოა.

### ესიენი მზადაა

ლონდონის "ჩელსისა" და განის ნაკრების ნახევარმცველმა მიკაელ ესიენმა სრულად მოიშუშა ტრავმა. იგი ითამაშებს განისა და თურქეთის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში, რომელიც დღეს უნდა გაიმართოს.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე განის ნაკრებს კიდევ ორი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. აფრიკელები ჯერ იამაიკის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, შემდეგ კი - სამხრეთკორეელებს.

### რობერტო კარლოსი "რეალის" გადაწყვეტილებას ელის

მადრიდის "რეალისა" და ბრაზილიის ნაკრების მცველმა რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ ლონდონის "ჩელსიმ" მას სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა მისთვის აბსოლუტურად მისაღები პირობებით, თუმცა ბრაზილიელი კონტრაქტზე ხელის მოწერას არ ჩქარობს და სამეფო კლუბისგან ელის შეთავაზებას.

"მერწმუნეთ, საქმე ფულს არ ეხება. ჩემთვის მთავარი კონტრაქტის ხანგრძლივობაა. არაერთხელ მითქვამს, რომ კიდევ სამი წლით მსურს კონტრაქტის გაგრძელებმა. "ჩელსიმ" სწორედ ამ ვადით შემომთავაზა კონტრაქტი, რაც ჩემთვის მისაღებია. ახლა "რეალის" ხელმძღვანელების პასუხს ველოდები. თუ მათაც შემომთავაზეს სამწლიანი კონტრაქტი, არსად არ წავალ, თუ არა და, იძულებული ვიქნები, ლონდონელთა პირობები მივიღო", - აცხადებს რობერტო კარლოსი.

### ბონიპერტი თუ ძოფი?

ტურინის "იუვენტუსის" პრეზიდენტის პოსტზე იტალიური ფეხბურთის ორი ლეგენდა აცხადებს პრეტენზიას. ამჟამად ვაკანსიის დაკავების რეალურ კანდიდატებად ითვლებიან ტურინელთა ექსმეკარე დინო ძოფი და 70-იანი წლების იტალიური ფეხბურთის უმთავრესი ბომბარდირი ჯანპიერო ბონიპერტი.

### მუტუმ თურქეთისკენ გაიხედა

ტურინის "იუვენტუსის" რუმინელი ფორვარდი ადრიან მუტუ შესაძლოა თურქულ "ფენერბახჩეში" გადავიდეს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ტურინულ გრანდს იტალიის ელიტური დივიზიონიდან გარიცხავენ. როგორც იცით, ამჟამად აპენინებზე "ზებერი ქალბატონის" საქმეს იძიებენ და შესაძლოა ტურინელთათვის ყველაფერი სავალალოდ დასრულდეს.

## ინფოთეკა

### არაგონესს ფანები არ ასვენებენ

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა თხოვნით მიმართა ფანებს, რომ მათ ვარჯიშების დროს ფეხბურთელების ყურადღება არ გაფანტონ.

ამჟამად ესპანეთის ნაკრები მადრიდში ემზადება. პირენეელთა ყოველ ვარჯიშს უამრავი ფანი ესწრება. ისინი ხმამაღლა გამოხატავენ არაგონესით უკმაყოფილებას. გულშემატკივრებს არ მოსწონთ, რომ არაგონესმა ნაკრებს მიღმა დატოვა ფერნანდო მორიენტესი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გუშინ ვეტერანმა მწვრთნელმა ნაკრების ბაზის კარი ჩაკეტა და ახლა დახურულ ვარჯიშებს მართავს.

### მიკელის საქმე მოგვარდა

ამ კვირაში ჯონ ობი მიკელი სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს ლონდონის "ჩელსისთან". "მანჩესტერ იუნაიტედი" და ნორვეგიული ლინი კომპენსაციის სახით, შესაბამისად, 10 და 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებენ.

ამრიგად, დასრულდება მთელი გასული სეზონის განმავლობაში მიმდინარე სკანდალი 18 წლის ნიგერიელი ფეხბურთელის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ ჯონ ობი მიკელმა ჯერ "მანჩესტერთან" გააფორმა კონტრაქტი ისე, რომ თავის ნორვეგიულ კლუბს არ დაეკითხა, შემდეგ აფრიკელმა "ჩელსისთან" მოაწერა კონტრაქტს ხელი, რის გამოც საქმე ლამის სასამართლომდე მივიდა. როგორც ჩანს, ყველა სადავო საკითხი მოგვარდა. "ჩელსი" საჭირო თანხას გადაიხდის და ნიგერიელ ფეხბურთელსაც შეიძენს.

### არეულობა საფრანგეთის ნაკრებში

გუშინ საფრანგეთის ნაკრებში უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. სამფეროვანთა მეორე მეკარე გერგორი კუპე გუნდის მთავარ მწვრთნელს რეიმონ დომენეკს ეჩხუბა და ნაკრების საწვრთნელი ბაზიდან წავიდა.

"ლიონის" კიპერმა მწვრთნელთან ჩხუბის შემდეგ საკუთარი მანქანით დატოვა ბაზა, თუმცა, მალევე ითქვა, რომ კუპე ნაკრებს დაუბრუნდა.

"დიახ, პრობლემა არსებობდა. გრეგორიმ წინასწორობა დაკარგა. შემდეგ ფეხბურთელი ბაზაზე დაბრუნდა და ჩვენს შორის ყველაფერი მოგვარდა", - განაცხადა რეიმონ დომენეკმა.

კუპეს გაბრაზების მიზეზი ის არის, რომ დომენეკმა ნაკრების ძირითად მეკარედ ფაბიენ ბარტეზი დაასახელა, კუპეს კი მისი შემცვლელის სტატუსი არგუნა.

### ადრიანო "ინტერს" დატოვებს

მილანის "ინეტრის" ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ განაცხადა, რომ გუნდიდან წასვლა აქვს გადაწყვეტილი.

"როდესაც ბრაზილიის ნაკრებში ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობ, მილანში კი უბედური ვარ. არ იფიქროთ, რომ ეს თანაგუნდელებთან უთანხმოების გამო ხდება. "ინტერი" არაფერ შუაშია. უბრალოდ, როგორც ჩანს, ქალაქს ვერ შევეწყვე. უმჯობესი იქნება, თუ "ინტერის" ხელმძღვანელები თავად გამყიდიან, რათა ჩემი წასვლით გუნდმა არ იზარალოს", - აცხადებს ადრიანო.

### ანჩელოტი ემერსონის გადაბირებას ცდილობს

"მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ სთხოვა კლუბის ხელმძღვანელებს, რომ მათ "იუვენტუსის" ნახევარმცველი ემერსონი შეიძინონ.

ტურინულ კლუბში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო ახლა გუნდის დატოვებას არაერთი ვარსკვლავი აპირებს. თუ "მილანმა" მართლა ისურვა ბრაზილიელი საყრდენის შეძენა, შესაძლოა, ტრანსფერი საკმაოდ იოლად გაფორმდეს.

### მძარცველები დააპატიმრეს

პოლიციამ დააპატიმრა ხუთი პიროვნება, რომლებსაც ბრალი ედებათ ფრანგულ რივიერაზე მდებარე პატრიკ ვიეირას სახლის გაქურდვა.

საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი ორი დღის წინ გაქურდეს. სახლში სპეციალური გაზი შეუშვეს, რათა იქ მყოფებს დასძინებოდათ, შემდეგ კი ქურდებმა პატრიკის ოჯახური ძვირფასეულობები გაიტაცეს, რასაც ფეხბურთელის ახალთახალი "მერსედესიც" მიაყოლეს.

# ხუან პაბლო სორინი: "პეკერმანმა არგენტინა ამოუცნობი გახადა"

მარი ჭავახიშვილი



გერმანულ ჟურნალ "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში არგენტინის ნაკრების კაპიტანი ხუან პაბლო სორინი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ხოსე პეკერმანის სამწყსოს მზადების, გეგმებისა და გუნდის "ზრდის" შესახებ საუბრობს.

**- უკანასკნელი ორი ამხანაგური მატჩი - ნოემბერში ინგლისთან და მარტში - ხორვატიასთან, არგენტინის ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით - 2:3 წააგო. არ შეშფოთდით, როგორც კაპიტანი?**

- სანერვიულო არაფერი იყო. ჩვენი გუნდის თავდაცვის ხაზმა ორივე მატჩში კარგად ითამაშა. მესიმაც და კარლოს ტევესმაც სათანადო დონეზე ჩაატარეს მატჩი. ცუდად არც კრესპო გამოიყურებოდა. პრობლემა მხოლოდ წვრილმან დეტალებში გვქონდა, რომელთა გამოსასწორებლად მუნდიალის დაწყებამდე საკმარისი დრო გვაქვს. ამიტომ არ ვნერვიულობ. მეტიც, ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ.

**- სამაგიეროდ ხოსე პეკერმანი იყო უკმაყოფილო ხორვატიასთან ბოლო წუთს გაშვებული გოლით...**

- მისი კრიტიკა ყოველთვის სამართლიანია და მომავლისკენაა მიმართული. მწვრთნელს უნდა გუნდის თითოეული ხაზი ერთმანეთთან უკეთესად შეთამაშდეს. ამიტომაც შეკრებაზე ბევრი ფეხბურთელი გამოიძახა.

**- ნოემბრიდან მოყოლებული, არგენტინის ნაკრებმა მხოლოდ სამი მატჩი გამართა. ცოტა ხომ არ არის?**

- მეტის შესაძლებლობა არ გვქონდა. თუმცა, თადარიგში კიდევ რამდენიმე სპარინგ-მატჩი გვაქვს.

**- პირველ რიგში ალბათ დაცვის ხაზს უნდა მიექცეს ყურადღება.**

- პირადად მე არ მომწონს, როცა გუნდს ხაზებად ყოფენ. მარცხს თავდასხმისა და ნახევარდაცვის უკან არაეფექტური დაწევაც იწვევს. ყველაფერში მარტო დაცვის დადანაშაულება არ შეიძლება. მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩენილი დრო სტაბილურობისა და სიმტკიცის გამომუშავებას უნდა მოვახმაროთ. ჩვენი თავდამსხმელები მხოლოდ ამ კომპონენტების წყალობით შეძლებენ "გაფურჩქვნას".

**- ესე იგი, ბოლო წუთს გაშვებულ გოლებს ეგრეთ წოდებულ "სამხრეთამერიკულ ქარაფშუტობასთან" საერთო არაფერი აქვს?**

- ასე ვერ ვიტყვი. მაგრამ თუ იგივე შეცდომებს გერმანიაშიც დავუშვებთ, სიკვდილის ტოლფასი იქნება.

**- ხოსე პეკერმანი ნაკრებში 2004 წელს მოვიდა. რა შეიცვალა ამ ორი წლის განმავლობაში?**

- ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდა, უფრო მეტად განვვითარდით. ჩვენი თამაში ამოუცნობი გახდა. ამაში კონფედერაციათა თასზეც დარწმუნდებოდით. თუ ფინალს არ ჩავთვლით, მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. ყოველ მატჩში ვცვლიდით ტაქტიკურ სქემას და სხვადასხვა რიტმში ვთამაშობდით.

**- შემტევის ნაცვლად, როგორც ეს მარსელო ბიელსას დროს იყო, მოქნილ ფეხბურთს თამაშობთ?**

- ნამდვილად ასეა. მიუხედავად იმისა, რომ ძველებურად ბევრს ვუტევთ, ერთ სტილში აღარ ვთამაშობთ, რაც ჩვენი ნაკრების თამაშს რთულად გამოსაცნობს ხდის. ეს კი ძალიან წაგვადგება მსოფლიო ჩემპიონატზე.

**- არ გეჩვენებათ, რომ თქვენი გუნდი მეტისმეტად არის დამოკიდებული რიკელმეს თამაშზე?**

- ხუანი დიდებული ფეხბურთელია. მაგრამ არგენტინის ნაკრები მხოლოდ ერთ მოთამაშეზე ვერასოდეს ვერ იქნება დამოკიდებული. ჩვენ გვყავს კამბიასო, აიმარი, მასკერანო, რომელთაც შეუძლიათ თამაში საკუთარ თავზე იტვირთონ.

**- 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ არგენტინის ნაკრებს ტურნირის ფავორიტად მიიჩნევდნენ. თუმცა, ჯგუფური ეტაპის შემდეგ შინ დაბრუნება მოიგიხდათ. წელს რა მიზნები გაქვთ?**

- პირველ რიგში, ჯგუფიდან გასვლა.

**- გინდათ თქვათ, რომ თქვენი ნაკრებისთვის ეს მაქსიმალური შედეგი იქნება?**

- არა. იმის თქმა არ მინდა, რომ ასეთი სუსტები ვართ. მაგრამ წინა ჩემპიონატზე მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, არ მინდა ნაადრევად გავაკეთო დასკვნები. მთავარია ჯგუფიდან გავიდეთ. მით უმეტეს, რომ ჯგუფში საკმაოდ ანგარიშგასაწევი მეტოქეები გვყავს - ჰოლანდია, სერბეთი და კოტ დ`ივუარი. ამიტომ ჯერ ვერ ვიტყვი, რომ გამოკვეთილი ფავორიტები ვართ.

**- მაშ ვინ არის ფავორიტი?**

- ბრაზილია. გერმანიაც - კონფედერაციათა თასზე ბრწყინვალე თამაშის გათვალისწინებით. მერე მოდიან საფრანგეთი და იტალია. რა თქმა უნდა, ჩემპიონობაზე ჩვენც ვფიქრობთ, მაგრამ ამაზე ლაპარაკი სისულელეა მანამ, სანამ შედეგს არ მივაღწევთ.

# გერდ მიულერი რონალდოს გულშემატკივრობს

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გერმანიაში მცხოვრები ნებისმიერი თავმოყვარე ოჯახი თავს მოვალედ თვლიდა სახლში ჰქონოდა გერდ მიულერის პორტრეტი - ადამიანისა, რომელმაც გერმანულ ფეხბურთს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

"ნაციის ბომბარდირად" წოდებულმა გერდ მიულერმა 1972 წელს ბუნდესნაკრებთან ერთად ჯერ ევროპის პირველობა, ორი წლის შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონობა იზეიმა. საკლუბო თუ სანაკრებო კარიერის განმავლობაში ლეგენდარულმა თავდამსხმელმა უამრავი რეკორდი დაამყარა. ამათგან ერთი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობა გახლავთ (14 გოლი).

რეკორდსმენ გერმანელს, რომლის ზემოხსენებული რეკორდი დღემდე დაუმხობელია, შესაძლოა, წლეულს გადაუსწროს ბრაზილიელმა რონალდომ, რომელსაც მიულერის რეკორდისგან ორი გოლი აშორებს.

გერმანული გამოცემა "შპილერისთვის" მიცემულ ინტერვიუში გერდ მიულერი რონალდოზე, მის ზედმეტ წონასა და ბუნდესნაკრების შანსებზე საუბრობს.

**- ჰერ მიულერ, რონალდოს ანგარიშზე მსოფლიო ჩემპიონატებზე გატანილი 12 ბურთია. როგორ ფიქრობთ, გერმანიის მუნდიალზე დაამხობს თქვენს რეკორდს?**

- რას ამბობთ, უკვე 12 გოლი აქვს გატანილი?

**- დიახ, მსოფლიოს სამი ჩემპიონატის ჯამში. თუმცა, თქვენ მხოლოდ ორზე ითამაშეთ...**

- ვიხუმრე. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ რონალდოს ორი ბურთი აშორებს ჩემს რეკორდამდე, რაშიც გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას. ის მართლაც უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ზედმეტი წონა აქვს, ყოველთვის საშიშია. ადრე ჩემზეც იგივეს ამბობდნენ: "პატარა, მსუქანი მიულერი", მაგრამ ათიანში მაინც ვარტყამდი.

**- თქვენ რამდენს იწონიდით კარიერის საუკეთესო წლებში?**

- როცა "ბაიერნში" მივედი, 82 ვიყავი. ცოტა ხანში ორი კილო დავიკელი. იდეალურ წონას ბრანკო ზებიჩის დროს მივაღწიე. მაგრამ ეს ყველაფერი ჯოჯოხეთურ შრომად დამიჯდა - როცა სხვებს ვარჯიში კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდათ ან გემრიელად შეექცეოდნენ, მე დამატებით ვვარჯიშობდი. მაგრამ საბოლოოდ სასურველ შედეგს მაინც მივაღწიე - 68 კილოს ვიწონიდი.

**- ნუთუ არ დაგწყდებათ გული, რონალდომ რომ გადაგისწროთ?**

- არა. თუ ეს რონალდო იქნება, გამიხარდება კიდეც. როცა შენს რეკორდს ბრაზილიელი ამხობს, სასიამოვნო ამბავია. ორ გოლს კი რონალდო აუცილებლად გაიტანს. ეს ბიჭი ერთი წუთითაც არ უნდა დატოვო უმეთვალყურეოდ. როცა მის თამაშს ვუყურებ, უდიდეს სიამოვნებას ვიღებ.

**- რონალდოს დიდი გულშემატკივარი ყოფილხართ...**

- დიახ. მის გარშემო ატეხილი კრიტიკის მიუხედავად, ჩემთვის რონი დღემდე მსოფლიოში საუკეთესო თავდამსხმელად რჩება.

**- როგორ ფიქრობთ, ბუნდესნაკრები მსოფლიო პირველობაზე ბევრ გოლს გაიტანს?**

- ამას მთელი გულითა და სულით ვისურვებდი. მაგრამ, თუ კლოზეს არ ჩავთვლით, თავდასხმაში არავინ გვყავს. შეიძლება პოდოლსკიც მივათვალოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი სათამაშო პოზიცია ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. ხან გამოკვეთილად წინწაწეული თამაშობს, ხან უკან იხევს. ერთი სიტყვით, დიპლომატების ენაზე რომ ვთქვათ, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ვერ ბრწყინავენ.

**- თავის დროზე მიროსლავ კლოზესაც აკრიტიკებდით, როცა "კაიზერსლაუტერნში" თამაშობდა...**

- მართალია! მაგრამ "ვერდერში" კლოზემ ნამდვილი ფეხბურთის თამაში ისწავლა. გაცილებით ტექნიკური გახდა, კარგად შეთამაშდა თავდასხმის ხაზში მოთამაშე თანაგუნდელებთან, ბურთსაც ურიგოდ არ ფარავს. მოკლედ, ქებას იმსახურებს. თუ ფიზმომზადებასა და სწორად მოქმედებასაც დახვეწს, დიდებული მოთამაშე დადგება.

**- ასე რომ მოხდეს, შეძლებს კლოზე თქვენი ბუნდესლიგური რეკორდის დამხობას - სეზონში 40-ზე მეტი გოლის გატანას?**

- გამიხარდებოდა, მაგრამ ძალიან გთხოვთ, რონალდოთი უკვე მემუქრებით და ბუნდესლიგის რეკორდსმენობა მაინც დამანებეთ.

**- ახლა რომ თამაშობდეთ ბუნდესლიგაში, რამდენ გოლს გაიტანდით?**

- ამას წინათ ფრანცმა (ბეკენბაუერი - რედ.) თქვა: რომ ვთამაშობდე, სეზონში 70 გოლს გავიტანდიო. 70-ს გავქაჩავ თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ 40 ბურთს ისევ შევაგდებდი. ჩემი ფეხბურთელობისას ორი-სამი მცველი ყოველთვის მებლანდებოდა ფეხებში. დღეს ბუნდესლიგის მცველების გარღვევა უფრო გაიოლდა. როცა "ბაიერნში" ვთამაშობდი, მარტო იმაზე მწყდებოდა გული, რომ გიუნტერ ნეტცერის მხარდამხარ არ მიწევდა თამაში. ასე რომ ყოფილიყო, მისი პასების წყალობით, 40-ის ნაცვლად, სულ ცოტა, 50-ს გავიტანდი.




### რუი კოშტა "ბენფიკაში" დაბრუნდა

პორტუგალიის ნაკრებისა და "მილანის" ნახევარმცველმა რუი კოშტამ იტალიურ კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. პორტუგალიელმა ფეხბურთელმა მშობლიურ "ბენფიკაში" დაბრუნების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება.

34 წლის რუი კოშტამ ლისაბონურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

შეგახსენებთ, რომ რუი კოშტა "ბენფიკას" ღირსებას უკვე იცავდა 1991-94 წლების სეზონში, რის შემდეგაც შვიდი სეზონი ფლორენციის "ფიორენტინაში" გაატარა. "მილანში" პორტუგალიელმა ხუთი წლის განმავლობაში ითამაშა და კლუბთან ერთად იტალიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი მოიგო.

### კასეტი ცალი ფეხით "რომაშია"

"სკუადრა აძურას" ნახევარმცველის მარკო კასეტის თქმით, ამ კვირის ბოლოს ის ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს დედაქალაქურ "რომასთან".

"გადაწყვეტილება ორივე მხარემ მივიღეთ და უახლოეს დღეებში კონტრაქტს ხელს მოვაწერ. მინდა მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრებში "რომას" ფეხბურთელის ამპლუაში ვითამაშო", - განაცხადა კასეტიმ, რომლითაც სხვა იტალიური გრანდები: "ინტერი", "იუვენტუსი" და "მილანიც" იყვნენ დაინტერესებულნი.

ფეხბურთელის "ლეჩედან" წასვლის მიზეზი კლუბის სერია ა-დან სერია ბ-ში გავარდა გახდა.

### "სტემფორდ ბრიჯი" გაფართოვდება

ლონდონის "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორის პიტერ კენიონის თქმით, გუნდის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში საშინაო არენის "სტემფორდ ბრიჯის" გაფართოებას გეგმავს.

"ჩვენი გუნდი დღითიდღე იზრდება და აუცილებლია სტადიონზე ადგილების დამატება. "ჩელსიც" და ფეხბურთიც ამით მხოლოდ მოგებას ნახავენ. გუნდისთვის, რომელიც მაღალი დონის ფეხბურთს აჩვენებს და პრემიერლიგის ჩემპიონია, მნიშვნელოვანია გულშემატკივართა მოზიდვა", - განაცხადა პიტერ კენიონმა.

### "მანჩესტერი" და "არსენალი" ტიმოშჩუკით დაინტერესდნენ

ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის ნაკრებისა და დონეცკის "შახტარის" ნახევარმცველი ანატოლი ტიმოშჩუკით "მანჩესტერ იუნაიტედი" დაინტერესდა.

მას შემდეგ, რაც უკრაინული კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა განაცხადა, რომ კლუბი მზადაა ტიმოშჩუკს შეელიოს, ფეხბურთელით ლონდონის "არსენალიც" დაინტერესდა.

თავად ფეხბურთელის თქმით, ჯერჯერობით მას არავინ შეხმიანებია არც "მანჩესტერიდან" და არც "არსენალიდან".

### ჰუტის "ჩელსიში" აღარ ედგომება

ბუნდესნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" მცველის რობერტ ჰუტის თქმით, იგი უკმაყოფილოა "ჩელსიში" თამაშით, ვინაიდან ხშირად უწევს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, რის გამოც სათამაშო პრაქტიკას ვერ გადის.

"ასეთი სიტუაცია ჩემთვის ხელსაყრელი არ არის. როცა მუდმივად სკამზე გიწევს ჯდომა, ფიზიკურად წინ ვერ მიიწევ. გამუდმებით მხოლოდ იმისთვის ვარჯიშობ, რომ ყოველი თამაშის წინ ერთი და იგივე გაგიმეორონ - ძირითადში ვერ მოხვდიო. რაღაც მომენტში კი ხვდები, რომ ამას დიდხანს ვერ აიტან. ამიტომ ახალ კლუბს ვეძებ", - განაცხადა გერმანელმა ფეხბურთელმა.

### "ზიდანი: XXI საუკუნის პორტრეტი"

საფრანგეთის ქალაქ კანში მიმდინარე საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენებენ დოკუმენტურ ფილმს "ზიდანი: XXI საუკუნის პორტრეტი".

ბუნებრივია, კრიტიკოსებს მაშინვე გაუჩნდათ კითხვა - რატომ მაინცდამაინც XXI საუკუნე, მით უმეტეს, რომ ფეხბურთელმა წარმატების პიკს მიაღწია გასულ საუკუნეში, როდესაც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონობა იზეიმა.

ადვილი მისახვედრია, რომ ფილმის მთავარი პერსონაჟი თავად ფრანგი ფეხბურთელი გახლავთ. თუმცა, ფილმის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მათი მიზანი რომელიმე ფეხბურთელზე სურათის გადაღება არ ყოფილა.

"თავდაპირველად გვაინტერესებდა მხოლოდ ფეხბურთი, როგორც სპორტის ულამაზესი სახეობა. თუმცა, ფილმის გადაღების წინ დილემის წინაშე აღმოვჩნდით, რომელი ფეხბურთელი უფრო უკეთესად განასახიერებდა ჩვენს ჩანაფიქრს. პასუხი მალე ვიპოვეთ: რა თქმა უნდა, ზიდანი", - ამბობს ფილმის რეჟისორი.

შეგახსენებთ, რომ 2005 წელს ზინედინ ზიდანმა რაულთან, ბექჰემთან, შირერთან და რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელთან ერთად, სამსახიობო ძალები მოსინჯა ამერიკელი რეჟისორის მხატვრულ ფილმში "გოლი".

### "რომა" "ემპოლის" ნახევარმცველს უმიზნებს

იტალიური პრესის ცნობით, "რომა" მზადაა "ემპოლის" ნახევარმცველი სერხიო ალმირონი შეიძინოს.

25 წლის არგენტინელი ფეხბურთელის გადაბირებას, დედაქალაქური კლუბის გარდა, მილანის "ინტერიც" ცდილობს. თუმცა, იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, თავად ფეხბურთელს "რომაში" უნდა თამაში.

### კელერი ძირითადში ითამაშებს

ამერიკის ეროვნული ნაკრების მეკარე კეისი კელერი წლეულს, წინა სამი ჩემპიონატისგან განსხვავებით, პირველად მოხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

"კეისის გამოცდილება გერმანიაში წარმატების იმედს გვაძლევს. გუნდის ყველა მოთამაშე დადებითად აფასებს კელერის ძირითადში გამოსვლას", - განაცხადა ამერიკელთა თავკაცმა ბრიუს არენამ.

შეგახსენებთ, რომ კეისი კელერი 1990 წელს ამერიკელთა სათადარიგო მეკარე გახლდათ, 1994-ში საერთოდ ვერ ითამაშა, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ორი შეხვედრა გამართა. მსოფლიოს ბოლო პირველობაზე კორეა-იაპონიაში კელერი ბრედ ფრიდელის შემცვლელი იყო.

## რუნი ჯგუფურ ეტაპს გამოტოვებს

ბრიტანელი ექიმების განცხადებით, სეზონის ბოლოს მიღებული ტრავმის გამო უეინ რუნი ვერ შეძლებს მსოფლიო ჩემპინატის ჯგუფურ ეტაპზე ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში თამაშს. "მართალია, საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ დაგვიდგენია - ამისთვის რენტგენის გადაღება იქნება საჭირო, მაგრამ უკვე შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ უეინი ჯგუფურ ეტაპზე თამაშს ვერ შეძლებს", - აცხადებს ინგლისის ნაკრების ექიმი. ამვადროულად ცნობილი გახდა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ექიმი, რომელიც მანკუნიანურმა გუნდმა სამსახურიდან დაითხოვა, სწორედ რუნის გამო ინგლისის ნაკრებში გააგრძელებს მოღვაწეობას.

## ბრიტანული პოლიციის მიმართვა

ბრიტანეთის პოლიციამ მოუწოდა ინგლისელ გულშემატკივრებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს არ ისარგებლონ მეძავების სამსახურით. "მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისიდან ასი ათასამდე გულშემატკივარი გაემგზავრება. ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ისინი, რომ გერმანიაში შესაძლოა ბევრი მეძავი არალეგალურად იყოს ჩასული და მათთან ურთიერთობა მიზანშეწონილი არ არის", - ნათქვამია სკოტლანდ იარდის განცხადებაში.

## იაპონელებმა "ადიდასთან" კონტრაქტი გააგრძელეს

იაპონიის საფეხბურთო ასოციაციამ კიდევ რვა წლით გაახანგრძლივა სპონსორული შეთანხმება კომპანია "ადიდასთან". სააგენტო როიტერის ინფორმაციით, იაპონელები ამ ახალი კონტრაქტის თანახმად 140 მილიონ დოლარს მიიღებენ, "ადიდასი" კი კვლავაც დარჩება ამომავალი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების გენერალურ სპონსორად.

## უკმაყოფილო კოსტარიკელები

კოსტარიკელმა გულშემატკივრებმა მიმართეს მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს. საქმე ისაა, რომ სააგენტოები, რომლებიც ავრცელებენ მუნდიალის მატჩების ბილეთებს, კოსტა რიკაში ფასს ხელოვნურად ზრდიან. ამასთან, ხშირ შემთხვევაში გულშემატკივრები იმ ადგილებს ვერ იღებენ, რომლებიც წინასწარ შეუკვეთეს. მაგალითად, გულშემატკივრებმა გახსნით მატჩზე პირველი კატეგორიის ბილეთები შეუკვეთეს, რომელთა ფასი 300 ევროა, ამის ნაცვლად კი 180 ევროდ ღირებული მეორე კატეგორიის ბილეთები მიიღეს. ამავე დროს სააგენტოები ბილეთის ფასს ხელოვნურად ზრდიან დაახლოებით 30 ევროთი.

## ბუფონი აღარ თამაშობს

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ოთხშაბათს ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მეკარე ჯიჯი ბუფონი იტალიურმა პროკურატურამ დაკითხა. ბუფონის დაკითხვა ორ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც მეკარემ ჟურნალისტებს განუცხადა: "მე ვარაფერზე მომედავებიან. კანონებს ყოველთვის ვიცავდი. და თუ ტოტალიზატორზე ვთამაშობდი, ფსონებს მხოლოდ საერთაშორისო მატჩებზე ვდებდი, იტალიურ მატჩებზე კი არასდროს მითამაშია. ბოლოს, როდესაც ფეხბურთელებს საერთოდ აეკრძალათ ტოტალიზატორზე თამაში, მე ამ კანონს დავემორჩილე და 2005 წლის შემოდგომის შემდეგ ფსონი საერთოდ არ გამიკეთებია".

## მარადონა მუნდიალზე იმუშავებს

კერძო ესპანურმა ტელეკომპანია "კუარტომ" გააფორმა კონტრაქტი დიეგო მარადონასთან, რომელიც ამ ტელევიზიაში მსოფლიო ჩემპიონატის დროს მატჩების ტელერეპორტაჟს გაუძღვება. დიეგო საფეხბურთო შოუებში ექსპერტის როლშიც გამოვა. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე დიეგომ აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონობის შანსი აქვთ ესპანეთის, ინგლისის, გერმანიის, არგენტინისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს. მუნდიალის უდავო ფავორიტად კი მარადონამ ბრაზილიის ნაკრები დაასახელა.

## ტაისონმა ტელევიზიაში გადაინაცვლა

მსოფლიოს ექსჩემპიონმა ზემძიმე წონაში მაიკ ტაისონმა ტელეკომენტატორობა გადაწვიტა. რიკნის მაიკმა მიიღო პრომოუტერ ბობა არუმას წინადადება კომენტარი გაუკეთოს WBC-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის გასამართ ბრძოლას რახმანსა და მასკაევს შორის.

"ეს ძალიან სასიამოვნოა. დიდ მადლობას ვუხდი ბატონ არუმას ამ შესაძლებლობისთვის", - აცხადებს ტაისონი.

## შუმის როსის უარი ეწყინა

მსოფლიო ჩემპიონმა მოტორბოლაში იტალიელმა ვალენტინო როსიმ უარი თქვა მოტოციკლი ფორმულა 1-ის ბოლიდზე გაეცვალა. როსის სამეფო რბოლაში სთავაზობდნენ გადასვლას, მაგრამ იტალიელმა პროფილის შეცვლა არ ისურვა. "საწყენია, რომ ვალენტინომ უარი თქვა. დარწმუნებული ვარ, ფორმულაშიც სერიოზულ წარმატებებს მიაღწევდა, თუმცა ეს მისი გადაწყვეტილებაა. მან უკეთ იცის რა სურს", - აცხადებს შუმახერი.

## კანს და ბალაკს აწყენინეს

მიხაელ ბალაკი და ოლივერ კანი სასამართლოში უჩივლებენ კომპანია "ბატე უზეს", სექს-ატრიბუტიკის ყველაზე მსხვილ მწარმოებელს გერმანიაში. საქმე ის არის, რომ ამ კომპანიამ მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამოუშვა ვიბრატორები, რომლებზეც კანისა და ბალაკის ინიციალებია გამოსახული. ვიბრატორებს "მიხაელ ბ" და "ოლივერ კ" აწერია. ფეხბურთელებს მიაჩნიათ, რომ ეს მათი უფლებების უხეში დარღვევაა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ეს ორი ფეხბურთელი როდი დაზარალდა. არსებობს კიდევ ერთი ვიბრატორი "დევიდ ბ". ალბათ ხვდებით, რომ დევიდ ბექჰემზეა საუბარი. თუცმა, ინგლისის ნაკრების კაპიტანი ჯერჯერობით ჩივილს არ აპირებს. შესაძლოა, მან თავისი სახელობის ვიბრატორის არსებობის შესახებ ჯერაც არ იცის.

## ვუდგეიტი "რეალს" დატოვებს

ინგლისელი მცველი ჯონათან ვუდგეიტი ზაფხულში მადრიდის "რეალის" დატოვებას აპირებს. გაზეთ "მარკას" ინფორმაციით, ფეხბურთელმა თხოვნით მიმართა თავის აგენტებს, რომ მას ახალი კლუბი მოუძებნონ. შეგახსენებთ, რომ ვუდგეიტი ორი წლის წინ იყიდა "რეალმა" "ნიუკასლიდან" 23 მილიონ გირვანქა სტერლინგად. ამ ორი სეზონის განმავლობაში ჯონათანს მადრიდის "რეალში" ცენტის ფასი არაფერი გაუკეთებია.

# ზოგჯერ მწვრთნელსაც არ უნდა დაუჯერო

NBA-ს დასავლეთ კონფერენციაში ფინალური სერია დაიწყო. "დალასმა" პირველ მატჩში "ფენიქსს" უმასპინძლა. ალბათ უკვე აღარ გიკვირთ, რომ ფენიქსელთა შემადგენლობაში არ უთამაშია ნიკოლოზ ცქიტიშვილს. ქართველი კალათბურთელი კვლავაც სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს თანაგუნდელთა გმირულ თამაშს.

"ფენიქსმა" მართლაც მშვენივრად ითამაშა და სტუმრად გაიმარჯვა, რაც მთლიანად სერიის მოგების შანსსაც იძლევა.

სტუმრებმა ანგარიშით 121:118 იმარჯვეს, არადა, მატჩის მსვლელობისას ნოვიცკი და კომპანია შეხვედრას 9 ქულითაც კი იგებდა.

დალასელთა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ მართლაც კარგად ითამაშა. მის ანგარიშზე 25 ქულა და 19 ფარიდან მოხსნილი ბურთია. მას არც მეტოქე გუნდის ლიდერი, რეგულარული სეზონის MVP სტივ ნეში ჩამორჩა, "ფენიქსის" გამთამაშებელმა საკუთარ გუნდს 27 ქულა შესძინა, 5-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და ამას 16 შედეგიანი გადაცემაც დაუმატა. თუმცა თამაშის გმირობა არც ერთს ხვდა წილად და არც მეორეს. მატჩის ბედი სტუმართა ახალგაზრდა კალათბურთელმა ბორის დიავმა გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ იგი სეზონის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს.



ნეშისა და ნოვიცკის დუელი.

როდესაც მატჩის დასრულებას რამდენიმე წამი აკლდა, სტუმართა მწვრნელმა წუთშესვენება აიღო. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, გადამწყვეტი ტყორცნა სტივ ნეშს მიანდეს. მატჩის განახლების შემდეგ კი დიავმა თამაში საკუთარ თავზე აიღო და საშუალო მანძილიდან ზუსტად ტყორცნა. ეს მოხდა მატჩის დასრულებამდე 1 წამით ადრე. ცხადია, "დალასმა" დარჩენილ წამში ანგარიში ვეღარ გაათანაბრა.

"წუთშესვენებაზე მწვრთნელმა გვითხრა, რომ გადამწყვეტი ბურთი ნეშს უნდა ესროლა, მაგრამ ბურთი მე მქონდა. დავინახე, რომ სტივი მეტოქე გუნდის კალათბურთელებს დაკეტილი ჰყავდათ, ამიტომ შეტევა გავაგრძელე და, როგორც ხედავთ, არ შევცდი. იმედია, მწვრთნელი მაპატიებს", - განაცხადა მატჩის შემდეგ დიავმა.

# აპა 16

## აპა შერპამ თექვსმეტჯერ დაიპყრო ევერესტი!

ბიბა ბურასაშვილი

*ჩია ტანისაა, მაგრამ ისეთებს სჩადის.... ახლაც ისეთი რამ გააკეთა... მაშ ასე, აპა შერპა, კაცი, რომელმაც მეთექვსმეტედ დაიპყრო დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი!*

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს კაცი ერთხელ თბილისშიც ჩამოვიდა. 2002 წელს საქართველოში სტუმრად მყოფ სახელოვან ნეპალელთან გასაუბრების საშუალებაც მომეცა. თუ არ ვცდები, მაშინ ევერესტი 11-ჯერ ჰქონდა დაპყრობილი. ვკითხე კიდეც, კიდევ რამდენჯერ აპირებ ევერესტის დაპყრობას-მეთქი? ოთხ-ხუთჯერ მაინცო, მიპასუხა. რატომ მაინცდამაინც ევერესტი-მეთქი? აპა შერპამ საფირმო პასუხად ქცეული სიტყვები წარმოთქვა: იმიტომ, რომ ის არსებობსო. როდესაც ბრიტანული ექსპედიციის წევრს ჯორჯ მელორის 1924 წელს ჰკითხეს, ევერესტზე რა გინდაო, სწორედ ასე უპასუხა. მას შემდეგ მელორის სიტყვებს, როგორც პასუხს ამ კითხვაზე, მთამსვლელები ხშირად იმეორებენ (ალპინიზმის ისტორიაში 1924 წლის ექსპედიცია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ შესაძლოა ევერესტზე პირველამსვლელთა სახელების - ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარისა და ნეპალელი თენსინგ ნორგეის გასწვრივ ჯორჯ მელორისა და ჯორჯ ირვაინის გვარები ამოიტვიფროს. მოგეხსენებათ, 1953 წლის 29 მაისს, 11 საათსა და 30 წუთზე, ევერესტზე ადამიანმა პირველად შედგა ფეხი. პირველამსვლელები კი სწორედ თენსინგ ნორგეი და ედმუნდ ჰილარი არიან. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არანაირი სამხილი არ არსებობს იმისთვის, რომ პირველდამპყრობლებად მელორი და ირვაინი ითვლებოდნენ. თუმცაღა საამისო ეჭვიც არსებობს, რაც ცალკე საუბრის თემაა.- რედ.)



აპა შერპამ თბილისში დადებული პირობა შეასრულა.

იმითაც დავინტერესდი, შენი რომელიმე შვილი შენს გზას რომ დაადგეს, გინდა-მეთქი? მიპასუხა, რომ საკუთარ შვილებს მთებში სიარულს არ ურჩევს. ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ ალპინიზმით არ მოიწამლონ. მინდა, სასკოლო განათლება მივცე და მერე, როგორც განათლებულებმა, ასე არჩინონ საკუთარი ოჯახებიო.

ოთხი შვილის მამა აპა შერპა სწორედ ევერესტზე ლაშქრობებით არჩენდა და არჩენს საკუთარ ოჯახს.

საარაკო ასვლა 45 წლის აპა შერპამ განახორციელა უცხოელი ტურისტებისგან შემდგარ ჯგუფთან ერთად, რომელიც მისთვის რიგით მეთექვსმეტე აღმოჩნდა. აპამ საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა.

"მან საკუთარი რეკორდი დაამხო და მორიგი გმირული საქციელი ჩაიდინა", - აპა შერპას მიერ ევერესტის მეთექვსმეტედ დაპაყრობის შემდეგ "ფრანს პრესთან" საუბარში სიამაყით აცხადებდა ნეპალის მთამსვლელთა ასოციაციის თავმჯდომარე ანგ შერინგ შერპა.

ყველაფერი კი 1989 წელს დაიწყო. აპამ პირველად სწორედ მაშინ დალაშქრა ევერესტი და მას შემდეგ სხვა მწვერვალებისკენ აღარც იხედება. დაჰყვება უცხოელ მთამსვლელებს, როგორც შერპი და როგორც მეგზური და, როგორც ყველა სხვა შერპი, ასე ინახავს საკუთარ ოჯახს.

ნეპალის ტურიზმის სამინისტროს მონაცემებით, წლეულს ევერესტზე 100-მდე ადამიანი ავიდა. აქედან ნახევარი შერპები იყვნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ზუსტი სტატისტიკა სეზონის დასრულებამდე გამორიცხულია, მაინც გეტყვით, რომ ევერესტის დაპყრობის ისტორიაში დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე 1400-ზე მეტი ადამიანი ავიდა. 190-მდე მთამსვლელმა იქვე ჰპოვა სამუდაო განსასვენებელი.

# GOLEO-ს ალბომი

უკვე დიდი ხანია, რაც მუსიკა და ფეხბურთი ჰარმონიულად თანაარსებობენ. საფეხბურთო ჰიმნების დაწერის ტრადიაცია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. პირველად საფეხბურთო ჰიმნი 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაიწერა. ამ სიმღერას მუნდიალის თილისმის სახელი დაერქვა - World Cup Willie.

40 წლის წინ ლომ ვილის მხოლოდ ერთი სიმღერა მიუძღვნეს. ახლა კი მუსიკა საფეხბურთო ცხოვრების იმდენად მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, რომ ბრიტანული "ვილის" გერმანელი მემკვიდრე ლომი GOLEO უკვე ერთ სიმღერას აღარ დასჯერდა და მას მთელი ალბომი მიუძღვნეს.

მუნდიალის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე ბობ სინკლერის მიერ შესრულებული სიმღერა Love Generation, რომელიც ასევე მსოფლიო ჩემპიონატის თილისმას ეძღვნება, ნამდვილ ჰიტად იქცა და ერთ-ერთ ჰიტ-აღლუმში პირველი ადგილი დაიკავა.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი კი ერთდროულად ორ ოფიციალურ ჰიმნს გვაჩუქებს. ტურნირის მთავარი სიმღერა Time of Our Lives-ს Il Divo და ტონი ბრექსტონი იმღერებენ. ოფიციალურ ჰიმნს Celebrate the Day-ს კი გერმანელი მომღერალი ჰერბერტ გრონემარერი და აფრიკული დუეტი ამადუ და მარიამი შეასრულებს.

ტურნირის ოფიციალურ ალბომში აგრეთვე შესულია შაკირას სიმღერა Hips don't Lie. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფიფასა და წამყვანი პოპვარსკვლავების თანამშრომლობა წარმატებით გრძელდება. იაპონია-კორეის მუნდიალზე ანასტასიამ შეასრულა სიმღერა Boom, რიკი მარტინმა კი საფრანგეთის მუნდიალზე გულშემატკივრებს სიმღერა La Copa de la Vida აჩუქა.

წლევანდელი მუნდიალი გამონაკლისს არ წარმოადგენს და ჰიმნები გუნდებმაც შეარჩიეს. მაგალითად, ინგლისელები ყველა მატჩზე ჯგუფ Embrace-ის სიმღერით World At Your Feet-ით გამოვა. ტრინიდადელთა ჰიმნი კი მაკსიმუს დენმა შეასრულა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მუნდიალის შემდეგ მეხსიერებაში სწორედ გუნდებისთვის დაწერილი სიმღერები რჩება. გერმანელები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ესპანურენოვან სიმღერებს ირჩევდნენ. ეს ხდებოდა 1978, 1982 და 1986 წლის მუნდიალებზე, 1994 წელს კი ბუნდესნაკრებმა ტრადიციას უღალატა და აშშ-ში ჯგუფ Village People-ის სიმღერა Far Away in America ჩაიტანა.



ტონი ბრექსტონი მუნდიალის მთავარ სიმღერას შეასრულებს.

ინგლისის ნარების გულშემატკივრებს დიდხანს დაამახსოვრდათ ნაკრებისთვის 1982 წელს დაწერილი სიმღერა This Time, რომელიც ჯგუფ "ნიუ ორდერთან" ერთად ფეხბურთელმა ჯონ ბარნსმა შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ სიმღერების ჩაწერა ბარნსის გარდა სხვებმაც სცადეს. ლეგენდარულმა პელემ და ბრაზილიელმა მომღერალმა ელის რეჟინამ ერთობლივად რამდენიმე სიმღერა ჩაწერეს. შოტლანდიის ნაკრებს კი ვერც სიმღერები შველით. 1978 წელს სქოთებისთვის ლეგენდარულმა როკვარსკვლავმა როდ სტიუარტმა ჩაწერა სიმღერა, მაგრამ ნაკრებმა არგენტინის მუნდიალზე ვერაფერი მოახერხა. თუმცა სიმღერა კარგა ხანს რჩებოდა ჰიტად.

სიმღერისა და ფეხბურთის კავშირის ყველაზე სასიამოვნო და დასამახსოვრებელი ეპიზოდები კი, რალა თქმა უნდა, უკვდავი ტრიოს კონცერტებია. ლუჩანო პავაროტი, პლასიდო დომინგო და ხოსე კარერასი 1990 წლის შემდეგ მუნდიალს არ ტოვებენ და მათი წყალობით მსოფლიო ჩემპიონატები მხოლოდ ფეხბურთის ზეიმი როდია.

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ხელახალ ღია ტენდერს სახანძრო ფარების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** სახანძრო ფარები
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი N | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში) | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| ლოტი N1 | **სახანძრო ფარი** (სახანძრო კაუჭი-1ც, კონუსური სათლი-2ც, ნიჩაბი-1ც, ძალაყინი-1ც, წერაქვი-1ც, ცეცხლმაქრი -2ც.) | კომპლექტი | 150 | 30.06.06-31.12.06 | ქ. თბილისი, გედევანიშვილის ქ. N27 |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 16 ივნისის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ.კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 17 ივნისიდან 21 ივნისის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ.კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 ივნისს 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტროქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ.კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად

1. ს.ს.ი.პ. "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №68-ში მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 291 კვ მეტრი არასაცხოვრებელი ფართი გაიცემა იჯარის უფლებით. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 1800 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 141,81 აშშ დოლარი). იჯარის ვადაა 3 წელი.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 450 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო სამი თვის გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

ა) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;

ბ) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში კომერციული საქმიანობის ჩატარება (კვების პროდუქტების წარმოება);

გ) ინფორმაციის წარმოდგენა "მეიჯარესთან" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

2. ს.ს.ი.პ. "საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №68-ში მდებარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სარდაფ-სართულზე არსებული 62,08 კვ მეტრი არასაცხოვრებელი ფართი გაიცემა იჯარის უფლებით. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 250 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 30,26 აშშ დოლარი), იჯარის ვადაა 3 წელი.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 125 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო ექვსი თვის გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

ა) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;

ბ) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში კომერციული საქმიანობის ჩატარება (ლითონის ნაკეთობების დამზადება);

გ) ყოველ 6 თვეში ინფორმაციის წარმოდგენა "მეიჯარესთან" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და წესდების ასლს.

საკუთრების უფლების გაცემის სანოტარო დამოწმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის მყიდველი.

"ბე"-ს გადახდა ხდება: ბანკი "რესპუბლიკა", სკ 211349192, ა/ანგარიში 345537, ბანკის კოდი 220101757, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 26 ივნისს 11 საათზე.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 15 საათამდე მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ტელ: 36 53 90).

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვროს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი რ. ხუროძე

# "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით
(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

# ვაკანსია
# გარემოს დაცვის საველე ოფიცერი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს გარემოს დაცვის საველე ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად. გარემოს დაცვის საველე ოფიცერი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

გარემოს დაცვის საველე ოფიცრის სამუშაოს შეადგენს მშენებლობის ეტაპზე დახმარება გარემოსდაცვითი მონიტორინგის და მართვის საკითხებში, იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს სპეციალური ობიექტების მშენებლობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთზე ("კოდიანას სპეციალური პროექტები"). გარემოს დაცვის საველე ოფიცრის კონკრეტული პასუხისმგებლობის არეალი იქნება ყველაზე სენსიტიური ტერიტორია პროექტის მასშტაბით (ბორჯომი-ბაკურიანი).

გარემოს დაცვის საველე ოფიცრის სამუშაო ადგილი იქნება ბაკურიანი, ზოგჯერ მოუწევს მგზავრობა ქვეყნის ფარგლებში, კონტრაქტის მთელი ვადის განმავლობაში.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

გარემოს დაცვის საველე ოფიცერი მონაწილეობას მიიღებს "გარემოსდაცვითი მართვის სისტემის" შემუშავებასა და განხორციელებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს "პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" დოკუმენტით აღებული ვალდებულებების შესრულება. ძირითად გარემოსდაცვით საკითხებს მიეკუთვნება: გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი, კონტრაქტორების დახმარება სათანადო პროცედურების შემუშავების პროცესში, გეგმების მიმოხილვა, საველე სამუშაოების ზედამხედველობა და "გარემოსდაცვითი მართვის სისტემის" რეალიზაცია.

ამ თანამდებობაზე მომუშავე პირის ტიპიურ მოვალეობებს განეკუთვნება:

- ჩაატაროს სამუშაო ობიექტების ყოველდღიური შემოწმება გარემოსდაცვითი კუთხით;
- შეადგინოს ყოველდღიური და ყოველკვირეული ანგარიშები, დოკუმენტურად აღრიცხოს მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევები და დაკვირვების შედეგები;
- დაესწროს შეხვედრებს მიმდინარე საკითხებზე მშენებლობის და გარემოსდაცვით სფეროებში;
- საველე ობიექტებზე იქონიოს კავშირი მარეგულირებელ ორგანოებთან;
- დახმარება აღმოუჩინოს მესამე მხარის წარმომადგენლებს აუდიტის ჩატარების პროცესში;
- საჭიროების შემთხვევაში, განიხილოს და ჩაატაროს საკონტროლო მონიტორინგი და გააკეთოს შესაბამისი ანგარიშგება მშენებლობის კონტრაქტორის "წინასამშენებლო დათვალიერების ანგარიშების", მშენებლობის მეთოდოლოგიის და სხვა გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მოთხოვნების შესრულების შესახებ;
- მოამზადოს ტრენინგის მასალები და ჩაატაროს ტრენინგები პროექტის პერსონალისათვის;
- საჭიროებისამებრ თარგმნოს და შეამოწმოს ტექნიკური დოკუმენტაცია;
- შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს ნიმუშების აღება და მონიტორინგი;

**მოთხოვნები:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- გარემოსდაცვით სფეროში ინსპექტირების და მონიტორინგის საქმიანობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება, მშენებლობის პროექტების ფარგლებში;
- დიპლომი სამოქალაქო/გარემოსდაცვით საინჟინრო საქმეში, ბიოლოგიის/ეკოლოგიის ან გარემოსდაცვით მეცნიერებებში, ან ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის სფეროში;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - გამართული ცოდნა;
- მრავალფეროვან კულტურულ გარემოში და მრავალდარგობრივ პროექტებზე მუშაობის უნარი და საჭირო მოქნილობა;
- ადამიანებთან ურთიერთობის დახვეწილი უნარი და შედეგიანი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა, სირთულეების დაძლევის პირობებში;
- ადამიანების ფართო წრეებთან მოლაპარაკების გზით სასურველი შედეგების მიღწევის უნარი.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 7 ივნისი, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ტენდერს ინტერნეტ და სატელეფონო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

**შესყიდვის ობიექტების მახასიათებლები:**

**1. ინტერნეტ მომსახურება.**

**2. საქართველოს პროკურატურების მაშტაბით ერთიანი კოორპორაციული PBX სატელეფონო ქსელის შექმნა.**

**ტექნიკური პარამეტრები.**

| N | მიწოდების ადგილი: | პროკურატურის მისამართი | საჭირო ტელეფონების რაოდენობა | ინტერნეტის სიჩქარე, ტექნოლოგია |
|---|---|---|---|---|
| 1 | გენერალური პროკურატურა | ქ.თბილისი, გორგასალის ქუჩა N24 | 250 | 512 kbps download/128 kbps upload, **Optical Leased Line** და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 2 | თბილისის პროკურატურა | ქ. თბილისი, დიღომი 2 კვარტალი. | 38 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 3 | ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა | ქ. თბილისი, დიღომი 2 კვარტალი. | 9 | |
| 4 | მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურა | ქ. თბილისი, ბერძნის ქუჩა N29 | 10 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 5 | დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა | ქ.თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N162 | 27 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 6 | ისან-სამგორის რაიონული პროკურატურა | ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის ქუჩა N69 | 12 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 7 | გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა | ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N1 | 8 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 8 | მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა | ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა N11 | 9 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 9 | მცხეთის რაიონული პროკურატურა | ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა N11 | 7 | |
| 10 | დუშეთის რაიონული პროკურატურა | დაბა ჟინვალი, ჟინვალჰესის ადმ.შენობა | 6 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 11 | სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა | ქ.ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N91 | 15 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 12 | ახალციხის რაიონული პროკურატურა | ქ.ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N91 | 11 | |
| 13 | ახალქალაქის რაიონული პროკურატურა | ქ.ახალქალაქი, ცარენცის ქუჩა N30 | 7 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 14 | სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა | ქ.ზუგდიდი, კედიას ქუჩა N7 | 7 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 15 | ზუგდიდის რაიონული პროკურატურა | ქ. ზუგდიდი, სპირიდონ კედიას ქუჩა N5 | 8 | |
| 16 | სენაკის რაიონული პროკურატურა | ქ. სენაკი, ჯორჯაძის ქუჩა N18 | 9 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 17 | ფოთის რაიონული პროკურატურა | ქ. ფოთი, ჭანტურიას ქუჩა N3 | 6 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 18 | მესტიის რაიონული პროკურატურა | დაბა მესტია, ბ. კახიანის ქუჩა N10 | 2 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 160 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 19 | შიდა ქართლის საოლქო პროკურატურა | ქ.გორი, ჯორბენაძის ქუჩა N1 | 4 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 20 | გორის რაიონული პროკურატურა | ქ.გორი, ჯორბენაძის ქუჩა N1 | 7 | |
| 21 | ხაშურის რაიონული პროკურატურა | ქ.ხაშური, ლომოურის ქუჩა N9 | 5 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 22 | ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა | ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქუჩა N17 | 19 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 23 | რუსთავის რაიონული პოკურატურა | ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქუჩა N17 | 11 | |
| 24 | მარნეულის რაიონული პროკურატურა | ქ.მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N6 | 7 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 25 | ბოლნისის რაიონული პროკურატურა | ქ.ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N84 | 7 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 26 | კახეთის საოლქო პროკურატურა | ქ.თელავი, ვარდოშვილის ქუჩა N7 | 11 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 27 | თელავის რაიონული პროკურატურა | ქ.თელავი, ვარდოშვილის ქუჩა N7 | 10 | |
| 28 | სიღნაღის რაიონული პროკურატურა | ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N1 | 9 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 29 | გურჯაანის რაიონული პროკურატურა | ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა N24 | 10 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 30 | დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა | ქ. ქუთაისი, სადგურის მოედანი N3 | 25 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 31 | ქუთაისის რაიონული პროკურატურა | ქ. ქუთაისი, სადგურის მოედანი N3 | 16 | |
| 32 | ცაგერის რაიონული პროკურატურა | ქ.ცაგერი, რუსთაველის ქუჩა N59 | 3 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 160 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 33 | სამტრედიის რაიონული პროკურატურა | ქ. სამტრედია, რუსთაველის ქუჩა N3 | 7 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 34 | ზესტაფონის რაიონული პროკურატურა | ქ. ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის ქუჩაN4 | 6 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 35 | ჭიათურის რაიონული პროკურატურა | ქ. ჭიათურა ნინოშვილის ქუჩაA N11 | 7 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 36 | ოზურგეთის რაიონული პროკურატურა | ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქუჩა N1 | 6 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 256 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 37 | ამბროლაურის რაიონული პროკურატურა | ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N35 | 4 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 160 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 38 | აჭარის ა/რესპუბლიკის პროკურატურა | ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა N51 | 10 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 384 kbps, გარანტირებული 128 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |
| 39 | ბათუმის რაიონული პროკურატურა | ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა N51 | 5 | |
| 40 | შუახევის რაიონული პროკურატურა | შუახევი, ხიმშიაშვილის ქუჩა N1 | 5 | ინტერნეტ-არხი საერთაშორისო 160 kbps, გარანტირებული 64 kbps **ADSL** ტექნილოგიით და მოცემულ ინტერნეტ-არხში **VPN IPSec** ტუნელის შექმნის საშუალება |

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 14 ივნისის ჩათვლით, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. მიწოდების სავალდებულო ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კალენდარული თვის განმავლობაში.
2. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი ორიგინალის სახით 15 ივნისს დღის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 **იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი საქართველოს საჯარო რეესტრიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

3.2 **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თოაბაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

3.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ცნობა სახელმწიფო ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არქონის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან);

4. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
5. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
7. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ნოდარი ფოცხვერაშვილი ტელ: 8-93-22-94-22 93-24-85,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

---

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომპიუტერული, საორგანიზაციო და საოფისე ტექნიკის შესაძენად 2006 წლის 16 მაისის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი ცვლილების შესახებ.

კომპიუტერული, საორგანიზაციო და საოფისე ტექნიკის შესაძენად გამოცხადებულ განცხადებაში

4-ე პუნქტის (**საკვალიფიკაციო მოთხოვნები როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისთვის**) "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. **როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირისთვის**:

ა). ტენდერში გამარჯვებულს უნდა შეეძლოს მსოფლიო ბაზარზე აღიარებული "BRAND"- ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ წარმოებული ტექნიკის მოწოდება [შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანხლებით (წარმოშობის სერთიფიკატი)] და შემდგომი ტექნიკური მომსახურება".

---

## ს.ს. "პროკრედიტბანკი" აცხადებს ტენდერს დაზღვევაზე

დაზღვევის საგანი: უბედური შემთხვევებისაგან კოლექტიური დაზღვევა ინკასატორებისათვის

ჩვენი პირობები და მოთხოვნებია:

| | |
|---|---|
| ინკასატორების რაოდენობა | 18 |
| სადაზღვევო ლიმიტი პიროვნებაზე | $50 000 |
| სადაზღვევო თანხა ცალკეული შემთხვევისას | $200 000 |
| სადაზღვევო თანხა მთლიანობაში | $900 000 |

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზებები დალუქული კონვერტით და წარწერით დავით გაბელაშვილს, კონფიდენციალურია.

მისამართზე:
ს.ს. "პროკრედიტბანკი"
სათაო ოფისი
დავით გაბელაშვილი
დ. აღმაშენებლის 154.
თბილისი
ტელ: 202222

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 6 ივნისი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დამიკავშირდით
ელ. ფოსტაზე: d.gabelashvili@procreditbank.ge

---

## განცხადება

**2006 წლის 16 მარტს შპს თბილწყალკანალის" მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში მიწისქვეშა სკანირების რადარების შეზენის შესახებ ცვლილების შეტანის შესახებ**

განცხადებაში მიწისქვეშა სკანირების რადარების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის შესახებ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

**პუნქტი 6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**სატენდერო კომისია**

---

ცენტრ პოინტ ჯგუფი

## ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

---

ა. თვალჭრელიძის სახელობის "კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში" მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ა.წ. 15 ივნისს გამოცხადდება კონკურსი საშტატო ვაკანსიებზე

**დირექცია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა- აფხაზეთი, გალის რ-ნი, დასახლება საბერიო, აცხადებს ტენდერს სათადარიგო ნაწილების, მოწყობილობების და მასალების შესყიდვაზე (შემდგომში საქონელი) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესასყიდი საქონელი:

2. შესასყიდი საქონელი:

| № | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | I ლოტი | | |
| | **სამშენებლო მასალები** | | |
| 1 | აგური სამშენებლო | ცალი | 1000 |
| 2 | არმატურა 18მმ. | ტონა | 1,0 |
| 3 | არმატურა 16მმ. | ტონა | 1,0 |
| 4 | ფიცარი 5მმ. | მ$^3$ | 8,0 |
| 5 | ფიცარი 3მმ. | მ$^3$ | 3,0 |
| 6 | ცემენტი | ტონა | 10 |
| 7 | შველერი 150X150მმ. | გრ/მეტრი | 30 |
| 8 | კუთხოვანა 50*50მმ. | გრ/მეტრი | 350 |
| 9 | შლაკი | მ$^3$ | 20 |
| 10 | ლურსმანი დუბელი | კგ. | 5,0 |
| 11 | ლურსმანი შიფერის 120 მმ. | კგ. | 150 |
| 12 | ლურსმანი 70მმ. | კგ. | 25 |
| 13 | ლურსმანი 80მმ. | კგ. | 35 |
| 14 | ლურსმანი 100მმ. | კგ. | 70 |
| 15 | ფანერა ДВП-3მმ. | მ$^2$ | 100 |
| 16 | ფანერა ДСП-10მმ. | მ$^3$ | 100 |
| 17 | ძელაკი ხის 10*15სმ. | მ$^2$ | 50 |
| 18 | თუნუქი მოთუთებული 0,8-1მმ. | მ$^2$ | 800 |
| 19 | პარანიტი1÷5მმ. (10-10მ$^2$) | მ$^2$ | 100 |
| 20 | ლითონის ფურცელი 4მმ. | მ$^2$ | 20 |
| 21 | მინა სხვადასხვა 4მმ. | მ$^2$ | 25 |
| 22 | მინა 6მმ. | მ$^2$ | 150 |
| 23 | მინა 5მმ. | მ$^2$ | 25 |
| 24 | შიდა კარების საკეტი | ცალი | 24 |
| 25 | ბოქლომი | ცალი | 20 |
| 26 | საკანალიზაციო მილი Ф-150 | გრ/მეტრი | 500 |
| | **სამუშაო ხელსაწყოები და იარაღი** | | |
| 1 | ხერხი (ხელის პატარა) | ცალი | 3 |
| 2 | ხერხი (დიდი) | ცალი | 1 |
| 3 | რკინის ჯაგრისი | ცალი | 60 |
| 4 | ნიჩაბი | ცალი | 10 |
| 5 | ბარი | ცალი | 5 |
| 6 | ცული | ცალი | 3 |
| 7 | ნაჯახი (პატარა) | ცალი | 2 |
| 8 | ურო 2კგ. | ცალი | 5 |
| 9 | ურო 4კგ. | ცალი | 4 |
| 10 | ძალაყინი 1180მმ. | ცალი | 5 |
| 11 | ტომარა 50კგ. | ცალი | 400 |
| 12 | პნევმოჩაქუჩის თავი (პიკი) (რუსული) | ცალი | 50 |
| 13 | პერფორატორი (რუსული) | ცალი | 5 |
| 14 | დაზგის ხერხი სხვადასხვა ზომის | ცალი | 3 |
| 15 | სალესი ქვა სხვადასხვა დიამეტრის 400მმ ღერძის დიამეტრით 127მმ. | ცალი | 10 |
| 16 | სალესი ქვა ღერძის დიამეტრით Ф32მმ. სხვადასხვა | ცალი | 10 |
| 17 | რკინის საჭრელი ქვა 230X22X3 | ცალი | 30 |
| 18 | რკინის საჭრელი ქვა 180X22X3 | ცალი | 50 |
| 19 | რკინის საჭრელი ხერხუნა | ცალი | 30 |
| 20 | აირმჭრელი (20გ/მ შლანგით) | კომპლექტი | 3 |
| 21 | პნევმატური ჩაქუჩი (რუსული) | ცალი | 3 |
| 22 | სახრახნისების კომპლექტი დიელექტრული სახელურით (რუსული) | კომპლექტი | 10 |
| 23 | პრტყელტუჩა (რუსული) | ცალი | 25 |
| 24 | იხვნისკარტა (რუსული) | ცალი | 15 |
| 25 | ხერხუნას ტანი | ცალი | 30 |
| 26 | ორმხრივი ქანჩის გასაღებების კომპლექტი 6*51 (რუსული) | კომპლექტი | 18 |
| 27 | ცვლადი თავები ტორსული ქანჩის გასაღებისა და შემაერთებელი კვადრატით. თავების ზომებით 8-51 (რუსული) | კომპლექტი | 12 |
| 28 | ტორსული გასაღების კომპლექტი (რუსული) | კომპლექტი | 10 |
| 29 | ჩაქუჩი ტარითურთ 200გრ. | ცალი | 4 |
| 30 | ჩაქუჩი ტარითურთ 400გრ. | ცალი | 4 |
| 31 | ჩაქუჩი ტარითურთ 600გრ. | ცალი | 4 |
| 32 | გასაღები მილისებური ბერკეტური №2 (რუსული) | ცალი | 5 |
| 33 | ქლიბის საერთო დანიშნულებით №0,1,2,3. სხვადასხვა ტიპის А,В,Е,Д. (რუსული) | ცალი | 30 |
| 34 | წმინდა ქლიბი Ф-80მმ. №2,3 სხვადასხვა ტიპის (რუსული) | ცალი | 20 |
| 35 | შიგსახრახნისა და სახრახნელის კომპლექტი ხრახნის დიამეტრით მმ-ში Ф-2-36 (метчик перка) (რუსული) | ცალი | 16 |
| 36 | საცეცების კომპლექტი №4 გაზომვის დიაპაზონი 0,1მმ-დან 1მმ-მდე. | ცალი | 10 |
| 37 | შტანგენფარგალი ტუჩების ორმხრივი განლაგებით | ცალი | 5 |
| 38 | საჩნევი ფარგალი შუასადებებისათვის (17მმ.) | ცალი | 8 |
| 39 | სალესი 1კვტ. სიმძლავრის | ცალი | 1 |
| 40 | პერფორატორის გვირგვინი (რუსული) | ცალი | 10 |
| 41 | ელექტრო შესადუღებელი აპარატის კომპლექტი | ცალი | 2 |
| 42 | ელ. საჭრელი „ბალგარკა" 1კვტ. | ცალი | 7 |
| 43 | მეტალის ბურღი Ф2–15მმ. (რუსული) | კომპლექტი | 2 |
| 44 | ბეტონის ბურღი Ф6–15მმ. (რუსული) | კომპლექტი | 2 |
| 45 | ელ. შალაშინი (რუსული) | ცალი | 1 |
| 46 | ნიველირი II-3 (რუსული) | ცალი | 1 |
| 47 | გირაგი | ცალი | 7 |
| 48 | ღოჯი საზეინკლო მჭრელი ზედაპირის ზომით 5მმ, 10მმ, 15მმ, 25მმ. | ცალი | 20 |
| 49 | საკისარი №317, ორრიგიანი, გორგოლაჭიანი | ცალი | 50 |
| 50 | საკისარი №317,ორრიგიანი, ბურთულებიანი | ცალი | 4 |
| 51 | საკისარი №3612,ორრიგიანი, გორგოლაჭიანი | ცალი | 4 |
| 52 | საკისარი №306 | ცალი | 20 |
| 53 | საკისარი №308 | ცალი | 10 |
| 54 | მშრალი შედუღება (პასტა ტუბიკებში) | ცალი | 50 |
| 55 | რეზინის გოფრირებული შლანგი Ф-50მმ. | გრ/მეტრი | 60 |
| 56 | რეზინის გოფრირებული შლანგი Ф-75მმ. | გრ/მეტრი | 60 |
| 57 | მაღალი წნევის შლანგი Ф10-12მმ. | გრ/მეტრი | 40 |
| 58 | რეზინის შლანგი Ф32-50მმ. | გრ/მეტრი | 200 |
| 59 | კომპრესორის ღვედი А ტიპის 950-1000მმ. | ცალი | 30 |
| 60 | სასწორი 0-500კგ. | ცალი | 1 |
| 61 | სასწორი დახლის 0-15კგ. | ცალი | 1 |
| 62 | ელექტრო ტალი 3 ტონიანი | ცალი | 1 |
| | II ლოტი | | |
| | **ელექტრო ხელსაწყოები** | | |
| 1 | მოქნილი კაბელი 8-ძარღვა 2,5მმ2 | გრ/მეტრი | 100 |
| 2 | სპილენძის მრავალძარღვა კაბელი (35X3+1X25)მმ$^2$ | გრ/მეტრი | 150 |
| 3 | კაბელის ბუნიკი (დაბოლოებები სპილენძის) 35მმ$^2$ | ცალი | 100 |
| 4 | კაბელის ბუნიკი (დაბოლოებები ალუმინის) 120მმ$^2$ | ცალი | 50 |
| 5 | ძაბვის ინდიკატორი | ცალი | 6 |
| 6 | ფაზის დაკარგვის რელე ЕЛ-10-1У3 (რუსული) | ცალი | 2 |
| 7 | თერმოსიგნალიზატორი ТКП-160, 16მ. კაპილარით (რუსული) | ცალი | 15 |
| 8 | თერმოსიგნალიზატორი ТКП-160, 12მ. კაპილარით (რუსული) | ცალი | 15 |
| 9 | თერმოსიგნალიზატორი ТКП-160, 6მ. კაპილარით (რუსული) | ცალი | 15 |
| 10 | ელექტრო-კონტაქტური მანომეტრი 0-16 ატმ. (რუსული) | ცალი | 10 |
| 11 | ელექტრო-კონტაქტური მანომეტრი 0-25 ატმ. (რუსული) | ცალი | 10 |
| 12 | ელექტრო-კონტაქტური მანომეტრი 0-40 ატმ. (რუსული) | ცალი | 10 |
| 13 | ელექტრო-კონტაქტური მანომეტრი 0-60 ატმ. | ცალი | 10 |
| 14 | წყლის ხარჯის გამზომი ხელსაწყო „ტრიალა" | ცალი | 1 |
| 15 | წამზომი | ცალი | 2 |
| 16 | ვოლტმეტრი 0-600 (რუსული) | ცალი | 5 |
| 17 | ტესტერი МВ90С+ (რუსული) | ცალი | 13 |
| 18 | ვოლტამპერიმეტრი М2044 (რუსული) | ცალი | 4 |
| 19 | ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი ЛАТР-1М10 (რუსული) | ცალი | 5 |
| 20 | სიხშირმზომი Ф246 (რუსული) | ცალი | 8 |
| 21 | ცვლადი დენის ხიდი | ცალი | 2 |
| 22 | დენის საზომი ხელსაწყო (კლეში) (რუსული) | ცალი | 6 |
| 23 | მეგაომეტრი 1000-5000ვ. (რუსული) | ცალი | 5 |
| 24 | მეგაომეტრი 500-2500ვ. (რუსული) | ცალი | 2 |
| 25 | ხელსაწყო ВАФ-58М (რუსული) | ცალი | 3 |
| 26 | ავტომატი АП-50-6,3А. АП50-10А (რუსული) | ცალი | 20 |
| 27 | ელ. გამშვები ПМЕ-25 | ცალი | 8 |
| 28 | მართვის პულტი КПК-60. | ცალი | 4 |
| 29 | მართვის პულტი КПК-40. | ცალი | 4 |
| 30 | მართვის პულტი КПК–20. | ცალი | 2 |
| | **ელექტრო ტექნიკური საქონელი** | | |
| 1 | კოჭების დასახვევი დაზგა СЗР-1.0У | ცალი | 1 |
| 2 | ტუმბო „გნომი" 25მ3/სთ. | ცალი | 2 |
| 3 | ელექტროდი ცვლადი დენის АНО-4 4მმ | კგ. | 350 |
| 4 | ელექტროდი მუდმივი დენის ЕА-398 | კგ. | 120 |
| 5 | კოჭების დასახვევი მავთული Ф-1,12 | კგ. | 50 |
| 6 | კოჭების დასახვევი მავთული Ф-0,63 | კგ. | 50 |
| 7 | კოჭების დასახვევი მავთული Ф-0,65 | კგ. | 50 |
| 8 | კოჭების დასახვევი მავთული Ф-0,75 | კგ. | 50 |
| 9 | კოჭების დასახვევი მავთული Ф-0,35 | კგ. | 50 |
| 10 | კოჭების დასახვევი მავთული Ф-0,55 | კგ. | 100 |
| 11 | საიზოლაციო ლენტა | ცალი | 50 |
| 12 | ნათურა 220ვ/100ვტ. | ცალი | 1000 |
| 13 | ნათურა 220ვ/500ვტ. | ცალი | 300 |
| 14 | ნათურა 36ვ/60ვტ. | ცალი | 500 |
| 15 | სადენი ალუმინის АС-50. | დოლი | 1 |
| 16 | სადენი ალუმინის АС-90 | დოლი | 1 |
| 17 | ავტომატური გამთვიშველი 630ა. | ცალი | 9 |
| 18 | ავტომატი 250ა. | ცალი | 15 |
| 19 | ავტომატური გამთვიშველი 300ა. | ცალი | 18 |
| 20 | კონტაქტორი 400ა. (თავისი გამომრთველით) | ცალი | 2 |
| 21 | ელ. გამათბობელი | ცალი | 4 |
| 22 | ფარანი (მეშახტის) | ცალი | 9 |
| 23 | გადასატანი დამაგრძელებელი 50მ. | ცალი | 5 |
| | **კავშირგაბმულობის აპარატურა** | | |
| 1 | მინი ციფრული ატს-100 ნომერზე | კომ. | 2 |
| 2 | შიდაგაყვანილობის სატელეფონო კაბელი (ოთხ ძარღვა) | გრ/მეტრი | 500 |
| | III-ლოტი | | |
| | **ქიმიური რეაგენტები** | | |
| 1 | კაუსტიკური სოდა | კგ. | 2000 |
| | **საოფისე ინვენტარი** | | |
| 1 | კონდინციონერი | ცალი | 6 |
| 2 | საოფისე მაგიდა | ცალი | 6 |
| 3 | სკამი | ცალი | 52 |
| 4 | წიგნის კარადა | ცალი | 5 |
| 5 | კარადა (შკაფი) | ცალი | 1 |
| 6 | კომპიუტერი კომპლექტით | ცალი | 1 |
| 7 | მაცივარი (საშუალო ზომის) | ცალი | 2 |
| 8 | მაცივარი კამერა | ცალი | 1 |
| 9 | ტელეფონი | ცალი | 20 |
| | **სამეურნეო ინვენტარი** | | |
| 1 | ვედრო ლითონის | ცალი | 15 |
| 2 | სარეცხი ფხვნილი | ცალი | 100 |
| 3 | სარეცხი ქელე | ცალი | 100 |
| 4 | სარეცხი საპონი | ცალი | 200 |
| | IV ლოტი | | |
| | **ავტოსათადარიგო ნაწილები** | | |
| 1 | ლიტოლი -24 (რუსული) | კგ. | 80 |
| 2 | ციატიმი -211 (რუსული) | კგ. | 70 |
| 3 | 6სტ. 90ა/აკუმლატორი (რუსული) | ცალი | 5 |
| 4 | 6სტ. 132ა/ აკუმლატორი (რუსული) | ცალი | 10 |
| 5 | 6სტ. 75ა/ აკუმლატორი (რუსული) | ცალი | 2 |
| 6 | 6სტ. 125ა/აკუმლატორი (რუსული) | ცალი | 5 |
| 7 | 220X508 ა/საბურავი (რუსული) | ცალი | 6 |
| 8 | 260X508 ა/საბურავი (რუსული) | ცალი | 30 |
| 9 | 185X14 ა/საბურავი (რუსული) | ცალი | 4 |
| 10 | 240X508 ა/საბურავი (რუსული) | ცალი | 12 |
| 11 | 245X705. 19,5 სატვირთო (რუსული) | ცალი | 6 |
| 12 | 205X70X15 ა/საბურავი (რუსული) | ცალი | 8 |
| 13 | 125--16 ა/საბურავი (რუსული) | ცალი | 6 |
| 14 | ფორდი ა/საბურავი (რუსული) | ცალი | 4 |
| 15 | 185X16 ა/საბურავი გაზელის (რუსული) | ცალი | 8 |
| 16 | სინათლის ცენტ. გადამრთველი გაზ.53 (რუსული) | ცალი | 2 |
| 17 | გაზელის რულის კარდანი (რუსული) | ცალი | 1 |
| 18 | უკანა მუხრუჭი (რუსული) | ცალი | 8 |
| 19 | НШ–32 მარცხენა (რუსული) | ცალი | 2 |
| 20 | კარბიტი (რუსული) | კგ. | 200 |
| 21 | ნედლი რეზინა (რუსული) | კგ. | 5 |
| 22 | კამაზის დაბალი წნევის ტუმბო (ხელით სატუმბი) (რუსული) | ცალი | 2 |
| 23 | მაზის პლუნჟერის წყვილი МАЗ 500 (რუსული) | ცალი | 6 |
| 24 | ტურბო დიზელის ზეთი მეგუინი | ლიტრი | 30 |
| 25 | ჰიდრავლიკული ზეთი მეგუინი | ლიტრი | 100 |
| 26 | უკანა ხიდის ზეთი მეგუინი | ლიტრი | 50 |
| 27 | ზეთის ფილტრი მერსედესის Арт №50013043, 043-ОС (გერმანული) | ცალი | 10 |
| 28 | ბენზინის ტუმბოს დიაფრაგმა გაზ-53 (რუსული) | ცალი | 10 |
| 29 | ჰაერის ფილტრი (რუსული) | ცალი | 10 |
| 30 | ელ. ნათურა სხვადასხვა 12ვლტ. (რუსული) | ცალი | 150 |
| 31 | ელ. ნათურა სხვადასხვა 24ვლტ. (რუსული) | ცალი | 150 |
| 32 | აპორა გაზ-53 (რუსული) | ცალი | 2 |
| 33 | გადაბმის დისკი გაზ-52 (რუსული) | ცალი | 1 |
| 34 | გადაბმის დისკი გაზ-53 (რუსული) | ცალი | 2 |
| 35 | სამუხრუჭე ზედნადები გაზ-52(რუსული) | ცალი | 25 |
| 36 | სამუხრუჭე ზედნადები გაზ-53 (რუსული) | ცალი | 25 |
| 37 | სამუხრუჭე ზედნადები კამაზის (რუსული) | ცალი | 24 |
| 38 | სამუხრუჭე ზედნადები მაზ-500 (რუსული) | ცალი | 16 |
| 39 | ჯვართავა გაზ-53 (რუსული) | ცალი | 10 |
| 40 | ჩობალი 16მმ. (გრაფიტის) (რუსული) | გ/მ | 50 |
| 41 | ჩობალი 22მმ. (გრაფიტის) (რუსული) | გ/მ | 50 |
| 42 | სანთელი (რუსული) | ცალი | 50 |
| 43 | ელექტრო სადენი სანთლების (რუსული) | კომპლექტი | 2 |
| 44 | რელე РР-130 (რუსული) | ცალი | 2 |
| 45 | საბურავის კამერა გაზ-53 (რუსული) | ცალი | 5 |
| 46 | ღვედი სხვადასხვა (რუსული) | ცალი | 30 |
| 47 | კონტაქტი გაზ-53 (რუსული) | ცალი | 10 |
| 48 | სტარტერი გაზ-53 (რუსული) | ცალი | 2 |
| 49 | ბენდექსი გაზ-53 (რუსული) | ცალი | 2 |
| 50 | ბენდექსი ფოლსვაგენის (გერმანული) | ცალი | 1 |
| 51 | კამაზის გადაბმის ქუროს ზედნადები (რუსული) | ცალი | 4 |
| 52 | ანტიფრიზი (რუსული) | ლიტრი | 150 |
| 53 | ფოლსვაგენის ზეთის ფილტრი (გერმანული) | ცალი | 3 |
| 54 | ფოლსვაგენის ჰაერის ფილტრი (გერმანული) | ცალი | 3 |
| 55 | გენერატორი г 250 г2 (რუსული) | ცალი | 1 |
| 56 | სტარტერი ст-230 А-1 (რუსული) | ცალი | 1 |
| 57 | აალების კოჭა Б-116 (რუსული) | ცალი | 1 |
| 58 | მინამწმენდი (რუსული) | ცალი | 2 |
| 59 | მაშუქი წინა ФГ 122 БВ (რუსული) | ცალი | 2 |
| 60 | მაშუქი უკანა ФП 130, ФП 130б. (რუსული) | ცალი | 2 |
| 61 | ფილტრი Газ-53 №1109010 (რუსული) | ცალი | 10 |
| 62 | ხმაურ მაყუჩი Газ-53 №1201010 (რუსული) | ცალი | 1 |
| 63 | რედუქტორი Газ-53 №1301006 (რუსული) | ცალი | 2 |
| 64 | გადაბმის დისკი Газ-52 №1601130 (რუსული) | ცალი | 1 |
| 65 | მიმწოლი დისკი Газ-53 №1601090 (რუსული) | ცალი | 1 |
| 66 | ბერკეტი Газ-52 №1601195 (რუსული) | ცალი | 1 |
| 67 | ბერკეტი Газ-53 №1601198 (რუსული) | ცალი | 1 |
| 68 | პირველადი ლილვი Газ-52 №1701022А (რუსული) | ცალი | 1 |
| 69 | კარდანის ლილვი Газ-53 №220010 (რუსული) | ცალი | 1 |
| 70 | რედუქტორი Газ-53 №2402010 (რუსული) | ცალი | 1 |
| 71 | წინა რესორი Газ-53 №2902012 (რუსული) | ცალი | 2 |
| 72 | უკანა რესორი Газ-53 №291202 (რუსული) | ცალი | 2 |
| 73 | განივი გამწევი Газ-52 №3003053 (რუსული) | ცალი | 1 |
| 74 | სამუხრუჭე ბარაბანი Газ-53 №3502070 (რუსული) | ცალი | 1 |
| 75 | სამუხრუჭე შლანგი Газ-53 №3506025 (რუსული) | ცალი | 4 |
| 76 | მუშა სამუხრუჭე ცილინდრი Газ-53 (რუსული) | ცალი | 4 |
| 77 | წინა სამუხრუჭე მუშა ცილინდრი Газ-53 (რუსული) | ცალი | 4 |
| 78 | სადები კომპლექტში Газ-53 №1000102-А (რუსული) | კომ | 2 |
| 79 | ცილინდრის გილზები კომპლექტში Газ-53 №ВК-53-1000105 (რუსული) | კომ | 2 |
| 80 | მქნევარა კომპლექტში Газ-53 №1005115б. (რუსული) | კომ | 1 |
| 81 | ბენზინის ბაკი Газ-53 №1101010 (რუსული) | ცალი | 1 |
| 82 | კარბიურატორი К-76 (რუსული) | ცალი | 1 |
| 83 | მწყვეტარა გამანაწილებელი (რუსული) | ცალი | 1 |
| 84 | МАЗ-500 ჯვართავა (რუსული) | ცალი | 2 |
| 85 | МАЗ-500 მობრუნების მუშტა აკრებილი მარცხენა (რუსული) | კომ | 1 |
| 86 | МАЗ-500 მობრუნების მუშტა აკრებილი მარჯვენა (რუსული) | კომ. | 1 |

შენიშვნა: აკუმლატორების მოწოდება მოხდება სპეც. განაცხადის საფუძველზე

3. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო წინადადება წარმოადგინოს ერთ ან რამოდენიმე ლოტზე. გამარჯვებული გამოვლინდება ყველა ლოტზე ცალ-ცალკე.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 ივნისის 15 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირისათვის (ინდ. მეწარმე).

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება.

ბ) ანკეტა რეგისტრაციის შესახებ; (საგადასახადოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

გ) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:

**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკრედიტ ბანკის**

**ზუგდიდის ფილიალი**

**ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

7. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული.

8. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

9. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირების ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. 8(215) 301 80, 893 95-26-20

**სატენდერო კომისიის აპარატი.**








www.interes.ge
სიახლე ინტერნეტის მომხმარებლებისათვის!!!

გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა.
გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია

ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ TV, გურმანი, sms-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, Chat, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.


# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ცემენტის შესყიდვის შესახებ

*შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"*, ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო ცემენტის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადოთ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი ***"რესპუბლიკა"*** ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

| | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| *ლოტიN1* | ცემენტი მარკით -მ 400 | ტ | 835 |

**მიწოდების ადგილი:**
- **DDP** ქ. თბილისი

მიწოდების ვადები: მხარეთა შეთანხმებით;

სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ და/ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 16 ივნისს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

a) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული თითოეული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

*სატენდერო კომისია*

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სალიანდაგო ღორღის შესყიდვის შესახებ

*შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"*, ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო ცემენტის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადოთ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი ***"რესპუბლიკა"*** ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

| | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| *1* | *2* | *3* | *4* |
| *ლოტი №1* | გარეცხილი ბაზალტის სალიანდაგო ღორღი ფრაქცია 40-60 გოსტი 7392-85 | მ³ | 93 750 |

**მიწოდების ადგილი:**
- **DDP** ქ. თბილისი, სადგური თბილისი-საკვანძო

მიწოდების ვადები: მხარეთა შეთანხმებით;

სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ და/ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 16 ივნისს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული თითოეული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

*სატენდერო კომისია*

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 2 ლოტად სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

**ლოტი N1** - სადგური გორის შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N2 -** სადგური ქუთაისი-2 შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის დეფექტური აქტები განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 19 და 20 ივნისს 9.00 საათიდან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

a) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ
- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)
- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351

**სატენდერო კომისია.**

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამგზავრო ვაგონების საქარხნო და სადეპოო შესაკეთებლი სამუშაოების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს სამგზავრო ვაგონების სარსაქარხნო და სადეპოო სამუშაოების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205 საიდენტიფიკაციო კოდი 202886101 და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| *№1* | ***სამგზავრო ვაგონების სადეპოო რემონტი*** *№42255/ცვ სამგზავრო ვაგონების სადეპოო შეკეთების სახელმძღვანელოს მიხედვით* | *ერთეული* | *63* |
| | ***სამგზავრო ვაგონების საქარხნო რემონტი*** *პირველი მოცულობის კაპიტალური შეკეთების სახელმძღვანელოს მიხედვით* | *ერთეული* | *12* |

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი.

4. მიწოდების ვადები: მხარეთა შეთანხმებით;

5. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ და/ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 16 ივნისს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

a) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ე) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (აუდიტორული დასკვნები, 2005 წლიური ბალანსი და 2006 წლის მოგება-ზარალის უწყისი).

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ. მეწარმეთ რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ე) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (აუდიტორული დასკვნები, 2005 წლიური ბალანსი და 2006 წლის მოგება-ზარალის უწყისი).

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული თითოეული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №6
26-27 მაისი, 2006




შაბათის სტუმარი 2

სტილი




6

შვიდნახადი



თეთრი
აჩრდილი
7

ფოტოგრაფია



8

რიჩარდ ავედონი

დროთა კავშირი

მოსიარულე
მკვდრები 10

საკითხავი

უჩინარი
ქალაქები 12




სოფელ კახინგილოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ეზო. მეხდაცემული და მაინც ცოცხალი ხე - საინგილოს ქართველების გაუტეხლობის სიმბოლო. 4-5

# არა ორი, არამედ გაცილებით მეტი რუსეთი არსებობს

მაია ჭალაგანიძე

*"არ არსებობს ცუდი მოსაუბრე, არსებობს ცუდი პასუხები" - ეს ლეონიდ პარფიონოვის სიტყვებია. პრინციპში, სათაური მართალია, რადგან ეს განწყობა რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ლიბერალური ჟურნალისტის სიტყვებშიც კარგად იგრძნობა. პასუხები კი, რა - ის, უბრალოდ, რუსულია.*


ზაურ ბულაშვილის ფოტოები

ლეონიდ პარფიონოვი.

**- ხედავთ, რა დიდ ინტერესს იჩენს ქართული მედია რუსი ჟურნალისტის მიმართ? არ დაიღალეთ ამ უცხო ქალაქში?**

- არ მაქვს ასეთი განწყობა. არ ვარ დაღლილი იმის მიუხედავად, რომ არ მძინებია და არც ეს ქალაქია ჩემთვის უცხო. საკმაოდ ხშირად ვარ ხოლმე აქ და თბილისისადმი ჩემი დამოკიდებულებაც მაქვს.

**- და, როგორია ეს დამოკიდებულება?**

- მიყვარს ძველ თბილისში სეირნობა. ამ სასტუმროში დასახლება თავად ვითხოვე. სასიამოვნოა ამ ქუჩებში სიარული. უბრალოდ, მიყვარს აქ ყოფნა და სეირნობა. უკანასკნელად სასტუმრო "კოპალაში" ვცხოვრობდი, საიდანაც არაჩვეულებრივი ხედია თბილისზე. მიყვარს აქაური სამზარეულო და არ მიყვარს დიდი სუფრები, გულახდილად რომ გითხრათ, ეს ჩემთვის მძიმე გადასატანია. მიყვარს, როცა სუფრაზე მრავალნაირი საჭმელია. ხორცი ბევრი არ მიყვარს, რადგან ძილს მგვრის.

**- გვერდით რეზო გაბრიაძის პატარა კაფეა, "არ დაიდარდო"...**

- სადაც ყოველ ჩამოსვლაზე აუცილებლად დავდივარ. ერთი საათის წინაც იქ ვიყავი, საკუთარი მაგიდაც მაქვს, რომელსაც "პარფიონოვი" აწერია. 1999 თუ 2000 წელს ბატონ რეზოს ვესტუმრე. სწორედ იმ დროს მოიტანეს ახალი მაგიდა. შევქმენით მაგიდის მიმღებ-ჩამბარებელი კომისია, რომელშიც ჩვენვე შევდიოდით. ჩავიბარე მაგიდა და ის დღესაც კაფეში დგას.

**- დაახლოებით, ერთი წლის წინ, რუსი ჟურნალისტები რთველში წაიყვანეს. იქ დასათრობად ჩასვლას გაბრიაძესთან სტუმრობა არ ჯობდა? როგორც ვიცი, რუსეთში ის ძალიან უყვართ... მით უფრო, რომ ამ აქციის მიუხედავად, ე.წ. "ღვინის ომი" მაინც ატყდა...**

- დიახ, რუსეთში ბატონ რეზოს ძალიან დიდი პატივს სცემენ, ის გენიალური ადამიანია. უკანასკნელად შარშან ვიყავი მის სპექტაკლზე, "სოვრემენნიკში", ფესტივალზე "ბლის ტყე". იქ ვნახე ბატონი რეზო, თბილად ვისაუბრეთ. სახლში, ჩემს სამუშაო მაგიდასთან მისი მანერით მოხატული ფილა მაქვს - პუშკინის პორტრეტია. ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი ნივთია და საერთოდაც "არ დაიდარდო" ჩემთვის გენიალური ფილმია.

**- აქ პირადი მეგობრები გყავთ?**

- მუდმივი დიალოგისა და ურთიერთობის დონეზე. ისე ხშირადაც არ ჩამოვდივარ, რომ მეგობრები შევიძინო. მოსკოვში მყავს ნაცნობები ქართული ფესვებით. შაბათს, ახალ არბატზე, რესტორან "გენაცვალეში" ბორის აკუნინის 50 წლისთავი ვიზეიმეთ. როგორც ცნობილია, ის ჩხარტიშვილია. ძალიან სასიამოვნო საღამო იყო.

**- როგორია აკუნინი ურთიერთობებში, ქართული თვისებები ჭარბად აქვს?**

- განსაკუთრებულად არა. ის კი დაიბადა ზესტაფონში, მაგრამ, სულ პატარა იყო, როდესაც საცხოვრებლად მოსკოვში გადმოვიდნენ. ვფიქრობ, მასზე გავლენა იაპონიაში ხანგრძლივმა ყოფნამაც მოახდინა - მოგეხსენებათ, ის იაპონური ლიტერატურის სპეციალისტია. ქართული გრძნობები მას უეჭვლად აქვს, გარეგნობაც ნამდვილად ქართული აქვს. ერთხელ, მასთან სახლში მივედი. სადარბაზოსთან უზარმაზარი "იაგუარი" იდგა და ვკითხე, შენია-მეთქი? მიპასუხა, სად გაგიგია ქართველი "იაგუარის" გარეშეო... ასე რომ, მოსკოვური ჩამოსხმის ყველაზე ცნობილ ქართველს ჰყავს მუქი მწვანე "იაგუარი".

**- გიყვართ, როცა შეკითხვებს გისვამენ?**

- ეს ჩემი სამსახურის ნაწილია.

**- უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდით, რა იყო ტოპ-შეკითხვა?**

- მეკითხებოდნენ იმას, რაც ამ ყმაწვილებს დღეს აშფოთებთ - ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები. შეგრძნება მქონდა, რომ მათი უმრავლესობა რუსეთში ერთხელაც არ არის ნამყოფი, რაც სამწუხაროა. სამწუხაროა ისიც, რომ აქ ცოტა რუსი ჩამოდის. ესე იგი, ცუდი პიარია. აქ ხშირად ჩამოვსულვარ მეგობრებთან ერთად და მათ შორის, უცხოელ მეგობრებთანაც. მათ აქ მოსწონთ - გულღიად, გემრიელად გვხვდებიან, განუმეორებელი და თვითმყოფადი გარემოა. გარდა ამისა, ევროპულ ფასებთან შედარებით სიიაფეა. რაც კარგია, იმას კარგი მარკეტინგი ჭირდება, ეს კი, სამწუხაროდ, არ არის.

რაც ამ ყველაფერში მაშინებს, არის ის, რომ კონტაქტის გარეშე გადის დრო. თუმცა, ჩვენი ჟურნალის, რუსული "News week"-ის შემთხვევაში ეს არ შეიმჩნევა, რადგან საქართველოში გამოჩნდა ხალხი, ვინც ამით დაინტერესდა, სარეკლამო რადიორგოლებიც გაუშვეს. საქართველოში ჟურნალის 400 ეგზემპლარი გაიყიდა, რაც მაღალი მაჩვენებელია. ეს ძვირი ჟურნალია, დოლარზე მეტი ღირს.

**- რუსეთშიც და საქართველოშიც ახალი თაობაა, რომელთაც მონსტრ საბჭოთა კავშირში ერთად არ უცხოვრიათ. ეს, თქვენი აზრით, კარგია თუ ცუდი?**

- რატომ უნდა ვცხოვრობდეთ ერთად? მე ვერ ვიცხოვრებ თბილისში, თქვენ კი - მოსკოვში. სინამდვილეში არც არასდროს გვიცხოვრია ერთად. თუ ერთ ქვეყანაში ცხოვრებას გულისხმობთ, ეს არ იყო ერთი ქვეყანა. აქ საბჭოთა პერიოდშიც ჩამოვსულვარ და მე, ვოლოგდელი საქართველოში ვამბობ, რომ ეს ჩემი ქვეყანაა? სისულელეა, სხვა არაფერი. კონსტრუქციას სათაურით საბჭოთა კავშირი და "ცეკა კაპაესეს" საერთო ქვეყანა და ბაზარი დაარქვეს და ეს კიდევ უფრო დიდი სისულელეა.

**- რაღაც პარადოქსულად ჩანს - რუს და ქართველ პოლიტიკოსებს რადიკალურად ცუდი ურთიერთობები აქვთ, ამ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები კი გამოდიან და ამბობენ - გვიყვარს ერთმანეთი, გვიყვარს თქვენი კინო, კულტურაო...**

- ეს მშვენიერია, მაგრამ იტალიისადმიც ასეთი დამოკიდებულებაა. იტალიაშიც ბევრს დადიან რუსები და გაცილებით მეტს, ვიდრე საქართველოში. რუსეთში იტალიური კინოც უყვართ, ღვინოც, სიმღერაც და საჭმელიც. ვფიქრობ, რომ თუ პუტინს რომანო პროდისთან ისევე კარგი ურთიერთობები არ აეწყობა, როგორც ბერლუსკონისთან...

**- რეალურად ეს მოსალოდნელია?**

- არ ვიცი, მაგრამ თუ არ აეწყობა, გაცილებით რთულად იქნება საქმე, ვიდრე საქართველოს შემთხვევაში - ანტიიტალიური განწყობები აღმოცენდება. მით უფრო, რომ ახლა რუსებსა და იტალიურ მოდას, დიზაინსა და სამზარეულოს, კულტურის ძეგლებს შორის ხიდები მეტია, ვიდრე საქართველოს და რუსეთს შორის არსებობს. ეს კი ძალიან ცუდია. ამიტომაც, ვარ მოხარული, რომ აქ ჩამოსვლის საშუალება მომეცა, რადგან იქნებ, პატარა ნაკადულის როლი მაინც ვითამაშო. ჩემი აზრით, ეს ნაკადულები ბევრი უნდა იყოს, რადგან დივერსიფიცირებულ მსოფლიოში ვცხოვრობთ. არ ვცხოვრობთ ერთ გლობალურ მდინარეში. მაგალითად, ამერიკასთან მრავალი პატარა ძაფი გვაკავშირებს, მაგრამ, ეს პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენს. პოლიტიკურად კი ჩვენ ხან ვჩხუბობთ, ხან ვრიგდებით, ერთმანეთს მავნებლობას ვაბრალებთ, ვდაობთ ენერგობაზრებზე, ვკამათობთ ირანის გამო და სხვა - მაგრამ, რუსეთში ანტიამერიკანიზმი მასობრივად მაინც ვერ იარსებებს, რადგან არსებობს ჰოლივუდი, მადონა, არსებობენ ადამიანები, ვინც ამერიკულ გრანტებს იღებენ, არსებობენ ადამიანები, ვინც ამერიკაში სწავლობენ, მუშაობენ. მოსკოვში წმინდა ამერიკული გაზეთიც კი გამოდის.

მაგალითად, უკრაინა მოსკოვში წარმოდგენილია ძლიერი, სიცოცხლისმოყვარე მუსიკალური ჯგუფებით და შემსრულებლებით, რომლებიც ნებისმიერ მოსკოვურ კლუბს ავსებენ და აცეკვებენ. დღეს მასკულტურაში, მედიაში ქართული აქტუალური პროდუქტი არ არსებობს. ახლა კი გამოდის, რომ ღვინის გარდა, რომელიც სიმართლე უნდა ითქვას, ფალსიფიცირებული ბევრი იყო და მისი სმა არ მოგწამლავდა, მაგრამ ცუდ ხასიათზე კი დაგაყენებდა - თითქმის აღარაფერი გვაკავშირებს.

სხვათა შორის, ეს ჩვენი ქვეყნის უბედურებაც არის, რომ მთავრობა არ ებრძოდა ფალსიფიკაციას, არ არეგულირებდა ბაზარს და სხვა. იყო კიდევ "ბორჯომი", რომელსაც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სათავეში ჩაუდგა გუნდი, რომელიც ბრენდისთვის უამრავ სიკეთეს აკეთებს. სხვა რამ კარგი ქართული ხომ რეალურად, არაფერია წარმოდგენილი რუსეთში? ასე რომ, ბევრი ადამიანია რუსეთში, ვისაც საქართველოზე აგიტაცია ჭირდება...

**- სამაგიეროდ, იქ არიან ქართველები აბაშიძე, გიორგაძე... ალბათ ახალი გზების ძიებაა საჭირო.**

- დიახ, საჭიროა, მაგრამ ასე ადვილად ვერ მოძებნი. საბჭოთა ტრადიციები გაქრა, სხვა, რუსული ტრადიციები კი აქ არ გამოჩენილა. ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს ხარისხიან პრესას კითხულობდნენ, ასაკში არიან, რესურსი ერთგვარად ამოწურულია. ახლებმა კი არც იციან, რა არის ეს. არ აქვთ ცნება - საყვარელი გაზეთი და ჟურნალი. მათ კომპიუტერები აქვთ და იქ ნახავენ მათთვის საინტერესოს, ან აიღებენ მაღალპოლიგრაფიულ ფერად ჟურნალს, რადგან მათ მოდა ჭირდებათ, ან აიღებენ ყვითელ ჟურნალს საჭორაოდ და სახითხითოდ. დამოკიდებულება ჟურნალისტიკასთან, როგორც დიალოგისთვის საჭირო ერთიან მოედანთან - არ არსებობს. ხალხს აღარ აქვს პრესა, რომელიც დილის ყავასთან ერთად უნდა წაიკითხოს, ისე, როგორც ინგლისელები "გარდიანსა" და "თაიმსს" კითხულობენ.

მე წარმოუდგენლად მიმაჩნია "კომერსანტის" გარეშე დღის დაწყება.

არ ვიცი, ამ მხრივ რა დონეა საქართველოში, მაგრამ, ალბათ, დაახლოებით ისეთივე, როგორც რუსეთშია, სადაც 1000 ეგზემპლარზე 40 მკითხველი მოდის. ფინეთსა და ნორვეგიაში, 1000-ზე 600 მკითხველია. ჰოდა, ჩვენ ორ ქვეყანას შორის დიალოგთან დაკავშირებითაც ასე გამოვიდა.

დიახ, მდიდარი ქართველები დადიან მოსკოვში, როგორც პა-







ტარა ლონდონში - შოპინგზე, რესტორნებში, ხალხში გასარევად. მოსკოვში არსებობს ქართველების მდიდარი დიასპორა და არც ისე მდიდარი დიასპორაც. მაგრამ, ეს დიასპორა იქ ჩაჯდა, ორ ქვეყანაში ცხოვრობს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აქ, ახლობლებისთვის, ფულს აგზავნის.

**- რა ინფორმაცია გაქვთ ქართული მედიის მდგომარეობის შესახებ?**

- ბევრი არაფერი ვიცი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ქართულ ენაზეა. აქ უნდა ცხოვრობდე და ნახო, რა და როგორი ადგილი აქვს ჟურნალისტიკას საქართველოს ცხოვრებაში.

**- რუსეთში მედიის მდგომარეობის შესახებ რას იტყვით?**

- ტელევიზიების უმრავლესობაში ხელისუფლების მონაწილეობა იგრძნობა, რადგან იმ არხების უმრავლესობას, რომელიც ინფორმაციას ყიდის, ხელისუფლება აკონტროლებს. ამ მხრივ ძალიან მოსაწყენი სურათია.

რაც შეეხება, სფეროებს, სადაც პოლიტიკა არ მონაწილეობს - აქ შეიქმნა სერიალების და გასართობი პროგრამების ნაციონალური სკოლა. ეს უზარმაზარი სამყარო, უზარმაზარი ბიზნესი და გიგანტური ფულია. ამან, სხვათა შორის, კინემატოგრაფია გადაარჩინა - აგერ უკვე 7-8 წელია, ყოველწლიურად ათასობით საათიანი სერიები იღება. გარდა ამისა, არსებობენ არხები, სადაც საერთოდ არ არის წარმოდგენილი ჟურნალისტიკა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ეს არის არხები, რომელიც ბაზარზე, მომხმარებელზეა ორიენტირებული. მეორე მხრივ, ამ ფონზე ძალიან უსახურად გამოიყურება ჟურნალისტიკა.

**- რას ამბობენ რუსი ანალიტიკოსები, დიდხანს გაგრძელდება ეს ვითარებაო?**

- იცით, როცა სიტუაციას ანალიტიკურად აფასებ, იქვე უნდა თქვა, როგორ უნდა იყოს სხვანაირად. ეს კი, უბრალოდ, არ არსებობს. ჩვენ არ გვაქვს გამოცდილება, რომლის მიხედვითაც ვიტყვით - ეს უკვე გავიარეთ და ახლა ამას ეს უნდა მოჰყვეს. ეს ყველაფერი პირველად გვჭირს, ამიტომ, პროგნოზის გაკეთება მიჭირს.

რაც შეეხება, პრესას - აქ სიტუაცია არც ისე მოსაწყენია. პრესა სხვადასხვაგვარია და მიმაჩნია, რომ "კომერსანტი" და "ვედომოსტი", ეს არის მსოფლიო დონის გამოცემები. ვცდილობთ ჩვენც და "ნიუს ვიკსაც" საკმაოდ კარგი მაჩვენებლები აქვს.

**- "კომერსანტი" თუ გაყიდეს? როგორც ვრცელდებოდა, "გაზპრომისთვის" უნდა მიეყიდათ?**

- არ ვიცი. ამაზე საუბარი საკმაოდ რთულია - ან ვინ იქნება მთავარი რედაქტორი? თავის დროზე ამბობდნენ, რომ "კომერსანტი" მოკვდა, როცა ბერეზოვსკიმ იყიდაო. მე კარგად ვიცი "კომერსანტი" და ერთად უამრავი პროექტები გვაქვს გაკეთებული. ყოფილი მთავარი რედაქტორი, ანდრეი ვასილიევი ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია და არამხოლოდ პროფესიაში. კარგად არ წარმომიდგენია, რა იქნება ამ გამოცემის გაყიდვის შემთხვევაში. ვფიქრობ, რომ ეს იქნება აუნაზღაურებელი დანაკლისი რუსული საზოგადოებრივი ცივილიზაციისთვის. დაკარგვა იმ "კომერსანტისა", რომელიც ახლა არსებობს, ძალიან მძიმე იქნება, რადგან განსხვავებით "ვედომოსტისგან", რომელიც "ფაინეიშენალ თაიმსის" რუსული ვერსიაა, "კომერსანტი" მთლიანად ორიგინალური, რუსული პროექტია, რუსული ტრადიციების მქონე ჩვენი საკუთარი "თაიმსია."

**- ამბობენ, ორი რუსეთი არსებობს - დერჟავული და ლიბერალურიო, მართალია?**

- ვფიქრობ, რომ არა ორი, არამედ გაცილებით მეტი რუსეთი არსებობს. ჩვენ 145 მილიონი ვართ და მრავალ სხვადასხვა მოდელს ვყოფნით. ალბათ, საქართველოც, მაგრამ რუსეთი ძალიან განსხვავებული თაობების ქვეყანაა. 25 წლის და 50 წლის ადამიანები აბსოლუტურად განსხვავებული ბედისანი არიან.

კიდევ არსებობს რუსეთი, რომელიც წავიდა და აღარასდროს დაბრუნდება. მე, მაგალითად, 1989 წლის შემდეგ სახელმწიფო სექტორში არ მიმუშავია და იმედი მაქვს, ეს არასდროს, არასდროს აღარ მოხდება.

კიდევ არსებობს რუსეთი, რომელიც საქმეს აკეთებს და ცხოვრობს ისე, რომ არაფრით არ არის დაკავშირებული ხელისუფლებასთან. ეს რუსეთი ფიქრობს, რომ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში შეუძლია რეალიზაცია. მოკლედ, მრავალი სხვადასხვა რუსეთი არსებობს.



**- საქართველოს რეგიონებში გასვლა, ალბათ, ვერ მოასწარით.**

- ვერა. ვაპირებ ბათუმში წასვლას და ინტერვიუსთვის პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას.

**- ადრე ჩვენს პრეზიდენტს შეხვედრიხართ?**

- დიახ, რამდენჯერმე. "ვარდების რევოლუციის" შემდეგაც ვიყავი.

**- იუშჩენკოს?**

- მასაც.

**- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- ისინი ერთმანეთს საერთოდ არ გვანან, არც ტემპერამენტით. იუშჩენკოს მსგავსი შთაბეჭდილება (არა მასშტაბურობით, ცხადია), ვაცლავ ჰაველმა დამიტოვა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, ის არ არის ძალიან ხისტი და ძლიერი პოლიტიკოსი, არც პოლიტიკურად ეშმაკი. მაგრამ, მასში არის ნაციონალური აღორძინების გარკვეული ფორმა. იუშჩენკოს ძლიერად აქვს უკრაინელობის შეგრძნება. მასთან სახლში ვიყავი და უკრაინული ხალხური რეწვის არაჩვეულებრივი კოლექცია ვნახე. მეც მაქვს რუსული ხალხური რეწვის პატარა კოლექცია, უფრო მეტად, რუსეთის ჩრდილოეთიდან, ვოლოგდიდან, საიდანაც წარმოშობით ვარ. ჩვენ დეტალურად ვიმსჯელეთ ამაზე. მან თქვა, რომ კოლექციის დიდი ნაწილი აგარაკზე აქვს, თვითონ დაჯდა მანქანის საჭესთან და აგარაკზე წამიყვანა.

**- როგორ ფიქრობთ, ასეთ საერთო და საყვარელ თემებს სააკაშვილთანაც გამოძებნით?**

- არა მგონია. ძალიან მინდა ვკითხო აზრი უკანასკნელ ხანს რუსეთ-საქართველოს შორის წარმოქმნილი სირთულეების კომპლექსის გარშემო - ღვინო, დსთ...

**- მისგან რაიმე სიახლეს ელით?**

- ძალიან მინდა, ასე მოხდეს. სიმართლე გითხრათ, რასაც მეტყვის, ჩემთვის ყველაფერი ახალი იქნება. არ ვიცი, რას მეტყვის მას შემდეგ, რაც ჩერნოგორიამ დამოუკიდებლობა მიიღო და როგორც ჩანს, არც კოსოვოა ამისგან შორს. არ მინახავს ბაგაფშის გამოსვლის სრული ტექსტი, მაგრამ, მისი ეს რეაქცია წინასწარ იყო მოსალოდნელი.

**- მოვლენების ამგვარ განვითარებას ჩვენი ხელისუფლებაც ელოდა.**

- და, მერე? რაში გამოიხატება ამისთვის მზადყოფნა? რა, ქოლგა გახსენით, რომ არ დასველდეთ? აი, ეს უკვე მოხდა და - რა?

**- იმედია, ამას პრეზიდენტი გატყვით. რა გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრს რუსეთის ხელისუფლებაზე? დღეს ყველაზე მეტად რა აღელვებს რუსულ საზოგადოებას?**

- რაღაცნაირად, გავლენა მაინც აქვს. ძალიან ბევრი რამ აღელვებთ რუსეთში - ფასების ზრდა, სულ უფრო მეტად შფოთავენ გაურკვეველი მომავლის გამო, აშკარად შემცირდა ეკონომიკური ზრდის ტემპები და სხვა. ამ ყველაფერს კი ხელისუფლება ერთგვარად არბილებს ნავთობის ბალიშით....

**- თქვენი ქვეყანა ახლა, ალბათ, ძალიან თავდაჯერებულია და იმით ამაყობს, რომ დიდი რვიანის თავმჯდომარეობა უწევს.**

- ალბათ, ამაყობს კიდეც.

**- რა შეცვალა ამ გრძნობამ რუსეთში?**

- ხანდახან, ეს კარგი გრძნობა არ არის, რადგან თავდაჯერებულობას ისტორიულად კარგი არაფერი მოუტანია. ჭარბი სიამაყე ძალიან სახიფათო გრძნობაა, მაგრამ სისულელეა, საკუთარი ქვეყნისთვის კარგი არ გინდოდეს და თუ ის ოფიციალურად დიად დერჟავად იხსენიება, სასაცილოა თქვა, რომ ეს ასე არ არის.

მეორე მხრივ კი, სიმაყე მხოლოდ იმით შეიძლება, რასაც თავად, საკუთარი ხელებით აკეთებ - სიამაყე იმით, რომ შენ ხარ დიადი, მძლავრი და სამ ოკეანეს შორის ხარ გადაჭიმული, რომ ნავთობის რაოდენობით პირველი თუ არა მეორე ხარ - ამით რატომ უნდა იამაყო? ლიხტენშტეინიდან რომ იყო, ნაკლებად იამაყებდი? ყოველთვის ვუფრთხი ამ გადაჭარბებულ თავმომწონეობას, რადგან, საკუთარი თავის გადაფასება საშიში საქმიანობაა. მით უფრო, რომ ჩვენთან უწინდებურად ცუდად ცხოვრობს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომ გადაუწყვეტელია ძალიან მწვავე პრობლემები, რომ არ გატარებულა დიდი ხნის წინ მომწიფებული და გადამწიფებული რეფორმები ჯანდაცვაში, საბინაო-კომუნალურ სფეროში, განათლებაში, საპენსიო სისტემაში და რაც უფრო სწრაფად არ გაატარებ, სიტუაცია უფრო მძიმდება. გვაქვს ნაციონალური სიდიადის შეგრძნება და გაურკვეველია, როგორ უნდა ვასწავლოთ და ვუმკურნალოთ ადამიანებს, როგორ გადავუხადოთ პენსია... სიამაყე 145 მილიონი ადამიანის კარგი ცხოვრებისგან უნდა დაგემართოს და არა ბუნებრივი წიაღისეულისგან, მძლავრი არმიისგან და ძალაუფლებისგან.



ქეთევან იგნატოვას
გულახდილად

# ჩვეულებრივი პატრიოტიზმის ერთდღიანი გაკვეთილი

ამ კვირაში შემომთავაზეს, რომ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს ქართული სკოლებისათვის სასწავლო წიგნების გადასაცემად საინგილოში გავყოლოდი. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ასეთი შანსის ხელიდან გაშვება შეუძლებელია. მეც უყოყმანოდ დავთანხმდი, მით უმეტეს, რომ ჩემდა სამარცხვინოდ, საინგილოში არასდროს ვყოფილვარ და არც ის ვიცოდი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლების სამინისტროს მხრიდან ამგვარ ვიზიტებსა და საჩუქრებს პერმანენტული ხასიათი აქვს.





განათლების მინისტრის კახა ლომაიას, სამინისტროს თანამშრომლების, რამდენიმე წამყვანი ტელეკომპანიის ჟურნალისტის, ზალიკო სამადაშვილისა და ჩემგან შემდგარი ჯგუფი თბილისიდან დილის ექვს საათზე გაემგზავრა. ერთადერთი, რაც გზის ამ ნაწილში შემიძლია აღვნიშნო, ბუნების, დილის ცის ფერის განსაკუთრებული სილამაზე, ჰაერის სისუფთავე, კავკასიონის ენით აღუწერელი სიდიადე და მანქანიდან წამიერად თვალმოკრული "პატრიოტთა" ბანაკია. საზღვართან საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში და ბელაქანის რაიონის ხელმძღვანელობა დაგვხვდა. ბევრის მთქმელი, დაუვიწყარი დღე ჩემთვის სწორედ აქედან დაიწყო. პირველად ბელაქანის რაიონის სოფელ ითითალას ქართულ-აზერბაიჯანულ სკოლაში მივედით. ძველ, გაურემონტებელ, კედლებჩამოფხეკილ, იატაკის აყრილ ფიცრებიან შენობას, მორყეულ ძველ მერხებსა და სკამებს ყურადღებას თუ არ მიაქცევდი, თუ იმას არ გაითვალისწინებდი, რომ ახალი სკოლის მშენებლობის პირობა რაიონის ხელმძღვანელობამ, აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს ლომაიას წინა ვიზიტებისას მისცა, მაგრამ მისი შესრულება მიახლოებითაც არ დაწყებულა, თუ ჩვენს გარშემო მოტრიალე უშიშროების თანამშრომლებს (ასე მგონია) იგნორირებას გაუწევდი, მიღების წინასწარი დადგმულობა და საჩუქრად ჩატანილი თითოეული წიგნის მკაცრი კონტროლი არ გაგაღიზიანებდა, მაშინ მწვანემოლიანი სკოლის ეზო, თეთრ წინსაფრებსა და პერანგებში გამოწყობილი, ყვავილების დიდი თაიგულებით ხელში მოსწავლეების დიდი, ლამაზი, თბილი, შეიძლება ცოტა სევდიანი, ინტერესით აღსავსე თვალები, ბავშვებისა და პედაგოგების ოდნავ აქცენტიანი, მაგრამ გამართული ქართული, სკოლის კედლებზე გამოფენილი ბავშვების მიერ დახატული რუსთაველის პორტრეტი და "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები, საქართველოს მინისტრისადმი დასმული შეკითხვები, თხოვნები, ჩვენდამი სითბო, დაწყებითი კლასების მოსწავლეების მიერ წაკითხული ქართული ლექსები, მერწმუნეთ, დაუვიწყარ სანახაობას წარმოადგენდა.



*სოფელ ითითალას სკოლის ეზო.*

ბელაქანის რაიონის მერე ზაქათალას რაიონისკენ წავედით. რაიონების საზღვარზე მასპინძელი ხელმძღვანელობა შეიცვალა და სოფელ ალიაბადის ქართულ-აზერბაიჯანული სკოლისკენ გამოგვყვა. ალბათ 60-70-იან წლებში ნაშენები, ტიპური სკოლის შენობის ჭიშკართან დირექტორი, პედკოლექტივი და კიდევ ახალი ჩინოვნიკები გველოდნენ. ბავშვები არსად ჩანდნენ. მანქანებიდან ჩვენი გადმოსვლა და შორი ბუჩქებიდან ჩონგურების თანხლებით მომღერალი გოგონების ჯგუფის გამოჩენა ერთი იყო. როგორც შემდგომ გაირკვა, სკოლის დირექტორმა მათ ჩვენთან შეხვედრა აუკრძალა. ბავშვებმაც ეშმაკობას მიმართეს, ბუჩქებში დაიმალნენ, დაგველოდნენ, სიმღერით ყურადღების უცაბედი მიპყრობა და დაბრკოლების თავიდან აცილება გადაწყვიტეს. უხერხულ-დაძაბული ღიმილის მიღმა სკოლის დირექტორი უკმაყოფილებას ვერ მალავდა, მაგრამ რა ექნა?! ხომ არ შეიმჩნევდა! მომღერალ მოსწავლეთა ჯგუფს კი სულ უფრო და უფრო მეტი, მანამდე სადღაც მიმალული ბავშვები უერთდებოდნენ. მართლაც იშვიათი, გულისამაჩუყებელი კონცერტი მოვისმინეთ; მე, რა თქმა უნდა, ერთი-ორი ცრემლი გადმოვაგდე, ბავშვებს მივეფერეთ, წიგნები სატვირთო მანქანიდან გადმოვტვირთეთ და ის იყო, სკოლის შენობაში შესვლა დავაპირეთ, რომ სკოლის დირექტორმა ბავშვებს დაშლა უბრძანა. წამიერად ჩემს ტანსაცმელზე, მკლავებზე ათობით მაგრად ჩაჭიდებული ხელი ვიგრძენი და ყურში "არ დაგვტოვოთ, თქვენთან გვინდა" გავიგონე. ზალიკო სამადაშვილიც, ჩვენი ჯგუფის დანარჩენი წევრებიც ბავშვების მიერ ასეთივე გაკავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. დირექტორმა და რაიონის ხელმძღვანელმა გვითხრეს, "там мало места". "ჩვენ ბავშვებთან ჩამოვედით, თუ მათი ადგილი არ არის, მაშინ მათთან ერთად ეზოში დავრჩებით"-თქო, - ვუპასუხეთ. ველარ შეგვეკამათნენ და ყველანი ერთად უბადრუკ, მაგრამ ძალიან დიდ, ყველასათვის საკმარისადგილიან სააქტო დარბაზში შევედით. ამ შეხვედრაზე სიტყვით გამოსული მასწავლებლებისგან, ჩემს, ზალიკოს, თითოეული ჩვენგანის გარშემო მსხდომი ბავშვებისგან გავიგეთ, რომ ძალიან ბევრი პრობლემა, სირთულე, თხოვნა, ოცნება აქვთ. ერთ გოგონას სახელი და გვარი ვკითხე. "სახელს გეტყვი და გვარი არ მიყვარს, მრცხვენია, ქართული არ არის"-ო, მიპასუხა. გვარის წარმომავლობის მიუხედავად, ქართველობის დასამტკიცებლად საკუთარი გვარი ვუთხარი. დედა დამაფიცა, "მართლა რუსულიაო" და მგონი, პასუხისგან ცოტა დამშვიდდა. ამავე გოგომ მიამბო და მას სხვადასხვა მხრიდან ათობით მეგობარი ეხმარებოდა, რომ ბავშვის დაბადებისას ქართული სახელის დარქმევას უკრძალავენ, მეტრიკას არ გასცემენ. ქართული გვარის შენარჩუნებისას სამსახურში არ იყვანენ, ყველანაირ დაბრკოლებას უქმნიან. ქართული ბაგა-ბაღის, ცალკე სკოლის გახსნის უფლებას არ აძლევენ და ა.შ. ზაქათალას რაიონის სოფელ ალიაბადის სკოლაში არსებული მდგომარეობის გადმოცემა თავდაპირველად ერთმა ასაკიანმა პედაგოგმა გაბედა. მას მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა და შეხვედრამ საკმაოდ მძაფრი სახე მიიღო, რომელიც ლომაიას, მისთვის ჩვეული გაწონასწორებული, კატეგორიულ-უკომპრომისო, დიპლომატიურ-რბილი, მაგრამ მომთხოვნი, მკვეთრი გამოსვლით დასრულდა. მინისტრებსაც აქვთ ნერვები, ემოციები! მაშინ, როდესაც ორ ქვეყანას, ორ პრეზიდენტს შორის მეგობრული ურთიერთობაა, როდესაც უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე ნება არსებობს, როდესაც საქართველოს განათლების სამინისტრო, აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონების ხელმძღვანელობა ამ ნების შესაბამის პირობებს ასრულებს, სკოლებს აშენებს, წიგნებით ამარაგებს და თითოეული აზერბაიჯანელი ახალშობილის სახელს, ნამდვილად, არ აკონტროლებს, აზერბაიჯანის ამ რაიონის ბიუროკრატების მიერ ამ ნების შეუსრულებლობა, რბილად რომ ვთქვათ, საწყენია. ეტყობა, პრეზიდენტების დონეზე გამოთქმული უმაღლესი ნება, სამწუხაროდ, ყველასათვის საკმარისი არ არის და თითოეული ცალკეული ჩინოვნიკი მას თავისებურად ასრულებს, ექვემდებარება. ამ სკოლაში ნანახისა და გაგონილის მიუხედავად, იმედი მინდა ვიქონიო, რომ ქართული დელეგაციის მომავალი ჩასვლისთვის, წიგნების ახალი პარტიის ჩატანისთვის მდგომარეობა საგრძნობ-









სოფელ ალიაბადის სკოლის ყველაზე თამამი მასწავლებელი.



სოფელ კახინგილოს ლეკური.





მინისტრებიც გალობენ.

ლად იქნება გამოსწორებულ-ნორმალიზებული.

დამშვიდობებისას რამდენიმე გოგონამ და მე სამახსოვრო წერილები გავცვალეთ. ერთმა კი საინგილოზე სამახსოვროდ ხელში პატარა თოჯინა ჩამიდო და "შეინახეო", მთხოვა. საპასუხოდ ჩემი სახლის გასაღებზე დამაგრებული, ერთი მხრიდან საქართველოს პრეზიდენტის ფოტოიანი და მეორე მხრიდან საქართველოს დროშიანი (ქმარმა მაეჩუქა) "ბრელოკი" დავუტოვე. არც ვიცი, უფრო ძვირფასი რა შეიძლებოდა მეჩუქებინა, რომ ასეთი გულწრფელი ბედნიერება გამომეწვია.

ზაქათალას რაიონიდან კახის რაიონის სოფელ კახინგილოს ქართულ სკოლაში მივედით. მასპინძელი ბიუროკრატები აქაც შეიცვალნენ. ერთადერთი, ვინც უცვლელად რაიონიდან რაიონში გვმასპინძლობდა, აზერბაიჯანის განათლების მინისტრის მოადგილე (მინისტრი ქვეყანაში არ იყო) იყო. სკოლის ფოიეში ქართულ ნაციონალურ კოსტიუმებში ჩაცმულმა მოსწავლეებმა მცირე კონცერტი მოგვიწყვეს, ლეკური, ხევსურული გვიცეკვეს, გვიმღერეს და, რა თქმა უნდა, კვლავ ცრემლი მოგვგვრიეს (ყოველ შემთხვევაში, მე). კახის რაიონის ამ სოფლის სკოლაში შედარებით უკეთესი მდგომარეობა დაგვხვდა და ლომაიასადმი დასმული შეკითხვებიც, თხოვნებიც, სურვილებიც შესაბამისი იყო. სკოლისათვის რომელიმე ქართველი მწერლის სახელის მინიჭებას, კონკრეტულ საგნებში დამატებით ლიტერატურას, სასწავლო პროგრამებს ითხოვდნენ. აბიტურიენტებს საერთო ეროვნული გამოცდების პირობები, წესები, რეგისტრაციის ვადები, შეღავათების არსებობა-არარსებობა აინტერესებდათ. გაირკვა, რომ წლევანდელი სკოლადამთავრებულების უმეტესობა სწავლის გაგრძელებას თბილისში აპირებს. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ბევრი შეკითხვა დაისვა და თითოეულ მათგანს მინისტრმა ამომწურავი, სრული ინფორმაციის შემცველი პასუხი გასცა. სკოლის შემდეგ იმავე სოფელში მოქმედ წმ. გიორგის ეკლესიაში შევედით, სანთლები დავანთეთ, მამაოსა და მის საკმაოდ მრავალრიცხოვან მრევლს გავეცანით, კედლების მოხატულობას თვალი შევავლეთ. მინისტრმა მგალობლებთან ერთად რამდენიმე საგალობელიც შეასრულა. ეკლესიის გადაბიბინებულ, მოვლილ ეზოში ჯვრებით შემკობილი ქართული საფლავები დავათვალიერეთ და იშვიათი სილამაზისა და დაბურულობის კაკლის ხეების ხეივნით საზღვართან დავბრუნდით.

ჩემგან განსხვავებით საინგილოში არაერთხელ ნამყოფმა ჯგუფის თითოეულმა წევრმა ერთხმად აღნიშნა, რომ ჩასვლიდან ჩასვლამდე, ვიზიტიდან ვიზიტამდე ყურადღებით, მზრუნველობით გაგულიანებული აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები სულ უფრო და უფრო გახსნილები, იმედიანები ეჩვენებოდათ. გზაში მიღებული შთაბეჭდილების გაანალიზებას ვცდილობდი. ერთმანეთს ემოციებს ვუზიარებდით, თითოეული ჩვენგანის გრძნობებში, საუბარში ერთი მთავარი სიტყვა - პატრიოტიზმი, აშკარად ჭარბობდა. პატრიოტიზმი, რომელიც ასე თვალნათლივ დავინახეთ, შევიგრძენით და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მას საზღვრები არ აქვს, წლები არ ვნებს, პოლიტიკა არ განსაზღვრავს. იგი ან არის, ან - არა. სამშობლო, რაგინდ შორს უნდა იყოს იგი, ან გიყვარს, ან - არა. ქართველად თავს ან გრძნობ, ან ვერა და ამას არც გეოგრაფიული, არც სოციალური, არც ეკონომიური, არც მოქალაქეობრივი მდგომარეობა არ ცვლის, არანაირი პასპორტის ფერი არ განაპირობებს.

●●●

საზღვარი გადმოვლახეთ. საქართველოში დავბრუნდით. ყველანი საკუთარ ფიქრებში, ემოციებში ვიყავით ჩაფლულნი, როდესაც ლაგოდეხთან "პატრიოტების" ბანაკს კვლავ ჩავუარეთ და უკვე გავცდით, მაგრამ მინისტრმა მანქანები მოატრიალა და მოულოდნელად ახლა უკვე "პატრიოტების" სტუმრები აღმოვჩნდით. ერთნაირ ლამაზ ჟილეტებში, ნარინჯისფერ მაისურებსა და ქუდებში ჩაცმული ახალგაზრდების (რატომღაც მეგონა, რომ ასე ტელევიზიისთვის აცმევდნენ) ერთი ნაწილი გრძელ მაგიდასთან იჯდა და პლაკატის კონკურსისთვის დიდ ფორმატის ქაღალდებზე სხვადასხვა პლაკატს ხატავდა. ნაწილი განსაკუთრებულად კარგი ხარისხის, დიდ, ლამაზ კარვებში ისვენებდა. სამზარეულოში ვახშამისთვის ემზადებოდნენ. სამწუხაროდ, ფოტოაპარატის ფირი ამოწურული მქონდა, თუმცა მეეჭვება, რომ რომელიმე ფოტომ ჩემ მიერ ნანახის გადმოცემა ბოლომდე შეძლოს. იმ დილას ყველაზე დალაგებული კარვის შეჯიბრება მოუწყიათ და გამარჯვებულებს სპეციალური დროშები ჰქონდათ აღმართული. გამარჯვებულის დადგენა, არც ვიცი, როგორ მოხდა. ალბათ გაუჭირდებოდათ, იმიტომ, რომ ყველა კარავი ერთნაირად დალაგებული, გამოხვეტილი, ლოგინები ერთნაირად გასწორებული მომეჩვენა. ბანაკში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი ახალგაზრდა იყო შეკრებილი. თითოეული კარვის წინ (ეტყობა, კონკურსი ამაზეც ჰქონდათ) თეთრი და წითელი კენჭებიდან ყველას სხვადასხვა ნახატი ჰქონდა გაკეთებული - საქართველოს დროშა, ეკლესია, ვარდი... წვიმიანი ამინდის გამო ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, დიდი, ამაღლებული სცენა იმ საღამოს ცარიელი იყო. მეორე დღეს ახლომახლო მდებარე ძეგლების სანახავად აპირებდნენ წასვლას და ბავშვები ამინდს ნატრობდნენ. ჩვენი, უფრო სწორად კი, ალბათ მინისტრის, პატივსაცემად "პატრიოტებმა" თავისი "მწყობრის" თუ "მწკრივის" (არ ვიცი, რას ეძახიან) "მისალმებების" დემონსტრირება მოახდინეს. ბანაკში მცხოვრები 350-მდე ახალგაზრდა უცბად ოც-ოცდაათკაციან ჯგუფებად დანაწილდა, მწკრივში ჩადგა. თითოეულ ჯგუფს ერთი ხელმძღვანელი ჰყავდა, რომელთა შეძახილებით ჯგუფის "მისალმება-დევიზი" სრულდება. საინგილოს მერე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ჩემი ემოციური რესურსი ამოწურულია, მაგრამ გაკვირვება-გაოგნება-აღფრთოვანებისგან, მგონი, პირიც ვერ დავკეტე. ყოველგვარ უგემოვნო პათოსს, სიყალბეს მოკლებული, ძალიან ახალგაზრდული, ბუნებრივი, იუმორითა და ჟინით აღსავსე მისალმება-დევიზის გარეპილი ტექსტი რატომღაც რომელიმე თანამედროვე პოეტის შემოქმედება მეგონა. თურმე თითოეული ჯგუფი საკუთარ "დევიზს" თავად იგონებს. უნდა გამოგიტყდეთ, ამგვარი რამ არასდროს მინახავს.

თბილისში ჩამოსვლის მერე გავიგე, რომ ზოგიერთ ჩემს მეგობარს, ნაცნობს "პატრიოტების" ბანაკები, იქ არსებული აღზრდის მეთოდიკა ურაპატრიოტიზმთან აქვს გაიგივებული. არ ვიცი, არ უნახავთ და ამიტომ ეშლებათ; არ ვიცი, მიღებული შთაბეჭდილებისგან მე ვარ გაოგნებული და ამიტომ მე მეშლება, მაგრამ მგონია, რომ ჩემს მიერ ნანახს ურაპატრიოტიზმთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც საინგილოში პატარა ქართველების მიერ შესრულებულ ლეკურს, ზედმეტი მონდომებითა და გამოთქმით წაკითხულ ლექსს ან ჩემს უნებლიე ცრემლს. მგონია, რომ საინგილოში ერთდღიანი მოგზაურობისას სამშობლოს სიყვარულის, იდეალების, მიზნებისა და ოცნებების სხვადასხვა სახის ამაღლებული მაგალითები დავინახე. ჩემთვის საინგილოში გაცნობილი, ჩონგურზე მომღერალი გოგონებიც და თეთრ-წითელი კენჭებიდან დროშის შემქმნელი ბანაკელებიც, შეიძლება განსხვავებული, მაგრამ პატრიოტები არიან. და ორივემ ერთნაირად, ჩემში და არა მარტო ჩემში, ეს საოცარი გრძნობა კიდევ უფრო აამაღლა, დახვეწეს, რეალური, ხილვადი გახადა.

**P.S. ჩემს სკეპტიკოს მეგობრებს ბანაკში სიამოვნებით წავიყვანდი, სერგო ორჯონიკიძეს კი მაინც ამოვთხრიდი!**



# იდეა ინტერიერში



**ნატა ჯანბერიძე**
სტუდია "ROOM'S"-ის დიზაინერი

*იბადება იდეა, რომელიც გვკარნახობს პროექტის სტილს ანუ სტილი არის ენა, რომლითაც გადმოვცემთ ძირითად იდეას.*

მოკლედ, მინდოდა მეთქვა, რომ სანამ რაიმეს გაკეთებას დაგეგმავ, როგორც წესი ფიქრობ და მიდიხარ გარკვეულ აზრამდე, რომელსაც აყალიბებ იდეად და შემდეგ იწყებ მის გავრცობას და "მოპირკეთებას".

თბილისში მომრავლდნენ უცხოელი სტუმრები, შესაბამისად კერძო სასტუმროთა რიცხვიც გაიზარდა. ჩვენთან ცდილობენ, რომ სასტუმრო მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, ძირითადად არ ფიქრობენ ინდივიდუალობაზე და აკეთებენ ტიპიურ ინტერიერს, რომელშიც დამსვენებელი ჩვეულებრივად კომფორტულად იგრძნობს თავს, არაფერი გააკვირვებს და მაინც კმაყოფილი დარჩება. ამ დროს, უცხოელებს გარკვეული წარმოდგენა ექმნებათ ქართულ გემოვნებაზე, სერვისსა და ესთეტიკაზე. ამიტომ, კერძო სასტუმროს ინტერიერი, სჯობს კარგად იყოს გააზრებული, რადგან, ის არამარტო მესაკუთრეზე მეტყველებს, არამედ ჩვენს ქვეყანაზეც.

მომეწონა ერთი პატარა სასტუმრო, რომელიც ორიგინალურია იდეით და სადა - გადაწყვეტით. იდეა არის ის, რომ სასტუმროს ჰქვია "XX საუკუნე" და ფაქტობრივად გვიყვება იმ დროის ქართულ ტენდენციებზე. მაგონებს ზოგიერთ საცხოვრებელ სახლს, რომელთა ინტერიერი მაშინ ორიგინალურიც იყო და მოდურიც.

რადგან სასტუმრო თბილისის ერთ-ერთ უძველეს, კალა უბანში მდებარეობს, არქიტექტორმა სტილი გარემოდან გამომდინარე შექმნა. სწორედ გარემო და დრო წარმოადგენს მის კონცეფციას. შენობა ჰარმონიულად ერწყმის ბეთლემის ქუჩას.

ფასადი მინიმალისტურია და ძველებური აივნების რიტმს იმეორებს. ინტერიერის დიზაინის სტილს ავტორი პროვინციულ კლასიციზმს უწოდებს. სასტუმრო კარგი გაგებით, უბრალოა და ეკოლოგიურად სუფთა. გამოყენებულია ტრადიციული აგური და მასიური ხე, მათ ბანალურობას არღვევს ხელოვნურად მინიჭებული ფერი. აგური თეთრად და ღვინისფრად არის შეღებილი, ხის კარები კი ლურჯად. სასტუმრო გვიამბობს სადა და მარტივი დიზაინის მქონე, ხის ავეჯის გვერდით მოთავსებულ, ძველებური კარადებისა და ხის გრეხილი საკიდების შესახებ, რომლებიც თითქმის ყველას გვქონდა ოჯახში; ძველებურ ელექტროგაყვანილობაზე და რთულად მოსახმარ "ჩამრთველებზე"; აგურის კედლებზე, რომელთაც მეტ ქართულობას ანიჭებს XX საუკუნის ოსტატის კოკა იგნატოვის გრაფიკული ნამუშევრები. ოთახებს რომანტიულობას სძენს საწოლების, სავარძლებისა და ქაღალდის







განათების ხარჯზე აჟღერებული აღმოსავლური მოტივები. ქართული XX საუკუნის ტენდენციებს ავსებს ქვედა სართულზე გაშლილი კლუბი, ბარით, რომელშიც ჯაზს უსმენენ.

მოკლედ, მთლიანობაში გვხვდება ინტერიერი, რომელიც არის კულტურული, კომფორტული და ბევრისთვის ნოსტალგიური. უცხოელს კი ხვდება არასტანდარტული, ინდივიდუალური, სახასიათო იდეით დატვირთული გარემო, სადაც სასიამოვნო წარმოდგენა ექმნება ქართველებზე და არქიტექტორ ზაზა ციციშვილის ახლო წარსულსა და ესთეტურ შეხედულებებზე.

# არაყი თეთრი აჩრდილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3, 4, 5

**მალხაზ ხარბედია**

## არაყს ვეძებდით და წამალი კი შემოგვაჩეჩეს

ვიცი, ამ გაგანია ღვინის ომში, ღალატივითაა რუსების საყვარელ სასმელზე წერა, მაგრამ რა ვქნა, რუბრიკის სახელწოდება მავალდებულებს, თანაც შესანიშნავ შვიდეულში მეორე წევრად, ვისკის მერე, თავიდანვე არაყი მქონდა გათვალისწინებული. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და ჩვენთვის, ქართველებისთვისაც ძალიან ძვირფასი აღმოჩნდა ეს სასმელი. რეალური გამოცდილება, ლექსიკა და სხვადასხვა დიალექტში აღმოჩენილი ზმნების კორიანტელი ნამდვილად იძლევა ამის თქმის საფუძველს.

არყის აღმნიშვნელი აუარება სიტყვა გვაქვს ქართულში - ერთნახადისა და ორნახადისა, ჭაჭისა და ხილისა, თაფლის, ანწლისა და კენკრისა. თავისი სახელი ჰქვია არყის პირველ წვეთებსაც და ბოლო გამონაწურსაც, ცუდი და კარგი არყებიც განირჩევა სახელით და სურნელოვან-უსუნოც. ამ სახელებს გზადაგზა გავეცნობით, მანამდე კი სჯობს წიგნი გადავშალოთ.

როცა არაყზე წერას წამოიწყებ, პირველ რიგში უფროსებს უნდა ჰკითხო ჭკუა, ამიტომ მოდით ჯერ სულხან-საბას მოვუსმინოთ: "**არაყი** არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინადგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად **იყი** ეწოდების". ახლა მეორე სიტყვას მივაკითხოთ, იყს. იყიც იგივე არაყიაო, მარტივად გვიწერს საბა და შიშველმართლის (ალბათ რომელიმე გიმნოსოფისტს გულისხმობს) სიტყვებს გვაპარებს: "ღვინო, იყი და თაფლუჭი არა სვათო". შემდეგ რაე-ზე ვნახოთ: "**რახი** ბერძულია, არაყი არაბულია და იყი ქართულად ქვიან... რახი ერთჯერ გამოხდილსა ეწოდების, ხოლო ორჯელ და სამჯერ გამოხდილსა - **აბეკამქი**". ვეძებეთ და "სიტყვის კონაში" აბეკამქიც ვიპოვეთ, რის გასწვრივაც ვკითხულობთ: "ბალახთ იყი... წამლების **ოტკა**"-ო. ე.ი. რა გამოდის, არაყს ვეძებდით და წამალი კი შემოგვაჩეჩეს, დალევა გვინდოდა და საბამ "ბალზამი" მოგვართვა სუფრაზე.

საბასნაირი ღვთისმოსავი კაცისგან მოსალოდნელიც იყო ასეთი რამ. იგი ხომ "სწავლანის" ავტორია, სადაც, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტს სწორედ მემთვრალეობაზე ამოვიკითხავთ, რადგან მხოლოდ სიმთვრალეს მიუძღვნა სულხან-საბა ორბელიანმა ორი ქადაგება. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავდაპირველად სპირტი, ანუ "წყალი ცხოველი" სწორედ სამკურნალო მიზნებისთვის გამოიყენებოდა.

## აქვთ, მაგრამ არ სვამენ

როგორც ამბობენ, პირველი არყისმაგვარი სასმელი ერთ ალექსანდრიელ ბერს გამოუხდია, ზოგიერთი წყაროს მიხედვით კი იგი არაბების გამოგონება ყოფილა (პირველად ამ სასმელის ხსენებას 9-10 საუკუნეში ვხვდებით, არაბი ალქიმიკოსის, რაზესის ტრაქტატში). იმასაც იტყვიან ხოლმე, 11-12 საუკუნეებში იტალიელმა ალქიმიკოსებმა გამოხადესო პირველი სპირტი და ისეთებიც არიან, ვინც გვაუწყებს, დისტილაციის ხელოვნებას აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც ერთდროულად დაეუფლნენო. თუმცა, ისტორიულ თარიღად არყის ისტორიაში 1334 წელი ითვლება. ამ წელს პროვანსელ ალქიმიკოსს, არნო დე ვილნევს, დისტილაციის შედეგად ღვინის სპირტი მიუღია.

საქართველოში რა ხდებოდა ამ დროს, დაზუსტებით არავინ იცის, გარდა იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალე მეფობდა და თავისი ძლიერი ხელით ქვეყნის გამთლიანებას ცდილობდა. 1334 წელს მესხეთის მთავრის, სარგისის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი ამ მხარის შემოერთებისთვის იბრძოდა, ასე რომ, გამოგონებებისთვის მაშინ არავის ეცალა, ან ვინ იცის, იქნებ გამოგონილიც კი ჰქონდაც ჩვენებს ეს მაგარი სასმელი.

მე-17 საუკუნეში უკვე დოკუმენტურად ვიცით, რომ ქართველებს არაყი ჰქონდათ, რასაც რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლევის სიტყვებიც ადასტურებს. მათ გაოგნებულთ დაუტოვებიათ იმერეთი და თავიანთ წიგნში მსხვილად ჩაუწერიათ: "მხოლოდ ღვინოს მიირთმევენ, არაყი აქვთ, მაგრამ არ სვამენ"-ო. როგორც ჩანს, მაშინ მართლაც სამკურნალოდ იყენებდნენ არაყს და ეს დალოცვილი ტრადიცია, მადლობა ღმერთს, დღემდე შემორჩა ქართულ სოფლებს. რამდენი არყით ნაწამლი ბებია გვინახავს, 90-ს გადაცილებული, ჩიტივით რომ დაფრთხიალებს თავს შვილიშვილებს. ზოგი ნახირსაც კი დაყვება აღმა-დაღმა, ანდა სულაც სახდელ ქვაბთან ტრიალებს, კარგი, კამკამა "წამალი" რომ მიართვას თავისიანებს.

## ბებიების აპოლოგია

ჩემი დიდი ბებია, ეფროსინე ბუაძეც ასე ტრიალებდა ქვაბის გარშემო. დაახურავდა ზარფუშს, გამოლესავდა ნაცრიანი აყალო მიწით, შემდეგ მილიან გეჯას მიუმარჯვებდა, მჭადის ფქვილით გამოგლისავდა ზარფუშის სახელოსა და მილის შესაყარს, გადაახვევდა ჭინჭით, შეუკეთებდა შეშას და გამოხდას იწყებდა. ბაბუაჩემს, სერაპიონ დვალს, არყის ხდის წმინდა რიტუალი რატომღაც მთლიანად ეფროსინესთვის გადაელოცა და ღრმა მოხუცებულობამდე ის იყო ყველაფრის ავან-ჩავანი.

სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, რომ მრავალი ნოვაცია არყის გამოხდის საქმეში სწორედ ქალებს ეკუთვნით. ბევრისგან გამიგონია, ბებიაჩემი ქვაბს ტალახში ამოსვრიდა კარგად და ისე შედგამდა ცეცხლზე, მერე რომ ადვილი გასარეცხი ყოფილიყოო. წარმოიდგინეთ, გამოხდის შემდეგ გადმოდგამ, ჩამოფერთხავ გაჭვარტლულ ტალახს, გადაავლებ წყალს და ქვაბიც გამოიხედავს. რა თქმა უნდა ეფროსინეც ატალახიანებდა ქვაბს, მაგრამ ისეიმნაირად სუფთად და ლამაზად აკეთებდა ამას, რომ ქვაბზე აკრული ჭუჭყი კარგი აბსტრაქციონისტის ნახატს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ტალახს.

"არყის სტოლსაც" კოხტად გაშლიდა ხოლმე, თხილისა და მსხლის ჩირის ნაცვლად, კეცის მჭადებს დადებდა, თხლად დაჭრილ ლორსა და ყველს მწვანილს შემოუწყობდა და ბაბუაჩემისკენ გაიხედავდა. ეს დედულეთში ხდებოდა, რაჭაში. თბილისელი ბებია კი "სერვიროვკაში" იყო მაგარი. ერთიორ ჩემს ძმაკაცს დღემდე ახსოვს ბებიაჩემის ხელით გამოტანილი "ჩეთვერიანი" გრაფინი და ლომით, ხარჩოთი და წითელი კომბოსტოთი გაწყობილი მეგრული სუფრა. შურა ბებიას ძალიან სქელლინზიანი სათვალე ეკეთა და მაგიდასთან ყველაფერი ძალიან ფრთხილად მოჰქონდა. ახლადგარეცხილ ხილსაც, რომ არ გადმოცვენოდა, ხელს გადააფარებდა და ისე მოიტანდა. ახლაც ვერ ვხვდები, სად შოულობდა ბებიაჩემი ასეთ კარგ არაყს (ჭაჭის ან ხილის) იმ საშინელ დროში, 90-იანი წლების დასაწყისში, როცა მთელი თბილისი "სტრიხნინის" სმაზე იყო გადასული.

## არაყი და "ოთხმოცი" ოთხმოცდაათიანებში

ჩემი თაობიდან ბევრს ღრმა კვალი დააჩნია იმ წლებმა. სტუდენტობამ ლოთობაში გაიარა და ლექციებზე კი არა, ხანდახან გამოცდებზეც არ მივდიოდით სმას გადაყოლილები. ვსვამდით ყველა (გოგოებიც კი სვამდნენ ხოლმე), ვსამდით რაღაც საშინელებას, ვაყოლებდით ასევე საშინელ, ფხვნილის ლუდს (გახსოვთ ალბათ, "ასტიკა" და მისნაირები) და მთელი უნივერსიტეტის ბაღი და ვერის ხეობა ჩვენი გვეგონა. ზოგიერთი ძმაკაცი "გეპეიდან" და "სამხატვრო აკადემიიდან" მოდიოდა გასტროლებზე, იყვნენ ისეთებიც, არსად რომ არ სწავლობდნენ და უბრალოდ, არყის დასარტყმელად და წიწვის მისაყოლებლად შემოივლიდნენ ბაღში.

სტუდენტების წინა თაობა (80-იანელები), ჩაის სახლში გამოიწრთო, იქ იკრიბებოდნენ, ან უნივერსიტეტის კაფეში შეირბენდნენ "გარეჯზე" და ყავაზე. ჩვენ კი უკვე ღია ცის ქვეშ გვიწევდა არაყზე ნივრიანი ძეხვისა და მყრალი "ოთხმოცის" მიყოლება.

ეს პერიოდი სამწუხაროდ დიდხანს გაგრძელდა, დაახლოებით 5 წელი და ბევრმა ჩვენგანმა ვერც გაუძლო გიჟურ ტემპებს. ზოგს კუჭმა უმტყუნა, ზოგს ნაღველმა და ზოგს კიდევ ნერვებმა. დაიშალა ორგანიზაცია ТПБ (Требую Продолжения Банкета) და ყველამ თავი დავანებეთ "დიდ ავიაციას". ახლა აღარც ისე ვაბამთ, როგორც მაშინ, თანაც დღეს კარგი არყის შოვნა გაცილებით ადვილი გახდა.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

# რიჩარდ ავედონი ავტოპორტრეტი პორტრეტებში

*"იგი არის ადამიანი, რომელსაც ხედვის განსაკუთრებული ნიჭი აქვს" - წერდა რიჩარდ ავედონის შესახებ ტრუმენ კაპოტე. ამ განსაკუთრებული ნიჭის გამო, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ექსტრავაგანტულ ფოტოგრაფს ხშირად აბრალებდნენ სისასტიკეს, დაუნდობლობას და ცინიზმს. მის ფოტოებს კი, "ადამიანურ სითბოს მოკლებულ უბრალო მასკარადს" ადარებდნენ. თუმცა, შეფასებების წინააღმდეგობრივი ხასიათის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია: რიჩარდ ავედონის პირველი ფოტოების გამოქვეყნებას დაუყოვნებლივ მოჰყვა ფოტოგრაფიაში დაკანონებული პრინციპების ნგრევა და სრულიად ახალი ესთეტიკის დამკვიდრება. ცხადია ისიც, რომ იგი თანამედროვე ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერსო ავტორთაგანია. მოდის ფოტოების, პირველი პორტრეტების თუ მსოფლიო ელიტის შემდეგ, ამერიკელი მუშების პორტრეტების გამოქვეყნებით გამოწვეულ შოკს, რიჩარდ ავედონის ფოტოგრაფიის "დიდ მეტრად" და "ამერიკის უდიდეს პორტრეტისტად" აღიარებაც მოჰყვა. თავად "უდიდესი პორტრეტისტი", საკუთარ ფოტოებს ავტოპორტრეტად აღიარებდა.*



**ნესტან ნიჟარაძე**

რიჩარდ ავედონი 1923 წლის 15 მაისს დაიბადა ნიუ-იორკში, ემიგრანტი ებრაელების ოჯახში. იგი გართობის მიზნით გადაღებას 10 წლის ასაკიდან იწყებს. მისი პირველი ფოტოაპარატი პატარა კოდაკ ბრაუნია; ხოლო პირველი ფოტოების პერსონაჟი ბებიამისის მეზობელი სერგეი რახმანინოვი, რომელსაც იგი სადარბაზოს კიბის ქვეშ მოკალათებული საათობით უსმენს.

რიჩარდ ავედონი ბავშვობიდანვე მოდის სამყაროში ტრიალებს - ავედონების ოჯახი მეხუთე ავენიუზე ტანსაცმლის მაღაზიის მფლობელია. თავად პატარა რიჩარდის ოთახის კედლებს კი "ჰარპერს ბაზარიდან" და მოდის სხვა ჟურნალებიდან ამოხეული მან რეის, ედუარდ სტეიხენის და მარტინ მანკუზის მოდის ფოტოები ამშვენებს.

ავედონის მამა, რომელმაც ბავშვობიდანვე იგემა ნიუ-იორკის რუსი ებრაელების რთული ცხოვრება, შვილისთვის წარმატებული ბიზნესმენის კარიერაზე ოცნებობს. "მამაჩემს სურდა, იგონებდა ფოტოგრაფი, რომ მე კარგი



განათლება მიმელო და ფიზიკურაც და მატერიალურადაც მზად ვყოფილიყავი ცხოვრებისეული სირთულეების გადასალახად". თუმცა... მამის სურვილის მიუხედავად, რიჩარდ ავედონს სწავლაზე მეტად მოდაში მუშაობის პერესპექტივა ხიბლავს. მეორე კურსის შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტში ფილოსოფიის შესწავლას თავს ანებებს და 1942 წელს ჯარში მიდის. 19 წლის ასაკიდან კი საპასპორტო ფოტოების გადაღებას იწყებს. 1944 წელს, ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ სოციალური კვლევის სკოლაში ეწერება. ექსპერიმენტურ ფოტოგრაფიას კი სკოლაში ალექსეი ბროდოვიჩი ასწავლის, რომელიც თავის მხრივ "ჰარპერ ბაზარის" სამხატვრო დირექტორია. ძალიან მალე, ბროდოვიჩი ფოტოგრაფთა მთელი თაობის და, მათ შორის, რიჩარდ ავედონის "დიდი მეტრი" ხდება.

განსაკუთრებული ნიჭით და ენთუზიაზმით გამორჩეულ ავედონს ბროდოვიჩი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში სთავაზობს "ჰარპერს ბაზარისთვის" ფოტოგრაფად მუშაობის დაწყებას. ეს თანამშრომლობა 1945



წლიდან 1965 წლამდე გაგრძელდება. რიჩარდ ავედონის მოდის ფოტოების ექსტრავაგანტულობა და ნოვატორობა, მრავალი წლის განმავლობაში განსაზღვრავს ჟურნალის სტილს და ესთეტიკას და მისი პოპულარობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორიც გახდება. ავედონს კი თავისი ეპოქის მოდის "იდეალური ფოტოგრაფად" აღიარებენ.

თუმცა მანამდე... მოდის ფოტოგრაფიაში საკუთარი შესაძლებლობის მოსასინჯად და ცნობილი ფოტოგრაფების მან რეისა თუ სტეიხენის იმიტირების პირველ მცდელობას ავედონი ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში აკეთებს. ფოტოგრაფის პირველი მოდელი მისივე უმცროსი და ლუიზაა. "იგი საოცრად ლამაზი იყო, იგონებდა რიჩარდ ავედონი. ქალის სილამაზეზე ჩემი წარმოდგენის ჩამოყალიბება სწორედ მისმა გარეგნობამ განაპირობა. ახლა, როდესაც ძველ ფოტოებს ვათვალიერებ, ვხვდები, რომ ჩემი პირველი მოდელები "ჰარ-



პერს ბაზარში" მუშაობის პერიოდში-დორიან ლეი, ელიზ დენიელსი, ოდრი ჰეპბერნი და კარმენი - სწორედ ჩემს დას გავდნენ". როგორც თავად ფოტოგრაფი განმარტავდა, სილამაზე მისი უმცროსი დისთვის დესტრუქციულ ძალად გადაიქცა - მძიმედ დაავადებული იგი ფსიქიატრიულ კლინიკაში გარდაიცვალა 40 წლის ასაკში.

ნიუ-იორკში საკუთარი სტუდიის გახსნის შემდე, 50-იანი წლების დასაწყისში ავედონი ცნობილი ადამიანების პორტრეტების სერიის შექმნას იწყებს. მათ შორის არიან: მერლინ მონრო, კოკო შანელი, დოროთეა პარკერი და მრავალი სხვა. ეს სერია ავედონს ერთის მხრივ, დაუნდობელი, გულცივი და ცინიკური პორტრეტისტის რეპუტაციას, მეორე მხრივ კი, მსოფლიო აღიარებას მოუტანს. იმდროინდელი კრიტიკის წინააღმდეგობრივ შეფასებას თავად ფოტოგრაფი ასე გამოეხმაურება: “პორტრეტი არ არის ქათინაური. იგი სუბიექტური მოსაზრებაა იმ პიროვნებაზე, რომელსაც იღებ. მე ჩემს სათქმელს ფოტოს მეშვეობით ვამბობ და არა სიტყვით."

ავედონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი 1959 წლით თარიღდება და იგი ამერიკელი მწერლის, ტრუმენ კაპოტეს სახელს უკავშირდება. მათი თანამშრომლობა ერთობლივი წიგნის “Observations" (“დაკვირვებები") გამოცემით სრულდება, რომელმაც ავედონის მიერ გადაღებული ბასტერ კიტონის, პაბლო პიკასოს, გლორია ვანდერბილტის და სხვათა პორტრეტები და ტრუმენ კაპოტეს ტექსტი გააერთიანა.

1966 წლს ჟურნალ “ვოგთან" ხანგრძლივი თანამშრომლობის დაწყებამდე ავედონი ამერიკის სამხრეთში ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობას გადაღებას იწყებს. ამიერიდან მის ყურადღება და ობიექტივი მანიფესტაციებისკენ, რასისტების გამოსვლებისკენ და ფსიქიატრიული კლინიკებისკენ არის მიმართული. 1969 წელს ავედონი ვიეტნამის ომის წინალმდეგ მიმართულ მოძრაობას აღბეჭდავს. ერთი წლის შემდეგ კი, თავად მიმეგზავრება ვიეტნამში. ომის მსხვერპლთა შემზარავი ფოტოების გამოქვეყნებას ავედონი ასეთ კომენტარს დაურთავს: “სამწუხაროდ, ვიეტნამი ამერიკაში არსებული ავადმყოფური სინდრომების გაგრძელებაა".



1979-84 წლებში ავედონი კიდევ ერთ სკანდალურ პროექტზე “Amerian West" (“ამერიკის დასავლეთი") იწყებს მუშაობას. მკვლევარ ლაურა უილსონთან ერთად იგი ამერიკის 17 შტატში მოგზაურობს და 752 პორტრეტს იღებს. მსოფლიო ელიტას ავედონის ფოტოებზე, ამჯერად, მუშათა კლასის წარმომადგენლები ენაცვლებიან. უცვლელ თეთრ ფონზე გადაღებული ამერიკელი მუშების, საზოგადოების აუთსაიდერების და უბრალოდ, მარგინალების პორტრეტების მეშვეობით ავედონი “უცნობი ამერიკის" სახეს ქმნის. ავედონის მიერ დანახულ და გადაღებულ ამ ამერიკას და მის გმირებს არაფერი აქვთ საერთო “ამერიკული ოცნების" და “ცხოვრების ამერიკული სტილის" არსებულ სტერეოტიპთან. ავედონის გამოწვევას ამერიკულ საზოგადოება წინააღმდეგობრივად გამოეხმაურა. ბევრმა იგი ფოტოგრაფის სისასტიკეს და შინაგან აგრესიულობასა და გადაუჭრელ პიროვნულ პრობლემებსაც კი დაუკავშირა. თავად ფოტოგრაფი კი ასე განმარტავდა პროექტის შექმნის მამოძრავებელ სურვილს: “ადრე მე მხოლოდ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების პორტრეტებს ვიღებდი, რადგან მხოლოდ მათთან მქონდა შეხების წერტილი. მე არ ვიცოდი, რას ნიშნავს იყო შავკანიანი ან უბრალოდ, ქარხნის მუშა. ახლა კი ვიცი, რომ ნავთობსადენის მუშასა და მწერალს შორის განსხვავება ძალიან უმნიშვნელოა. სწორედ ამის გაგება მსურდა".



“American West"-ის გამოცემის შემდეგ, 1985-93 წლებში რიჩარდ ავედონი ფრანგული ჟურნალისთვის "ეგოისტი" მუშაობს. 2003 წელს ფოტოგრაფიის სამეფო საზოგადოება მას საპატიო ჯილდოს გადასცემს. თუმცა, მსოფლიო აღიარება რიჩარდ ავედონს ამ ჯილდომდე დიდი ხნით ადრე, მისი პირველი ფოტოების გამოქვეყნებას მოჰყვა.

ცოხვრების ბოლომდე ავედონი თანამედროვე პორტრეტის ჟანრის და მოდის ფოტოგრაფიის ძირითადი ტენდენციების დამკანონებლად დარჩა. მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ და ყველაზე ელეგანტურ ფოტოგრაფთან სამუშაო კონტრაქტის გაფორმების უფლების მოსაპოვებლად, მსოფლიოს წამყვანი გამოცემები არ იშურებდნენ არც ენერგიას და არც მილიონობით დოლარს. თავად ავედონი კი, "ყველაზე დიდი ამერიკელი პორტრეტისტი", ამბოდა: "გადასაღებ პერსონაჟებში ყოველთვის ვეძებ იმას, რაც საკუთარი თავის გამოხატვაში მეხმარება. სწორედ ამიტომ, ჩემი ფოტოები ჩემზე უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავენ, ვიდრე იმ ადამიანებზე, რომლებსაც მე ვიღებ."









> ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა
>
> *ბენედეტო კროჩე*

# სპარტაკის ჩემპიონობის საკითხი

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

არ ვიცით, კითხულობენ თუ არა დღევანდელი ბავშვები, უკაცრავად, თინეიჯერები რაფაელო ჯოვანიოლის "სპარტაკს", ეჭვი გვეპარება, რომ მათ უმრავლესობას ოდესმე უნახავს სტენლი კუბრიკის იმავე სახელწოდების ფილმი, რომელიც ჰოლივუდმა ეკრანზე 1960 წელს გამოუშვა. ალბათ, ამ ტექსტით უფრო მათ უნდა მივმართოთ, ვისი ბავშვობა ჯოვანიოლის მიერ აღწერილმა და კირკ დუგლასის მიერ განსახიერებულმა იდეალურმა გმირმა გაათბო. მისი ისტორიის მოყოლას არ შევუდგებით - აპიანე ალექსანდრიელის, დიოდორე სიცილიელის, ოროზიუსის, სალუსტიუსისა და პლუტარქეს მწირი ცნობების ზერელე კომპენდიუმი ჯერაც მოიპოვება ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, სადაც სპარტაკს კვლავაც ისე აღწერენ, თითქოს მონათა აჯანყების ლიდერი და თავისუფლებისთვის მებრძოლთა მამამთავარი იყოს...

სპარტაკი მართლაც თრაკიელი იყო და სწორედ ესაა მისი ისტორიული როლის შემდგომი ინტერპრეტაციის ძირითადი ფაქტორი. ჯერ კიდევ გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი (1817-1903) მიიჩნევდა, რომ სპარტაკი სპარტოკიდთა ბოსფორული დინასტიის შთამომავალი იყო. მცირე აზიაში დამკვიდრებული ეს სამეფო გვარი თვით სპარტაკის დაბადებამდე 36 წლით ადრე შეწყდა. ძნელი სათქმელია, მართლა ბოსფორის მეფეთა შვილთაშვილი იყო თუ არა ამბოხის მეთაური. მაგრამ, თუ პლუტარქეს ცნობას დავუჯერებთ, სპარტაკი თრაკიაში მცხოვრები მედთა ტომის წარმომადგენელი იყო. ამგვარი სახელწოდების ხალხი არ არსებობს, სამაგიეროდ, არის ეთნონიმი "მაიდიკუ" — ეს ხალხი თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და მათ შორის გავრცელებული იყო სახელი სპარატოკი, ანუ შუბის მტვირთველი. თრაკია ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში სრულიად ელინიზებული იყო, რაც სავსებით ხსნის პლუტარქეს ცნობას, რომ სპარტაკი იყო "კაცი არა მარტო დიდი სიმამაცითა და ძალ-ღონით გამორჩეული, არამედ გონებითა და ხასიათის სირბილით თავის მდგომარეობაზე მაღლა მდგომი და ელინის მსგავსი". და მაინც, მეტად უცნაური დახასიათებაა გლადიატორი მონისათვის...

აპიანეს ცნობით, სპარტაკი "ადრე რომაელებს ებრძოდა, მაგრამ ტყვედ ჩავარდა და გლადიატორად გაყიდეს". ეს ვერსია დამარცხებულის ბოლომდე დასამდაბლებლადაა შედგენილი. გვიანდელი გამოკვლევებით, სპარტაკი რომაელებს კი არ ებრძოდა, არამედ მათ მხარეზე მონაწილეობდა მითრიდატეს ომებში: ქერონეასა და ორქომენოსის ბრძოლებში კავალერიის საფლანგო დაჯგუფებას სარდლობდა და სწორედ იქ მიიპყრო ლუციუს კორნელიუს სულას ყურადღება. მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ სულა ძვ. წ. 86 წელს გახდა რომის ძლევამოსილი დიქტატორი და ეს გამარჯვებით დამთავრებული სამოქალაქო ომის შედეგად მოხდა.

ამ სამოქალაქო ომში სულას მომხრეთა რიგებში იყო სპარტაკიც. ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ, სტალინური ტერმინოლოგიისა არ იყოს, უმაღლესი სარდლის მადლობებიც არ აკლდა. აი, ძვ. წ. 79 წელს კი დიქტატორის მომხრეებისთვის ერთობ არასასიამოვნო რამ მოხდა: სულა გადადგა და მემუარების საწერად განმარტოვდა. ვარდებზე რომ არაფერი ვთქვათ, ყოფილი დიქტატორის ტრიბუნაზე ერთი ჭიქა ჩაიც კი არ იდგა და მომავალ რევოლუციონერს მისი დალევის სიამოვნება არ რგებია: ამ დღიდან სპარტაკის კარიერა უკან-უკან წავიდა. სულ მალე ბრწყინვალე სარდალი ფარიკაობის მასწავლებლად გარდაიქმნა კაპუის გლადიატორთა სკოლაში.

არა, ცხოვრების განმავლობაში სპარტაკი არასოდეს ყოფილა მონა: სკოლის მახლობლად იგი საკუთარ სახლში ცხოვრობდა თრაკიელ ცოლთან ერთად. სწორედ აქ გაუჩნდა ერთობ ამბიციური ჩანაფიქრი: თუ ლუციუს კორნელიუს სულა სამოქალაქო ომის შედეგად რომის დიქტატორად იქცა, რითია მასზე ნაკლები თრაკიელი მეფის თუ ბელადის შთამომავალი?! გავიხსენოთ, რომ აპიანეს ეყო პატიოსნება და სპარტაკის ამბოხის გადმოცემა თავისი ისტორიული თხზულების იმ ნაწილში შეიტანა, რომელიც მეტად ნიშანდობლივადაა დასათაურებული: "სამოქალაქო ომები".

უნდა აღინიშნოს, რომ სპარტაკის არმიაში მონებს სულაც არ ეჭირათ პირველობა. ყველა ისტორიკოსი აღიარებს, რომ ამბოხებულთა რიგებს მრავალი რიგითი თავისუფალი რომაელი უერთდებოდა. მაგრამ, აქ განსაკუთრებით ძვირ-



კირკ დუგლასი (მარჯვნივ) სპარტაკის როლში.




# მოსიარულე მკვდრები

იმპერატორი ნერონი, როცა სენატორებისა და მხედრების შეურაცხყოფა მოეპრიანებოდა, ძალით გამოჰყავდა ისინი გლადიატორებთან ერთად არენაზე. ბევრი თვითმკვლელობას არჩევდა. რატომ? საერთოდ, რატომ ეზიზღებოდათ გლადიატორები? იმიტომ არა, რომ მონები იყვნენ: ზოგჯერ გარდაცვლილ მონას პატრონი ძეგლს უდგამდა და მასზე თავისი მწუხარების აღსანიშნავ წარწერას ტოვებდა. გლადიატორს კი, თავისუფლებაც რომ მიეღო და მას შემდეგ მომკვდარიყო, არასოდეს მარხავდნენ ჩვეულებრივ სასაფლაოზე...

პასუხი ცნობილია: რომაელებისთვის გლადიატორები უკვე მკვდრები იყვნენ, ნამდვილი მკვდრები, ოღონდ მოძრავი და, ასე ვთქვათ, აქტიური. გლადიატორისადმი ზიზღი იგივე იყო, რაც გახრწნილი მკვდრისადმი. მაყურებლის თვალში არენაზე ცოცხალი ადამიანები კი არ ებრძოდნენ ერთმანეთს, არამედ ნამდვილი ზომბები.

საუკუნეების განმავლობაში კითხულობდა ევროპელი ციცერონს, პლინიუსს, ტაციტუსსა და სხვა რომაელ ავტორებს. შეიძლება ითქვას, რომ მათი თხზულებებიდან აღებული გამჭვირვალე და მოზომილი სტილი უდევს საფუძვლად ევროპულ რაციონალიზმს. მართლაც, რომაელი მოაზროვნეების, ისტორიკოსებისა და მწერლების კითხვისას უფრო საერთოს ხედავ მათთან, ვიდრე განმასხვავებელს. აქ ერთი ოპტიკური ილუზია მოქმედებს: როცა ციცერონის წიგნი გიჭირავს ხელში, მხოლოდ ციცერონს კი არ კითხულობ, არამედ მის შემდგომ ლიტერატურულ ტრადიციასაც. ამიტომ, ძნელია წარმოდგენა, რომ იმდროინდელი ადამიანები ლამის შამანური ცრურწმენებით იყვნენ მოცულნი.

ასევე შეცდომაში შეგვიყვანა ქრისტიანული ეკლესიის ადრეულმა სახელმძღვანელოებმა: "რომში უკვე აღარავის სწამდა ღმერთები". თანამედროვე ადამიანისთვის რომის რესპუბლიკა და იმპერია ლამის ათეისტური საზოგადოებებია, სადაც ისევე მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა, როგორც თანამედროვე ამერიკაში, ტაძრებში ღვთისმსახურება კი ამერიკული საშუალო სკოლების წინ სახელმწიფო დროშის აღმართვის ან უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ყვავილების მიტანის რიტუალის მსგავსი რამაა: ცარიელი საზოგადოებრივი ტრადიცია. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო: წარმართობა, მათ შორის რომაული, სულაც არაა რაღაც სახუმარო რამ. წარმართობაში ძნელი წარმოსადგენია თეოლოგია, შესაბამისად, ერესიც, მაგრამ წარმოუდგენელია ფარისევლობაც: გალებთან ომის გონებაგახსნილი ავტორი, იულიუს კეისარი, ყოველ ახალ დღეს ავგურებთან, მკითხავებთან კონსულტაციით იწყებდა და ეს სულაც არ იყო შინაარსისგან დაცლილი ქცევა, როგორადაც დღეს საინფორმაციო გამოშვებების ყურება იქცა. იულიუს კეისარს ნამდვილად სჯეროდა ავგურების მკითხაობისა და ეს რიტუალი მისთვის არ ყოფილა იგივე, რაც აშშ-ს პრეზიდენტისთვის ყოველწლიური ტრადიციული ინდაურია.

ერთი სიტყვით, გლადიატორები რომაელებისათვის რეალური მოსიარულე გვამები იყვნენ. ამ ინსტიტუტის წარმოშობა დაკავშირებული იყო ეტრუსკულ სამგლოვიარო რიტუალებთან, როცა მონები გარდაცვლილი პატრონის საფლავზე ხოცავდნენ ერთმანეთს, რათა საიქიოში ემსახურათ მისთვის. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰოლივუდის "გლადიატორმა" სულ ტყუილად მიიღო ორი ტომარა "ოსკარი" - გლადიატორად ქცეულ სარდალს არავინ დაუჭერდა მხარს, რადგან თანამედროვე საქართველოსგან განსხვავებით, ანტიკურ რომში კარგად ესმოდათ, რომ მკვდრები მხოლოდ დამარხვას იმსახურებენ.

## ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

ფასია სალუსტიუსის, ასე ვთქვათ, წამოცდენა: "სპარტაკს ხალისით უერთდებოდა დიდძალი ხალხი, მათ შორის ზოგიერთი მონაც კი იყო". დიახ, თავისუფალი მოსახლეობის მასა და მონათა გარკვეული რიცხვი: მართლაც სამოქალაქო ომს უფრო ჰგავს, ვიდრე მონათა აჯანყებას.

ამ ვერსიის სასარგებლოდ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: სპარტაკის წინააღმდეგ გალაშქრებულმა მარკუს ლიცინიუს კრასუსმა ერთხელ ლუკანიის ტბასთან მეამბოხეთა მსხვილი დაჯგუფება დაამარცხა. რაზმს სარდლობდნენ გაიუს კანიციუსი და ვინმე კასტუსი. ამ უკანასკნელის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, აი, კანიციუსი კი სულას ცენტურიონი და, უფრო მეტიც, პრიმიპილუსი, ანუ პირველი კოჰორტის სარდალი იყო. მან იმავე ბრძოლებში გაითქვა სახელი, სადაც თვით სპარტაკიც მონაწილეობდა, მაგრამ, თრაკიელისგან განსხვავებით, რომის მოქალაქე იყო და თანაც მხედართა წოდების წარმომადგენელი. ნიშანდობლივია, რომ ამ სახელს მხოლოდ ბერძენი პლუტარქე ასახელებს, რომაელი ისტორიკოსები დარცხვენილ დუმილს ამჯობინებენ, აპიანე კი იმასაც კადრულობს, რომ სახელს უცვლის სარდალს და კანიციუსის ნაცვლად ვიღაც განიკუსს წარუდგენს მკითხველს. რატომ? - იმიტომ რომ არსებობდა დირექტივა: სპარტაკის ომი უნდა წარმოედგინათ მონათა აჯანყებად, ასეთ ვითარებაში კი ძნელია წარმოდგენა, რომ რაზმს სულას ძლევამოსილი ომების ვეტერანი უხელმძღვანელებდა.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ისიც, რომ სპარტაკის წინააღმდეგ სამწლიანი ომის განმავლობაში რომის ლეგიონებიდან მეომართა ამბოხებულების მხარეზე გადასვლა საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო, სანამ კრასუსმა უსასტიკეს ზომას არ მიმართა თვით დეციმაციის, ანუ ლეგიონში ყოველი მეათის სიკვდილით დასჯის გამოყენებამდე. რა უნდოდათ სახელოვან რომაელ ლეგიონერებს მონათა ბრბოში? - ის, რომ ეს სულაც არ ყოფილა ბრბო, არამედ სულას გადადგომის შემდეგ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაციის შედეგად წარმოშობილ სამოქალაქო ომში მონაწილე ერთ-ერთი მხარე, რომელიც სოციუმის საგრძნობი ნაწილის იმედებსა და სურვილებს გამოხატავდა.

ვიღაც-ვიღაცები ამბობენ, რომის არმიას მორალური გახრწნა დაეტყოო. მაგრამ, აღმოსავლეთში, სადაც სპარტაკის ამბოხის დროს რომაელები გარეშე მტერს, მითრიდატე VI ევპატორს ებრძოდნენ, ასეთი გახრწნა არ ყოფილა. აი, იბერიის ნახევარკუნძულზე კი, სადაც გნეუს პომპეუსი რომიდან დევნილი გაიუს მარიუსის მომხრეთა ნარჩენებს ახშობდა, ასეთი "გახრწნა" სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მებრძოლები მრავლად გადადიოდნენ ერთი მხარიდან მეორეზე. ამგვარი მოვლენები სწორედ სამოქალაქო ომებს ახასიათებს.

ბოლოს და ბოლოს, თუ ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდებით, რომ სპარტაკი მონათა აჯანყებას კი არ სარდლობდა, არამედ სამოქალაქო ომს აჩაღებდა, მარტივად გადაწყდება ერთი საკითხი, რომელიც დიდი ხანია ძნელ მდგომარეობაში აგდებდა ისტორიკოსებს: რატომ არ გამოიყენა სპარტაკმა ორგზის მოცემული შესაძლებლობა, დიდძალი ქონებით გასცლოდა იტალიას და თავისუფლება მიენიჭებინა მონებისათვის? კუბრიკის ფილმში ჩნდება ვერაგი კილიკიელი მეკობრე, რომელსაც კრასუსი მოისყიდის, რათა მონებმა არ დატოვონ იტალია. მეკობრეთა მოტივაცია ბოლომდე დამაჯერებელი არაა: ამბოხებულთა მხარდაჭერით ისინი გაცილებით მეტს მოიპოვებდნენ, ვიდრე კრასუსს შეეძლო შემოეთავაზებინა მათთვის. ასე რომ, მეკობრეთა ვერსია, როგორც ეტყობა, მოგონილია. მთავარი ისაა, რომ სპარტაკის მიზანი არ ყოფილა მონებისთვის თავისუფლების მინიჭება, მით უმეტეს, მის არმიაში მონები უმცირესობაში იყვნენ. სპარტაკის "უცნაური" ნაბიჯები კარგავენ თავიანთ უცნაურობას, თუ ვაღიარებთ, რომ მისი მთავარი და ერთადერთი მიზანი რომზე ბატონობა იყო.

და თუ თვით სამოქალაქო ომის პოლიტიკურ მოტივაციაზე დადგება საქმე (პირადი ამბიცია გადატრიალების მოსაწყობად იქნებ გამოდგეს, მაგრამ სამოქალაქო ომისთვის ნამდვილად ვერ იქნება საკმარისი, თანაც ისეთ ვეებერთელა ქვეყანაში, როგორიც რომის რესპუბლიკა იყო), აქაც ყველაფერი წესრიგშია: სულას გადადგომის შემდეგ ბევრი იყო, ვინც თავს უსამართლოდ დაჩაგრულად მიიჩნევდა, თვლიდა, რომ დიქტატორის მიერ შეურაცხყოფის შემდეგ მათი ღირსება ჯეროვნად არ აღდგენილა. საკმაო



*რომის კოლოსეუმის არენა დღეს - ოდესღაც აქ გლადიატორები ებრძოდნენ ერთმანეთს.*

ვარაუდი არსებობს იმისთვის, რომ სპარტაკის ამბოხი უკვე ხსენებული მარიუსის მიერ წარმოებული სამოქალაქო ომის კონტექსტში მოვათავსოთ და ესპანეთში დევნილი პატრიციუსის მხარდამჭერის კვალიც აღმოვაჩინოთ თრაკიელი სარდლის მოქმედებაში.

მაგრამ, ამგვარი ინტერპრეტაცია რატომღაც სამარცხვინოდ მიიჩნიეს ჯერ კიდევ რომში. ამიტომ შეითხზა მითი მონათა სარდლის შესახებ. მითი აუცილებლად გმირს უნდა აღწერდეს. სპარტაკის განქიქებასთან ერთად დაიწყო მისი იდეალიზაციის პროცესი: კეთილშობილი პიროვნება, დიდსულოვანი და ლმობიერი. მაგრამ ცნობილია, რომ სამხედრო ქმედებების დასაწყისისთანავე არსებობდა სპარტაკის პირადი ბრძანება, ცოცხლად არ დაეტოვებინათ არავინ, რომ არ დარჩენილიყო მოწმე. გარდა ამისა, როცა რომაელებმა დაამარცხეს სპარტაკის თანამებრძოლის, კრიქსის ოცდაათათასიანი შენაერთი, სპარტაკმა სამასი რომაელი ტყვე შესწირა მსხვერპლად მეგობრის ხსოვნას. მაშინაც, როცა მდინარე პოს ნაპირებიდან სამხრეთისკენ მობრუნება მოუხდათ, სახალხო არმიის მებრძოლებმა სპარტაკის ბრძანებით არა მარტო ალალი დაწვეს, არამედ ყველა რომაელი ტყვე დახოცეს.

ერთი სიტყვით, თავისუფლებისათვის მებრძოლ მონათა კეთილშობილი ბელადის მაგიერ, დეტალური განხილვისას ხელში ამბიციური გადამთიელი შეგვრჩება. რომი ჯერ არ იყო მომწიფებული იმ აზრისთვის, რომ მის სათავეში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო უცხოელი. ეს მოგვიანებით იქცევა ჩვეულებრივ მოვლენად, როცა ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის ბოლოს იმპერატორობას მიიღებს ლიბიელი სეპტიმიუს სევერუსი ან უფრო გვიან — თრაკიელი მწყემსი გაიუს იულიუს ვერუს მაქსიმიანე. სპარტაკის ეპოქაში კი თუ იარაღს ხელში პატრიციუსი სულა იღებდა, ეს სამოქალაქო ომი იყო, ხოლო თრაკიელი ბელადის ხელში მახვილი მხოლოდ მონათა აჯანყების ნიშანი თუ იქნებოდა.

ან კი ვის ემახსოვრებოდა დღეს სპარტაკი, რომ არა იტალიური რისორჯიმენტოს (ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის) გმირი მწერალი რაფაელო ჯოვანიოლი?! ჯუზეპე გარიბალდის თანამოსანგრე, რა თქმა უნდა, სხვას ვერავის გამოიყვანდა თავისი რომანის ფურცლებზე, თუ არა "ხალხთ ბორკილის" სამტვრევად მომართულ გმირს. XX საუკუნის დასაწყისში სწორედ ჯოვანიოლის წიგნს კითხულობდნენ გერმანელი მემარცხენეები, რომლებმაც რომანის შთაბეჭდილებით 1916 წელს შექმნეს "სპარტაკის ჯგუფი", ხოლო 1918 წლის 11 ნოემბერს ის "სპარტაკის კავშირად" გარდაქმნეს.

"კავშირის' ცენტრალურ კომიტეტში შედიოდნენ, მაგალითად, რაიხსტაგის დეპუტატი კარლ ლიბკნეხტი, პოლონური სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსი როზა ლუქსემბურგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე ფრანც მერინგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი. სულ მალე, 1918 წლის 29 დეკემბერს "სპარტაკის კავშირიდან" წარმოიშვა გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოლონური და გერმანული მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ლეო იოგიხესი, უფრო ცნობილი როგორც იან ტიშკა. ალბათ გერმანულ რაიხში პოლონელი ლიდერი ისევე აღიქმებოდა, როგორც რომის რესპუბლიკაში - თრაკიელი მეამბოხე. თუმცა, ამჯერად სულ სხვაა მთავარი: საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ეს მემარცხენე რადიკალები მონათა გათავისუფლებაზე კი არა, ძალაუფლების მოპოვებაზე ოცნებობდნენ და ამისთვის არასოდეს დაუხევიათ უკან სისხლიანი სამოქალაქო ომის წინაშე. გამარჯვების შემთხვევაში, მათ მიერ "გათავისუფლებულებს" კიდევ უფრო სასტიკი მონობა ელოდათ. მაინც როგორ შეძლეს საყოველთაო ისტორიულ-ლიტერატურული მითოლოგიის გაბატონების მიუხედავად ნამდვილ სპარტაკთან სულიერი ნათესაობის გარკვევა?

თუმცა პასუხი ალბათ ძალიან მარტივია: მემარცხენე რადიკალები შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყოველთვის მითოლოგიისკენ ისწრაფვიან: სწორედ მითოლოგიური შარავანდედის გამო ამოირჩიეს თავიანთ სიმბოლოდ ანტიკური ისტორიკოსების მიერ გაპროლეტარებული და იტალიელი გარიბალდისტის მიერ გადემოკრატებული თრაკიელი ავანტიურისტი. რაც შეეხება სიმართლეს, ის მაშინაც იპოვის თავის გზას, როცა მასზე არავინ ფიქრობს.

იტალო
კალვინო

# უჩინარი ქალაქები





ლელა ბერიძის
თარგმანი იტალიურიდან

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №1, 2, 3, 4, 5

## VI თავი

- ასეთი ქალაქი ხომ არ შეგხვედრია, ამას რომ ჰგავდეს? - ეკითხება ყუბლაი მარკო პოლოს და დოჟის დიდებული ხომალდის აბრეშუმის ბალდახინიდან ბეჭდებით სავსე ხელს იშვერს, უთითებს არხებზე გადაწოლილ ხიდებზე, საუფლისწულო სასახლეებზე, რომელთა მარმარილოს ზღურბლები წყალში ჩაძირულან, მსუბუქი ნავების მიმოსვლაზე, გრძელი ნიჩბების ბიძგებით ზიგზაგურ წრეებს რომ არტყამენ, სატვირთო ბორნებზე, რომლებიდანაც ბაზრების მოედნებზე ხილით სავსე კალათებს გადმოტვირთავენ, აივნებზე, ღია ტერასებზე, გუმბათებზე, სამრეკლოებზე, ლაგუნას სინაცრისფერეში მწვანედ მოხასხასე კუნძულების ბაღებზე.

იმპერატორი თავისი უცხოელი მოხელის თანხლებით ქვინსაის ათვალიერებდა, უფლებააყრილი დინასტიის ძველ დედაქალაქს, დიდებული ხანის გვირგვინში ჩაბნეულ უკანასკნელ მარგალიტს.

- არა, მეუფეო, - უპასუხა მარკომ, - ვერც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მსგავსი ქალაქი თუ არსებობდა.

იმპერატორი შეეცადა, თვალებში ჩაეხედა მისთვის. უცხოელმა მზერა დახარა. ყუბლაის მთელი დღე ხმა აღარ ამოუღია. მზის ჩასვლის შემდეგ სამეფო სასახლის ტერასაზე მარკო პოლო თავისი ელჩობების შედეგებს წარმოუდგენდა ხელმწიფეს. ხანის ჩვეულებად ქცეულიყო, თვალმილულუს ესმინა ამ მოთხრობებისთვის და მათი დაგემოვნებით დაემთავრებინა დღე, სანამ მისი პირველი მთქნარება პაჟების კორტეჟს არ ამცნობდა, ჩირაღდნები აენთოთ, რომ ხელმწიფეს დიდებული ძილის პავილიონისკენ გასძღოლოდნენ. მაგრამ ამჯერად ყუბლაის არ უნდოდა, დაღლილობას დანებებოდა. - კიდევ ერთ ქალაქზეც მითხარი, - დაეჟინებინა.

- ... იქიდან წამოსული ჩრდილო-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სამი დღის ჯირითის შემდეგ... - აგრძელებდა მარკო და უთვალავი ადგილის სახელებს, ჩვეულებებს, საქონელს ჩამოთვლიდა. მისი რეპერტუარი, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი იყო, მაგრამ ახლა მას მოუწია ფარ-ხმლის დაყრამ - გამთენიისას მან თქვა:

- მეუფეო, უკვე ყველა ქალაქზე გიამბე, რაც კი მინახავს.

■ ერთი ქალაქი რჩება, რომელზეც არასოდეს საუბრობ.

მარკო პოლომ თავი ჩახარა.

■ ვენეცია, - თქვა ხანმა.

მარკოს გაეღიმა: - აბა, რომელ ქალაქზე გეგონა, რომ გიამბობდი?

იმპერატორს თვალიც არ დაუხამხამებია:

- და მაინც, არასოდეს გამიგონია ეს სახელი შენგან.

და პოლომ: - ყოველთვის, როცა რომელიმე ქალაქს აღგიწერ, რაღაცას ვენეციაზეც ვამბობ.

- როცა სხვა ქალაქებზე გეკითხები, იმ ქალაქების შესახებ მსურს შენგან მოსმენა. ვენეციის შესახებ კი მაშინ, როცა ვენეციაზე გეკითხები.

- სხვების ღირსებები რომ გავარჩიო, ერთი, პირველი ქალაქიდან უნდა ამოვიდე, რომელიც დაფარული რჩება. ასეთი ჩემთვის ვენეციაა.

- მაშ, ყოველ ჯერზე შენი მოგზაურობების შესახებ თხრობა გამგზავრებიდან უნდა დაიწყო, აღწერო ვენეცია ისეთი, როგორიცაა, მთლიანად, არაფერი გამოტოვო იქიდან, რაც გახსოვს მის შესახებ.

ტბის წყალი ახალი შეჭირხლული იყო; სუნგების ძველი სამეფო სასახლის სპილენძის ანარეკლი მოტივტივე ფოთლების მსგავსად მოელვარე გამოსახულებებად იმსხვრეოდა წყლის ზედაპირზე.

- მეხსიერების სურათები წაიშლებიან, ერთხელ სიტყვებით თუ დააფიქსირებ მათ, - თქვა პოლომ. - ალბათ, მეშინია, რომ ერთბაშად დავკარგავ მთელ ვენეციას, მის შესახებ თუ ვისაუბრებ. ან იქნებ სხვა ქალაქებზე ლაპარაკისას ნელ-ნელა კიდეც დავკარგე იგი.



## ქალაქები და აღებმიცემობა. 5.

ზმერალდინაში, წყლის ქალაქში, არხებისა და ქუჩების ქსელები ერთმანეთს ედებიან და გადაკვეთავენ. ერთი ადგილიდან მეორემდე მისასვლელად შეგიძლია სახმელეთო ან სანავე გზა აირჩიო: და რადგანაც ზმერალდინაში ყველაზე მოკლე გზა ორ წერტილს შორის სწორი ხაზი კი არაა, არამედ ზიგზაგური, რომელიც, თავის მხრივ, მიხვეულ-მოხვეულ ვარიანტებად იტოტება, ფეხით მავალისთვის წინ გადაშლილი გზები მხოლოდ ორი კი არა, ათასია, და უფრო მრავლდება, თუ კაცი მონაცვლეობით ხან ნავით მგზავრობს და ხან სახმელეთო ტრანსპორტით.

ასე რომ, ყოველდღე ერთი და იმავე გზით სიარულის მომაბეზრებლობა არ აწუხებთ ზმერალდინას მცხოვრებლებს. და ეს ყველაფერი როდია: გადასასვლელების ბადე მხოლოდ ერთ ფენად არაა განლაგებული, ეს ბადე კიბეების პერიპეტიებს, შენობებზე შემოყოლებულ აივნებს, ორფერდა ხიდებს, დაკიდებულ ქუჩებს მიჰყვება. ზედაპირს აშორებული თუ ზედაპირზე მყოფი გზების სეგმენტების კომბინირებით ერთსა და იმავე ადგილზე ახალ-ახალი მარშრუტებით მისვლით ერთობა ყოველი მცხოვრები ყოველდღე. ყველაზე ჩვეულებრივი და წყნარი ცხოვრებები ზმერალდინაში გენმეორებების გარეშე მიედინებიან.

აქაც, როგორც სხვაგან, ყველაზე დიდი საფრთხე საიდუმლო და სათავგადასავლო ცხოვრებებს ემუქრებათ. ზმერალდინას კატები, ქურდები, უკანონო შეყვარებულები ყველაზე მაღალი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ქუჩებით გადაადგილდებიან, ერთი სახურავიდან მეორეზე ხტებიან, ეშვებიან ღია ტერასიდან აივანზე, თოკზე მოარული აკრობატებივით შემოუვლიან საწვიმარებს. უფრო ქვემოთ ერთმანეთის კუდების მიყოლებით ჩამწკრივებული თაგვები დარბიან შეთქმულებთან და კონტრაბადისტებთან ერთად კლოაკების უკუნეთში: თავებს ამოყოფენ კანალიზაციის თავსახურავებიდან და ჩასადენი არხებიდან, შეიმალებიან ფუღუროებსა და ჩიხებში, ერთი სამალავიდან მეორეში მიათრევენ ყველის ნამცეცებს, აკრძალულ საქონელს, ტყვიის წამლის კასრებს, გადაკვეთავენ მიწისქვეშა ხვრელების სხივებით დასერილი ქალაქის კომპაქტურობას.

ზმერალდინას რუკა უნდა შეიცავდეს სხვადასხვაფერის მელნით აღნიშნულ ყველა ამ მყარ და თხევად, ხილულ და ფარულ ტრასას. უფრო ძნელია რუკაზე მერცხლების გზების აღნიშვნა, რომლებიც სახურავების ზემოთ აპობენ ჰაერს, უძრავი ფრთებით ეშვებიან უხილავი პარაბოლური ანტენების გაყოლებით, ერთი კოღოს გადასაყლაპად ამოყირავდებიან, მცელავი ფრენით ისევ ზევით, კოშკის წვერისკენ აიჭრებიან, თავიანთი საჰაერო ბილიკების ყოველი წერტილიდან ქალაქის ყველა წერტილს აკონტროლებენ.

## ქალაქები და თვალები. 4.

ფილიდეში ჩასული იმის ცქერით ტკბები, რამდენი ერთამნეთისგან განსხვავებული ხიდი გადაკვეთს არხებს: ორფერდა, გადახურული, პილასტებზე მდგარი, ნავტიკის, დაკიდებული, აჟურული მოაჯირით; რამდენნაირი ფანჯარა გამოდის ქუჩებზე: ორთაღიანი, მავრიტანული, შუბის ფორმის, ისრული კამარით, ნახევარმთვარეებით და როზეტებით მოჭიკჭიკებული; რამდენნაირი იატაკი ფარავს მიწას: მოკირწყლული, ფილაქნებიანი, ღორღიანი, თეთრი და ლურჯი კვადრატული ფილებით. ქალაქი ყველა თავის წერტილში სიურპრიზებს სთავაზობს თვალს: ჯონჯოლის ბუჩქი, რომელიც ციხესიმაგრის გალავნიდან გადმოკიდებულა, სამი დედოფლის ქანდაკება ბრჯებზე, ხახვისებური გუმბათი სამი ჩამწკრივებული პატარა ხახვით წვერზე. "ნეტა იმას, ვინც ყოველდღე ხედავს ფილიდეს და არასოდეს ამთავრებს იმის ყურებას, რასაც ეს ქალაქი ფლობს", აღმოგხდება და გული გწყდება, რომ უნდა დატოვო ქალაქი, რომელსაც მხოლოდ თვალი გადაავლე.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შერჩე ფილიდეში და შენი ცხოვრების დარჩენილი დღეები საერთოდაც იქ გაატარო. შენს თვალში მალე ეცვლება ფერი ქალაქს, წაიშლებიან როზეტები, ქანდაკებები ბრჯენებზე, გუმბათები. ფილიდეს ყველა მცხოვრებივით მიუყვები ზიგზაგიან გზებს ერთიდან მეორისკენ, განარჩევ მზიან და ჩრდილიან ზონებს, აგერ ერთი კარი, აი, კიბე, სკამი, სადაც შენი კალათის ჩამოდგმა შეგიძლია, ჩასადენი არხი, სადაც ფეხს წამოკრავ, თუ ფრთხილად არ იქნები. ყველაფერი დანაჩენი ამ ქალაქში უხილავია. ფილიდე სივრცეა, სადაც სიცარიელეში გამოკიდებულ წერტილებს შორის იკვეთება სავალი გზები, უმოკლესი გზა იმ ვაჭრის კარვამდე მისაღწევად, იმ კრედიტორის სარკმელს რომ აუარო გვერდი. შენი ნაბიჯები იმას კი არ მისდევენ, რაც თვალს გარეთაა, არამედ იმას, რაც თვალშია, დამარხული და წაშლილი: თუ ორი პორტიკიდან ერთი ჯერ კიდევ უფრო მხიარული გეჩვენე-

ბა, ეს იმიტომ, რომ მასში 30 წლის წინათ ერთი გოგო გადიოდა ფართო, მოქარგული სახელოებით, ან მხოლოდ იმიტომ, რომ მას ისეთ დროს ეცემა შუქი, რა დროსაც იმ პორტიკს, რომელიც აღარ გახსოვს, სად გინახავს.

მილიონობით თვალი აღიმართება ფანჯრებზე, ხიდებზე, ჯონჯოლის ბუჩქებზე, ისე, თითქოს დაუწერელ ფურცელს გადაურბენენო. ბევრია ფილიდესნაირი ქალაქი, მზერას რომ გაურბიან, ისინი უცბად უნდა მოიხელთო, უნდა ჩაიჭირო.

## ქალაქები და სახელი. 3.

პირა ჩემთვის დიდხანს ერთი ყურის კალთაზე გამაგრებული ქალაქი იყო, მაღალი ფანჯრებითა და კოშკებით, თასივით ჩაკეტილი, ცენტრში ჭასავით ღრმა მოედნით, რომლის ცენტრშიც ჭა იყო. არასოდეს მენახა. ერთი იმ ქალაქთაგანი იყო, სადაც ვერასოდეს მოვხვდი და რომლებსაც მხოლოდ მათი სახელების მიხედვით წარმოვიდგენ: ეუფრაზია, ოდილე, მარგარა, ჯეტულია. პირას თავისი ადგილი ჰქონდა მათ შორის, ყველა მათგანისგან განსხვავდებოდა, ყოველი მათგანივით გამორჩეული იყო გონების თვალისთვის.

დადგა დღე, როცა ჩემმა მოგზაურობებმა პირაში მიმიყვანა. ფეხი შევდგი თუ არა, ყველაფერი დამავიწყდა, რასაც წარმოვიდგენდი; პირა გამხდარიყო ის, რაც პირაა; მე კი მეგონა, ყოველთვის ვიცოდი, რომ ზღვა ქალაქიდან არ ჩანს, რომ მას დაბალი და ტალღოვანი ნაპირის დიუნა მალავს; რომ გზები გრძელია და სწორი; რომ ერთმანეთისგან დაშორებული არც ისე მაღალი სახლები ჯგუფ-ჯგუფადაა თავმოყრილი და ხის დეპოების მოედნებით და ხე-ტყის სახერხი ქარხნებით ერთმანეთისგან გამოყოფილი; რომ ქარი ამოძრავებს ჰიდრავლიკური ტუმბოების ქარიფანტია მბრუნავ რგოლებს. იმ წუთიდან მოყოლებული ეს სახელი - პირა - ჩემს გონებაში აღძრავს ამ წარმოდგენას, ამ შუქს, ამ ბღუილს, ამ ჰაერს, რომელშიც მოყვითალო მტვერი ფრენს: ნათელია, რასაც ნიშნავს და რომ ამის მეტს არც არაფერს შეიძლება ნიშნავდეს.

ჩემს გონებაში ისევ უამრავი ქალაქია, რომლებიც არც მინახავს და ვერც ვნახავ, სახელებია, რომლებსაც თან მოაქვთ რაღაც სურათი თუ ფრაგმენტი, წარმოსახული სიმბოლოს გაკრთომა: ჯეტულია, ოდილე, ეუფრაზია, მარგარა. მაღალი ქალაქი ყურეზეც ისევ იქაა, მოედნით, რომელიც ჭას შემორტყმია, მაგრამ მას სახელს ვეღარ ვუწოდებ, ვეღარც გავიხსენებ, თუ რანაირად დავარქვი სახელი, რომელიც სულ სხვა რამეს ნიშნავს.

## ქალაქები და წასულები. 2.

ადელმამდე ვერასოდეს მივაღწიე ჩემს მოგზაურობებში. ბინდდებოდა, როცა მის ნაპირზე გადმოვედი. ერთმა მეზღვაურმა ნავმისადგომზე ბაგირი მოხერხებულად მოიხელთა და ბიტენგს მიაბა, იგი იმ ჯარისკაცს ჩამოჰგავდა, რომელიც ჩემთან ერთად მსახურობდა ჯარში, და გარდაიცვალა. თევზით ბითუმად ბაზრობის დღე იყო. ვიღაც მოხუცი ზღარბებს ცლიდა კალათიდან ურიკაზე; მომეჩვენა, რომ ვიცნობდი; როცა მისკენ შევტრიალდი, რომელიღაც ჩიხში შეიმალა, მაგრამ მივხვდი, რომ ერთ მეთევზეს მაგონებდა, რომელიც უკვე მოხუცი იყო, მე რომ ბავშვი ვიყავი, და ახლა ცოცხალი ვეღარ იქნებოდა. შემაშფოთა ერთი სიცხიანი ავადმყოფის დანახვამ, მიწაზე მოკრუნჩხულიყო და თავზე საბანი წაეფარებინა: მამაჩემს სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ყვითელი თვალები და უხეში წვერი ჰქონდა, როგორც ამ ვიღაცას. თვალი დავხარე; ვეღარ ვბედავდი, სახეში შემეხედა ვინმესთვის.

ვიფიქრე: "თუ ადელმა ის ქალაქია, რომელიც მესიზმრება, და სადაც გარდაცვლილების მეტს ვერავის შეხვდები, სიზმრის მეშინია. თუ ადელმა მართლაც არსებობს და მასში ცოცხლები ცხოვრობენ, საკმარისი იქნება, დაჟინებით დავაკვირდე მათ, რომ მსგავსებები გაქრება და შიშის მომგვრელი უცხო სახეები შემრჩება. ასეა თუ ისე, უკეთესია, არ მივაშტერდე მათ."

ერთი მწვანილების გამყიდველი ქალი სახელდახელო სასწორზე კომბოსტოს წონიდა და წვრილ თოკზე ჩამოკიდებულ კალათში დებდა, რომელიც გოგონას ჩამოეშვა აივნიდან. გოგონა



ერთ ჩემსოფლელ გოგონას ჰგავდა, რომელიც სიყვარულისგან გაგიჟდა და თავი მოიკლა. მემწვანილემ თავი ასწია: ბებიაჩემი შემრჩა.

გავიფიქრე: "ცხოვრებაში დგება ისეთი დრო, როცა შენს ნაცნობ ხალხში მიცვალებულები ცოცხლებს აღემატებიან. გონება უარს ამბობს სხვა ფიზიონომიების, სხვა გამომეტყველებების მიღებაზე - ყველა შეხვედრილ ახალ სახეს ძველ ტვიფარებს აჭდევს, თითოეულისთვის ყველაზე შესაფერის ნიღაბს პოულობს".

კიბეზე მწკრივად ადიოდნენ წნული ბოცებისა და კასრების ქვეშ მოხრილი მტვირთავები; სახეებს ტომრების ჩაჩები უფარავდათ; "ახლა გაიმართებიან და ვიცნობ მათ", ვფიქრობდი მოუთმენლობით და შიშით შეპყრობილი. თუმცა მათ თვალს არ ვაშორებდი; როგორ ხანმოკლედაც უნდა მიმემართა მზერა ბრბოსკენ, რომელიც იმ პატარა ქუჩებზე გამოზღრიალებულიყო, მოულოდნელი სახეები მესხმოდნენ თავს, შორს გამოჩნდებოდნენ, მომშტერებოდნენ, თითქოს მაძალებდნენ, რომ მეცნო ისინი, ჩემს ცნობას აპირებდნენ, თითქოს უკვე მიცნესო. ალბათ, მეც ვიღაც გარდაცვლილს მამგვანებდა თითოეული მათგანი. ეს წუთი იყო, ადელმაში ჩამოვედი და უკვე მათიანი ვიყავი, გადამიბირეს, ამ თვალების, ნაოჭების, მიმიკების ზღვაში გაბმული.

გავიფიქრე: "იქნებ ადელმა ის ქალაქია, სადაც სიკვდილის მერე ჩამოდიხარ-მეთქი, და სადაც თითოეული იმ ადამიანებს პოულობს, რომლებსაც იცნობდა. ეს იმის ნიშანია, რომ მეც მოვკვდი". ისიც გავიფიქრე: "ეს იმის ნიშანია, რომ იმქვეყნიერებაში სიხარული არაა".

## ქალაქები და ცა. 1.

ეუდოსია გორაკებსა და დაბლობებზეა გადაშლილი მიხვეულ-მოხვეული მოსახვევებით, კიბეებით, ქუჩაბანდებით, ქოხებით, აქ ინახება ერთი ხალიჩა, რომელზეც ქალაქის ნამდვილი ფორმით ტკბობა შეგიძლია. ერთი შეხედვით, ეუდოსიას ხალიჩის ნახატზე ნაკლებად არაფერი ჰგავს, ეს ნახატი სიმეტრიულ ფიგურებადაა მოწესრიგებული, რომლებიც სწორხაზოვნად თუ წრიულად იმეორებენ თავიანთ მოტივებს, საოცარი ფერების ძაფებით რომ მოუქსოვიათ, რომელთა შინაარსების მონაცვლეობასაც შეგიძლია მთელი მონახაზის გაყოლებით მიადევნო თვალი. მაგრამ თუ შეჩერდები და ყურადღებით დააკვირდები მას, დარწმუნდები, რომ ხალიჩის თითოეულ ადგილს ქალაქის რაღაც ადგილი შეესაბამება და რომ ყველაფერი, რაც ქალაქშია, ამ ნახატშიც შედის, ისინი განლაგებულია მათი რეალური ურთიერთობების მსგავსად, ეს თანაფარდობები კი თვალხედვიდან გისხლტება მიდივილ-მოდივილის, ბუჟღავის, სივიწროვის გამო. ეუდოსიას მთელი არეულობა, ვირების ყროყინი, ჭვარტლის ლაქები, თევზის სუნი, ეს ისაა, რაც შენ მიერ მოხელთებულ ნაწილობრივ პერსპექტივაში თავსდება; მაგრამ ხალიჩა ამტკიცებს, რომ არსებობს ერთი წერტილი, საიდანაც ქალაქი თავის ჭეშმარიტ პროპორციებს, თავის ყოველ მინიმალურ დეტალში შეფარულ გეომეტრიულ სქემას აჩვენებს.

ეუდოსიაში დაკარგვა იოლია: მაგრამ როცა კონცენტრირდები და ხალიჩას თვალს მიაშტერებ, წითელ ან ლურჯ თუ ღვინისფერ ძაფში იმ გზას ამოიცნობ, რომელსაც ეძებდი და რომელიც გრძელი გზის მოვლით ერთ ალისფერ შემოღობილ სიმაგრეში შეგიყვანს, რაც შენი ჭეშმარიტი მიზანი იყო. ეუდოსიას თითოეული მცხოვრები ხალიჩის უძრავ წესრიგს ქალაქის თავისეულ წარმოდგენას, თავის შიშს ადარებს, და თითოეულს შეუძლია არაბესკებს შორის თავისი ცხოვრების პასუხი, ამბავი, თავისი ბედის გარდატეხის წერტილები იპოვნოს.

ასე განსხვავებულ ორ საგანს შორის, როგორიცაა ხალიჩა და ქალაქი, არსებული ამ უცნაური ურთიერთობის შესახებ ორაკულს ჰკითხეს. ერთი ამ საგანთაგანი, - იყო პასუხი, - იმ ფორმისაა, რომლებიც ღმერთებმა ვარსკვლავიან ცას და იმ ორბიტებს მისცეს, რომლებზეც სამყაროები ბრუნავენ; მეორე კი არის მისი მიახლოებითი ანარეკლი, როგორც ყველაფერი, რაც ადამიანის ხელს შეუქმნია.

ავგურები უკვე კარგა ხანია დარწმუნებულები იყვნენ, რომ ხალიჩის ჰარმონიული ნახატი ღმერთის ნახელავი იყო; ასე დავიდარაბის გარეშე ახსნეს ორაკულის ნათქვამი. მაგრამ ამავე დროს შენ საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანაც შეგიძლია: რომ სამყაროს ჭეშმარიტი მონახაზი მიწაზე არსებული ქალაქი ეუდოსიაა, ლაქა, რომელიც უფორმოდ იზრდება, სულ ზიგზაგური ქუჩებით, სახლებით, ერთმანეთზე რომ ემხობიან საშინელ მტვერში, ხანძრებში, უკუნეთიდან ამოძახილებში.

- მაშ, მართლაც მეხსიერებაში მოგზაურობა ყოფილა შენი მოგზაურობა! - ყურადღებადაძაბული დიდებული ხანი ყოველ ჯერზე, როცა მარკოს საუბარში ამოოხვრას გაიგონებდა, ჰამაკში გაქანავდებოდა ხოლმე. - მაშ, ნოსტალგიის ტვირთის შესამსუბუქებლად წასულხარ ასე შორს! - აღმოხდებოდა ხოლმე, ან: - ექსპედიციებიდან ტკივილიანი მოგონებებით სავსე ტრიუმით ბრუნდები! - და სარკასტულად ამატებდა: - ვერაფერი ნავაჭრია, სიმართლე თუ გინდა, ვენეციის რესპუბლიკელი ვაჭრისთვის!

ეს იყო სწორედ ის პუნქტი, რასაც უმიზნებდა ყუბლაის ყველა შეკითხვა წარსულსა და მომავალზე, უკვე ერთი საათი იყო, რაც კატათაგვობანას ეთამაშებოდა, ბოლოს კი მარკოს კუთხეში მიიმწყვდევდა, მოულოდნელად დაესხმოდა თავს, მუხლს მკერდზე დააბჯენდა, წვერზე წაავლებდა ხელს: - ეს მინდოდა გამეგო შენგან: გამოტყდი, რითი კონდრაბანდისტობ: განწყობილებებით, ბედნიერი წუთებით, ელეგიური გრძნობებით?

ალბათ, მხოლოდ გაფიქრებული ფრაზები და ქმედებები იყო ყელაფერი, რადგან ეს ორნი მდუმარედ და უძრავად მიშტერებოდნენ, როგორ ამოდიოდა ბოლი მათი ჩიბუხებიდან. ღრუბელი ხან იფანტებოდა ქარის ერთ წამობერვაზე, ხანაც შუა ჰაერში გამოეკიდებოდა ხოლმე; და პასუხი ამ ღრუბელში იყო. ერთიც წამოუბერა და ბოლი გაიფანტა. მარკო ფიქრობდა ორთქლზე, რომელიც გადაშლილი ზღვის ზედაპირს და მთების ჯაჭვებს ნისლავს, გაფანტვისას მშრალ და გამჭვირვალე ჰაერს ტოვებს და შორეულ ქალაქს აჩენს. სწორედ ამ სწრაფადმონაცვლე განწყობილებების საფარში უნდოდა, გაეღწია მის მზერას - საგანთა ფორმები შორიდან უკეთესად განირჩევა.

ან, როგორც კი ბაგეს მოსწყდებოდა მძიმე და ნელი ღრუბელი, ჩერდებოდა და სხვა წარმოდგენისკენ უბიძგებდა მას: მეტროპოლების სახურავებზე დაგუბებული გამონაბოლქვებისკენ, დაგუბებული დაბურული კვამლისკენ, მავნე ანაორთქლების მანტიისკენ, რომელიც ბიტუმივით მძიმე ქუჩებს გადაჰფარებია. მეხსიერების არც მოძრავ ღრუბლებს და არც მშრალ გამჭვირვალებას, არამედ დამწვარი სიცოცხლეების დამწვარ ნარჩენებს, ქალაქებზე ფუფხს რომ წარმოქმნიან, ვიტალური მატერიის გაბერილ "ღრუბელს", რომელიც აღარ მიედინება, წარსულიაწმყომომავლის საგუბარს, რომელიც ჩაკირულ არსებობებს მოძრაობის ილუზიაში ყინავს: ამას აღმოაჩენდი მოგზაურობის ბოლოს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# "კადილაკ BLS" ევროპის დაპყრობას აპირებს







მერაბ ლორთქიფანიძე

იყო დრო, როცა ამერიკელი ავტომწარმოებლები, ეგრეთ წოდებული "დიდი სამეულის" კომპანიები, ძირითად ყურადღებას შინაურ ბაზარს უთმობდნენ და ნაკლებად დარდობდნენ სხვა ბაზრებზე - მათთვის აშშ-სა და კანადაში საქმიანობაც საკმარისად მომგებიანი იყო. ამ სამიდან ორი - "ჯენერალ მოტორსი" და "ფორდი", ძველ კონტინენტზე თავიანთი ფილიალების საკმაოდ წარმატებული საქმიანობითაც გადიოდა ფონს, "კრაისლერმა" კი რამდენიმე კრიზისის შემდეგ, "დაიმლერ-ბენცთან" ალიანსის შექმნაში ნახა გამოსავალი.

დროთა განმავლობაში, ამერიკელები შინაურ ბაზარზე იაპონელებმა და ევროპელებმა შეავიწროვეს. "ჯენერალ მოტორსისთვის", "ფორდისთვის" და განსაკუთრებით კი "კრაისლერისთვის" (დაიმლერთან გაერთიანებამდე), ამერიკაშიც გართულდა ცხოვრება. მათი მენეჯერები კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა ამერიკული მარკებით წარმოებული ავტომობილების საზღვარგარეთ უფრო დიდი რაოდენობით გატანა და უცხოურ ბაზრებზე ფეხის მოკიდება.

ამ მხრივ, ამერიკელთა ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს ევროპის ბაზარი წარმოადგენს, სადაც მალე შედგება "ჯენერალ მოტორსის" ყველაზე პრესტიჟული ბრენდის, "კადილაკის" ახალ სედან BLS-ის დებიუტი. "გენერლებმა" ძველ კონტინენტზე "კადილაკის" პროდუქციის გატანა და იქ დამკვიდრება არაერთხელ სცადეს, მაგრამ მათი ყველა მცდელობა კრახით დასრულდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამჯერად მსოფლიოს უდიდესი ავტოკომპანია ევროპაში ექსპანსიისთვის უფრო საფუძვლიანად მოემზადა.

მაშ ასე, გაიცანით, "კადილაკ BLS" - გარეგნობით ტიპიური ამერიკული ავტომობილი, რომელიც ევროპელი მყიდველის გემოვნების შესაბამისადაა გაწყობილი და რომელზეც ამერიკული გიგანტი დიდ იმედებს ამყარებს. უნდა ითქვას, რომ საავტომობილო ბიზნესის ექსპერტებიც ამ ავტომობილს კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ისევე როგორც ყველა სხვა "კადილაკს", ევროპისთვის განკუთვნილ BLS-ის გარეგნობასაც ერთი დამახასიათებელი ნიშანი აქვს - ავტომობილს მთელ სიგრძეზე გაჰყვება ზოლი, რომელიც ძარას ორ, აბსოლუტურად სიმეტრიულ ნაწილად ჰყოფს. სხვა მხრივაც, BLS ტიპიური თანამედროვე კადილაკია თავისი დაკუთხვილი ფორმებით და ბროლის მაშუქებით. კორპორატიულ სტილს შეესაბამება ასევე ვერტიკალური გვერდითი და ცენტრალური ჰორიზონტალური სტოპები. მოკლედ, დანახვისთანავე ადვილი მისახვედრია - ეს არის "კადი".

ევროპული ბაზრის "დასაპყრობად", BLS მთავარ იარაღად გამოიყენებს სრულიად ახალ ტურბოდიზელს. შესანიშნავი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების გარდა, ამ ძრავს ასევე გამოარჩევს ნაცრის ფილტრი, რომელსაც შეცვლა არ სჭირდება.

რა თქმა უნდა, ევროპის ბაზარზე დასამკვიდრებლად მთავარი ფაქტორი ისაა, რომ ავტომობილი დიზელის ძრავით აღიჭურვება - ევროპაში გასაყიდად გაგზავნილი BLS-ების პირველი პარტია სწორედ დიზელზე მომუშავე აგრეგატებით იქნება აღჭურვილი. ამ ძრავის სამუშაო მოცულობა 1.9 ლიტრია, სიმძლავრე კი - 150 ცხენის ძალა. მოგვიანებით, ავტომობილი ასევე აღიჭურვება კიდევ სამი ტურბომოტორით, ოღონდ ეს აგრეგატები დიზელის ნაცვლად, ბენზინზე იმუშავებს. ორის მუშაო მოცულობა იქნება 2.0 ლიტრი, მესამისა კი - 2.8 ლიტრი. შესაბამისად, მათი სიმძლავრე იქნება 175, 210 და 255 ცხენის ძალა.

ევროპელი მყიდველისთვის არანაკლებ მიმზიდველი იქნება გადაცემათა კოლოფების დიდი არჩევანი. ასეთს BLS-ის მყიდველს ოთხს შესთავაზებენ. მათგან ორი ავტომატურია, ორი კი - მექანიკური. ამასთან, ორს ხუთი საფეხური აქვს, ორს კი - ექვსი.

კონსტრუქტორებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ავტომობილი ევროპელთა მოთხოვნების შესაფერისად მანევრული გამოსულიყო. ამასთან, BLS-ს არც ამერიკული ავტომობილებისთვის დამახასიათებელი კომფორტი დაუკარგავს. ყველაფერი ეს კი საკიდარის დამსახურებაა, რომელიც მაკფერსონის სვეტებს და ოთხ ბერკეტს ეყრდნობა.

BLS-ის ინტერიერი უბრალოებით გამოირჩევა, თუმცა ამერიკული ავტომობილებისათვის დამახასიათებელი კომფორტის მინიმუმს მაინც სთავაზობს მძღოლსა და მგზავრებს. სავარძლები ტყავითაა გაწყობილი, ორ-სამ ადგილას კი ყურადღებას იქცევს ლაკირებული ხის პანელები. მთავარი ისაა, რომ სალონში ყველაფერი ფუნქციონალურია და ერგონომიული.

უნდა ითქვას, რომ უბრალოება და პრაქტიკულობა მხოლოდ BLS-ისთვის დამახასიათებელი როდია. ასეთია ყველა თანამედროვე "კადი", რის გამოც, ამ პრესტიჟული მარკის გაყიდვების მოცულობა ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ყველაზე მეტად გერმანელ კონკურენტებს, კონკრეტულად კი "მერსედეს-ბენცს" აზარალებს. შესაბამისად, ევროპაში BLS პირველ რიგში, გერმანული კომპანიების "თანაკლასელთა" კონკურენტი იქნება.

ევროპაში "კადილაკ BLS-ის" ფასი, აღჭურვილობის დონის მიხედვით, 27-35 ათასი ევროს ფარგლებში ისერყევებს. ძველ კონტინენტზე მისი გაყიდვები კი სექტემბრიდან დაიწყება.

# "ოპელ ანტარა" - პარიზამდე რუსელჰაიმში

"ჯენერალ მოტორსის" გერმანული შტო "ოპელი" წელს დაიწყებს თავისი სრულიად ახალი უგზოობის ავტომობილის, მოდელ "ანტარას" წარმოებას, რომლის ოფიციალური პრემიერა პარიზის ავტოსალონზე, სექტემბერშია დაგეგმილი. თუმცა, პრემიერამდე კარგა ხნით ადრე, მწარმოებელმა თავისი სიახლე უკვე გამოფინა ქალაქ რუსელჰაიმში გახსნილ, "ჯენერალ მოტორსის" ახალ ევროპულ დიზაინ-ცენტრში.

ამ ავტომობილის კონცეპტუალური ვარიანტის პირველი ჩვენება შარშან, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგა. მაშინვე გამოცხადდა, რომ "ანტარა" მალე გახდებოდა სერიული ავტომობილი. სერიული "ანტარა" იმავე პლატფორმაზეა ბაზირებული, რომელზეც "შევროლე კაპტივა", რომლის ამერიკული დებიუტიც დეტროიტის, ევროპული დებიუტი კი ჟენევის წლევანდელ ავტოსალონებზე შედგა.

ავტომობილი დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა. ის უგზოობის მოდელების კლასს მიეკუთვნება, თუმცა მას უნივერსალის თვისებები და კომფორტიც გააჩნია.

"ოპელის" მმართველი დირექტორი ჰანს დემანტი ამ ავტომობილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს და მასზე დიდ იმედებს ამყარებს. მის ოპტიმიზმს კი მყარი საფუძველი გააჩნია სტატისტიკური მონაცემების სახით: 1998 წლიდან მოყოლებული, ევროპაში თითქმის ორჯერ გაიზარდა ქროსოვერების და უგზოობის ავტომობილების ბაზარი.

"ანტარას" გაბარიტებია: სიგრძე 4.57 მეტრი, სიგანე 1.85 მეტრი და სიმაღლე - 1.70 მეტრი. ამ მხრივ, ის ახლოსაა შვიდადგილიან "შევროლე კაპტივასთან", თუმცა მისგან განსხვავებით, გერმანული მოდელი მხოლოდ ხუთადგილიანია. ამასთან, "ანტარა" თავის ამერიკელ "ნათესავზე" სოლიდურადაც გამოიყურება.



წარმოების დაწყებიდან პირველ ხანებში, "ანტარას" საბაზო აღჭურვაში შევა 3.2-ლიტრიანი V6, რომელიც 224 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. მასთან შეწყვილდება ხუთსაფეხურიანი მექანიკური, ან ავტომატური გადაცემათა კოლოფი. მოგვიანებით, "ოპელი" მყიდველს შესთავაზებს 2.4-ლიტრიანი (141-ცხენისძალიანი) ბენზინის და ორლიტრიანი ტურბოდიზელით (სიმძლავრე 150 ცხენის ძალა) აღჭურვილ "ანტარებს".

"ოპელ ანტარას" გაყიდვები წლის ბოლოს დაიწყება. ძველ კონტინენტზე ეს ავტომობილი კონკურენციას გაუწევს სეგმენტის ისეთ ლიდერებს, როგორებიცაა "ტოიოტა RAV4", "ჰიუნდაი სანტა ფე" და მომდევნო თაობის "ლენდ როვერ ფრილენდერი". სავარაუდოდ, "ოპელის" სიახლის საბაზო ღირებულება 26 850 ევრო იქნება.

# იაპონურ-ამერიკული თანამშრომლობა ზებგერითი ლაინერის შესაქმნელად

მერაბ ლორთქიფანიძე



დაახლოებით ასეთი იქნება მომდევნო თაობის ზებგერითი სამგზავრო ლაინერი.

იაპონიის აეროკოსმოსური კვლევის სააგენტო (JAXA) აგრძელებს მუშაობას მომდევნო თაობის რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავის შესაქმნელად. თუმცა, მას შემდეგ, რაც რიგ გადაულახავ პრობლემებს წააწყდა, მისმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სათანამშრომლოდ ამერიკელ კოლეგებს დაუკავშირდეს - JAXA-ს და რამდენიმე დიდი იაპონური კომპანიის ხელმძღვანელობა მალე დაიწყებენ მოლაპარაკებას აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის ადმინისტრაციასთან (NASA) და ამერიკულ კომპანია "ბოინგთან", რათა მათ ერთობლივად განაგრძონ მუშაობა "კონკორდის" შთამომავალის შექმნაზე.

იაპონელები უკვე დიდი ხანია, ცდილობენ ისეთი სუპერრეაქტიული სამგზავრო ლაინერის შექმნას, რომელიც ტოკიოდან ლოს ანჯელესამდე ფრენას მხოლოდ სამ საათს მოუნდება. იაპონელებმა სამუშაოები დამოუკიდებლად დაიწყეს, მაგრამ პირველი ტესტების ჩატარებისას სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ, რის შემდეგაც, უცხოელი პარტნიორის გამონახვა და მასთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს.

თავიდან მათ ფრანგებთან თანამშრომლობა მოინდომეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. განსაკუთრებით გაძნელდა საცდელი თვითმფრინავის მასშტაბური მოდელის ცხვირის კონუსის ოპტიმალური აეროდინამიკური ფორმის შემუშავება, რის გამოც, ტესტებს რამდენიმე მოდელი შეეწირა.

"ყველა განვითარებული ქვეყანა - აშშ, ევროპის ქვეყნები, რუსეთი და ჩინეთი დამოუკიდებლად მუშაობს ამგვარი აპარატის შექმნაზე. მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ სფეროში ყველაზე მეტი გამოცდილება ამერიკელებს აქვთ. ამიტომ, სწორედ მათთან თანამშრომლობაზე ვაკეთებთ არჩევანს", - ამბობს JAXA-ს სპიკერი კიიოტაკა იაშირო.

გაზეთ "ნიჰონ კეიძაის" ინფორმაციით, JAXA-ს შემუშავებული აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც, ამერიკელებთან თანამშრომლობის შემთხვევაში, ისინი კისრულობენ სუპერრეაქტიული ძრავის შექმნას, რომელიც "კონკორდის" რეაქტიულ ძრავებზე ნაკლებად ხმაურიანი და ეკონომიური იქნება. სამაგიეროდ, ამერიკელებმა უნდა ითავონ საფრენი აპარატის ფიუზელაჟის დამზადება. თუმცა, იაშირო აცხადებს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია ჯერჯერობით მხოლოდ სურვილია და რეალობას არ ასახავს. აღნიშნული და სხვა ბევრი საკითხი ჯერ ამერიკელ პარტნიორებთანაა შესათანხმებელი.

პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ახალი ზებგერითი (სუპერბგერითი) თვითმფრინავი პირველ რეგულარულ რეისებს 2025 წელს განახორციელებს. ასეთი ზესწრაფი ლაინერები მინიმუმ ორი მახის (მახი ბგერის სიჩქარეა) სიჩქარით იფრენენ და ერთი რეისით 200-300 მგზავრის გადაყვანას შეძლებენ. თუმცა, ამ ეტაპზე, მინიმუმ ათწლიანი კვლევითი სამუშაოებია ჩასატარებელი მანამ, სანამ პირველი პროტოტიპის დამზადება გახდება შესაძლებელი.

მაგრამ თუ პროექტი წარმატებული გამოვა, მაშინ იაპონურ ავიაინდუსტრიას გამოცოცხლების რეალური შანსი გაუჩნდება. თანამედროვე იაპონური ავიაინდუსტრია მცირე სამგზავრო თვითმფრინავებისა და ამერიკული ავიაკომპანიებისთვის მაკომპლექტებელი ნაწილების წარმოებით შემოიფარგლება. იაპონელები იმედოვნებენ, რომ ზებგერითი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ისინი ამ მრავალმილიარდიან ბიზნესშიც ჩაერთვებიან.

ორი ძირითადი პრობლემა, რომლის გადალახვაც ზებგერითი თვითმფრინავის კონსტრუქტორებს მოუწევთ, არის ძრავების უსაშველო ხმაური და საწვავის დიდი ხარჯი. იაპონელებმა უკვე რამდენჯერმე გამოსცადეს ძრავის მოდელი, რომელსაც ლაინერისთვის 5.5 მახი (ბგერის სიჩქარეზე 5.5-ჯერ მეტი) სიჩქარის მინიჭება შეუძლია.

მაგრამ, სატესტო ფრენების დროს, JAXA-ს კონსტრუქტორები წააწყდნენ აეროდინამიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს. კერძოდ, ვერ გამოინახა სატესტო მოდელის ცხვირის ნაწილის ოპტიმალური ფორმა. ამის გამო, ავსტრალიის უდაბნოში ჩატარებული ორი ტესტი ავარიით და ისრის ფორმის მოდელის განადგურებით დასრულდა.

პირველი ტესტის დროს, მოდელი ამაჩქარებელ რაკეტას ვადაზე ადრე, საჭირო სიმაღლის აღებამდე მოსწყდა. მეორე შემთხვევაშიც, მოდელმა სიმაღლის აღება ვერ შეძლო. მაგრამ ამჯერად ამის მიზეზი მისი წვეტიანი ცხვირის ნაწილის არასწორი აეროდინამიკური ფორმა იყო.

შეგახსენებთ, რომ ფრანგულ-ინგლისურმა "კონკორდმა" პირველი კომერციული რეისების განხორციელება 1969 წელს დაიწყო. მისი ორი ძირითადი ნაკლი იყო ძლიერი ხმაური და საწვავის უზომო ხარჯვა, რის გამოც, მგზავრობის ბილეთები მეტისმეტად ძვირი ჯდებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად, "კონკორდები" მაინც ასრულებდნენ რეგულარულ შორეულ რეისებს.

2000 წლის 25 ივლისს კი "ეარ ფრანსის" კუთვნილმა ზებგერითმა ლაინერმა, პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროდრომიდან აფრენისას კატასტროფა განიცადა, რასაც 109 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სამი წლის შემდეგ "კონკორდმა" ბოლო რეისი შეასრულა ნიუ იორკიდან პარიზამდე, რის შემდეგაც ისტორიის კუთვნილება გახდა.

იაპონური პროექტი ითვალისწინებს ეგრეთ წოდებული რემჯეტის (სქრემჯეტის) ტიპის სუპერრეაქტიული "ატმოსფერული" ძრავის გამოყენებას. ასეთი ძრავის ასამოქმედებლად საჭიროა, რომ საფრენ აპარატს წინასწარ რაიმე ტიპის (რაკეტამ) ამაჩქარებელმა განავითარებინოს საწყისი სიჩქარე, რომელიც ბგერის სიჩქარეს მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს. ამოქმედების შემდეგ კი, რემჯეტს საფრენი აპარატისთვის დაახლოებით 8000 კმ/სთ სიჩქარის მინიჭება შეუძლია. რემჯეტის (სქრემჯეტის) თავისებურება ისაა, რომ მასში არ ხდება ხრახნებით ჰაერის ნაკადის დაჭირხვნა, როგორც ეს რეაქტიულ ძრავებშია. ჰაერის ძლიერ ნაკადს წარმოქმნის ძრავის ჰაერისამღები, ნაკადის მაღალ სიჩქარეს კი საკუთრივ საფრენი აპარატის მიერ ამაჩქარებლის მეშვეობით აკრეფილი სიჩქარე უზრუნველყოფს.

იაპონელების გარდა ამ ტიპის ძრავების შესაქმნელად ამერიკელები, ევროპელები, ჩინელები, რუსები და ინდოელებიც კი მუშაობენ. თუმცა, ყველაზე დიდ პროგრესს ამ ეტაპზე ჯერჯერობით მხოლოდ ამერიკელებმა მიაღწიეს, რომლებმაც ჰიპერბგერითი თვითმიფრინავის მოდელს რამდენიმე წარმატებული გამოცდა ჩაუტარეს.

იაპონელთა მხრიდან, JAXA-ს გარდა, ამ პროექტით დაინტერესებულები არიან ისეთი ინდუსტრიული გიგანტები, როგორებიცაა "მიცუბიში ჰევი ინდასტრიზი", "კავასაკი ჰევი ინდასტრიზი", "ფუძი ჰევი ინდასტრიზი" და "იშიკავაძიმა-ჰარიმა ჰევი ინდასტრიზი".






JAXA-ს კონსტრუქტორების მიერ შექმნილმა ამ ზებგერითმა პროტოტიპმა რამდენიმე გამოცდა გაიარა ავსტრალიის ვუმერას უდაბნოში. თეორიულად, ამ 11.5-მეტრიანი საცდელი აპარატით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ორი მახის სიჩქარის აკრეფა. 2005 წლის 10 ოქტომბერს ჩატარებული ტესტის დროს მისმა სიჩქარემ 2.6 მახს მიაღწია (საკუთარი ძრავის გარეშე, ამაჩქარებლის მეშვეობით). მომდევნო ტესტებზე პროტოტიპს რამდენიმე ინციდენტი შეემთხვა, რის გამოც იაპონელებმა ამერიკელი კოლეგებისთვის თანამშრომლობის შეთავაზება გადაწყვიტეს.

## კლუბები/რესტორნები

**დღეს**

**ANTON BEGOWAT**
**(Moscow, Russia),**
**დასაწყისი: 22:00.**

**მუშაობს: პარასკევი/შაბათი; იხსნება: 20:00; DJ ფართი: 24:00;** ერთ დღეს **ქართველი,** მეორე დღეს - **უცხოელი DJ; ფასი:** ბიჭი **25 ლარი,** გოგონა **15 ლარი; 21 წლამდე** ახალგაზრდების **შესვლა** სასტიკად აკრძალულია**; მკაცრი "ფეის კონტროლი"; მენიუ:** ქლაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი **1000-მდე** სტუმარს იტევს. აქვს **300 დასაჯდომი** ადგილი და **10 VIP მაგიდა. შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს **2 ბარი; გამოირჩევა** თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი **ლაზერული განათება. 02.06.06. - DJ Lilu & Friends; 03.06.06. - CHEW The Fat! DJs: Friendly; Paul Arnold; Mixo, Ciga.**

**მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16;**
საკუთარი ავტოსადგომი.

**დღეს**

**Fafa Monteco** / Paris / Hypnotic;
**დასაწყისი: 22:00.**

**იხსნება: 19:00; პარასკევი/შაბათი - დისკოთეკა 22:00; შესვლა: 20 ლ.** გოგონებისათვის უფასოა; **VIP** ადგილი ცალკე შესასვლელით. **ყოველდღე: 22:00** ელექტრონული მუსიკა და დიჯეი ფართი; ქართველი და ევროპელი დიჯეები. **არაბული ნარგილე: 20 ლარი;** მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

**ბამბის რიგი 7;**
**ტ: (+99532) 43 90 38**
ავტოსადგომი უფასოა

**დღეს**

**დავით გომართელი,**
**დასაწყისი: 21:00.**
**იხსნება: 14:00; ცოცხალი მუსიკა: 20:00; ორშაბათი/სამშაბათი -** თინეიჯერებისათვის; **ხუთშაბათი/შაბათი -** ქართული მელოდიები: უკრავს ბენდი, ვოკალისტი ყოველდღე იცვლება, **ფასი: 5 ლარი; პარასკევი/შაბათი - კონცერტი, ფასი: 30 ლარი; კვირას - კარაოკე, ფასი: 10 ლარი.**

**ფალიაშვილის 33ა;**
**ტ.: 99 60 02**

**დღეს**

რესტორან **"მეტეხის ჩრდილში"** "**მ**ჯგუფი", კომპანია "ლაიმი", შვედური კოსმეტიკური ფირმა "ორიფლეიმი" და "მედოფი" **წარმოგიდგენთ** დაუვიწყარი **რუსული რომანსების საღამოს. მღერიან: მაია ბარათაშვილი და მერაბ ანდრონიკაშვილი.**
ფასი: **50 ლარი,** რომელშიც **შედის** წინასწარ მომზადებული **კერძები რუსული სამზარეულოდან.** თითოეული **სტუმარს ელის** უამრავი **სიურპრიზი** და **საჩუქარი** "ორიფლეიმისაგან".
**დასაწყისი: 20:00;**
**იხსნება: 12:00;** ნამდვილი **ქართული რესტორანი** თბილისის **არაჩვეულებრივი ხედითა** და **გემრიელი ქართული კერძებით**. საღამოს პროგრამა განსაკუთრებით უცხოელ სტუმრებს ხიბლავს. აქ შეგიძლიათ ნახოთ **ცეცხლოვანი** ხანჯლური, მთიულური, კინტოური, აჭარული და სხვა **ქართული ცეკვები,** მოუსმინოთ ქართულ **ხალხურ და საესტრადო სიმღერებს.** იტევს **160** სტუმარს, კუპეები **- 50** სტუმარს, აქვს **4 კუპე საკუთარი აივნით,** სამზარეულო მუშაობს **24:00 საათამდე,** ერთი ადამიანის კვების საშუალო ღირებულება: **40 ლარი;**

**ქეთევან წამებულის 29ა.**
**ტ.: 77 93 83; 877 50 01 29.**
უფასო ავტოსადგომი.

## მაღაზიები

**ავეჯი**

ევროპული ავეჯის მაღაზია **გთავაზობთ:** სამზარეულო გარნიტურებს და აქსესუარებს (მინის მაგიდები და სკამები), ჟურნალების მაგიდებს, ბარ-სერვისებს, ტელევიზორების მაგიდებს, საოფისე ავეჯს (კომპლექტი), მაგიდებსა და ქრომირებულ სკამებს კაფეებისათვის, ბარებისა და კლუბებისათვის და **პლაჟის** გასაშლელ სკამებს ბავშვებისათვის; **სპეციალური შეთავაზება:** არაჩვეულებრივად პრაქტიკული **ვერზალიტის მაგიდები** სამზარეულოსათვის (**არ იკაწრება, არ იწვება**); აგრეთვე, **საძინებელი გარნიტურები** და **მასიური ხის ხელით ნაკეთი რბილი ავეჯი** (სამეულები) ნატურალური **ხარის ტყავითა და გობელენით**; **ხალიჩები** (ბელგია, ეგვიპტე, თურქეთი). **ღიაა:** 10:00-დან 18:00-მდე;



**კერესელიძის 12** (სავაჭრო ცენტრი "მეგალაინი"), **მაღაზიები: 33 და 43**; **ტ.:899 54 87 40;** საკუთარი ავტოსადგომი.

# აკადემიური რჩევანი

### არქიტექტორ-დიზაინერ პაატა ქურდიანთან ერთად

ნებისმიერი გარემო **მომხმარებელზე,** ანუ იმ ადამიანებზე უნდა იყოს **გათვლილი,** რომელთა გართობისა და დასვენებისთვისაც ის შეიქმნა, პლუს-გარემოს **ფუნქციური** დანიშნულება. გასათვალისწინებელია **ასაკი** და **მატერიალური შესაძლებლობები.** სწორედ აქედან და გარემოს ფუნქციიდან გამომდინარე იქმნება საერთო დიზაინი, სხვადასხვა დიზაინერული ელემენტები და განათება. **თანამედროვე** კლუბების, რესტორნების, ბარებისა თუ კაფეების **დიზაინი** უფრო **ეკლექტურია,** ანუ სხვადასხვა სტილის სინთეზს წარმოადგენს, რადგან ფართო აუდიტორიაზეა ორიენტირებული და მცირე გამონაკლისის გარდა, **ერთ რომელიმე კატეგორიის კლიენტთა ჯგუფზე არაა გათვლილი.**



ეს, ერთის მხრივ, საზოგადოების შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობებითაა განპირობებული, მეორეს მხრივ კი, - ასეთი ტიპის გართობისა და დასვენების ადგილებში სიარულის გამოცდილების ნაკლებობითა და შესაბამისად, ამ სფეროში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი გემოვნებით. თუმცა, **ეს ინდუსტრია ჩვენში თანდათან ძალებს იკრებს** და ცდილობს, არ ჩამორჩეს **თანამედროვე მსოფლიოს** გამოცდილებასა და **სტანდარტებს,** განსაკუთრებით დიზაინის სფეროში. **ქართულ სინამდვილეში,** კლუბების, ბარებისა და კაფეების **მუდმივი კლიენტები** ძირითადად **თინეიჯერები** და **საშუალო ასაკის ადამიანები** არიანარიან. შესაბამისად, **მათი დიზაინიც** უფრო **მოდერნისტულია ან ქანთრის ტიპის.** საერთოდ, **კლუბი უფრო კამერულ გარემოს ითხოვს,** მიუხედავად შედარებით დიდი სივრცისა და ადამიანების დიდი რაოდენობისა, რაც ძირითადად ინტიმური, ნახევრად ბნელი განათებითა და სივრცის დანაწევრებისათვის აპრობირებული ელემენტებით მიიღწევა, როგორებიცაა: მრგვალი დივან-სკამები, სხვადასხვა დონის იატაკები, ჭერში ჩამოკიდებული ან იატაკზე განთავსებული დიზაინერული ობიექტები. **კლასიკური სტილის კლუბებში,** სადაც თვალში საცემი უნდა იყოს სიმდიდრე და ტრადიციებისადმი ერთგულება, ასეთ ობიექტებად ძირითადად ავეჯის ტიპის ვიტრინა-ტიხრები, მოჩუქურთმებული კოლონები, ქანდაკებები, ზოგჯერ ხელოვნური ფანტანები და ახლოს დაშვებული დიდი ჭაღები გამოიყენება, და რა თქმა უნდა, **მეტი სიმყუდროვისა და სნობური გარემოს** ერთგვარი **"შიკისათვის," - ტორშერები და** დიდი **კლასიკური ბუხარი.** მიუხედავად განსხვავებული სტილისტიკისა, არსებობს საერთო მოთხოვნებიც, რაც ძირითადად გარემოს ტექნიკურ გამართულობასა და ფუნქციურ დანიშნულებას შეეხება. ასე მაგალითად, კარგი სმენადობისათვის კედლებსა და ჭერზე ხშირად რბილ მასალას იყენებენ, სივრცის გასაზრდელად კი - სარკეებს. თუ კლასიკურ კლუბებში ხალიჩები და მარმარილოს იატაკები ჭარბობს, მოდერნისტულ კლუბებში სასურველია კერამო-გრანიტეს პრიალა ან ნახევრადპრიალა მუქი იატაკი დააგოთ. ტექნო განათება, შუშის მაგიდები და ქრომირებული მეტალის სკამები აქ ისევე აღიქმება, როგორც კლასიკურ გარემოში მხატვრული შედევრი. ზოგ შემთხვევაში, ძირითადად მკაცრად თინეიჯერული გარემოსთვის, უფრო მეტი სიჭრელე და აბსტრაქტულობაა მისაღები, რადგან არჩევანის მრავალფეროვნება მათ მეტ საშუალებას მისცემს, მონახონ საკუთარი ადგილი ამ გარემოში და სივრცე უკეთ გაითავისონ. რაც შეეხება ყველაზე პრეტენზიულ, საშუალო ასაკის კლიენტებს, მათ უფრო დახვეწილი სტილი უყვართ და მიუხედავად იმისა, მოდერნისტულია კლუბი ან ბარი თუ არა, უმჯობესია, მინის მაგიდებს ხის კანტი ჰქონდეთ, რომ ხელით უშუალო შეხებისას მათში სიცივისა და გაუცხოების გრძნობა არ დაბადოს. საერთოდ, **უნდა გვახსოვდეს,** რომ ხარისხის ნაკლებობა ასატანია მხოლოდ იქ, რასაც კლიენტი უშუალოდ არ ეხება(ჭერი, კედლები), სხვა დანარჩენში დაშვებული შეცდომა შესაძლებელია მისი დაკარგვის ფასად დაგიჯდეთ. **რაც შეეხება კაფეებს,** ბუნებრივია, მათი დიზაინისადმი პრეტენზია უფრო ნაკლებია, რადგან მათ არ მოეთხოვებათ ფაქიზი ინტიმისა და დახვეწილობის ატმოსფეროს შექმნა. უფრო მეტიც, ეს გარემო შესაძლებელია იყოს უფრო ცივი, ინტენსიური განათებითა და შედარებით მარტივი დიზაინით. აქ ხის ელემენტებს უნდა ერიდოთ, რადგან მათი მოვლა გაგიჭირდებათ. სამაგიეროდ, **კაფეებისა და რესტორნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ხედი.** ამიტომაც, მათი უმრავლესობა ან მაღალ ადგილებსა თუ სართულებზეა განთავსებული, ან ქალაქ გარეთ. არ შეიძლება არ შევეხოთ **მაღაზიებს,** რომელთა იერსახე ხშირად ქალაქის იერსაც კი განაპირობებს. მათი უმრავლესობა მცირე ზომისაა და ერთგვარად **ბუტიკს** მოგვაგონებს. სწორედ მათი კამერული სივრცის გამო და კლიენტურის კონტიგენტიდან გამომდინარე, აქ ხშირად **გამოიყენება რბილი იატაკი და რბილი განათება.** საერთოდ, **მაღაზიის დიზაინი არ უნდა იყოს ძალიან ცივი ან ზედმეტად დამთრგუნველი,** რომ კლიენტს მისაწვდომობის ილუზია არ გაუქროს და პირიქით, რაიმეს შეძენისთვის განაწყოს. ორსართულიან მაღაზიებში ასევე მისაღებია რბილი იატაკი, ოღონდ მეორე სართულზე. საერთოდ, ჯობია მაღაზიაში შესვლა ადამიანს კიბის ავლით არ მოუწიოს. თუ ეს გარდაუვალია, სჯობს იგი თუნდაც მცირე სივრცეში, მაგრამ ჯერ ნულოვან სართულზე შევიყვანოთ და მერე ავიყვანოთ კიბეზე. ასევე ძალიან **მნიშვნელოვანია ვიტრინა,** რადგან ყიდვის სურვილი და მაღაზიაში შესვლის განწყობა სწორედ ვიტრინიდან იწყება. რაც შეეხება **საფირმო მაღაზიების დიზაინს,** როგორც წესი ისინი ფირმის ლოგოს ფერებში ფორმდება და ინარჩუნებს ფირმის ძირითად მოთხოვნებსა და სტილისტიკას.

**და რაც მთავარია,** როცა რაიმეს ქმნით, **მეტი იფიქრეთ იმ ადამიანზე, რომლისთვისაც ეს სივრცე ბუნებრივ, ორგანულ გარემოდ უნდა იქცეს. შესთავაზეთ მას ის, რაც თავად არის და ისიც, რაც უნდა რომ იყოს, მაგრამ არ გადაამლაშოთ, თუ გინდათ, რომ იგი თქვენ მუდმივ კლიენტად იქცეს.**

**ტანსაცმელი**

**გთავაზობთ:** სპორტული და ნახევრად სპორტული ტანსაცმლის ფართო არჩევანს: მაისურები, ქურთუკები, შარვლები, პერანგები, ქვედაბოლოები, ჯინსები, ქუდები, ჩანთები, ქამრები, წინდები. **საცურაო აუზებისა და ზღვისთვის:** საცურაო კოსტიუმები, სათვალეები (აუზის და მზის), შორტები, შლოპანცები, კეპები, პირსახოცები, ხალათები და ქუდები (აუზისთვის). **სიახლე სამთო ტურიზმის მოყვარულთათვის!** ავსტრიული ფირმის **"NORTHLAND professional"**-ის კარვები, ზურგჩანთები, საძილე ტომრები, სამგზავრო ჩანთები ხანგრძლივი მოგზაურობისა და პიკნიკებისათვის, რომლებშიც უსაფრთხოდ და კომპაქტურად შეგიძლიათ მოათავსოთ მოგზაურობისთვის საჭირო ჭურჭელი(თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგალი, კოვზები). Aაგრეთვე, შესაბამისი **ფეხსაცმელები და აქსესუარები მთასვლელებისათვის:** ბრელოკი-გასახსნელები, სასტვენები, მობილური ტელეფონის საკიდები, პატარა ჩანთები, საწვიმარი ლაბადები, თავზე დასამაგრებელი ფანრები.



**ღიაა: 11:00-დან 19:00-მდე; კვირას: 12:00დან 18:00-მდე;**

**ჭავჭავაძის 56;**
**ტ.: 25 06 18.**

**პარფიუმერია / კოსმეტიკა**

**გთავაზობთ:** მხოლოდ **L'OREAL, GARNIER და MAYBELLINE -**ის კოსმეტიკას, სხეულის, სახის კანისა და თმის მოვლის საშუალებებს.



**სიახლე: Cashmere Perfect - ტონალური კრემი ნორმალური კანისათვის.** ნაზი პუდრისა და ხავერდის ეფექტით **12 საათის** განმავლობაში. ცხიმიანი ტექსტურა გარდაიქმნება ნაზ პუდრად, რომელიც სრულყოფილად მსუბუქად და **ჰაეროვნად ჯდება** კანზე. **გათვლილია 18-დან 45 წლამდე ასაკის ქალბატონებისათვის. ფასი: 28.00 ლარი.**



**Ideal Balance -** ტონალური კრემი **შერეული კანისათვის,** რომელიც **აბალანსებს მას.** ტონალობა ერთფეროვანია **მთელი დღის მანძილზე.** მისი პოლი-გლიცერინის კომპლექსი კანს ტენიანობას მატებს. **გათვლილია 18-დან 40 წლამდე ასაკის ქალბატონებისათვის. ფასი: 25.20 ლარი.**

**ღიაა 11:00-დან 20:00-მდე; კვირას: 11:00-დან 16:00.**
**რუსთაველის 46;**
**ტ.: 99 02 62.**

მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ: **Dior, Guerlain, Givenchy, Kenzo, Boss Hugo Boss, Laura Biagiotti, Giorgio Beverly Hills, Lacoste, Yohji Yamamoto, Jean Patou, Valentino, Max Factor, Lancome, Biotherm, Cacharel, Armani, Ralph Lauren, Guy Laroche, Paloma Picasso, Lanvin, GF Ferre, Adidas, Pierre Cardin, Celine Dion, Isabella Rossellini and Rimmel-**ის და **ახლა** უკვე **Collistar-**ისა და **Leocrema-**ს პარფიუმერულ ნაწარმსა და კოსმეტიკურ საშუალებებს. **აგრეთვე,** მის სადისტრიბუციო ქსელში იყიდება: **Chanel, Jean-Paul Gaultier, Escada, Carolina Herrera, Dolce & Gabbana, Gucci, Fendi. ყურადღება!** სექტემბრიდან - **დიორის** პომადა *"**დიორ რუჟ**"* ახალი შეფუთვით;



**ღიაა: 10:00-დან 21:00-მდე;**
**თბილისში:** მარჯანიშვილის 19, რუსთაველის 46, ჭავჭავაძის 42, გამსახურდიას 27, წერეთლის 117, ვაჟა-ფშაველას 35, მელიქიშვილის 18; **მალე** ლესელიძის 51/1; **ბათუმში:** გრიბოედოვის 8, გამსახურდიას 23. **ტ.: + 995 32 25 10 40;**
**ფაქსი: + 995 32 25 34 36.**

მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ საუკეთესო ფრანგულ პარფიუმერიასა და კოსმეტიკას.



**სიახლე:** ქალური, სექსუალური, მიმზიდველი და დაუვიწყარი **OMNIA CRYSTALLINE BVLGARI-**საგან**.** ყოველდღიური და მგრძნობიარე, ბამბუკის სურნელით, იაპონური ხილის გამაცოცხლებელი ეფექტით, ლოტოსის ყვავილის დახვეწილობითა და ბალზას ხის მიმზიდველი, სექსუალური არომატით. **ალბერტო მორალესის დაუვიწყარი ხელწერა** და **ფლაკონის** უზადო დიზაინი **სამკაულისებრი ხიბლით.**
**ღიაა: 10:30-დან 20:00-მდე.**
**თბილისი:** რუსთაველის 1/34/42, ჭავჭავაძის 11, ვაჟა-ფშაველას 20, დ.აღმაშენებლის გამზ. 83/114, გამსახურდიას 11, ხიზანიშვილის 6, ვეკუას 3 (სავაჭრო ცენტრი GTS), წერეთლის 69. **ქუთაისი -**თამარ მეფის 5. **ბათუმი** - კოსტავას 7.

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**
**899 95 57 67**